ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით ფასი: 1 ლარი

სარკე

4.XII-10.XII 2013

№49

ანჟვიანებს თუ არა თაკო ჩორგოლაშვილი ქმარს თავისი ცეკვებით

გვ.22

რეზი დიდია: „თაკოს ხელში ჩაგდება არ გამჭირვებია“

გვ.34

აჩიკო სოლოდაშვილს და ანა ალექსიშვილს გასტროლებზე ერთ ნომერში სძინავთ

„მეგრულად ჯიგრიანობის შესაფერისი სიტყვა არ ვიცი“

„ცოლი მწერს ხოლმე, სახლის გზა არ დაგავიწყდესო“

გვ.6

„ჩემი თბილისელობა ბუნებამ და განგებამ ინება“

როგორია დავით ნარმანია ჩხუბსა და მუშტი-კრივში

გვ.30

ქართველ გოლიათებს ლორის მწვადი ენატრებათ

გვ.8

თამრიკო ჭოხონელიძე: „პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობის გამო გია არ მცნობს“

გვ.39

რაჭი დურგლიშვილის ახალ სახლს ქალის ხელი აკლია

გვ.9

დედა-შვილმა ერთდროულად იმშობიარეს – მოვლენა, რომელიც 10-15 წელიწადში ერთხელ ხდება

სარკე

„მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“

მე-16 ტომი

ფასი ჟურნალთან ერთად 10 ლარი

ISSN 1987-9369

ბოლოდროინდელი საუბრები „სახლში კაზინოების მოყვარული რძალი შემომივიდა“ გვ.13

მამუკა ლომაშვილის ბიჭი იტალიაში დაიბადა

ნინა სუბლატი შავი კაბით გათხოვდა

როლანდ ოქროპირიძემ დედას მანქანა უყიდა

ნიკა გრიგოლია: „მგონი, ვანიკო თარხნიშვილმა მართლა იეჭვიანა ჩემზე“

როგორ გადაურჩა დათო იმედაშვილი ლოს ანჯელესის პოლიციას

2 წლის ბიჭმა მსოფლიო რუკა ზეპირად იცის

თამუნა ლეკვეიშვილს „დიდი და მსუქანი“ გოგო ეყოლა

გიორგი ბოჭორიშვილს ცოლმა ხორციანი კერძები დაავიწყა

ნომერში

მთავრობის სახე

როგორია დაკით ნარმანია ჩხუბსა და მუშტი-კრივში 6

ეტაპი

თამრიკო ჭოხონელიძე: „ქორწინების ბეჭედს საფლავშიც ჩაკიყოლებ“ 8

განსაკუთრებული შემთხვევა

დედა-შვილმა ერთდროულად იმშობიარეს — მოკლენა, რომელიც 10-15 წელიწადში ერთხელ ხდება 9

სკანდალი

პატარა ქართველი ფალავნები იაპონელებმა სიცელქისთვის დასაჯეს 10

გულახდილი საუბრები 12

საფეხურები

ალეკო ელისაშვილი: „შვილებს გეფიცებით, ღამეები არ მძინავს, დიდ შარში ვარ!“ 14

პოლიტიკა

- რამაზ საყვარელიძე: „ევროკავშირს არ უნდოდა გაფართოება და ამისკენ ახლა დგამს ნაბიჯს. საკითხავია — რატომ?“ 16
- ზვიად ძიძიგური: „2012 წელს მეც ვიყარე თბილისის მერობაზე კენჭი და „კარენნიო“ თბილისელებს მოვუგე“ 17
- ჯონდი ბადალუკა: „ხელისუფლება თუ ხუხაშვილის თვალებით მზერას თავს არ დაანებებს, გადაიჩეხება!“ 19

ახალი ამპლუა

დაკით ქაცარავა მამა გაბრიელზე ფილმს იღებს 21

ცოლ-ქმრის კლუბი

აეჭვიანებს თუ არა თაკო ჩორგოლაშვილი ქმარს თავისი ცეკვებით 22

ოჯახური ცხოვრება

ნინა სუბლატი შავი კაბით გათხოვდა 23

საშზარეულო

გიორგი ბოჭორიშვილს ცოლმა ხორციანი კერძები დააკიწყა 25

მოზარდები 28

ნიჭი

- ქართველ გოლიათებს ღორის მწვადი ენატრებათ 30
- 2 წლის ბიჭმა მსოფლიო რეკორდი იცის 31

ახალგაზდა მშობლები

მამუკა ლომაშვილის ბიჭი იტალიაში დაიბადა 32

მატება

თამუნა ლეკვეიშვილს „დიდი და მსუქანი“ გოგო ეყოლა 33

საქეგობრო

აჩიკო სოლიოლაშვილს და ანა ალექსიშვილს გასტროლებზე ერთ ნომერში სძინავთ 34

შოუმენი

ნიკა გრიგოლია: „მგონი, ვანიკო თარხნიშვილმა მართლა იეჭვიანა ჩემზე“ 35

ავტომოყვარული

რონალდ ოქროპირიძემ დედას მანქანა უყიდა 37

უმცროსი ძმები

ცოვეტა დაწვეს, ნიანგს ქვებით ქოლავენ, მტაცებლებს ვოლიერში უსტუმრიან... 38

შინ

რატი დურგლიშვილის ახალ სახლს ქალის ხელი აკლია 39

ცხოვრება ჩემოდნებზე

როგორ გადაურჩა დათო იმედაშვილი ლოს ანჯელესის პოლიციას 43

№49(814) 4 — 10 დეკემბერი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 2.12.2013, 21.00 სთ-ზე.

მეგზური

ცისარტყელა სამზარეულო, მაგიდის მთები და ნადირობა — კეიპტაუნის საკვიზიტო ბარათი 44

ქალის ტვირთი

სად მთავრდება ქალური სიბრძნე და იწყება ქალური შეცდომა? 46

მხოლოდ ქალებისთვის 48

დედიკოების სკოლა 49

ცოტ-ცოტა ყველაფერზე 50

ჩემი მშვენიერი ლედი

შეუყვარდა თუ არა სანდრო კახიძეს საკუთარი კონკურენტი ნატა ელბაქიძე 52

სპორტის მიღმა 53

შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო 54

სახალისო 56

იყავით ჯანმრთელი 58

ადამიანის ინსტიტუტი 62

ბექნუ ქაფიანიძე: „მამას ჩანაწერების დღიური მისი გარდაცვალების შემდეგ აღმოვაჩინეთ“

ესახიობი ზურაბ ქაფიანიძე ქართული კინოს ვარსკვლავებს შორისაც კი გამორჩეული იყო თავისი გარეგნობით, ხმით, ქცევით. დევგმირს ჰგავდა. ვაჟკაცებს განასახიერებდა ეკრანზე და ცხოვრებაშიც ასეთი იყო. სტკიოდა ყველაფერი, რაც ქვეყანას და თითოეულ ადამიანს ცალ-ცალკე აწუხებდა. თავის დღიურში ჩაუწერია კიდეც: „არ შემიძლია მოვისვენო ვერც დღე და ვერც ღამე. სანამ ჩემს ქვეყანაში ერთი გაჭირვებული ადამიანი მაინც იარსებებს, მე მოსვენებული ვერ ვიქნები“.

რაჭაში დაბადებული ბიჭის ცხოვრება უცნაურად წარიმართა. თბილისში პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩასაბარებლად ჩამოვიდა, მაგრამ ქუჩაში კინოსა და თეატრის ვარსკვლავმა აკაკი ხორავამ შენიშნა და მსახიობობა ურჩია. ასე მოხვდა ჯერ თეატრალურ ინსტიტუტში, მერე — თეატრში, შემდეგ კი — კინოში...

ზურაბ ქაფიანიძეს ერთი ქალიშვილი და ორი ვაჟი დარჩა — ლელა, ბერდია და ბექნუ. ბექნუმ მამის გზა გააგრძელა, ისიც მსახიობია. უმცროსი ვაჟი „სარკესთან“ მამას იხსენებს.

გვ.26

სიცილის გვერდი 63

უცხოური დეტექტივი

წითელი სახლის საიდუმლოება (დასასრული) 64

ქალური მოთხრობები

თინათინ ბონი. ოცნების ძიებაში (გაგრძელება) 66

წმინდანები

ქრისტიანობა არის საქმე და არა ლაპარაკი წმინდანთა მსგავსად — ხსენება მღვდელმოწამისა ბაგრატ ტავრომენელი ეპისკოპოსისა (დასასრული) 72

კითხვები მოძღვარს

„სანამ ვინმეს სულიერ მოძღვარს უწოდებ, დარწმუნდი, რამდენად სულიერია ის“ 74

საბავშვო გვერდი 76

კულინარიული შედევრები 77

ხელსაქმე 78

პოლიტიკიდან დავით საგანელიძეც მიდის

ცნობილი გახდა, რომ უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე პოლიტიკიდან წასვლას აპირებს. ამ ინფორმაციას თავად დეპუტატიც არ უარყოფს, თუმცა არ აკონკრეტებს, როდის გადადგამს ამ ნაბიჯს. გავრცელებული ინფო-რმაციით, მისი გადაწყვეტილება დაკავშირებულია უმრავლესობაში დეპუტატების გარკვეულ ჯგუფთან დაპირისპირებით.

დავით საგანელიძის მოსალოდნელი წასვლა პოლიტიკიდან ჟურნალისტებთან საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა წევრიმაზურაბ ტყემალაძემაც დასტურა. მისი თქმით, საგანელიძემ პოლიტიკიდან შესაძლო წასვლისა და ბიზნესში დაბრუნების თაობაზე საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამართულ შემაჯამებელ შეხვედრაზე ისაუბრა, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი და გიორგი მარგველაშვილი ესწრებოდნენ.

— შესაძლოა საგანელიძემ მიიღოს გადაწყვეტილება და დაბრუნდეს ბიზნესში. ეს არის პირადად მისი პოზიცია, თუმცა ყველას აქვს მადლიერების გრძნობა იმ საქმიანობის გამო, რომელსაც ის ახორციელებს. თუ დავით საგანელიძე პოლიტიკიდან წავა, ის მაინც იქნება გუნდის წარმომადგენელი, პარლამენტისთვის კი მისი წასვლა დანაკლისი იქნება, — აღნიშნა ზურაბ ტყემალაძემ.

დავით საგანელიძის ადგილს უმრავლესობაში, სავარაუდოდ, ირაკლი ტრიპოლსკი დაიკავებს.

ავტოსაგზაო შემთხვევათა რაოდენობა 80%-ით შემცირდა, ხოლო დაღუპულთა რაოდენობა — 85%-ით

ზოლო ერთი წლის სტატისტიკური მონაცემებით, გასულ წლებთან შედარებით, თბილისში სიჩქარის მზომი რადარების განთავსების ადგილებში ავტოსაგზაო შემთხვევების რიცხვი 80%-ით შემცირდა, ხოლო აღნიშნულ ადგილებში ავარიების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა — 85%-ით. სტატისტიკური მონაცემებით, 2012 წლის 1 ივლისიდან 2012 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით გარდაცვლილთა რაოდენობა 39-ს შეადგენდა, ხოლო 2013 წლის 1 ივლისიდან 2013 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით ეს მაჩვენებელი 6-მდე შემცირდა.

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა მიმდინარე წლის ივლისში დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და საკვანძო ადგილებზე, სადაც ყველაზე მეტად არის სიჩქარის გადაჭარბების და ავტოსაგზაო შემთხვევების რისკი, სიჩქარის მზომი 17 ახალი რადარი დაამონტაჟა.

სალომე ზურაბიშვილი განმარტავს: „რას მოგვიტანს პარაფირება? თითქმის არაფერს!“

პოლიტიკოსი სალომე ზურაბიშვილი ევროკავშირთან საქართველოს პარაფირების ხელშეკრულების შესახებ სოციალური ქსელის მეშვეობით ვრცელ წერილს აქვეყნებს, სათაურით „უკრაინა, ევროპა, საქართველო...“, სადაც ამ ხელშეკრულების დადებით და უარყოფით ასპექტებზე საუბრობს. მისი თქმით, საერთოდ პარაფირება საზოგადოებისთვის გაუგებარია და არც არავინ ცდილობს, გააგებინოს, რა ხდება, რას ველოდოთ ან კიდევ რატომ ველოდოთ, ან რისი გვეშინოდეს და რა საფრთხისგან დავიხსნათ თავი.

— პარაფირება, რომელზედაც ყველა საუბრობს და თითქმის არავინ იცის, რაშია საქმე, ერთდროულად ძალიან ბევრსაც ნიშნავს და ძალიან ცოტასაც. ძალიან ბევრს, რადგანაც სიმბოლურად ეს არის ერთი ნაბიჯი გადადგმული ევროპულობისკენ, ანუ თავისუფალ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისკენ, გამყარებისკენ და ძალიან ცოტას, იმ გაგებით, რომ კითხვაზე, რა სარგებელს მოუტანს საქართველოს ეს ახალი დოკუმენტი, პასუხი ყოველგვარი დემაგოგიის გარეშე იქნება: „თითქმის არაფერს“, რამეთუ ის, რაც გათვალისწინებულია ამ დოკუმენტში, ახლავე არ განხორციელდება და მეტიც, რაც გათვალისწინებულია (ანუ თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის გახსნა და გამარტივებული სავიზო რეჟიმი), იმ კატეგორიებს ეკუთვნის, რომლებისთვისაც საქართველო დღეს მზად არ არის. ჩვენ დღეს არ გაგვაჩნია ისეთი საექსპორტო პროდუქცია, რომ თავისუფალი სავაჭრო სივრცის გამოყენება შეგვეძლოს...

რაც შეეხება ვიზებს, სწორედ იმ მოსახლეობას, რომელიც მოუთმენლად ელოდება, გამარტივება არ შეეხება და მხოლოდ გარკვეულ კატეგორიებზე გავრცელდება... სირთულეები არათუ არ მოიხსნება ევროპის საკონსულოებში, არამედ, ინგლისის პრემიერის, დევიდ კამერონის განცხადებას თუ დავუჯერებთ, ნათელია, რომ ტენდენცია ევროპაში უფრო გამკაცრებისკენ მიდის, ვიდრე გამარტივებისკენ, თვით ევროპის წევრი ქვეყნების მოქალაქეების მიმართაც კი, — წერს ზურაბიშვილი.

ის საზოგადოებას ახსენებს და პარალელს ავლებს სააკაშვილის მმართველობის დროინდელ მოვლენებთან, როცა ხელისუფლება ხალხს ილუზიებით კვებავდა ამერიკასთან და ნატოს-სთან დაკავშირებით.

— იგივე მოხდა სააკაშვილის დროს, ოღონდ ამერიკა-ნატოსთან მიმართებაში: ყველაფრის შემძლე სტრატეგიული პარტნიორის სურათი შექმნეს — ერთად ვცეკვავთ, ვქეიფობთ და ვმეგობრობთო და ხალხი დააყენეს მწარე რეალობის წინაშე. ეს პარტნიორი ომის დროს არ მოდის დასახმარებლად. ამ ხერხით — ცრუ იმედების შექმნით და შემდეგ მათი გაცრუებით, სააკაშვილმა, პროამერიკული ლოზუნგების მიუხედავად, რეალურად დათესა და გააღვივა ქვეყანაში ანტიამერიკული განწყობა.

ახლაც თითქოს იგივე ხდება, ოღონდ ევროპასთან მიმართებაში. სულ ისმის: ევროპა! ევროპა! ისეთივე მხურვალე ევროპელობის განცხადებას ვისმენთ, როგორც გუშინ ამერიკის მიმართ, მაგრამ ამ ლოზუნგების უკან სინამდვილეში არაფერი დგას, არც ევროპის უკეთ გაცნობა, არც მისი ღირებულებების გავრცობა. ამჯერად მცოცავი „ანტიევროპულობის“ საფუძველი სწორედ ის მატერიალური იმედგაცრუება იქნება, რომელიც მოჰყვება ვილნიუსს, — წერს ზურაბიშვილი.

სარკე ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი
მთავარი რედაქტორი
კომერც. დირექტორი

შპს „სარკე“
მეიდეა სანაია
ვაჟა შენგელია

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მთავარი რედაქტორის მოადგილეები – ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტაძე.

პოლიტიკა – მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი – ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კენჭაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტაძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა – აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო – ქეთი ყირიმლიშვილი. მხატვარი – ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკბადონება – ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი – მარინა ჯღენტი, მაია ფოფა. კორექტურა – ლანა გაბუნია, მაია ფოფა. სარეკლამო სამსახური – მაჩუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru მედივანი – იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE

Cyan Magenta Yellow Black

„ოცნება“ უგულავას გაურიგდა!“

„თავისუფალი საქართველო“ ხელისუფლებას თბილისის მერ გიგი უგულავასთან გარიგებაში ადანაშაულებს. პარტიის პოლიტიკური მდივნის, თენგიზ ომანიძის მტკიცებით, 26 ნოემბერს პარლამენტიდან გიგი უგულავას უფლებების შემზღუდველი კანონპროექტი გაიწვიეს.

— კანონპროექტში ჩადებული იყო საკრებულოს მიერ აღნიშნული თანამდებობის პირებისათვის უნდობლობის გამოცხადების მექანიზმები. ეს არის კიდევ ერთი სამარცხვინო გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო „ქართულმა ოცნებამ“. იმის ნაცვლად, რომ წლების მანძილზე ჩადენილ დანაშაულთა გამო გიგი უგულავა ციხეში იჯდეს, ხელისუფლება მას ხელ-ფეხს უხსნის, რომ კვლავ განაგრძოს საკუთარი შეხედულებებისა და გემოვნების მიხედვით დედაქალაქის უმაღლესი თანამდებობის პირების მოხსნადანიშვნა. ცალსახაა, რომ საქმე გვაქვს „ქართულ ოცნებასა“ და გიგი უგულავას შორის გარიგებასთან, — აცხადებს ომანიძე.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ რუსი დეპუტატის გამო საქართველოს სანქცია დაუწესა

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბიუროს გადაწყვეტილებით, საქართველოში 2 წლის განმავლობაში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ეგიდით შეხვედრები არ გაიმართება. როგორც ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ბიურომ გაითვალისწინა საპროცედურო წესების კომიტეტის მოსაზრება რუსი დეპუტატის, ვასილ ღიხაჩოვის საქმესთან დაკავშირებით, რომელსაც საქართველოში წინასაპრეზიდენტო არჩევნებზე დაკვირვების უფლება არ მიეცა. საქართველომ მაშინ რუსეთის დუმის დეპუტატების ვასილ ღიხაჩოვისა და ვალერი კალაშნიკოვის მიმართ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონი გამოიყენა.

— ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, ორი წლის განმავლობაში საქართველოში ევროსაბჭოს ასამბლეისა და მისი კომიტეტების არც ერთი შეხვედრა არ გაიმართოს, — ნათქვამია განცხადებაში და იქვე აღნიშნულია, რომ ბიურო გააუქმებს გადაწყვეტილებას, თუ საქართველოს ხელისუფლება თავის ტერიტორიაზე ევროსაბჭოს ასამბლეის ეგიდით ჩასული წევრების თავისუფლად გადაადგილებას უზრუნველყოფს.

პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის თავმჯდომარე გია ვოლსკი აცხადებს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუშაობა მიმდინარეობს.

— საპროცედურო კომიტეტმა გააკეთა რეკომენდაცია ამის თაობაზე. მართლაც შესაძლებელია, ორწლიანი სანქციები დაწესდეს. ამ პერიოდის განმავლობაში რაიმე დიდი ღონისძიება ისედაც არ იგეგმება, — განაცხადა ვოლსკიმ.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ამ სანქციას საქართველოს დამარცხებად განიხილავს.

— ეს სანქცია უნდა განვიხილოთ, როგორც ქართული დიპლომატიის მარცხი და „ქართული ოცნების“ მცდარი საგარეო კურსის ლოგიკური შედეგი. აღმაშფოთებელია ნებისმიერი სანქციის დაკისრება საქართველოსთვის ევროსაბჭოს მიერ რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებული საკითხის გამო მაშინ, როცა ამ ორგანიზაციას არავითარი სანქცია არ გამოუყენებია რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც თითქმის 5 წელია, არ ასრულებს რეზოლუციებით დაკისრებულ არც ერთ ვალდებულებას საქართველოსთან და საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებით. იმედია, „ქართული ოცნება“ არ შეეცდება, ეს სანქცია „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის შესუსტების საბაბად გამოიყენოს, თუმცა უმრავლესობის მიერ გაკეთებული განცხადებები ამის საფუძველს გვაძლევს. ბატონი პაატა ზაქარეიშვილი რა ხანია იმუქრება, რომ ეს ცვლილება აუცილებლად განხორციელდება. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ვარაუდი გამართლდება და მთავრობა კანონში ცვლილებების შეტანას გადაწყვეტს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ყველა ზომას მიმართავს, რომ წინ აღუდგეს ასეთ მცდელობას, მათ შორის, ჩვენ მოვითხოვთ საპარლამენტო პოლიტიკური დებატების დანიშვნას, — აცხადებენ ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში.

დეპუტატი გია გაჩეჩილაძე საპარლამენტო უმრავლესობას ტოვებს

ამართველი ძალის რიგებიდან კადრების გადინება გრძელდება. კობა დავითაშვილის შემდეგ უმრავლესობის რიგებს მწვანეთა პარტიის ლიდერი გია გაჩეჩილაძე ტოვებს. დეპუტატი კოალიციიდან წასვლას დეკემბერში გეგმავს, მანამდე კი „სერიოზულ მომზადებას“ აპირებს, რომ გადაწყვეტილების თაობაზე საქმის კურსში ევროპელი კოლეგები ჩააყენოს. მწვანეთა პარტიის ლიდერი აცხადებს, რომ გადაწყვეტილება პოლიტიკური მოსაზრებებით მიიღო.

— აქ არ არის არანაირი სხვა მიზეზი, არც ფინანსური. გადაწყვეტილების მიზეზი არის მხოლოდ პოლიტიკური. ამ მიზეზებზე ვილაპარაკებთ პრესკონფერენციაზე, რომელიც დეკემბრის მეორე ნახევარში გაიმართება, — განაცხადა დეპუტატმა.

მართალია, დეპუტატი ფინანსურ მიზეზს გამორიცხავს, მაგრამ რამდენიმე თვის წინ თანაგუნდელებს სწორედ პოლიტიკური პარტიების საბიუჯეტო დაფინანსების გამო დაუპირისპირდა. მისი მუქარის მიზეზიც, რომ უმრავლესობას ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ დატოვებდა, სწორედ დაფინანსებას შეეხებოდა. მწვანეთა პარტიამ საბიუჯეტო დაფინანსების სახით ვერც 300 ათასი ლარი მიიღო და ვერც 150 ათასი ლარი.

გაჩეჩილაძის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 15 დეკემბერს მწვანეთა პარტიის პოლიტიკური კომიტეტი შეიკრიბება და გადაწყვეტილებას მიიღებს, მიზეზებს კი პრესკონფერენციაზე განმარტავს.

„ჩვენ უკრაინაზე ძლიერი ვიქნებით“

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი აცხადებს, რომ შეუძლებელია, საქართველოსთვის კარგი იყოს ის, რაც არ არის კარგი უკრაინისათვის და დასძენს, რომ ის და მისი ხელისუფლება ასეთ გათვლებს არ აკეთებს.

— საკითხის იმგვარად დაყენება, რომ თუ უკრაინა შეფერხდება, ჩვენ ამით ვიხეირებთ, სწორი არ არის. თანამედროვე დემოკრატიული სამყარო დაფუძნებულია ისეთ პრინციპებზე, რომლებითაც ყველამ თანაბრად უნდა ისარგებლოს. ამიტომ, ერთი მხრივ, ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს. აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში თავიდანვე სწორი გადაწყვეტილება იყო მიღებული, როცა ევროკავშირი სახელმწიფოებთან მოლაპარაკებებს ცალ-ცალკე ანარმოებდა და ეს არ იყოკოლექტიური შეთანხმებები, მაგრამ უკრაინასთან, მოლდოვასთან და სხვა აღმოსავლეთ ევროპულ სახელმწიფოებთან ერთად ჩვენ გაცილებით ძლიერი ვიქნებით ამ პროცესში, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

საქართველო ზოგ ქვეყანასთან სავიზო რეჟიმს აღადგენს

ხელისუფლებას დაგეგმილი აქვს სავიზო რეჟიმის მოწესრიგება და არა — მისი გამკაცრება, ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა. მისი თქმით, სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით შემუშავებული საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტში უკვე წარდგენილია. მაია ფანჯიკიძის განმარტებით, სავიზო რეჟიმის გადახედვა ევროკავშირთან ვიზების ლიბერალიზაციის ფარგლებში არსებულ ვალდებულებას უკავშირდება.

— ამ პროცესში ხდება არა გამკაცრება, არამედ სავიზო რეჟიმის მოწესრიგება, რადგან პროცესი მიშვებული იყო და საქართველოს 122 ქვეყანასთან ცალმხრივად ჰქონდა გაუქმებული სავიზო რეჟიმი. მოწესრიგების ფარგლებში შეიძლება ზოგიერთ ქვეყანასთან სავიზო რეჟიმი აღდგეს, რაც გამკაცრებას არ ნიშნავს. ეს მხოლოდ მოწესრიგების პროცესია, — აცხადებს ფანჯიკიძე. ის არ აკონკრეტებს იმ სახელმწიფოებს, სადაც სავიზო რეჟიმის აღდგენაა დაგეგმილი.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

როგორია დავით ნარმანია ჩხუბსა და მუშტი-კრივში

„მეგრულად ჯიგრიანობის შესაფერისი სიტყვა არ ვიცი“

«ჩემი თბილისელობა ბუნებამ და განგებამ ინება»

ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრი, დავით ნარმანია თბილისის მერობის კანდიდატად მმართველმა პარტიამ, „ქართულმა ოცნებამ“ დაასახელა. შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილის ხელდასმულ კანდიდატს ყველაზე დიდი შანსი აქვს, დედაქალაქის მერის სავარძელში მოკალათდეს, მაგრამ მანამდე ის წინააღმდეგობა უნდა დაძლიოს, რასაც შესაძლოა თავისი „არათბილისელობის“ გამო წააწყდეს თვით „ოცნების“ მომხრეთაგანაც კი. ეს აჟიოტაჟი მის გარშემო უკვე დაწყებულია.

34 წლის დავით ნარმანია მინისტრობის პარალელურად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციებსაც კითხულობს. მას და მის ცოლს, თინათინ თინიკაშვილს, სამი თვის წინ შეეძინათ მეორე ბიჭი. უფროსი, კოკო, რომელიც 17 ნოემბერს პრეზიდენტის ინაუგურაციას მშობლებთან ერთად ქართულ ჩოხაში გამოწყობილი ესწრებოდა, 4 წლისაა.

დავით ნარმანია ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკში დაიბადა. სკოლა იქ დაამთავრა. მათემატიკის ნიჭი ჰქონდა და ეკონომისტობა არჩია. 2012 წელს პოლიტიკაში ჩაერთო. ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის მეგობარია. როცა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, ელოდა, რომ ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის მოადგილედ დანიშნავდნენ, მაგრამ მინისტრის სავარძელი არგუნეს.

„ბატონი კორკოტა, როგორც ჩანს, არ იცნობს ჩემს ჯიგრიანობას და ბევრი არ გაუგია. თუ ფიქრობენ, რომ ჯიგარმა უნდა გადაწონოს ყველაფერი, მაშინ აწონ-დაწონონ ჩემი ჯიგარი. ეს ჩემში ირონიას იწვევს. დედაქალაქი სხვა რელსებზეა გადასაყვანი“, — ასე პასუხობს დავით ნარმანია თბილისის კოლორიტად ცნობილ გია კორკოტაშვილს, რომელიც ითხოვს, რომ დედაქალაქის მერი ჯიგრიანი თბილისელი იყოს.

ეს ამბავი მთელი სოციალური სივრცის აქტიური განხილვის თემად იქცა. „სარკემ“ ბატონ დავითთან საუბარი „ჯიგრიანობის“ განხილვით დაიწყო.

— ბატონო დავით, მეგრულად თუ იცით, როგორ გამოითქმის სიტყვა „ჯიგრიანი“?

— არა, არ ვიცი ამის შესაფერისი სიტყვა. ბევრი სიტყვა ვიცი მეგრულად, მაგრამ ეს სიტყვა მაინცდამაინც არ დამჭირვებია. კორკოტა რას გულისხმობს ჯიგარსა და ჯიგრიანობაში, მას ჰკითხეთ, მაგრამ ჩემთვის ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი უნდა იყო მაქსიმალურად მონდომებული, დაინტერესებული, რომ ნებისმიერი პრობლემა, რაც ქალაქს უკავშირდება, არ გაშინებდეს, ყველაფერი წესებისა და სამართლიანობის ფარგლებში გადაწყვიტო და მოაგვარო. ცოტა „მოძველებიჭები“ ამ ჯიგრიანობაში იმას გულისხმობენ, რომ არც მუშტი-კრივზე უნდა დაიხიო უკან. ეს ვიღაცისთვის ღირსეული და ფასეული საქციელია, მაგრამ ჩემთვის ადამიანების შუაში ჩადგომა, პრობლემების საუბრით გადაწყვეტა უფრო იყო ფასეული, ვიდრე მუშტი-კრივი.

— მუშტი-კრივით საქმე არასოდეს გაგირჩევიათ?

— მქონია ეგეთი შემთხვევები, უფრო ბავშვობაში, სკოლის ასაკში. თბილისშიც

„თბილისს აქვს თავისებურება, სტუმარს ისე დახვდეს, როგორც საჭიროა. თბილი ადამიანები ცხოვრობენ თბილისში და როცა ქუჩას ან რაიმეს ვერ ვაგნებდი, მიხსნიდნენ აქაურები.

მქონია შეხვედრები გაწევ-გამოწევასთან დაკავშირებით, მაგრამ ყოველთვის უფრო მომრიგებლის როლში ვიყავი და არა — რომელიმე მხარე, რომელსაც ურტყამდნენ ან რომელიც ურტყამდა. არ ვარ კონფლიქტური ადამიანი და ყოველთვის ვცდილობ, ოქროს შუალედი გამოვძებნო, ადამიანებს დაველაპარაკო, თუ ვინმე აშავებს, მივუტევო, ვიდრე გავუქანო და მუშტი დავარტყა. ისეთი შემთხვევა, რომ ვინმეს შევდგომოდი ან ვინმე შემდგომოდა, არ მქონია.

— როგორ გახსოვთ ის პერიოდი, როცა პატარა ბიჭი სოფლიდან ჩამოხვედით და თბილისში დაიწყეთ ცხოვრება? როგორ მოხდა თქვენი ინტეგრაცია აქაურობასთან?

— მთლად პატარაც არ ვიყავი, სკოლას ვამთავრებდი უკვე. 17 წლის ვიყავი მაშინ. როცა უცხო ქალაქში ჩამოდიხარ, ამას ახლავს გარკვეული პრობლემები, რაც იმას გულისხმობს, რომ ქალაქი უნდა გაიცნო, ხალხი უნდა გაიცნო. ამაში ჩემი ნათესავები მეხმარებოდნენ, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ და ბევრ რამეს მასწავლიდნენ, მარიგებდნენ. რომ გითხრათ, რაღაც განსაკუთრებულ სიუცხოვეს ვგრძნობდი-მეთქი, ასე არ ყოფილა. თბილისს აქვს თავისებურება, სტუმარს ისე დახვდეს, როგორც საჭიროა. თბილი ადამიანები ცხოვრობენ თბილისში და როცა ქუჩას ან რაიმეს ვერ ვაგნებდი, მიხსნიდნენ აქაურები. განსაკუთრებული წინაღობა ან გაუცხოვება ნამდვილად არ მქონია.

თავიდან, თითქმის ერთი წელი, დეიდაჩემთან ვცხოვრობდი. მერე მამამ გვიყიდა მე და ჩემს ძმას ერთოთახიანი ბინა.

— როგორ ოჯახში იზრდებოდით, რას საქმიანობდნენ თქვენი მშობლები?

— ჩემი ოჯახი საკმაოდ ნაკითხი და განათლებულია და არამხოლოდ მშობლები, არამედ მათი წინა თაობებიც. დედა პედაგოგია. რაც თავი მახსოვს, სკოლაში მუშაობს. გეოგრაფიის მასწავლებელი და დირექტორის მოადგილე იყო და არის. ახლა დირექტორის მოადგილეა სასწავლო დარგში. ადრე, მისი მკაცრი ბუნებიდან გამომდინარე, აღმზრდელობით დარგში იყო. მამაჩემი ავტომინჟინერია. ნაწილობრივ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა და ნაწილობრივ საინჟინრო საქმიანობით იყო დაკავებული. ბოლო წლების განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო ბიზნესში იყო, ჩვენს ახლობელს ეხმარებოდა ჩაის და თხილის ექსპორტთან დაკავშირებულ საკითხებში.

ჩვენს ოჯახში ყოველთვის სიმკაცრე იყო. მე და ჩემს ძმას გვაკონტროლებდნენ, რომ სკოლა არ გაგვეცდინა, გაკვეთილები დროულად მოგვემზადებინა. ეს ყველაფერი ჩემზეც აისახა და ჩემს ძმაზეც. ალბათ ჩემს ძმაზე უფრო აისახა, რადგან ის გაცილებით პროფესიონალია და სიღრმისეულად მუშაობს იმ საკითხებზე, რაც მას აბარია.

— რას საქმიანობს თქვენი ძმა?

— იურისტია. წლების განმავლობაში ადვოკატად მუშაობს, ძალიან ბევრ საქმეს აგვარებს და ბევრი კლიენტი ჰყავს. პარალელურად მუშაობს თეატრალურ უნივერსიტეტში იურისტად.

— როგორი სოფელია კოკი, სადაც თქვენ გაიზარდეთ?

— ძალიან საინტერესო კონფლიქტისპირა სოფელია მდინარე ენგურის სანაპიროზე. წლების განმავლობაში, როცა იქ ვითარება აირია, შეუძლებელი იყო მდინარეზე ბანაობა. ადრეულ ბავშვობაში კი ვბანაობდით. ვთამაშობდით ფეხბურთს, კალათბურთს. დავდიოდით ზღვაზეც, ანაკლიაში, რომელიც ძალიან ახლოა ჩვენს სოფელთან. როცა აფხაზეთში ვითარება აირია, ამან იქ მცხოვრებლებზე დიდი გავლენა იქონია. ხალხს ძალიან უჭირდა. იქაურ მიწაზე ყველაფერი მოდის, თუ ადამიანს მისი მოვლა არ ეზარება, მაგრამ ხალხს იმ წლებში მაინც ძალიან უჭირდა. მერე გარკვეულმა კატეგორიამ სული მოითქვა, მაგრამ ბევრს დღემდე უჭირს. როცა

Cyan Magenta Yellow Black

უყურეს, რა დღეშია რეგიონების მოსახლეობა, უფრო მეტად ფიქრობ იმაზე, რომ ისეთ საკითხებზე იმუშაო, რაც სოფელს და რეგიონებს გამოადგება. მინისტრად რომ დავინიშნე და რეგიონებთან დაკავშირებული ბევრი პროექტი ჩამბარდა, ჩემთვის ეს უცხო ნამდვილად არ იყო. ადვილი იყო მათთან კომუნიკაცია, რაც ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში მეხმარებოდა, ხალხს რომ სჭირდება.

— სოფელში შინაურ მეურნეობაში ჩაბმული იყავით?

— სოფელია და... ჩვენს ოჯახს ძალიან კარგი მეურნეობა აქვს და ჩვენ, ბავშვებიც, ვეხმარებოდით მშობლებს. ჩვეულებრივი, განათლებული ოჯახის ცხოვრებით ვცხოვრობდით.

— თოხნა, ბარვაც იცით?

— რა თქმა უნდა, ფიზიკურადაც ბევრი მიმუშავია და გამიკეთებია.

— მერე კი თბილისის ცხოვრებამ მოგხიბლათ და სოფელში აღარ დაბრუნდით?

— სტუდენტობის პერიოდიდან მომიწია მუშაობა ხან საზოგადოებრივ საქმიანობაში, ხან — საჯარო სამსახურში, ხან ბიზნესსექტორში და მუდამ დატვირთული და დაკავებული ვიყავი. ამან განაპირობა ის, რომ აქ დავრჩი და დავფუძნდი. როგორც იტყვიან, ბუნებამ და განგებამ ასე ინება.

— ახლა თქვენს მთავარ „კომპრომატად“ თბილისის მერობის კანდიდატობასთან დაკავშირებთ სწორედ თქვენს არათბილისელობას ასახელებენ.

— ვერ ვიტყვი, რომ ეს კომპრომატია. 34 წლის ვარ და 17 წელი იქით ვიცხოვრე და 17 წელი — თბილისში. შესაბამისად, თბილისი ჩემთვის უცხო არ არის. მიყვარს და მეამყება ჩემი მშობლიური სოფელი, მეამყება ჩემი ოჯახი, საბავშვო ბაღი და სკოლა. ვიღაცას დაუწერია, რომ ჩემს სივში არ ეწერა სოფელი, სადაც დავიბადე. მე არ გადამიკეთებია ეს სივი. როგორიც აქამდე იდო ჩვენს ვებგვერდზე, ისეთივე იყო მერეც, მაგრამ ახლა მივეცი დავალება, რომ ზუსტად ჩაწერონ ის ადგილი, სადაც დავიბადე. სამშობიარო სახლი, სადაც დავიბადე, ზუგდიდშია, მაგრამ ჩემი მშობლიური სოფელი კოკია, იქ ვიზრდებოდი და 17 წელი იქ გავატარე.

— რატომ გინდათ თბილისის მერობა?

— თბილისი საქართველოს დედაქალაქია და ნაკრებია ჩვენი რეგიონების სუბკულტურებისა. ამას ემატება ადგილობრივი კულტურა და ტრადიციები. ბევრი რამით გამოირჩევა სხვა ქალაქებისგან და სხვა ქვეყნების დედაქალაქებისგანაც. ჩემთვის თბილისის მერობა დიდი პასუხისმგებლობაა. პასუხისმგებლობას არასოდეს გავურბოდი და როცა გუნდი, რომელსაც მე წარმოვადგენ, მაკისრებს ამ პასუხისმგებლობას, მზად ვარ, ეს ჩემს თავზე ავიღო. ჩემთან ერთად იქნება გუნდი, რომელიც ამ პრობლემებს შეეჭიდება და მალე იმაზე უკეთესი დედაქალაქი გვექნება, ვიდრე დღეს გვაქვს.

ვიცოდი, რომ ჩემი წარმომავლობა იქნებოდა განხილვის თემა და ეს იმათაც იცოდნენ, ვინც პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ, ჩვენი გუნდის აზრით, ეს არ იყო არსებითი. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია საქმის კეთების უნარი, პრობლემების სწორად გაანალიზების უნარი, პრიორიტეტების სწორად გამოკვეთის უნარი. ის უფრო მნიშვნელოვანია, წესიერად იმუშაო და ზედმეტი კითხვები არ გაჩნდეს, ვიდრე ის, დაბადებული ხარ თუ არა თბილისში. იმ ადამიანების მოსაზრებაც პატივსაცემია ჩემთვის, ვინც სხვანაირად ფიქრობს, რადგან მე რომ თაობებით თბილისელი ვყოფილიყავი, შეიძლებოდა მეც მქონოდა მსგავსი მოსაზრება თუ ემოცია. თუმცა, თუ ჩავუღრმავდებოდი ამ ყველაფერს, სასწორს მაინც ჩემი ამჟამინდელი პოზიცია გადაწონიდა. დემოკრატია იმისთვის არსებობს, რომ ყველას თავისი სიტყვისა და აზრის გამოხატვის საშუალება მივცეთ და არჩევანი საზოგადოებამ გააკეთოს.

— ყველაზე უმოქმედო მინისტრი გიწოდათ ნაციონალურმა მოძრაობამ.

— ამ დროს კი ყველაფერი პირიქითაა და ხალხმა ეს ყველაზე კარგად იცის. ეს იმ კატეგორიის ადამიანები არიან, რომლებიც ყველანაირ სიბინძურეზე მიდიან, როგორიცაა უგულავას ცილისწამებები შემოვლით რკინიგზასთან დაკავშირებით. არ ვაპირებ, მათ პასუხი გავცე. ერთი წლის განმავლობაში აბსოლუტურად გაუმჭვირვალე სამინისტრო გამჭვირვალე გავხადე. პროექტები გავაანალიზეთ და მათი ეფექტიანობა გავზარდეთ. შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების ხარისხი გავაუმჯობესეთ. 800 მილიონამდე ღირებულების ტენდერები ჩავატარეთ და არც ერთი ზედმეტი სიტყვა არ გაჩენილა. ერთი და იგივე ობიექტი სამ-სამჯერ არ გაგვიხსნია, როგორც ამას წინა ხელისუფლება აკეთებდა.



„ცოლი მწეხს ხოლმე, სახლის გზა არ დაგავიწყდესო“.

„თბილისშიც მქონია შეხვედრები განვე-გამონვევასთან დაკავშირებით, მაგრამ ყოველთვის უფრო მომხიგებლის ხოლში ვიყავი და არა — ორმელიმე მხარე, ორმელსაც უჭყამდნენ ან ორმელიც უჭყამდა. არ ვარ ჯონფლიქტური ადამიანი და ყოველთვის ვცდილობ, ოქროს შუალედი გამოვძებნო, ადამიანებს დაველაპარაკო, თუ ვინმე აშავებს, მივუტევო, ვიდრე გავექანო და მუშტი დავარტყა. ისეთი შემთხვევა, ორმ ვინმეს შევდგომოდი ან ვინმე შემდგომოდა, არ მქონია“.

ერთადერთხელ იყო, რომ გავხსენით კობიგუდაურის გზა, მაგრამ იმ ადამიანებს, რომლებსაც სინდის-ნამუსი არ შერჩენიათ, თქვეს, რომ პოლიტიკური ქულების ჩასაწერად დაგვჭირდა ეს. იმ ადამიანებმა, ვინც ამას ამბობს, 3 მილიონი ლარი კონკრეტულ კომპანიას შეაჭამეს ამ პროექტისთვის და ჩვენ რომ მოვედით, ნულიდან დავიწყეთ. ვურჩევდი, ჩუმად იყვნენ, რომ ამ შეჭმული თანხების გამო პროკურატურაში არ მოუწიოთ სიარული. ადამიანურები იყვნენ და ლანძღვა-გინებას თავი დაანებონ.

— თუ „შეჭამეს“, როგორც თქვენ ამბობთ და გაჩუმდებიან, პროკურატურაში სიარული აღარ მოუწევთ?

— ჩვენ მასალები გადაგზავნილი გვაქვს და საგამოძიებო ორგანოები როგორც გადაწყვეტენ, ისე იქნება.

— თქვენი ოჯახი როგორ შეხვდა მერობის კანდიდატად თქვენს დასახელებას?

— იციან, რომ რეგიონებში სიარული აღარ მომიწევს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში 60 ათასი კილომეტრი გავიარე, რომ ყველგან ადგილზე მენახა პრობლემა. ჩემმა ოჯახმა იცის, რომ ეს დიდი პასუხისმგებლობაა, დიდი გამოწვევაა და სხვა რანგია, მათთვის ძალიან მიუღებელი არ არის. მათ მხარდაჭერას ვგრძნობ და ასეც უნდა იყოს.

— თუ მერი გახდით, ოჯახისთვისაც უფრო მეტი დრო გექნებათ?

— ახლა ოჯახისთვის ფაქტობრივად ვერ ვიცლი. გუშინ (ინტერვიუ ჩაწერილია 2 დეკემბერს. ავტ.შენ.) კვირადღე იყო და მხოლოდ დღის მეორე ნახევარში მოვიცალე, დანარჩენ დღეებში ფაქტობრივად არ მცალია მათთვის. სახლში რომ მივდივარ, ბავშვებს სძინავთ. თუ გაძლეს, მელოდებიან, მაგრამ ეს კონტაქტი ძალიან ცოტახანს გრძელდება. უდროობის პრობლემა ნამდვილად დგას. ჩემი მეუღლე ცდილობს ხოლმე, ფეხი ამაჩქარებინოს და დროზე მივიდე.

— გირეკავთ, დროზე მოდიო?

— უფრო მესიჯებს მწერს, რომ სახლისკენ სავალი გზა საერთოდ არ დამავიწყდეს.

— სამაოდე თვის წინ პატარა შეგეძინათ. რა დაარქვით?

— ორი სახელი ჰქვია — ილია-დენის ნარმანია. 4 სექტემბერს დაიბადა.

— ილია და დენისი სახელების რა კომბინაციაა, ვერ მივხვდი.

— ვხუმრობთ ხოლმე, კოაბიტაციური სახელია-თქო. ილია ჩემი →71

Cyan Magenta Yellow Black

თამრიკო ჭოხონელიძე: „ქორწინების ბეჭედს საფლავშიც ჩავიყოლებ“

„პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობის გამო გია არ მცნობს“

ომოლერალი თამრიკო ჭოხონელიძე უკვე ორი შვილიშვილის ბებიაა. ამ სტატუსმა მის ცხოვრებას დიდი სიხარული შეჰმატა. ელენე მახარაძე უკვე 3 წლისაა, პატარა მარიამ როინიშვილი კი სულ რამდენიმე თვის წინ მოევლინა ქვეყანას. მომღერალი ბებია ცდილობს, მათ აღზრდაში თავისი წვლილი შეიტანოს, მათ ახალგაზრდა დედებს მაქსიმალურად დაეხმაროს. ქალბატონ თამრიკოს უკვე დაუდგა ეტაპი, როცა შვილები დაფრთიანდნენ და დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ გაფრინდნენ. მარტოობა მისთვის ახლა უფრო საგრძნობია, მაგრამ მაინც არ ნანობს, რომ მეორედ არ გათხოვდა, ახალი ბედნიერების ძიება სხვა მამაკაცთან არ დაიწყო. დღემდე ქორწინების ბეჭედს ატარებს, როგორც იმ პერიოდის სიმბოლოს, რომელმაც მის ცხოვრებაში შვილების სახით დიდი საჩუქარი დატოვა. ყოფილ ქმარზე, მსახიობ გია როინიშვილზე, რომელიც ნაციონალური ხელისუფლების წევრი და წინა მოწვევის პარლამენტის დეპუტატი იყო, მიუხედავად პოლიტიკურ შეხედულებათა განსხვავებულობისა, ისევ გული შესტკივა.

— ქალბატონო თამრიკო, უკვე ორი შვილიშვილის ბებია ხართ და თქვენს ცხოვრებაში ალბათ სხვა, ძალიან სასიამოვნო პერიოდი დაიწყო.

— ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებ, რომ ელენე და მარიამი ჩემი შვილიშვილები არიან. ასე მგონია, შვილების დაბადების ეტაპი განმიახლდა. კოკომ და მარიამმა ამქვეყნად მოვლინებით იმხელა ბედნიერება მომიტანეს, რომ ამას არაფერი შეედრება. არავინ თქვას, რომ შვილიშვილის დაბადება შვილის დაბადებას გადაწონის, ეს არის მტკნარი სიცრუე! გულში არსებობს ადგილი, რომელიც მიძინებულია და, როგორც კი შვილიშვილი იბადება, ეს გულისკარი იხსნება. ადამიანის ცხოვრებაში შვილს და შვილიშვილს თავიანთი ადგილი უჭირავთ.

45 წლის ვიყავი, ბებია რომ გავხდი. ძალიან მალე ნახევარ საუკუნეს ორი შვილიშვილით

„ჩემს ცხოვრებაში იდგა საოცრად დეპრესიული პერიოდი, შვილებისთვის რთული სანახავი იყო ნამტირალევი დედა, მაგრამ, ღვთის წყალობით, ეს პერიოდი გადავლახე“.

შევხვდები. 3 წლის წინ ელენეს დაბადებამ ჩვენს ოჯახში დიდი სიხარული შემოიტანა. მეორე შვილიშვილს სხვაგვარი მოლოდინით დავხვდი, ვიცოდი, რომ მის მშობლებს სხვა სახელი ჰქონდათ მოფიქრებული, ანიმ (ანი იმნაძე, თამრიკო ჭოხონელიძის რძალი, ავტ.) კი დიდი სიურპრიზი მომიწყო — როცა მის სანახავად პალატაში შევედი, პატარა მარიამ როინიშვილის დაბადება მომილოცა. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩაჩავას კლინიკას იმ მოპყრობისა და პროფესიონალიზმისთვის, რომელიც მათ გამოიჩინეს.

— შვილიშვილების აღზრდაში აქტიურ როლს თამაშობთ?

— ელენე ჩემთან იზრდება, ამიტომ მის აღზრდაში ყოველდღიურად ვმონაწილეობ, თუმცა ვთვლი, რომ შვილი დედამ და მამა

„მესამე პიროვნების“ გასაგონად: თუ გადანყვეტენ, რომ ცოლ-ქმარს შორის ჩადგნენ და მესამე გახდნენ, თუ მაგრები არიან, პირველებად იქცნენ! ოგორც ხედავთ, არც ჩემთან და არც გიასთან ჯერჯერობით არავინ გამოჩენილა, არც მე შევქმენი მეორედ ოჯახი და არც გიამ“.

უნდა აღზარდონ. მარიამი სამაგალითო დედაა, მე კი ხელს ვუწყობ. რაც შეეხება პატარა მარიამის აღზრდას, ერთადერთი, რაც შემიძლია, რძალს ხელს ვუწყობ, რომ ბავშვი დიდი ხანი ჰყავდეს ბუნებრივ კვებაზე. სხვა მხრივ, ანი ოჯახურ ცხოვრებას ძალიან კარგად უძღვება.

— ელოდით, რომ თქვენი რძალი და ქალიშვილი ასე კარგად მიიღებდნენ დედის როლს?

— ნაწილობრივ ამის მოლოდინი მქონდა. ვიცოდი, სად და ვის მაგალითზე იზრდებოდა მარიამი. მას ოჯახში ბევრი ქალი ჰყავდა სამაგალითოდ, რომ თვითონაც კარგი დედა დამდგარიყო. იგივე შემიძლია ანიზე ვთქვა, არაჩვეულებრივი ოჯახიდანაა და მართლაც სამაგალითო დედაა. იმას კი ნამდვილად არ ველოდი, რომ კოკო, როგორც ქმარი და მამა, ასეთი ჩამოყალიბდებოდა. თითით საჩვენებელი აღმოჩნდა. ბავშვის აღზრდაში თავიდან ბოლომდეა ჩართული, მისნაირი მამები მართლა დიდი იშვიათობაა.

— შვილებს თავ-თავისი პირადი ცხოვრება აქვთ, თქვენ კი ისეთ ასაკში გახდით ბებია, როცა ქალები ჯერ ისევ თხოვდებიან. არასოდეს გაგჩენინათ სურვილი, რომ თქვენც გყოლოდათ გვერდით მეგობარი, მეუღლე, ხელმეორედ გეცადათ ოჯახის შექმნა?

— ქალს მცირედი ხიბლი მაინც თუ გააჩნია, მას ყოველთვის ჰყავს თაყვანისმცემელი და არც მე მქონია ამის დეფიციტი, მაგრამ არასდროს მიფიქრია ხელმეორედ ქორწინებაზე. კარგად ხედავთ, რომ ქორწინების ბეჭედი დღემდე არ მომიხსნია ხელიდან. ეს ბევრს უკვირს, მაგრამ 25 წელია ეს ბეჭედი ხელზე მიკეთია და ალბათ საფლავშიც ჩავიყოლებ. ეს ბეჭედი ჩემი ცხოვრების დიდი და ლამაზი მოვლენის ნიშანია, რამაც კოკო და მარიამი მაჩუქა.

თუ როგორ განვითარდა ჩემი ცხოვრება, ამას სხვებისთვის მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა ჩემთვის მტკივნეული და მძიმე საკითხია. ოჯახის დანგრევის შემდეგ ვეღარ შევძელი ჩემი სიყვარულის სხვისთვის განაწილება, თუმცა ვთვლი, რომ ახალგაზრდა ქალი არ უნდა იყოს მარტო. რთულია მარტოობა, მით უმეტეს, ჩემი ნატურის ადამიანისთვის, რომელიც დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი სხვაზე დამოკიდებული, მაგრამ ცხოვრებამ, ყოფითობამ მაიძულა, ვიყო დამოუკიდებელი და კაცის და ქალის ფუნქციები საკუთარ თავზე ავიღო.

ჩემი ცხოვრება რთულად წარიმართა, მაგრამ არ მინდა, ვინმეს ეგონოს, რომ ვწუწუნებ. არა! ყოველდღე უფალს მადლობას ვწირავ, ალბათ ასე იყო საჭირო, ეს იყო ჩემი გამოცდა. ვცდილობ, შვილებს არაფერი ვაგრძნობინო, არაფერი მოვაკლო. ჩემს ცხოვრებაში იდგა საოცრად დეპრესიული პერიოდი, შვილებისთვის რთული სანახავი იყო ნამტირალევი დედა, მაგრამ, ღვთის წყალობით, ეს პერიოდი გადავლახე და ჩვეულ ცხოვრებას დავუბრუნდი. მინდა, იმ ქალებს მოვუწოდო, რომლებსაც ჩემნაირი ბედი ერგოთ: თქვენში ქალი არ დაკარგოთ! საჭიროდ მივიჩნიე, ჩემი ცხოვრება შვილებისა და შვილიშვილებისთვის მიმეძღვნა.

— შეცდომად მიიჩნევთ, რომ მეორედ არ გათხოვდით?

— არა, უბრალოდ არ ვთვლი, რომ ჩემი ცხოვრება სხვისთვის სამაგალითოა. თუ ქალს აქვს იმის უნარი, რომ სიყვარული სხვა

■ თამრიკო შვილიშვილებთან ერთად

„ასე მგონია, შვილების დაბადების ეტაპი განმიახლდა. გულში არსებობს ადგილი, რომელიც მიძინებულია და, როგორც კი შვილიშვილი იბადება, ეს გულისკარი იხსნება“.

მამაკაცსაც გაუნაწილოს, ცხოვრება არავითარ შემთხვევაში არ უნდა გააგრძელოს მარტომ.

— ყოფილ ქმართან, გია როინიშვილთან, შერიგება არასდროს გიცდიათ?

— შერიგება არასდროს გვიცდია. როცა ჩვენი სიყვარული უნდა გაფურჩქვნილიყო, ჩვენ შორის სწორედ მაშინ გაჩნდა ძალიან დიდი ბზარი და ერთმანეთს დავშორდით. რატომღაც საზოგადოებას ძალიან უნდოდა, რომ მესამე პირი ყოფილიყო ჩვენი ურთიერთობის დამანგრეველი, მაგრამ, მერწმუნეთ, მესამე პირი არ ჩარეულა ჩვენს ცხოვრებაში. ჯერ ჩვენს ურთიერთობაში გაჩნდა ბზარი და მერე ალბათ იყო მესამე პირი.

ისე, „მესამე პირების“ გასაგონად მინდა ვთქვა, თუ გადაწყვეტენ, რომ ცოლ-ქმარს შორის ჩადგნენ ანუ მესამე გახდნენ, თუ მაგრები არიან, პირველებად იქცნენ! როგორც ხედავთ, არც ჩემთან და არც გიასთან ჯერჯერობით არავინ გამოჩენილა, არც მე შევქმენი მეორედ ოჯახი და არც გიამ.

ჩვენ ცივილური ურთიერთობა გვქონდა,

Cyan Magenta Yellow Black

დედა-შვილმა ერთდროულად იმშობიარეს

მოვლენა, რომელიც 10-15 წელიწადში ერთხელ ხდება

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრში დედამ და შვილმა ერთ დღეს, რამდენიმე საათის ინტერვალით იმშობიარეს. დედამ — 4 კილო და 260 გრამი ბიჭი გააჩინა, შვილმა კი — გოგონა, რომელიც 3 კილოსა და 700 გრამს იწონის.

„ყველაზე ბედნიერი ის კაცი იყო, რომელიც მამაც გახდა და ბაბუაც. ამბობდა, ორი შვილი შემეძინაო"

თამარი: „ჩემი ოხსელობა რომ გავიგე, უკვე 7 თვის ფეხმძიმე ვიყავი. მანამდე მეგონა, ნაღვლის ბუშტი ან სხვა რამ მანუხებდა და ექოსკოპიის გადასაღებად ვავედი".

დედა-შვილს შორის ასაკობრივი სხვაობა 20 წელია. თამარ ღვინიაშვილი 44 წლის არის, მისი შვილი, სოფო — 24-ის. ექიმები ამბობენ, რომ დამთხვევა, როცა დედა-შვილი ერთსა და იმავე დღეს მშობიარობს, 10-15 წელიწადში ერთხელ თუ ფიქსირდება.

ბიძა-დისშვილი 25-26 ნოემბრის გასაყარზე მოევლინენ ქვეყანას. ბიძა დისშვილზე 5 საათით ადრე დაიბადა. მას ალექსანდრე დაარქვეს, მის დისშვილს კი — ბებიის სახელი თამარი.

მშობიარე დედა-შვილი ეკლესიაში დადიან, სიონის ტაძრის მრევლი არიან. მოძღვარმა მათ საპატრიარქოს კლინიკაში მშობიარობა ურჩია.

თამარ ღვინიაშვილი: ოთხი შვილის დედა გავხდი. სოფოს გარდა, მყავს 23 წლის სალომე, 10 წლის საბა, ახლა კი ალექსანდრე გაჩნდა.

სოფოს ჩემზე ორი კვირით ადრე, 25 ნოემბრამდე უნდა ემშობიარა, მე კი 5 დეკემბრამდე. სულ ვხუმრობდით, ბიძა დისშვილზე ცოტა უფროსი უნდა იყოსო და მართლაც ასე გამოვიდა, ალექსანდრე თამარზე რამდენიმე საათით ადრე დაიბადა. თითქმის ერთდროულად დაიბადებოდნენ, სოფოს მდგომარეობა რომ არ გართულებოდა და საკეისრო არ დასჭირვებოდა.

— ერთად მოხვედით სამშობიაროდ?

— არა, სოფო მუხიანში ცხოვრობს, მე — თემქაზე. ვგრძნობდი, რომ კარგად ვერ ვიყავი და სამშობიაროში გასასინჯად წამოვედი. სოფოც მოვიდა ჩემს საგულშემატკივროდ. თქვა, რაღაც მეც ვერ ვარ კარგადო. ექიმმა გასინჯა და მშობიარობა დაწყებული ჰქონდა.

სოფო: სამშობიარო ბლოკიდან დედაჩემი გამოიყვანეს და მე შემიყვანეს.

თამარი: ჩემი ორსულობა ყველასთვის მოულოდნელი იყო. 44 წლის ვარ. რომ გავიგე, ორსულად ვიყავი, უკვე 7 თვის ფეხმძიმე გახლდით. მანამდე მეგონა, რაღაც მჭირდა, რადგან ძალიან ცუდად ვიყავი. მეგონა, ნაღვლის ბუშტი ან სხვა რამ მაწუხებდა და ექოსკოპიის გადასაღებად წავედი. აღმოჩნდა, რომ ორსულად ვიყავი. როგორც მითხრეს, ტყუპი ნაყოფი იყო, მაგრამ ერთი არ განვითარდა და ორგანიზმმა გამოაძევა.

სოფო: მე უფრო ადრე დავორსულდი, მაგრამ დედაჩემმა დამასწრო, რადგან ნაადრევი მშობიარობა დაეწყო.

თამარი: ყველა შვილი ნაადრევი მშობიარობით მყავს გაჩენილი.

— ახლობლების რეაქციები რაგვარი იყო, როცა იგებდნენ, რომ დედა და შვილი ერთდროულად ელოდებოდით ბავშვებს?

თამარი: ყველას სხვადასხვა რეაქცია ჰქონდა. ზოგი გაოცებას გამოხატავდა, ზოგი — დაცინვას, მეუბნებოდნენ, რაღა დროს შენი შვილიაო. ამაზე ძალიან ვბრაზდები. ყოველთვის მინდოდა, ბევრი შვილი მყოლოდა, მაგრამ ნამდვილად ვეღარ წარმოვიდგენდი, რომ საბას შემდეგ კიდევ გამიჩნდებოდა. ყველა ორსულობა პრობლემური მქონდა, ჯანმრთელობა არ მიწყობდა ხელს. რადგან ასე მოხდა და ღმერთმა კიდევ ერთი შვილი გამოიმეტა, ამაზე უარს როგორ ვიტყოდი?! თან ორი გოგო და ორი ბიჭი გამიხდა. ჩემი ქმარი პირველი ორი დღე გაურკვევლობაში, შოკში იყო. არ იცოდა, გახარებოდა თუ სწყენოდა. ორი დღის შემდეგ კი ისეთი გახარებული იყო, მთელ საახლობლოს შეატყობინა, რომ ბავშვს ველოდებოდით. დედაჩემი შოკში იყო, რადგან ჩემი ორსულობის ყოველთვის ეშინოდა.

სასწაული, იცით, რა არის? მე პირველი რეზუს-უარყოფითი ჯგუფის სისხლი მაქვს. ჩემს გოგოებს რეზუს-დადებითი სისხლის ჯგუფი აქვთ და ბიჭებს — უარყოფითი.

სოფო: ჩემმა ქმარმა რომ გაიგო, დედა-შვილი ერთდროულად დავფეხმძიმდით, თქვა, ასეთი დამთხვევა ალბათ არც მომხდარაო. ახლა იცინის, ჩემს ცოლს ძმა ეყოლაო.

თამარი: მაღაზიაში ბავშვების საწოლებს ვათვალიერებდით. ორივე გაბერილები ვიყავით და სოფომ დამიძახა, დედაო. გადაირივნენ გამყიდველები. გაოცებულები გვეკითხებოდნენ, მართლა დედა-შვილი ხართო. რომელი ხართ დედა და რომელი შვილიო, ამასაც ხშირად გვეკითხებიან. სოფოც და სალომეც ჩემზე დიდი ტანისანი არიან.

სოფო: ბევრჯერ უთქვამთ ჩემთვის, დედაშენი უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებაო. ზოგს ეს სწყინს, მე — პირიქით, მიხარია. კარგია, ახალგაზრდა მშობლები რომ მყავს. ამით ვამაყობ. უკვე გაბერილები ვიყავით, ჩემი ჯვრისწერა რომ იყო და ჩემი ქმრის ნათესავებმა რომ დაინახეს დედაჩემი, გაოცდნენ, ყველასთვის მოულოდნელი იყო.

თამარი: ჩემს სალომესა და საბას შორის ასაკობრივი სხვაობა 13 წელია.

→10

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტარო
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

მაგრამ პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობის გამო გია არ მცნობს... ეს მართლაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. როგორც ჩანს, ჩემი პოლიტიკურად განსხვავებული აზრი მისთვის საზიანო და სამარცხვინო იყო.

— რას თვლიდა სამარცხვინოდ?

— როცა მივხვდი, რომ ჩემს ქვეყანაში ბევრი უზნეო და მიუღებელი რამ ხდებოდა, ჩემი პოზიცია დავაფიქსირე. როცა ბიძინა ივანიშვილმა პირველი განცხადება გააკეთა, მივხვდი, რომ ახალი ცხოვრება დაიწყებოდა და მის გვერდით დავდექი, აქცია არ გამომიტოვებია, არადა ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე აქციაზე დავდგებოდი. ეს არ ყოფილა მიმართული იმისკენ, რომ ხვალ და ზეგ რაიმე თანამდებობა მიმეღო. ამ მხრივ, ჩემს ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა, ისევ ისე ვმუშაობ, ისევ ისე ვიდგამ წელებზე ფეხს.

— დიდი ოჯახი, სამუშაო, შემოქმედებითი საქმიანობა... მაგრამ ქალი მაინც ქალია და სურს, კარგად გამოიყურებოდეს. თქვენც იტოვებთ დროის საკუთარი გარეგნობისთვის?

— კაცის და ქალის ფუნქცია საკუთარ თავზე მაქვს აღებული, ამიტომ ურეჟიმოდ ვცხოვრობ. როცა მახსენდება, რომ იმ დღეს არაფერი მიჭამია, მაშინ ვიკვებები და ეს არასწორია. ამიტომ ჩემს მდგომარეობაში რთულია ფორმაში ჩადგომა. დიდ უნიჭობაში ვუთვლი ადამიანს იმას, მხოლოდ ზომა-წონას რომ აქცევს ყურადღებას. მე ცოტა სიღრმისეულად ვაფასებ პიროვნებას, სულია მთავარი და თვალი, რომელიც სულის გამოძახილია.

— არსებობს მრავალი საშუალება, თუნდაც პლასტიკური ქირურგია, რომელიც ქალს ეხმარება კარგი გარეგნობის შენარჩუნებაში, ახალგაზრდობის გახანგრძლივებაში. თქვენ არ გქონიათ ეს ცდუნება?

— არც სახისთვის მიხლია ხელი და არც სხვა რამისთვის. შეიძლება ვინმემ თქვას, იმიტომაც გამოიყურები ასე „კარგადო", მაგრამ მიყვარს ბუნებრივი სილამაზე და ღიმილი. შევეცდები, რომ კიდევ ბევრი წელი ხელოვნურად არაფერი შევცვალო.

— ახლო მომავალში თქვენს შემოქმედებაში სიახლეებს უნდა ველოდოთ?

— საზოგადოებას კარგად ახსოვს ჩემ მიერ ჩატარებული რეზო ლაღიძის შემოქმედებითი საღამო და ყველას მადლობას ვუხდი კარგი შეფასებისთვის. რეზო ლაღიძის ბევრი მარგალიტი დაკარგული იყო, იმ კონცერტზე კი 7 ახალი ვერსია შესრულდა, ბევრი დაკარგული მელოდია აღვადგინე.

ზუსტად ასეთივე დამოკიდებულება მაქვს არჩილ კერესელიძის შემოქმედებისადმი. „ჩვენი ეზო", „სხვისი შვილები", „მაგდანას ლურჯა", „ორი ოჯახი" — ამ ფილმებში მისი მუსიკა ჟღერს. „ყელსაბამი ლალისფერი", „ისევ მიდიხარ, ისევ მშორდები" და ბევრი სხვა ლამაზი ქართული სიმღერა მისი შექმნილია, არადა ამ კომპოზიტორის შესახებ ახალმა თაობამ ნაკლებად იცის. ამიტომ მინდა, მისი სიმღერები ახლებურად ავაჟღერო. თუ ხელს შემიწყობენ, არჩილ კერესელიძის შემოქმედებით საღამოს გავმართავ. ასე რომ, დიდი გეგმები მაქვს.

✓ ლანა კეკნაძე

Cyan Magenta Yellow Black

ორი წლის წინ ქმარს ვუთხარი, პატარა ბავშვი მომენატრა-მეთქი. მიპასუხა, ცოტაც მოიცადე და შენ და სოფომ ბარემ ერთდროულად გააჩინეთო. მაშინ, რა თქმა უნდა, ვშაყირობდით, მაგრამ მართლა ასე არ მოხდა?!

— რა შეგრძნებაა, როცა ბებია და კიდევ ერთი შვილის დედა ერთდროულად ხდები?

თამარი: ვერ გეტყვით. თამარი ხელში რომ ამყავს, ისიც ჩემი შვილი მგონია. გაუგებარი შეგრძნებაა. მგონი, შვილიშვილსაც ისე აღვიქვამ, როგორც შვილს, თუმცა ახლა ცოტა დაბნეულები ვართ. როცა ოჯახში ახალი სიცოცხლე შემოდის, ყველაფერი მის ირგვლივ ტრიალებს.

სოფო: ვერც მე აღვიქვამ ჩემს ძმას ძმად. ექიმს ვეუბნებოდი, ასე მგონია, ახლობლის შვილია-მეთქი.

თამარი: სიძემ თავის შვილს ჩემი სახელი დაარქვა. რომ გაიგო, გოგოს ელოდებოდა, დამირეკა და მითხრა, თამარი უნდა დავარქვათო. ჩემი შვილების სახელები „ს"-ზე იწყება და ალექსანდრეს სანდროს დავუძახებთ. ჩემი მეუღლისთვის სამშობიაროს პერსონალს მოკრძალებით შეუთავაზებია, გავავრცელებთ ამბავს, რომ დედა-შვილმა ერთად იმშობიარეს და სახელებს და გვარებს არ ვიტყვითო. უთქვამს, სახელიც თქვით და გვარიც, ჩემზე ბედნიერი კაცი არ დადისო. ახლაც სიხარულით გადარეულია. იმ ღამეს, როცა ვიმშობიარეთ, უამრავი ხალხი იყო მოსული, სამეგობრო, სანათესაო — ყველა აქ იყო.

— სოფო, საკეისრო კვეთით რომ უნდა გემშობიარათ, ეს თავიდანვე გადაწყვეტილი იყო?

სოფო: არა, ფიზიოლოგიურად უნდა მემშობიარა, მაგრამ პრობლემები შემექმნა. გადაუდებელი ოპერაცია რომ არ ჩამტარებოდა, ბავშვს საფრთხე ემუქრებოდა. რამდენიმე საათი მუცელი საშინლად მტკიოდა და სხვა გზა აღარ იყო. რომ ვმშობიარობდი, ვიცოდი, დედაჩემი აქვე, ზედა სართულზე იყო და ეს გარკვეულწილად მამშვიდებდა. ტკივილისგან რომ ვყვიროდი, მეგონა, დედაჩემს ესმოდა. ექიმს ვკითხე, ეს ყვირილი ზემოთ თუ ისმის-მეთქი.

თამარი: საშინელ დღეში ვიყავი — ჩემი გამჭირვებოდა, თან ბავშვზე ვფიქრობდი — ალექსანდრეს ჭიპლარი ჰქონდა შემოხვეული და სარისკო იყო. ამავე დროს, სოფოზე ვდარდობდი... გვიან მითხრეს, საკეისრო რომ გაუკეთეს.

■

საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრის სამეანო მიმართულების ხელმძღვანელი, ლია ჯანელიძე, ამბობს, რომ დედისა და შვილის ერთდროული მშობიარობა 10-15 წელიწადში ერთხელ თუ ემთხვევა, თუმცა ბევრი ახსოვს ისეთი შემთხვევა, როცა დედაც ორსულად იყო და შვილიც.

ლია ჯანელიძე: მქონია შემთხვევები, როცა დედა და შვილი ერთდროულად იყვნენ ორსულად, მაგრამ ჩემს საკმაოდ დიდ პრაქტიკაში ის, რომ ორივეს ერთ დღეს ემშობიაროს, არ მაგონდება. იყო შემთხვევა, როცა ჯერ ქალიშვილმა იმშობიარა და რამდენიმე თვის შემდეგ — დედამ. ისიც მომხდარა, რომ საკმაოდ დიდი შვილიშვილები მოჰყოლიან ბებიას, როცა ის მშობიარობდა. ახლა კი მოხდა ისე, რომ დედას დაეწყო მშობიარობა, იმშობიარა და ზუსტად ამის შემდეგ დაეწყო შვილს. ყველაზე ბედნიერი ის კაცი იყო, რომელიც ამ დღეს ერთდროულად გახდა მამაც და ბაბუაც. ამბობდა, ორი შვილი შემეძინაო. დედისთვის მეხუთე მშობიარობაა. ერთი დაღუპული ჰყავს ნაადრევი მშობიარობის გამო. ახლა კი სრულიად ჯანმრთელი შვილი შეეძინა.

— არცთუ ისე დიდი ხნის წინ, როცა ქალს მოზრდილი შვილები ჰყავდა, ერიდებოდა, კიდევ გაეჩინა შვილი. თუ დაოჯახებული ჰყავდა რომელიმე — მით უმეტეს. ახლა უსერხულობის მომენტი ქალებს აღარ აქვთ?

— ცოტა უხერხულობას გრძნობს დედა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ქალიშვილი გათხოვილი ჰყავს. უფრო სიძის ერიდებათ ხოლმე, მაგრამ შვილი ისეთი დიდი ბედნიერებაა, ამ უხერხულობის გამო უარს ბევრი აღარ ამბობს. საბედნიეროდ, საქართველოში ძალიან შემცირდა ხელოვნული აბორტების რიცხვი. ხან მეორე ქორწინებაშია დედა და უნდა, ქმარს შვილი გაუჩინოს. რადგან ორსულობა დადგა, ესე იგი, ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან და რატომ უნდა შეუშალონ ახალი სიცოცხლის დაბადებას ხელი?! თუ ქალს კანონიერი ქმარი ჰყავს და ნორმალური ოჯახი აქვს, რატომაც არ უნდა გააჩინოს ბევრი შვილი?! ძალიან კარგი ოჯახია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ქალიშვილი გათხოვილი ჰყავდათ, ბავშვზე უარი არ თქვეს.

— რომელმა უფრო რთულად იმშობიარა — დედამ თუ შვილმა?

— რა თქმა უნდა, დედამ, რადგან მისთვის მეხუთე მშობიარობა იყო. პირველი შვილის გაჩენაც ყოველთვის რთულია. ორივე არაჩვეულებრივი ბავშვია. ბიჭი, ბიძა, 4 კილო და 260 გრამი დაიბადა. დიდი და სერიოზულია, როგორც ბიძას შეეფერება. მისი დისშვილი გოგო კი ცოტა ხმაურიანია, 3 კილო და 700 გრამი დაიბადა. ალბათ ტყუპებივით გაიზრდებიან რამდენიმე საათის სხვაობით დაბადებული ბავშვები. საშუალო სტატისტიკის მიხედვით, 10-15 წელში ერთხელ თუ ხდება ასეთი რამ, როცა დედა და შვილი ერთ დღეს მშობიარობენ.

ლია ჯანელიძე: „ბიძა 4 კილო და 260 გრამი დაიბადა. დიდი და სერიოზულია, როგორც ბიძას შეეფერება. მისი დისშვილი გოგო კი ცოტა ხმაურიანია".

მქონია შემთხვევები, როცა ოჯახის სამი შვილი სხვადასხვა წლებში ერთსა და იმავე დღეს დაბადებულა. ესეც საოცარი ფაქტია და უფლის ნებაა. მქონია შემთხვევა, როცა დედას ორი ვაჟი დაქორწინებული ჰყავდა და დაფეხმძიმდა. ეგონა, რომ შვილოსნობის პერიოდმა გაიარა და ვერაფრით წარმოედგინა ორსულობა. 5 თვის ფეხმძიმე იყო, როცა მიხვდა, რომ ორსულად იყო. ძალიან ერიდებოდა, რცხვენოდა შვილების, რძლების, შვილიშვილების, მაგრამ მისმა ვაჟებმა თავი მოიკლეს და აბორტი არაფრით გააკეთებინეს. როცა ბავშვი მიჰყავდათ, უნდა გენახათ, როგორი გახარებულები იყვნენ, რომ პატარა ძმა ჰყავდათ.

შარშან ჩვენთან 52 წლის ქალმა იმშობიარა. გვყოლია 46-48 წლის მშობიარეები. როცა ბავშვი ისახება, ის აუცილებლად უნდა გაჩნდეს და მის დაბადებას ხელი არავინ უნდა შეუშალოს. ჩვენი პროფესია ისეთია, ბევრ უცნაურ ამბავს წააწყდები.

— ყველაზე უცნაურს რას წაწყდომიხართ?

— ჩემს ახალგაზრდობაში, როცა ექოსკოპია არ არსებობდა, ერთმა ქალმა იმშობიარა. მაშინ მახარობლების ინსტიტუტი იყო. ჩავიდა მახარობელი და მამას უთხრა, ვაჟი გაგიჩნდათ, გილოცავთო. 10 წუთის მერე ჩავიდა და უთხრა, გილოცავთ, კიდევ გაგიჩნდათ ვაჟიო. კიდევ ჩავიდა და ამჯერად გოგოს დაბადება მიულოცა. მეხუთედ რომ ახარა, კაცს გული წაუვიდა და ძლივს მოვასულიერეთ. მგონი, ცოტა შეურაცხყოფილადაც იგრძნო თავი. ერთი ბავშვი დაიღუპა, რადგან პატარა წონისანი იყვნენ და ის ძალიან სუსტი აღმოჩნდა.

— ექიმი ექოსკოპიის გარეშე ვერ აფიქსირებს ტყუპების არსებობას?

— კი, მაგრამ შეიძლება ის ქალი არც იყო მისული ექიმთან.

— სამი ტყუპის გაჩენა აღრე იშვიათი მოვლენა იყო. ახლა რამდენიმე ტყუპის დაბადება აღარაფის უკვირს. ეს ხელოვნური განაყოფიერების შედეგია თუ ბუნებრივადაც დგება მრავალნაყოფიანი ორსულობა?

— ტყუპების რაოდენობამ იმატა არამხოლოდ ხელოვნური ჩასახვის გამო. აღრე ძალიან იშვიათად იბადებოდნენ ტყუპები. შეიძლება ეს სტიმულატორებსაც უკავშირდება, რადგან რამდენიმე კვერცხუჯრედის ერთდროულად მომწიფება ხდება. თავიდან, როცა ხელოვნური განაყოფირება დაიწყეს, სამი-ოთხი ემბრიონი გადაჰქონდათ ქალის საშვილოსნოში. იქიდან შეიძლებოდა ორი გადარჩენილიყო ან არც ერთი. ახლა მხოლოდ ორი ემბრიონი გადააქვთ, რომ პირიქით, ბევრმა ემბრიონმა ერთმანეთს ხელი არ შეუშალოს.

✓ რესუდან ადვაძე

პატარა ქართველი ფალავნები იაპონელებმა სიცელქისთვის დასაჯეს

„იმაზე მეტად ხმაურობდნენ, ვიდრე იქ დასაშვებია, თუმცა არა — კატასტროფულად"

ქართველ ძიუდოისტთა ასაკობრივი ნაკრები იაპონიაში სკანდალში გაეხვა. ახალგაზრდა სპორტსმენები ამომავალი მზის ქვეყანაში სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდნენ. უწესოდ მოქცევის გამო მათ შეკრება ნაადრევად დაატოვებინეს. ოფიციალურ მიზეზად ცუკუბას უნივერსიტეტის შინაგანაწესის დარღვევა დასახელდა, რაშიც ხმამაღალი საუბარი, მუსიკის ხმამაღლა მოსმენა იგულისხმებოდა. ასევე, როგორც ცნობილი გახდა, ერთ-ერთმა მოქალაქემ პოლიციას შეატყობინა, რომ რამდენიმე ძიუდოისტი ქუჩაში ველოსიპედით იმაზე სწრაფად მოძრაობდა, ვიდრე ეს იქ დაშვებულია. გაირკვა, რომ ერთ-ერთმა სპორტსმენმა ცეცხლსაქრობი ბალონიც არასაჭირო დროს აამოქმედა. საბოლოო ჯამში, იაპონელებმა ქართველი სპორტსმენების მიმართ რადიკალური ზომები მიიღეს და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე სასწავლო შეკრება დაატოვებინეს.

საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრები იაპონიაში 11 ნოემბერს გაუშვა, იქ ისინი 2 კვირა უნდა დარჩენილიყვნენ. თუ რა მოხდა სინამდვილეში იაპონიაში, რა სადამსჯელო სანქციები გატარდება სპორტსმენების მიმართ და ა.შ., ამ საკითხებზე „სარკეს" საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქევხიშვილი ესაუბრა.

— ბატონო დავით, ქართველ ძიუდოისტთა იაპონურმა თავგადასავალმა ბევრი გააბრაზა, ბევრი შეაწუხა და ბევრიც გაამხიარულა. დაწვრილებით გვიამბეთ, რა სკანდალში გაეხვნენ ქართველები იაპონიაში.

— უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა, რომ ამ ასაკის ბავშვები იაპონიაში გავგზავნეთ. მათთვის იქ ვარჯიში მნიშვნელოვანი იქნებოდა. ისინი ერთ-ერთი უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდნენ, რომელსაც თავისი განაწესი აქვს. ამ მკაცრ შინაგანაწესზე არც ფედერაციასჰქონდა ინფორმაცია და არც ხელმძღვანელობას, რომელიც ბავშვებს იქ ახლდა. ქართველი სპორტსმენები იმაზე მეტად ხმაურობდნენ, ვიდრე იქ

Cyan Magenta Yellow Black

„ეით-ეითმა ბავშვმა ხანძარსაქრობი ბალონი მოქმედებაში მოიყვანა. ის ბიჭი წელს ჭაბუკებში მსოფლიო ჩემპიონი გახდა, უნესიერესი ბავშვია და არ ვიცი, ეს რატომ გააკეთა. აქედან დაიწყო ქართველი სპორტსმენების მიმართ პრეტენზიები, რომ ისინი იმაზე თამამად იქცეოდნენ, ვიდრე ამის უფლება ჰქონდათ".

დასაშვებია, თუმცა არა — კატასტროფულად. ასევე, როგორც გავიგე, უნივერსიტეტის ფოიეში, ყოველ 5-6 მეტრში ხანძარსაქრობი ბალონები ელაგა და გამველელ-გამომველელს მისი შეხება შეეძლო. რატომღაც ერთ-ერთმა ბავშვმა ხანძარსაქრობი ბალონი მოქმედებაში მოიყვანა. სხვათა შორის, ის ბიჭი წელს ჭაბუკებში მსოფლიო ჩემპიონი გახდა, უწესიერესი ბავშვია და არ ვიცი, ეს რატომ გააკეთა, ინტერესის თუ ზედმეტი აქტიურობის გამო. აქედან დაიწყო ქართველი სპორტსმენების მიმართ პრეტენზიები, რომ ისინი იმაზე თამამად იქცეოდნენ, ვიდრე ამის უფლება ჰქონდათ.

ამას გარდა, ბავშვებმა თავისუფალ დროს უნივერსიტეტის ველოსიპედებით გაისეირნეს, რაც ნებადართულია. შუქნიშანზე მკვეთრად დაამუხრუჭეს და გაჩერდნენ, ამ დროს ქალს, რომელიც იქ იდგა, შეეშინდა და პოლიციაში დარეკა. ჩვენი სპორტსმენები მას ფიზიკურად არ შეხებიან, არ დაჯახებიან. პოლიციამ კი ფედერაციაში დარეკა, ფედერაციამ — უნივერსიტეტში. ეს ფედერაციისთვის დისკომფორტი აღმოჩნდა, რადგან პოლიციიდან შევიდა ზარი. ამ სამი ფაქტის გამო ეს ყველაფერი ასე დასრულდა.

ჩემი აზრით, ეს ყველაფერი ხანძარსაქრობი ბალონის მოქმედებაში მოყვანას მოჰყვა. ბუნებრივია, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ასეთი რამ არ შეიძლება, დანარჩენ შემთხვევაში კი კატასტროფულს ვერაფერს ვხედავ.

იაპონიის ძიუდოს ფედერაციაში ჩვენს წარმომადგენელს ვთხოვეთ, გაერკვია, თუ რა ხდებოდა და იქიდან სიტყვიერად ასეთი პასუხი მივიღეთ, რომ მხოლოდ ქართველ სპორტსმენებთან მიმართებაში არ მომხდარა მსგავსი რამ, სხვა გუნდებთანაც შეგვიწყვეტია ერთობლივი ვარჯიშიო.

— გაფრთხილების გარეშე, პირველივე ჯერზე რატომ დაისაჯნეს სპორტსმენები?

— ეს ყველაფერი იმან გამოიწვია, რომ ბავშვებს იაპონიაში ნაკლები უფლებები აქვთ. მათ ელემენტარულად მწვრთნელთან კითხვის დასმის უფლებაც კი არ აქვთ, იქ უმცროსუფროსობის ინსტიტუტი სხვა დონეზეა აყვანილი. მსგავსი ფაქტი დიდების ნაკრებში რომ მომხდარიყო, მათ არ გამოუშვებდნენ. უფროსი სპორტსმენები გაცილებით აქტიურებიც ყოფილან, მაგრამ მათ მიმართ ასეთი მკაცრი მიდგომა არ ყოფილა. ბუნებრივია, მომავალში მეტი ინფორმაცია გვექნება და ბავშვებსაც ეცოდინებათ იქ მოქცევის წესები.

— ვისი ბრალია, რომ ეს ბავშვები ინფორმირებულები არ იყვნენ? მწვრთნელებმა რატომ არ გააფრთხილეს ისინი?

— იქ რომ ველოსიპედით ჩქარა არ უნდა იარო, ამას ვერც თქვენ წარმოიდგენდით. ვერც იმას წარმოიდგენდით, რომ ეს ასეთ რამეს გამოიწვევდა. ბავშვებს სასწაული სისწრაფით არ უვლიათ. უბრალოდ ოთხმა ბავშვმა სწრაფად დაამუხრუჭა და მოხუცს შეეშინდა. ამაზე სპორტსმენს წინასწარ ვერც გააფრთხილებ. რაც შეეხება ხმამაღალ საუბარს — ყვირილზე, წივილზე კი არ ყოფილა შენიშვნა, არამედ მუსიკის ჩართვაზე, მოსმენაზე და საუბარზე, რაც იქ აკრძალულია. ამასთან დაკავშირებით არც მწვრთნელები იყვნენ გაფრთხილებული, რომ ბავშვებისთვისაც ეთქვათ.

იაპონიის ფედერაციამ დაფიქსირა, ეს რომ დიდების ნაკრები ყოფილიყო, არანაირი პრეტენზია არ გვექნებოდაო. მათ ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებით სხვანაირი მიდგომა აქვთ. ერთადერთი, რაზეც, ბუნებრივია, პასუხისმგებლობას ვიღებთ, არის ცეცხლსაქრობი ბალონისთვის ხელისხლება და მოქმედებაში მოყვანა. წინასწარი გაფრთხილება არ არის საჭირო, რომ ბალონს არ უნდა შეეხო. შესაბამისად, როცა დასჯის მეთოდებზე ვფიქრობთ, ამ შემთხვევაზე უფრო რადიკალურები ვიქნებით.

— ამ ბავშვების მიმართ რაიმე სანქციებს გაატარებთ?

— დასჯა შეიძლება საყვედურიდან, გაფრთხილებიდან დავიწყოთ და დისკვალიფიკაციამდე მივიდეთ.

— რომელიმეს ემუქრება დისკვალიფიკაცია?

— ჩემი გადმოსახედიდან, არ ვთვლი, რომ ამ შემთხვევაში ეს მაქსიმალური ზომა უნდა გამოვიყენოთ, თუმცა გაცილებით მკაცრები ვიქნებით იმ ბავშვის მიმართ, ვინც ბალონი აამოქმედა. შეიძლება ხელფასი ერთი ან ორი თვით შევუჩეროთ, რომ მომავალში ყველამ მეტი პასუხისმგებლობა იგრძნოს. დანარჩენებთან ალბათ გაფრთხილებით შემოვიფარგლებით, რაც გავაკეთეთ კიდეც. სადისციპლინო კომისია შევქმენით, ოღონდ მხოლოდ ამ ფაქტთან დაკავშირებით — არა. წლის განმავლობაში რაღაც დარღვევები დაგროვდა და მშობლებიც დავიბარეთ, ბავშვებსაც მოვუსმინეთ, ვისაუბრეთ, მწვრთნელებისგან ინფორმაცია მივიღეთ. იაპონიის ფედერაციისგან ოფიციალურ პასუხს ველოდებით, მითითება, რეკომენდაცია მოგვცენ, რომ ჩვენი მხრიდან შესაბამისი რეაგირება მოვახდინოთ. ამის მიხედვით გადავწყვეტთ, რას გავაკეთებთ.

„შუქნიშანზე მკვეთრად დაამუხრუჭეს და გაჩერდნენ, ამ დროს ქალს, რომელიც იქ იდგა, შეეშინდა და პოლიციაში დარეკა".

— ყველაზე ხშირად თქვენი სპორტსმენები რა წესებს არღვევენ?

— შესაძლოა შეკრების დროს ვინმემ ალკოჰოლური სასმელი მიიღოს. აქ სასწაულ რაოდენობაზე არ არის საუბარი, მაგრამ ვარჯიშისადმი ასეთი დამოკიდებულება მისაღები არ არის. ჩვენი მენტალობიდან გამომდინარე, ქართველი სპორტსმენები მეტად აქტიურები, ემოციურები, ცელქები არიან. ეს არის ერთადერთი, რაზეც ფედერაციისგან შენიშვნებს ვიღებთ ხოლმე. ძალიან წარმატებული წელი გვქონდა, მსოფლიოს ყველა ტურნირზე საუკეთესო შედეგები ვაჩვენეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთ ფაქტებს ვერ გავექცევით.

— ეს სპორტსმენების გამოძეკების პირველი შემთხვევაა?

— იაპონიიდან არავის გამოვუძევებივართ. გულდასაწყვეტია, რომ ჟურნალისტები ისე აშუქებენ, თითქოს ძიუდოისტების ნაკრები იქიდან გამოაძევეს. პირველ რიგში, ამის უფლება არავის აქვს, სადამდეც ვიზაა გაცემული, უფლება აქვთ, იქ იყვნენ. ნაკრები იაპონიიდან კი არ გამოაძევეს, მათ სასწავლო პროცესი შეუწყვიტეს. თუკი ვარჯიში არ ექნებოდათ, იქ რა უნდა ეკეთებინათ? გუნდი იქიდან სამი დღით ადრე წამოვიდა.

— მწვრთნელების მისამართით თუ იქნება სადამსჯელო ღონისძიებები გატარებული, თუნდაც იმის გამო, რომ იმ მომენტში ბავშვებს სათანადო ყურადღება არ მიაქციეს?

— მწვრთნელების პასუხისმგებლობა არ იკვეთება, რომ ბავშვებს ყურადღებას არ აქცევდნენ ან ვალდებული იყვნენ, რომ ბავშვები სპეციალურად გაეფრთხილებინათ. მათი პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება, რადგან მათ არანაირი დანაშაული არ მიუძღვით.

— თქვენი აზრით, გუნდი დაუმსახურებლად დაისაჯა?

— მათ ვერ შევედავებით, რადგან თავიანთი შინაგანაწესი აქვთ და ყველა მას ემორჩილება. შეიძლებოდა ბავშვებისთვის ჯერ გაფრთხილება მიეცათ, მერე კი, თუ განმეორდებოდა მსგავსი რამ, მეტი სიმკაცრე გამოეჩინათ. ისიც უნდა ითქვას, რომ ბავშვებისთვის წესები უნდა განემარტათ. მათ თურმე ბავშვების მიმართ ჰქონიათ განსაკუთრებული მოთხოვნები, რაც ჩვენთვის ცნობილი არ იყო. ბავშვებს კი იაპონიაში იმაზე მეტს ვერ მოვთხოვდით, ვიდრე აქ ვთხოვთ. ჰოლში რომ დაჯდე და მუსიკას მოუსმინო, ეს აკრძალული არსადაა.

— ალბათ ბავშვები ძალიან განიცდიან იმას, რაც მოხდა.

— ბუნებრივია, განიცდიან, ბოდიშს იხდიან და ამბობენ, რომ მომავალში უფრო ყურადღებით იქნებიან. უსიამოვნო ფაქტია. მათზე ამდენი თანხა დაიხარჯა და ეს სათანადოდ ვერ გამოიყენეს. ის პროგრამა, რაც მათთვის იყო გათვალისწინებული, ვერ შესრულდა, რაც მათ პროფესიონალიზმს დააკლდება. იაპონიის ფედერაციას წერილი გავუგზავნე, სადაც ვწერდი, ვისთანაც პრეტენზია გაქვთ, იმ ბავშვებს წამოვიყვანთ, დანარჩენები კი დატოვეთ-მეთქი, მაგრამ ისინი რადიკალურები იყვნენ. სხვათა შორის, ახალი ბალონის საყიდლად 200 დოლარიც გადავიხადეთ.

✓ ეკა ლემონჯავა

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

„დედაჩემი ქმარს და შვილს მონად სჭირდებათ"

ეიძლება ცუდად ვიქცევი, ჩემი ოჯახის ისტორიას გარეთ რომ ვყვები, მაგრამ უკვე ყელში მაქვს ამოსული ძმის და მამის საქციელი. ერთმანეთზე უარესები არიან, დედაჩემი ორივეს მხოლოდ მონად სჭირდება, სხვა არაფერში.

სკოლა დავამთავრე თუ არა, მაშინვე გავთხოვდი. არაჩვეულებრივი ქმარი და შვილები მყავს, მათი წმიერი შეხედვაც კი მაბედნიერებს. კიდევ კარგი, რომ გავთხოვდი, ყოველდღე მამას და ძმას ვუყურებდე, გული გამისკდებოდა. ძალიან მინდა, დედა ჩემთან წამოვიდეს საცხოვრებლად, მაგრამ მათ ვერ ტოვებს, არადა ისინი ამის ღირსნი არიან.

ჩვენს ოჯახს თავიდანვე დედა არჩენდა. მამა კი მხარ-თეძოზე იყო წამოწოლილი და მხოლოდ საჭმელზე ფიქრობდა. ძალიან რომ გაგვიჭირდა, დედა ბაზრობაზე გავიდა სავაჭროდ. თავიდან დახლიც კი არ ჰქონდა, მიწაზე ედო ჩანთა და წვიმასა და თოვლში იდგა. ასე, წვალებით ოჯახი ფეხზე წამოაყენა და ბევრ კაცზე უკეთესადაც ინახავდა ქმარ-შვილს. მერე ჩვენი მაღაზიაც გავხსენით და არაფერი გვიჭირდა. ბინაც გავაფართოვეთ, დედამ რემონტი გააკეთა, ავეჯი შეიძინა. მოკლედ, ქმარ-შვილს ყველაფერი შეუქმნა იმისთვის, რომ ბედნიერები ყოფილიყვნენ, მათ კი დედაჩემის სიკეთე არ დაინახეს. იმის ნაცვლად, რომ ხელი შეეწყოთ, გვერდში ამოსდგომოდნენ, რა წაეგლიჯათ, იმას ცდილობდნენ.

მამა დედას სიტყვიერ თუ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც კი აყენებდა, ბოლოს საყვარელიც გაიჩინა. როცა დედა კრიტიკულ ზღვარს მიაღწევდა და ეტყოდა, ახლა ამ სახლიდან უნდა წახვიდეო, მაშინ თავს იკატუნებდა და ამქვეყანაზე ყველაზე კარგი ქმარი ხდებოდა. მერე ისევ თავიდან იწყებოდა ყველაფერი. მის უსაქციელობას ჩემი ძმის ნარკომანობაც დაემატა. ბევრჯერ ციხეში მოხვდა და დედაჩემის წყალობით გამოვიდა იქიდან. იმის ნაცვლად, რომ მამას თავისი ბიჭისთვის მიეხედა, ისევ დედაჩემს სთხოვდა პასუხს. დღემდე ცოლს ლანძღავს, შენი ბრალია, ასეთი რომ გამოვიდა, შენ გაათამამეო. დედა სულ გარეთ იყო გასული, რომ მას საჭმელი და სიგარეტი ჰქონოდა. თვითონ მამაჩემს მიეხედა ბიჭისთვის, რას მიკეთებდა?! მაგრამ — არა, დედაა მისთვის დაბალი ღობე და მას უნდა დააბრალოს ყველაფერი, თავისი უსუსურობაც კი!

ერთხელაც მამაჩემი აღმოჩნდა ციხეში. მართალია, არ იყო დამნაშავე და ცუდმა ადამიანებმა გაწირეს, მაგრამ ისევ დედაჩემის საშველი გახდა. საწყალმა ქალმა, რაც ებადა, ყველაფერი ბანკში ჩადო, ჯერ ქმარს უშველა, მერე ისევ ჩემს ძმას დასჭირდა დახმარება. მოკლედ, ბანკიდან ვერც მაღაზია გამოიხსნა, ვეღარც სახლი და ყველაფრის გარეშე აღმოჩნდა. ის კი მაინც მოახერხა, ოთახნახევრიანი ბინა ეყიდა, რომ ჭერი ჰქონოდათ თავზე.

თქვენ გგონიათ, მისმა ქმარ-შვილმა დანაშაული იგრძნეს? არა! ისევ დედაჩემს დაუწყეს ჩხუბი, მაღაზია რატომ ჩადე ბანკშიო. საქმეებს ურჩევდნენ ყოველდღე, საწყალ ქალს ცხარე ცრემლებით ატირებდნენ, თითქოს ის ყველაფერი დედაჩემის ოფლით ნაშოვნი არ ყოფილიყო.

ერთხელ ისე გამოვედი მდგომარეობიდან, დანა ავიღე და მამაშვილს დავემუქრე, ამას დაგარტყამთ-მეთქი. ისე ვიყავი გაგიჟებული, შეიძლებოდა გამეკეთებინა კიდეც. ამ უსუსურმა, უმწეო კაცუნებმა კი, იცით, რა მითხრეს? დედა შენც კარგად მოწველეო. „წველას" კი იმას უძახიან, მზითევი რომ მიყიდა. დიახ, ბევრი რამ გამიკეთა დედამ და ამისთვის ხელებს ათასჯერ დავუკოცნი. მთელი ცხოვრება არ მეყოფა იმისთვის, რომ მადლობა გადავუხადო. მათსავით არც ციხის კართან დამიყრია დედაჩემის ნაშოვნი ფული და არც ვენებში გამიშვია „წამლად".

ალბათ უკვე მიხვდით, რომ ძალიან გამწარებული ვარ და ეს წერილიც ამიტომ დავწერე. ახლახან მეორე საშინელება გავიგე, დედაჩემს იტალიაში გზავნიან, რომ იმუშაოს. არადა უკვე ჯანმრთელობა ძალიან აქვს შერყეული, სულ წამლებს სვამს, მეშინია, რამე არ დაემართოს. მამაჩემს და ჩემს ძმას კი ეს სულ არ აინტერესებთ. მამიდაჩემი ცხოვრობს იტალიაში, დიდი ხნის წინ წავიდა ემიგრანტად და იქ დარჩა. მამამ თავის დას მანამ არ მისცა მოსვენება, სანამ დედაჩემის საბუთები არ გააკეთებინა. თვითონ წასულიყო, თუ ასე ნერვიულობდა ოჯახზე, მაგრამ მონა ხომ ჰყავს, თვითონ რატომ შეიწუხებს თავს?

მე ამის შესახებ ყველაზე გვიან გავიგე, მაშინ, როცა ვეღარაფერს შევცვლიდი. საბუთებიც მზად აქვთ და უამრავი ფულიც აქვთ გადახდილი. ავადმყოფ ქალს ისევ მონური სამუშაოსთვის იმეტებენ, რომ თვითონ საჭმელი და უდარდელი ცხოვრება ჰქონდეთ. იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ შეიძლება იქ რამე დაემართოს.

მთელი ღამეები არ მძინავს. არ მინდა, დედა უცხოეთში წავიდეს, მინდა, ჩემთან იყოს. ვერ წარმომიდგენია, წლების განმავლობაში ვერ ვნახო. ჩემმა დედამთილმა ერთი რამ კი ზუსტად მითხრა, გაუშვი, შვილო, იქნებ უცხო ქვეყანაში თავისი ქმარ-შვილისგან დაისვენოს, ცოტა ამოისუნთქოს ქალმაო. ამ სიტყვებში სიმართლე ნამდვილად არის, შეიძლება დედასთვის უკეთესიც იყოს, წურბელებს გაშორდეს, მაგრამ მე რა ვქნა? რომ მომენატრება, ვის ჩავეხუტო?

ჩემს ძმას და მამას არასოდეს ვაპატიებ, რომ დედაჩემს ასე მოექცნენ!

თქვენი ერთგული მკითხველი

„შეყვარებულმა თეთრმე ანგელოზის ფრთები მაჩუქა, მე კი გავუმრავდი"

ერაჩვეულებრივი შეყვარებული მყავს. ახლა კი ნაჩხუბრები ვართ, მაგრამ ძალიან მინდა, შევურიგდე. იქნებ ეს წერილიც დამეხმაროს და მან ჩემს ზარებს უპასუხოს.

ჩვენს დაშორებას უაზრო მიზეზი აქვს. ამიტომაც მინდა, წყენა დავივიწყოთ. ეს ყველაფერი კი საჩუქრით დაიწყო. საერთოდ, შეყვარებული სულ მანებივრებდა. ასეთი ჩვევა ჰქონდა, დაბადების დღის წინა საღამოს კართან საჩუქარს მიდებდა, მერე კი მირეკავდა და მეკითხებოდა, როგორ მოგეწონაო. ერთ ასეთ დღეს ყუთიდან საჩუქარს რომ ვიღებდი, ხელში სათამაშო ფრთები შემრჩა. გაბრაზებულმა ტელეფონზე დავურეკე და ათასი სისულელე ვუთხარი, რომ მასხრად ამიგდო, ამ ფრთების ჩუქებით დამცინა და ა.შ. მირეკავდა, მაგრამ მის ზარებს აღარ ვპასუხობდი.

ორი დღე ერთმანეთი თვალით არ გვინახავს. მესამე დღეს კი იმ ყუთში, სადაც საჩუქარი იყო, რთულად შესამჩნევ ადგილას პატარა ფურცელი ვნახე მიკრული, სადაც ეწერა: „უფრთო ანგელოზი ხარ, მე კი ის გაჩუქე, რაც სრულყოფილს გაგხდის". მივხვდი, რა სულელი ვიყავი. თურმე ის საჩუქარი, რომლისთვისაც საყვარელი ადამიანი დავკარგე, ყველაზე ძვირფასი ძღვენი ყოფილა ჩემს ცხოვრებაში. აქვითინებულმა დავურეკე, მაგრამ აღარ მიპასუხა. ის ძალიან გაბრაზებულია. ახლანაც კი არ ვაცადე, ისე ვეჩხუბე.

მინდა, „სარკეს" დიდი მადლობა გადავუხადო, რომ ამ წერილის გამოქვეყნების შანსი მომეცით. ვიცი, ამ წერილს აუცილებლად წაიკითხავს და იქნებ მაპატიოს.

თქვენი ერთგული მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. ეწვიეთ საიტsana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ" და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru

ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

„სახლში კაზინოშის მოყვარული რძალი შემომივიდა“

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ სახლში აზარტული თამაშების მოყვარული რძალი შემომივიდოდა. საერთოდაც, არ მეგონა, რომ ქალები ამგვარი რამით ერთობოდნენ. ვფიქრობდი, ეს მხოლოდ კაცების დაავადება იყო.

ჩემი დის ოჯახი აზარტულმა თამაშებმა დააქცია. ჩემი დისშვილი ამ უბედურებით დაავადდა. თავიდან წაგებულ ფულს ისტუმრებდა, მერე იმხელა თანხა წააგო, ოჯახი ცარიელტარიელი დატოვა. ვალი რომ მაინც ვერ გადაიხადა, თავი ჩამოიხრჩო.

დიდი სიამოვნებით დავლეწავდი ყველა იმ ადგილს, სადაც ასეთ რაღაცეებს თამაშობენ და სადაც ასეთი ჯოჯოხეთი ტრიალებს, მაგრამ რომ არ შემიძლია? ამ ბუდეს ერთი ან ორი ადამიანი ვერ მოსპობს, ამაში სახელმწიფო უნდა ჩაერიოს, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლებას ამისთვის არ სცალია.

ეს ჭრილობა მოშუშებული არ გვაქვს და უკვე ახალი უბედურება დაგვატყდა თავს, გავიგე, რომ ჩემი რძალი — ჩემი შვილის ცოლი — აზარტული თამაშებით არის გატაცებული. ამბობს, ქმარმა მიმაჩვია, თავიდან მან წამიყვანა კაზინოშიო. ჩემს ბიჭს კი ერთხელ წამოცდა, კაზინოში გავიცანით ერთმანეთიო. მეც მგონია, რომ ჩემი რძალი თავიდანვე ამით იყო შეპყრობილი და ერთმა ცოდვამ დაკავშირა ისინი ერთმანეთს. ზუსტად ვიცი, ჩემი შვილი ერთობოდა და ახლა ამით აღარაა გატაცებული. მითხრა, მეგობრებთან ერთად შევდიოდი, ახლა კი ქუდი რომ შემიგდო, იქ არ შევალო. მისი შვილის მჯერა, რადგან ცოლთან სულ ჩხუბი მოსდის, მიზეზი კი ყოველთვის აზარტული თამაშებია. ქმარი ეხვეწება, შეეშვიო. წარმოიდგინეთ, ქალზე გელაპარაკებით. ვაიმე, ხომ ჩემი თვალით ვუყურებ ამას, მაგრამ მაინც არ მჯერა, რომ ქალია ასე მოწამლული!

ამას წინათ შვილს ებუზღუნებოდა, აი, რომ არ დამიჯერე და ამ გუნდის მოგებაზე არ დადე, ხომ დააშავე, არადა ბევრ ფულს მოიგებდიო. თურმე ტოტალიზატორზე ეუბნებოდა. ჩემი შვილიც თავს იმართლებდა, რა ვიცოდი, თუ მოიგებდნენო, ანუ ჩემი ბიჭი ცოლის ჩიჩინით მაინც ეპარება ასეთ რაღაცეებს. რძალთან სერიოზული კონფლიქტი მომდის. პირდაპირ ვამბობ, ვერ ვიტან და იმ დღეზე ვოცნებობ, როცა ჩემი შვილის გვერდით არ იქნება. ღმერთმა შემინდოს, მაგრამ მისგან შთამომავლობაც არ მჭირდება!

იმ დღეს, როცა ჩემი შვილის და რძლის ლაპარაკს შევესწარი, ორივეს გამოვუცხადე, ჩემი სახლი დატოვეთ, აქაურობას ვერ გაგაძარცვინებთ-მეთქი. ჩემი ბიჭი გაოცებული მიყურებდა, რადგან ვერ წარმოედგინა, რომ ასეთ რამეს ვეტყოდი. მე ხომ ის ფუფუნებასა და მოფერებაში მყავს გაზრდილი. თავისი დები სულ ეხუმრებოდნენ, დედიკოს ბიჭი ხარო. მართლა მასზე ამომდიოდა მზე და მთვარე და ახლაც ასეა, მაგრამ ჩემი დისშვილის მაგალითმა მასწავლა, რომ ამ საკითხში დანდობა არ შეიძლება. ძალიან დიდ სიმკაცრეს თუ არ გამოვიჩენ, შეიძლება მთელი ცხოვრება სანანებელი გამიხდეს.

მოკლედ, შვილს და რძალს რამდენიმე დღე მივეცი ვადა, რომ სახლი იქირაონ და ცალკე გადავიდნენ. ჩემს ბიჭს უკვე გადავუწყვე „მზითევი“, ჭურჭელი, თეთრეული, ავეჯი... მოკლედ, ყველაფერი, რაც ახალგაზრდა ოჯახს დასჭირდება. ვალი ავიღე და ახალი რაღაცეებიც ვუყიდე, რომ თავი კარგად იგრძნონ. ბიჭი მეუბნება, ამას ნუ აკეთებ, ხმას არ გაგცემო. მე კი შეუვალი ვარ, ვეუბნები, რომ მისი ცოლის გვერდით ვერ ვიცხოვრებ და ჩემი სახლი უნდა დატოვონ. მასთან კი სიმკაცრეს ვიჩენ, მაგრამ გული მიდუღს. გვერდზე რომ გავდივარ, ცრემლებად ვიღვრები, სიცოცხლე აღარ მინდა, ჩემს უსაყვარლეს შვილს გარეთ ვაგდებ, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია.

ღმერთს ვთხოვ, ეს ცოდვა შემინდოს. იმედი მაქვს, ამით გონზე მოვლენ. ოჯახის წვრილმანებზე რომ ექნებათ საფიქრალი, იქნებ იმ ცოდვის ბუდისკენ აღარ გაიხედონ. ფული რომ არ ექნებათ, იქნებ იქ აღარც შეუშვან. იმასაც ვფიქრობ, ვაითუ უარესს ვაკეთებ-მეთქი. ნერვიულობისგან აღარ მძინავს. ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ, მითხარით, ჩემს ადგილას თქვენ როგორ მოიქცეოდით.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

„ქმარმა მეც ყოფილი შეყვარებულის გამო მიმატოვა“

ჟურნალ „სარკის“ 48-ე ნომერში დაიბეჭდა სტატია — „წერილი ყოფილ ცოლს — „მაპატიე, რომ მიგატოვე“. არ შემეძლო ამ ისტორიის წაკითხვის შემდეგ გულგრილად დავმჯდარიყავი სახლში და თქვენთვის არაფერი მომეწერა. ასე რომ, თუ თავს არ მოგაწყენთ, ჩემს ამბავსაც მოგიყვებით.

8 წელი ვიყავი გათხოვილი და თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი. ქმარი სიგიჟემდე მიყვარდა. მასაც ძალიან ვუყვარდი. ის წლები უბედნიერესი იყო ჩემთვის. ქმრისთვის თავსაც კი გავწირავდი, მაგრამ თურმე მას არანაირი მსხვერპლი არ სჭირდებოდა ჩემგან.

ერთ დღეს სახლში ახალი ამბით დაბრუნდა, კლასელები ვიკრიბებით, ბანკეტს ვიხდით და უნდა მოვემზადოთო. ძალიან გამიხარდა, ვიფიქრე, მისი ბავშვობის მეგობრებს გავიცნობ-მეთქი. იმ დღისთვის საგანგებოდ მოვემზადე, ახალი კაბით, ძალიან ლამაზი ვარცხნილობით წავედი. თავის ქებაში არ ჩამომართვათ, მაგრამ იქ ყველას ვჯობდი. ჩემს ქმარს უთხრეს კიდეც, რა ლამაზი გოგო მოგიყვანია ცოლადო. იმ დღეს ყველამ კარგი დრო ატარა, ჩემ გარდა, რადგან ქმარს ჩემკენ ერთხელაც არ გამოუხედავს. ერთ გოგოს ჩამოეკონწიალა კისერზე და არც ერთი ცეკვა გამოუტოვებიათ, სულ ჩახუტებულები იყვნენ. მათ ნაცვლად უხერხულ მდგომარეობაში სხვები ჩაცვივდნენ. ჩემთან თითქოს თავს იმართლებდნენ, ძალიან ახლო მეგობრები იყვნენ და ერთმანეთის ნახვა გაუტკბათო. მართალია, ქმრის საქციელი გულზე ცუდად მომხვდა, მაგრამ იმ დღეს არაფერი მითქვამს. მეორე დღეს კი ვუსაყვედურე, იმ ქალის კისერზე რა ნახე ისეთი, რომ ვეღარ მოშორდი-მეთქი. ჩემი ნათქვამი არ ესიამოვნა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მერე სახლიდან გავარდა.

იმ დღის შემდეგ ჩემი ოჯახი აირია. ქმარს ვეღარ ვცნობდი, შუაღამისას ბრუნდებოდა სახლში და ყურადღებას მაშინაც არ მაქცევდა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ერთ საღამოს გამომიცხადა, სახლიდან მივდივარ, ძველი შეყვარებული ვერ დავივიწყე და მასთან მინდა ცხოვრებაო. ძველი შეყვარებული კი სწორედ ის ქალი აღმოჩნდა, ვისაც ბანკეტზე ეცეკვებოდა. მერე გავიგე, რომ თურმე სკოლაში ჩემს ქმარს ძალიან უყვარდა, იმ გოგოს კი — არა. ჩემი ქმარი მაშინ ღარიბი ოჯახის შვილი იყო, არც ჩაცმით გამოირჩეოდა, არც — გარეგნობით, არც — განათლებით. მერე თავისი ბიზნესი წამოიწყო, ყველაფერი შეიძინა, რაც სჭირდებოდა. ოჯახმა და მდგომარეობამ მის გარეგნობასაც დახვეწილი იერი შესძინა. და ამ ყველაფერმა ის ქალი მოხიბლა, გადაწყვიტა, ჩვენი ოჯახი დაენგრია. თვითონ გაუთხოვარი იყო. ალბათ საუკეთესო მამაკაცის ძებნაში დარჩა გასათხოვარი, მერე კი ჩემი ქმარი იპოვა და შვილები უმამოდ დამიტოვა. სულ ვფიქრობ, ნეტა, თუ არ რცხვენიათ, ნეტა, თუ არ ფიქრობენ, რომ საშინლად მოიქცნენ. თუმცა ასეთებს სად აქვთ სინდისი, რომ რამემ შეაწუხოს.

ბოდიში, თუ ჩემი ამბის მოყოლით თავი შეგაწყინეთ, მაგრამ არ შემეძლო, ის წერილი ასე გულგრილად დამეტოვებინა.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

„ქმარს აუცილებლად უთხარი, ხომ ფული დაგეკარგა“

ჟურნალ „სარკის“ 48-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი, სადაც ქალი წერს, ქმარს ვერ ვუმხელ, რომ ვალის გასასტუმრებელი ფული დავკარგეო. მას მინდა რჩევა მივცე. ქმარს სიმართლე უთხარი, ნუ ეცდები, ტყუილი მოიგონო და რაღაც ამბავი შეთხზა, რადგან ადრე თუ გვიან, გაიგებს, რომ მოატყუე და უარეს შედეგს მიიღებ. ასეთი რამ შეიძლება ყველას დაემართოს. შენ ხომ ძალით არ გინდოდა. ამიტომ სიმართლე უთხარი, მართალია, არ ესიამოვნება, მაგრამ შენს გაგებას შეძლებს

კეთილი სურვილებით, „სარკის“ მკითხველი

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ალეკო ელისაშვილი: „ვვილებს გეფიცებით, ღამეები არ მძინავს, დიდ შარში ვარ!“

როგორ ეგუება „არიფი“ ჟურნალისტი მოულოდნელ თანამდებობას

ეწყალების კომისიას, რომელსაც უფლება აქვს, ქვეყნის პრეზიდენტს მოუმზადოს იმ პატიმრების სია, რომლებიც მისჯილ ვადაზე ადრე იმსახურებენ გარეთ გამოსვლას, ახალი თავმჯდომარე ჰყავს — ტელეჟურნალისტი ალეკო ელისაშვილი. როგორც ის ამბობს, ეს შეთავაზება მისთვის მოულოდნელი იყო. დათანხმება მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა, როცა გარანტია მიიღო, რომ ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერს, სადაც წლებია მუშაობს, არ დატოვებდა და ასევე არ დათმობდა საზოგადოება „ამქარს“ (თბილისზე მზრუნველთა გაერთიანებას), რომლის თამჯდომარეც თვითონ გახლავთ. ახლა კი ამბობს, რომ ამ თანხმობით თავი დიდ შარში გაყო.

— ალეკო, „ფეისბუქზე“ წერდით, შარში ვარო. სულ ერთი კვირაა, რაც შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ხართ და, როგორც მიგვხვდი, უკვე უამრავი ვინმე გაწუხებთ.

— საოცრება ხდება! „ფეისბუქში“ უამრავი ადამიანი მწერს და ყველას ვუბრუნებ პასუხს. პირველი ორი დღე მილოცვებს ვიღებდი. მილოცვებმა გადაიარა და ახლა უფრო საქმიანი წერილები მომდის. ჩემი ტელეფონი არ ჩერდება, არასოდეს მომხდარა, რომ ჩემს ტელეფონს დღეში ორჯერ დასჭირვებოდა დატენვა. უამრავი ადამიანი მთხოვს შეხვედრას. ჯერჯერობით კაბინეტი არ მაქვს, სადაც შეიძლება ხალხი მივიღო და ყველას ტელეკომპანია „კავკასიასთან“ ვხვდები. ეზოში გავდივარ ხოლმე, რადგან „კავკასიაში“ პატარა ოფისი გვაქვს და ცოტა უხერხულია, რომ ამდენი ხალხი იქ შევიყვანო.

— ყველაზე უცნაური მოთხოვნა რა მოისმინეთ?

— ერთი ადამინი მოვიდა და მითხრა, თქვენი კომისიის წევრობა მინდა და ჩამსვი ამ კომისიაშიო.

— საზოგადოებისთვის ცნობილი სახეა?

— არა, ჩემთვისაც სრულიად უცხო ადამიანი იყო და, სიმართლე გითხრათ, ცოტა დავიბენი. ძალიან დიდხანს მელაპარაკებოდა და ვერაფრით მივხვდი,რისი თქმა უნდოდა. ბოლოს ვუთხარი, იქნებ პირდაპირ მითხრათ, რა გნებავთ-მეთქი და მიპასუხა, კომისიის წევრობა მინდაო. მე რა შუაში ვარ-მეთქი, ვუპასუხე. ძალიან უცნაურია, თუ რატომ შეიძლება მოგინდეს კომისიის წევრობა. არ მინდა, ცუდი რაღაცეები დავიჯერო, მაგრამ უცნაურად კი ყლერს კომისიის წევრობის სურვილი.

— თქვენ რატომ მოგანდათ ამ კომისიის თავმჯდომარეობა?

— კი არ მომინდა, შემომთავაზეს, ვიქნებოდი თუ არა კომისიის თავმჯდომარე.

— ვინ შემოგთავაზათ?

— პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამსახურმა. ვუთხარი, ჩემი პირველი პირობა ის არის, რომ „კავკასიასა“ და „ამქარში“ უნდა დავრჩე-მეთქი. ამაზე მივიღე თანხმობა — ეს არ არის საჯარო სამსახური და თამამად შეგიძლიათ დარჩეთ „კავკასიაშიც“, „ამქარშიც“ და აკეთოთ ის, რასაც აქამდე აკეთებდითო. მერე ვუთხარი, ამ საქმეში არიფი ვარ, მხოლოდ გარედან ვიცი-მეთქი. ამაზე მივიღე პასუხი, პრობლემა არ არის, ყველანაირად შეგიწყობთ ხელს, გვინდა, ეს პროცესი წესიერად და პატიოსნად წარიმართოსო.

„თუ პრეზიდენტმა ვიღაც ჯოჯოხეთური ტიპები გამოუშვა ციხიდან და ჩვენი სიის იგნორირება მოახდინა, მაშინ ქედს დავიხუჭავ და ნავაღ. მე აქ საშოვარზე არ მოვსულვარ. რომ გენახათ, ეს დღეები რა დღეში ვიყავი, შეგეცოდებოდით“.

— ერთი სიტყვით, „არიფები“ გვჭირდებაო?

— არა, არიფები არ გვჭირდებაო. გაერკვევი რამდენიმე დღეში, ჩვენგან კი სრული კარტ ბლანში გექნება, რომ ეს პროცესი წესიერად წარიმართოსო. ვუთხარი, ნახევარი დღე მაინც მაცალეთ-მეთქი. დღის ბოლოს დავთანხმდი.

— რამ მოგხიბლათ, რამ გათქმევინათ ამხელა პასუხისმგებლობაზე თანხმობა?

— პასუხისმგებლობა რომ ამხელაა, ამან მათქმევინა თანხმობა. მინდა, პატიმართა შეწყალების პროცესი გამოსწორდეს და არ იყოს პოლიტიკური სპეკულაციების, მანიპულაციების და ათასი მითქმამოთქმის საბაბი. შეწყალების პროცესი ისეთ მაიმუნობებს კი არ უნდა ეფუძნებოდეს, რასაც აქამდე ჰქონდა ადგილი, არამედ ორად ორ რამეს — ადამიანობას და წესიერებას. ამისთვის კი თავს არ დავზოგავ. ნაციონალური მოძრაობა იმას უშვებდა გარეთ, ვინც უნდოდა, იმის მიუხედავად, ვინ იმსახურებდა გამოშვებას და ვინ — არა. უშვებდნენ ყაჩაღებს, ნარკორეალიზატორებს, პედოფილებს და ა.შ.

„იმ ადამიანებს, ჰომღებიც შეწყალებულთა სიაში მოხვდებიან, სულით და გულით ვთხოვ, მაშინ აღარ გაეხვიონ, ადგან მინდა, ვისზეც პასუხისმგებლობას ავიღებთ და ადამიანუსად მოვეპყრობით, მათაც ადამიანური ქცევით გვიპასუხონ და დანაშაული აღარ ჩაიდინონ“.

ამ სიის შედგენა არ არის მარტივი საქმე. კომისიის სხდომა გვქონდა და 4 საათის განმავლობაში 78 საქმეს ვიხილავდით. ამხელა შრომას რომ ჩადებ და მერე იმ სიას რომ გადადებენ და სხვებს გამოუშვებენ, ძალიან შეურაცხმყოფელია. უზარმაზარი შრომა და პასუხისმგებლობა სჭირდება ამ ადამიანების საქმეების გადარჩევას. აქამდე ეს ყველაფერი საკაშვილის პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა. მე კი მინდა, რომ ჩვენი სია არავის პოლიტიკურ მიზნებს არ ემსახუროს, ვინ დარჩეს ციხეში და ვინ გამოვიდეს, ეს ამბავი ნაკარნახევი იყოს მხოლოდ ადამიანობითა და სამართლით.

— ამ კომისიას 12 წელი თავმჯდომარეობდა ელენე თევდორაძე. თქვენი აზრით, ამ პრინციპების — ადამიანობისა და სამართლიანობის — დაცვას ის ვერ ახერხებდა?

— მქონდა შეხვედრა კომისიის წინა თავმჯდომარესთან და ბევრ რამეზე ვისაუბრეთ, ძალიან საინტერესო რჩევებიც მომცა. ელენე თევდორაძემ თავად ისაუბრა იმაზე, თუ როგორ აშანტაჟებდნენ, როგორ უპირებდნენ დაჭერას. ვიღაც ჰყოლიათ დაკავებული, რომელსაც ეუბნებოდნენ, რომ ხელი დაედო ელენე თევდორაძისთვის, თითქოს მან ფული აიღო. ელენე თევდორაძე ამბობს, რომ ის სიას აგზავნიდა, მაგრამ საკაშვილი სხვა სიით უშვებდა პატიმრებს. პროკურატურას თავისი სიები ჰქონდა და იმით ხელმძღვანელობდა. ჩვენთან კი ასე არ იქნება.

— ელენე თევდორაძე ამბობს, რომ მის ადგილას თქვენი დანაშაულის ამბავი ტელევიზიით გაიგო. რამდენად მისაღები და გამართლებულია ასეთი ფორმით გათავისუფლება თანამდებობიდან?

— რა თქმა უნდა, ეს ფორმა არ იყო სწორი, ჯობდა, მისთვის პირადად ეთქვათ. თავიდან მეც მისაყვედურა, მაგრამ მე რა უნდა მექნა?! წინა დღით კი ვიცოდი, რომ მე ვიქნებოდი ამ თანამდებობაზე, მაგრამ მე ხომ არ დავურეკავდი?! ჩემგან ეს ნორმალური ნაბიჯი არ გამოვიდოდა.

— რა რჩევები მოგცათ ქალბატონმა ელენემ?

— ის, თუ როგორ მუშაობს კომისია, რა პრობლემას შეიძლება წავაწყდე, რა კრიტერიუმზე როგორი მოსაზრება აქვს თავად და ა.შ.

— როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში რატომ შეაჩერეს თქვენზე არჩევანი? კარგად იცნობთ ახალ პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს?

— პრეზიდენტმა რომ დამამტკიცა, ფაქტია, მაგრამ მან ვისი რჩევით გააკეთა ეს, ყურმოკვრით კი ვიცი, მაგრამ ამ ყურმოკრულზე ლაპარაკი არ მინდა. გიორგი მარგველაშვილს კარგად ვიცნობ, რადგან ჩემი ერთ-ერთი საყვარელი და ყველაზე საინტერესო რესპონდენტი იყო. შიგნით რა და როგორ მოხდა, ამის არც გარკვევა დამიწყია და არც არავისთვის მიკითხავს.

— ამბობთ, ამ საქმეში „არიფი“ ვარო. არც იურიდიული განათლება გაქვთ.

— შემიძლია თამამად გითხრათ, რომ ახლა, როცა ჩემი დანიშვნიდან უკვე რამდენიმე დღე გავიდა, ისეთი არიფი აღარ ვარ, რადგან ამ ხნის განმავლობაში ყველა ჩემთვის პატივსაცემ იურისტს ველაპარაკე, ელენე თევდორაძეც გამოვკითხე, შეწყალების კომისიის აპარატშიც რამდენჯერმე მივედი. კომისიის სხდომაც იმაზე ბევრად საინტერესოდ წარიმართა, ვიდრე წარმომედგინა. ასე რომ, ისეთი არიფი აღარ ვარ! ცოტა ხანში დებულებასაც გავასწორებთ. ახლაც შემიძლია პასუხისმგებლობით ვილაპარაკო, მაგრამ სულ ცოტა ხანში გაცილებით თამამად ვიქნები.

Cyan Magenta Yellow Black

არსად წერია, რომ იურიდიული განათლებაა საჭირო, რათა ამ კომისიას უხელმძღვანელო. პრეზიდენტმა ჩათვალა, რომ ამ ყველაფერს თავს გავართმევდი. მეც მიმაჩნია, რომ ასე იქნება და გპირდებით, მივაღწევ იმას, რაც საჭიროა — იყოს ადამიანური პროცესი და ის გამოვიდეს გარეთ, ვისაც ნამდვილად ეხება შეწყალება. ჩვენზე არანაირი გვერდითი მოვლენა თუ დავალება არ აისახება და არც პოლიტიკური შეკვეთები. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, თუ ვინმე შეეცდება, ჩაერიოს, ამას ხმამაღლა ვიტყვი, დავწერ განცხადებას, დავიხურავ ქუდს და წამოვალ!

„აკო მინაშვილი ამბობს, ელისაშვილს დაუფასეს რაღაცო. თვითონ აკო მინაშვილი აღიქვამს ასე, რომ ასეთი თანამდებობა მისთვის და მისნაირი ხალხისთვის ფულის შოვნის და ცხოვრების ანყობის საშუალებაა. ჩემთვის ნებისმიერი დამატებითი შემოსავალი ზედმეტი ნამდვილად არ არის. უსინდისო ვიყო, თუ ანაზღაურების საკითხი გამერკვიოს, მერიდება, რადგან ჯერ კიდევ არ ვარ გარკვეული იმაში, თუ როგორ, რა მექანიზმებით მუშაობს ეს კომისია".

პრეზიდენტსაც ექნება პატიმრების შეწყალების უფლება. დავაკვირდებით, ვის გამოუშვებს. თუ ვიღაც ჯოჯოხეთური ტიპები გამოუშვა, ჩვენი სიის სრული იგნორირება მოახდინა და თავისი სიებით გამოუშვა ხალხი, ეს კომისიის აბუჩად აგდება იქნება. მაშინ ჩემს თავს ვერ დავინახავ ამ კომისიაში და ქუდს დავიხურავ. მე აქ საშოვარზე არ მოვსულვარ. რომ გენახათ, რა დღეში ვიყავი ეს დღეები, შეგეცოდებოდით. მონდომებული და ანთებული ვარ და მჯერა, ამ ყველაფერს თავს აუცილებლად გავართმევ. თავი მართლა შარში გავყავი!

— პატიმრებიც ვარეკავენ?

— კი, პატიმრებიც მირეკავენ ციხეებიდან. საღამოს 9 საათამდე შეუძლიათ დარეკვა და მირეკავენ და მირეკავენ. ვისაც განცხადება აქვს შემოტანილი, აინტერესებთ, განიხილება თუ არა. ამით იწყებენ და მერე გულს იოხებენ, მიყვებიან თავიანთ ამბებს. მეც ველაპარაკები, ვაკვალიანებ, ვაზუსტებ რაღაცეებს და ა.შ. ბევრ ისეთ რამეს მეკითხებიან, რაც არ მეხება, მაგრამ მესმის მათი, რადგან გამომწყვდეულები არიან. უნდათ, დამაჯერებლად და გრძლად მომიყვნენ თავიანთი ისტორიები. მეც შეძლებისდაგვარად ვუსმენ.

— გაჯერებულ თაყვანთ სიმართლეში?

— პატიმრის მონათხრობით არ ვხელმძღვანელობ. ეგეც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ საქმე თავად მეტყველებს ბევრ რამეზე. ხელაღებით არ მივიღებთ გადაწყვეტილებას. თითოეულ საქმეს გულდასმით გავეცნობით. ბევრი ისეთი დეტალი აღმოვაჩინეთ განხილვის დროს, რამაც სრულიად შეცვალა ჩვენი დამოკიდებულება ზოგიერთი ადამიანის მიმართ და გადაწყვეტილებაც შეგვაცვლევინა. მართალია, საბოლოო გადაწყვეტილება არ მიგვიღია, მაგრამ მაინც. ზოგის მიმართ მის სასარგებლოდ გადავიხარეთ და ზოგის მიმართ — პირიქით.

— ყველაზე შემზარაკი საქმე რომელი იყო?

— ასე დაკონკრეტების უფლება არ მაქვს. არის პედოფილიის, მკვლელობის შემთხვევები და ეს ადამიანები ითხოვენ შეწყალებას.

— შეცდომისგან დაზღვეული არაკინ არის. შეიძლება თქვენც კი მოაწეროთ ხელი ისეთი დამნაშავის გარეთ გამოშვებას, რომელიც ისევ დანაშაულს ჩაიდენს.

— რა თქმა უნდა, შეცდომისგან დაზღვეული არავინ ვართ და მათ შორის — მეც. იმ ადამიანებს, რომლებიც შეწყალებულთა სიაში მოხვდებიან, სულით და გულით ვთხოვ, წყნარად მოიქცნენ და შარში აღარ გაეხვიონ, რადგან ძალიან მინდა, ვისზეც პასუხისმგებლობას ავიღებთ და ადამიანურად მოვეპყრობით, მათაც ადამიანური ქცევით გვიპასუხონ და დანაშაული აღარ ჩაიდინონ. ისეთ ხალხს ნამდვილად არ გამოვუშვებთ, ვისაც ისეთი მოცემულობა აქვს, რომ საზოგადოებას აუცილებლად შეუქმნის საფრთხეს. მოვითხოვთ, გვქონდეს ციხეებში შესვლის უფლება, რადგან ზოჯერ საქმეები ყველაფერს ვერ სცემს პასუხს.

— ქურდულ სამყაროსთან, პატიმრებთან ურთიერთობა გქონიათ აქამდე?

— ასეთ ადამიანებთან ძალიან იშვიათად მქონია შეხება. ახლობლები მეცმყოლია ამ წრიდან. ცხოვრებამ ზოგს რა მისცა და ზოგს — რა. ისეც არ არის საქმე, რომ ვიღაც ქურდმა რაღაც მომატყუოს და თავი ისე მომაჩვენოს, რომ ვერ მივხვდე, რა უნდა.

— მზად ხართ იმისთვის, რომ ბევრი უკმაყოფილო დაგრჩებათ და ბევრ მტერსაც გაიჩენთ?

— სამაგიეროდ, სინდისი მშვიდად მექნება იმის გამო, რომ ვისაც გამოვუშვებ, ის ნამდვილად იმსახურებდა გარეთ ყოფნას. ვიღაცას გავანაწყენებთ, ვიღაცას — არა. კომისიის წევრები ძალიან მომწონს. სხდომაზე მათთან ურთიერთობით ძალიან ვისიამოვნე. მზად ვარ, ვიღაც გავანაწყენო, მაგრამ, ჰუმანიზმის გარდა, სხვა სახელმძღვანელო პრინციპი არ მექნება.

„ეღენე თევდორაძემ თავად ისაუბრა იმაზე, თუ როგორ აშანტაჟებდნენ, როგორ უპირებდნენ დაჭრას. ვიღაც ჰყოლიათ დაჯავებული, რომელსაც ეუბნებოდნენ, რომ ხელი დაედო ეღენე თევდორაძისთვის, თითქოს მან ფული აიღო".

— ნაციონალური მოძრაობის წევრებმა თქვენზე თქვეს, „ქართული ოცნებისთვის" გაწეული სამსახური დაუფასდაო.

— აკო მინაშვილმა თქვა და ამით მან სახელმწიფო თანამდებობაზე ყოფნის თავისი გახრწნილი მსოფლმხედველობრივი აღქმა წარმოაჩინა. გადარეკეთ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში და გაარკვიეთ, თუ ვიკითხე, რამდენი მექნება ანაზღაურება. მითხრეს, მანქანა უნდა მოგემსახუროსო, ტელეფონის ანგარიშს შეგივსებენო. ერთადერთი, რაც შალვა რამიშვილს ვთხოვე და ამის გამო მან სხვას დამაკავშირა, ის იყო, რომ ოთახი მოეცათ.

ბევრი მწერდა და მირეკავდა, მიღების საათები როდის გაქვთო. უხერხული იყო, ხალხს „კავკასიის" ეზოში რომ ვიბარებდი. ეს დღეები წვიმდა და წვიმაში ვიდექი და ველაპარაკებოდი. ტელეკომპანიაში შეყვანა კიდევ უფრო მეუხერხულებოდა, რადგან იქ ხალხი მუშაობს. მარტო არ ვზივარ ოთახში, თორემ ასეთ შემთხვევაში კიდევ შეიძლებოდა. ამიტომ ვთხოვე შალვას, ოთახის პრობლემა მომიგვარეთ-მეთქი. მანამდე ვთხოვე, საშვის დაშვების საკითხი მოეგვარებინათ, რომ სახელმწიფო კანცელარიაში შესვლა გამმარტივებოდა. ეს არის ჩემი პასუხი აკო მინაშვილისადმი.

ჩემს ორ შვილს გეფიცებით, ღამეები არ მძინავს! 5-6 საათამდე ვერ ვიძინებდი იმაზე ფიქრით და დარდით, რომ ამხელა ტვირთი ავიკიდე. არ შევრცხვე, ვინც იმედის თვალით მიყურებს, მათ ეს იმედი არ გავუცრუო-მეთქი. ამ დროს კი აკო მინაშვილი ამბობს, ელისაშვილს დაუფასეს რაღაცო. თვითონ აკო მინაშვილი აღიქვამს ასე, რომ ასეთი თანამდებობა მისთვის და მისნაირი ხალხისთვის ფულის შოვნის და ცხოვრების აწყობის საშუალებაა. მათთვის ეს საშოვარია და ჩემთვის — პასუხისმგებლობა.

ნამდვილად არ გადამდის თავზე არაფერი. წუწუნს არ ვაპირებ, მაგრამ ჩემთვის ნებისმიერი დამატებითი შემოსავალი ზედმეტი ნამდვილად არ არის. უსინდისო ვიყო, თუ ანაზღაურების საკითხი გამერკვიოს, მერიდება, რადგან ჯერ კიდევ არ ვარ გარკვეული იმაში, თუ როგორ, რა მექანიზმებით მუშაობს ეს კომისია და როგორ უნდა დაიხვეწოს ყველაფერი. ასე რომ, ჩემთვის ეს ტვირთია და არა — ხეირი, საშოვარი თუ ფულის კეთების ასპარეზი.

— სოციალურ ქსელებში თქვენს ამბავს განიხილავენ და სიფიცხის გამო გიწუნებენ.

— ფიცხი ხასიათი მაშინ მაქვს, როცა უსამართლობას ვაწყდები და თეთრზე რომ მიმტკიცებენ, შავიაო, აკო მინაშვილის ამხანაგები. როცა ეკითხები ერთს, გპასუხობენ მეორეს, ფიცხი იქნები, აბა, რა იქნება?! კომისიის წევრებს ჰკითხეთ, რამდენად ფიცხი ვიყავი კომისიის სხდომაზე.

— მართალია, რომ გადაწყვეტილია პატიმრების რაოდენობა 4 ათასამდე უნდა შემცირდეს?

— ასეთი რამ არ მსმენია. დღეისთვის 9 ათასი პატიმარია ციხეში, მაგრამ ჩემთვის მსგავსი რამ არავის უთქვამს და ვერც ვერავინ მეტყვის.

— „ფეისბუქზე" ასეთი გვერდიც გაჩნდა — „ალეკო ელისაშვილი თბილისის მერად!". მართლა გაქვთ თბილისის მერობის ამბიცია?

— არა, არ მაქვს და არც ვაპირებ თბილისის მერობას. ეს გვერდი ჩემი გაკეთებული არ არის. ვიცი, ვინც გააკეთა — ჩემმა უბნელმა დათომ, ძალიან კარგი ბიჭია. მომწერა, მე გავაკეთეო. მე არაფერ შუაში ვარ. ვთხოვე, გაეუქმებინა, მაგრამ მიპასუხა, ჩემი საქმის მე ვიცი. მისი არჩევანია და რა ვქნა?

✓ **რუსუდან ადვაძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ლუი მეთოთხმეტე და სულხან-საბა — გაუგებრობა აღარ არსებობს?

ხამაზ საყვარელიძე: „ევროკავშირს არ უნდოდა გაფართოება და ამისკენ ახლა დგამს ნაბიჯს. საკითხავია — რატომ?"

დიდი ქართული ოცნება ასრულებასთან სულ ახლოსაა — საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება პარაფირებულია. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა დამარცხებული და გამარჯვებული, ძველი და ახალი ხელისუფლება ერთნაირად გახარებულია, განსხვავებით ექსპერტებისგან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ჯერ არ გაკეთებულა პროფესიონალური შეფასებები, რას რის სანაცვლოდ გვთავაზობს ბებერი ევროპა.

რამაზ საყვარელიძე, ექსპერტი:

— ამ ნაბიჯს ეკონომიკური შინაარსი ნამდვილად აქვს. ის გულისხმობს სავიზო რეჟიმის მოხსნას გარკვეული ტიპის მოქალაქეებისთვის, კერძოდ, ბიზნესმენებისთვის, ანუ ზოგადად მოქალაქეებს ნაკლებად შეეხება. მეორე მხრივ, ეს ნიშნავს გარკვეული სტანდარტების მქონე საქონლისთვის ბაზრის გახსნას. ორივე მხარე საყურადღებოა. ევროპული ბაზრის გახსნა თითქოს საინტერესოა, მაგრამ იმ სტანდარტებისგან, რაზედაც ევროპა არის ორიენტირებული, ჩვენ ძალიან შორს ვართ და შეიძლება მივიღოთ ის სურათი, რომელიც ახლაც გვაქვს. ახლაც გვაქვს ევროპაში გასვლის სხვადასხვა ვარიანტები, მაგრამ ვერ გავდივართ, რადგან საქონელი არ გვივარგა, ანუ მოვახერხებთ თუ არა ამ შანსის გამოყენებას, ჩვენზეა დამოკიდებული.

— ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ საქართველოში მოყვანილი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი ბაზარზე ადვილად შევა.

— სუფთა პროდუქტი სტანდარტიზებულიც უნდა იყოს, ანუ ბაზარი სუფთა პროდუქტისთვის ღიაა, მაგრამ გარკვეულ სტანდარტსაც უნდა აკმაყოფილებდეს. ქვეყანაში კი სტანდარტის არც ერთი სამსახური არ არსებობს და სერტიფიცირების გარეშე რატომ შეუშვებს თავის ქვეყანაში? ასე რომ, ნატურალურობა არ ნიშნავს, რომ მარტივად შევა. ალბათ ჯერ შესაბამისი სამსახურები უნდა შეიქმნას, რომლებიც აქტიურად განადგურდა წინა ხელისუფლების დროს, თუმცა მანამდე არსებულიც დიდად არ ვარგოდა. თუ ღვინოში მოვახერხეთ აგვეწია ხარისხი, როცა დაგვიწუნეს, იმედია, სხვა პროდუქტებშიც შევძლებთ. დაახლოებით იმავე ამოცანის წინაშე ვდგავართ.

— პარაფირება ნამდვილად არის დიდი ნაბიჯი ევროპისკენ?

— დიდია თუ პატარა, ეს ის საფეხურია, რომელიც უნდა გაიარო. პარაფირების ხელშეკრულების დიდპატარაობა დამოკიდებულია მთლიან კონტექსტზეც. პარაფირების ხელშეკრულება გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან აქვს თურქეთს, მაგრამ შესული არ არის. საბედნიეროდ, ანალოგიური საფრთხე — მიგრაციული თუ სხვა კუთხით, ევროპას ჩვენგან არ ემუქრება, ამდენად, შეიძლება უფრო მარტივად მოხდეს ჩვენი ინტეგრირება.

— ისე, როგორ მოგეწონათ დიდი ევროპისკენ სვლა „შალახოსა" და „სულიკოს" ფონზე?

— ვერ გავარკვიე, ვისი არჩევანი იყო.

— ქართული მხარე ამბობს, მათთან.

— ლიტველებს რამე რომ მოვუწყოთ, ჩვენი გემოვნებით გადავწყვეტთ თუ იქაური კულტურის მცოდნეს ვკითხავთ? შეურაცხყოფის განცდა ნამდვილად ექნებოდა „ხასანბეგურასა" და „მრავალჟამიერის" მქონე ქართველ კაცს, როცა ამ დონის ცერემონიალზე მას „შალახოთი" წარმოაჩენდნენ. ალბათ სრულიად გაუგებარია, რატომ იღებს იქითა მხარე სიმბოლიკის შერჩევაში მონაწილეობას და თან, როცა ეს სიმბოლიკა შეიძლება არ იყოს ადეკვატური.

— „შალახოთი" და „სულიკოთი" მისულები ევროპისგან რას უნდა ველოდოთ?

— კარგის მოლოდინი რომ არ არის, ფაქტია. რუსეთიდანაც რომ არ გვქონდეს გარკვეული ცუდი მოლოდინები, ევროკავშირში შესვლა, ისევე როგორც ნებისმიერ კავშირში, გულისხმობს არამარტო იმას, შენ მიიღებ რაღაცას, არამედ იმასაც, რომ ისიც მიიღებს რაღაცას. ჩვენ სულ ვლაპარაკობთ იმაზე, ჩვენ რაში გვჭირდება ევროკავშირი და რას მოგვცემს, არ ვკითხულობთ, მათ რაში სჭირდებათ საქართველო, რითია მათი ეს ინტერესი განპირობებული. პოლიტიკური ინტერესი თითქოს გასაგებია, ევროპის გავლენა იზრდება რეგიონში, მაგრამ ამაში ეკონომიკური ინტერესებიც დევს. ჩვენც ხომ სულ ეკონომიკაზე ვლაპარაკობთ, ოღონდ ჩვენი ინტერესებით. ურთიერთობა დაამყარო მხოლოდ შენი ინტერესით და არც იკითხო, მას რა უნდა, არა მგონია, შორსმჭვრეტელური სტრატეგია იყოს.

„ჩვენ სულ ვლაპარაკობთ იმაზე, ჩვენ რაში გვჭირდება ევროკავშირი და რას მოგვცემს, არ ვკითხულობთ, მათ რაში სჭირდებათ საქართველო, რითია მათი ეს ინტერესი განპირობებული. ურთიერთობა დაამყარო მხოლოდ შენი ინტერესით და არც იკითხო, მას რა უნდა, არა მგონია, შორსმჭვრეტელური სტრატეგია იყოს".

— თქვენი აზრით, მათ რა უნდათ?

— მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ამდენი ხანია ცდილობს შევიდეს ევროკავშირში, თურქეთში ამას ოპონენტებიც ჰყავს სწორედ იმიტომ, რომ იქ შესვლა რაღაც ვალდებულებებს გულისხმობს მათი სახელმწიფოს მხრიდან, რომელთა შესრულება შეიძლება მათ არ აწყობდეთ. ჩვენ ამაზე საერთოდ არ ვმსჯელობთ.

— თურქეთთან დაკავშირებით კრიტიკოსების პოზიცია მეტნაკლებად გასაგებია. ახლო აღმოსავლეთში დღეს თურქეთის ეკონომიკა იმ მდგომარეობაშია, რომ პრაქტიკულად ყველა მეზობელი სახელმწიფო მისი ბაზარია, მათ შორის — ჩვენც, რომ არაფერი ვთქვათ მის 70 მილიონიან ბაზარზე.

— ჩვენ აქამდე ბევრი გვიკლია, მაგრამ თურქეთის ბაზარი მომყავს მაგალითად არა იმიტომ, რომ მათთან შესაჯიბრი სიტუაცია გვაქვს, არამედ იმიტომ, რომ დაფიქრება უნდა ყველაფერს. არგუმენტები უნდა გქონდეს, რატომ გინდა და არ გინდა. არგუმენტები უნდა აწონ-დაწონო. ჩვენ კი აქამდე არ მივდივართ.

— როცა ევროკავშირზე ვსაუბრობთ, საბერძნეთის და კვიპროსის მაგალითი უფრო მახსენდება, ვიდრე თურქეთის, მათთან ფასების მატება რომ გამოიწვია და მათმა ეკონომიკამ ვერ გაუძლო.

— ესეც საფიქრალია. დღევანდელი ევროპა არ არის ისეთი სისტემა, სადაც სუსტი კარგად იგრძნობს თავს. ხომ ხედავთ, ისინიც კი, ვისაც ჩვენ სუსტად არ ვთვლით, კრიზისში აღმოჩნდნენ. მეორე, ევროკავშირს არ უნდოდა გაფართოება და ამისკენ ახლა დგამს ნაბიჯს. საკითხავია — რატომ? საქართველოში დიდი ევროპული კრიზისი არ არის გააზრებული. ჩვენ სიტყვაზე „ევროპა" აღფრთოვანებას გამოვხატავთ, მაგრამ რას ნიშნავს დღევანდელი ევროპა, პროფესიონალებისგან ასეთი ანალიზი არ მომისმენია.

„ჰარაფირების ხელშეკრულება გასული საუკუნის 60-იანი ნლებიდან აქვს თურქეთს, მაგრამ შესული არ არის. საბედნიეროდ, ანალოგიური საფრთხე — მიგრაციული თუ სხვა კუთხით, ევროპას ჩვენგან არ ემუქრება, ამდენად, შეიძლება უფრო მარტივად მოხდეს ჩვენი ინტეგრირება".

— საქართველოს ძველი და ახალი ხელისუფლებაც თანხმდება იმაზე, რომ ევროპისკენ სვლას ალტერნატივა არ აქვს. და თუ მართლა არ არ აქვს, მაშინ რა აზრი აქვს ფიქრს, თუ მაინც იქით უნდა წაიდეთ?

— ევროპულ გზას რომ ალტერნატივა არ აქვს, მეც აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, თუმცა არა მგონია, რომ დასავლური სტრუქტურები რუსეთისგან დაცვის თვალსაზრისით სანდო იყოს. ნახეთ, უკრაინა ასე დაჯაბნა რუსეთმა და ევროპამ საპროტესტო განცხადების გარდა ვერაფერი გააკეთა. არ არის ევროპა იმ ძალის, რომ რუსეთი კუთხეში დააყენოს. მაგრამ არსებობს კონტექსტი, რისთვისაც მე საქართველოს ევროპულ ოჯახში შესვლა აუცილებლად მიმაჩნია.

— ჩამოთვალეთ, ევროპულ ოჯახში გაწევრებას ჩვენთვის რა დადებითის მოტანა შეუძლია.

— პროგნოზები იყო და ნახევრად უკვე გამართლებულია, რომ ისლამს ქრისტიანულ ევროპასთან პოლიტიკური ინტერესები აქვს. დამფრთხალი მოლოდინებია იმის, რა გზას აირჩევს ჩინეთი, როცა საგარეო პოლიტიკის უფრო აქტიურ წარმოებას გადაწყვეტს. ის ჯერ აგროვებს პოტენციალს, როგორც ეკონომიკურს, ისე სამხედროს, მაგრამ რაში გამოიყენებს, არავინ იცის. აი, ამ დიდი მოლოდინის წინაშე საქართველოს დაფიქრება მოუწევს იმიტომ, რომ, გინდ ერთი, გინდ მეორე, თუ დასავლეთისკენ დაიძრა (და ჩინეთს არანაირი საქმე არ აქვს აღმოსავლეთისკენ, მას ტერიტორიები სჭირდება), ამ ორივე ტალღამ საქართველოზე უნდა გადაიაროს. ამხელა ტალღებისთვის საქართველო მზად არ არის, მაგრამ ეს პროცესები იქნება ის, რაშიც ჩვენი და ევროპის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვევა. ჩვენ ეს ერთიანობა გადაგვარჩენს და ამ ერთიანობაში ჩვენ ვიქნებით ერთ-ერთი სამეთვალყურეო ზო-

Cyan Magenta Yellow Black

ზვიად ძიძიგური: „2012 წელს მეც ვიყარე თბილისის მერობაზე კენჭი და „კარენნოი“ თბილისელებს მოვუგე“

„კოალიციის წევრებს რაღაცეებში არ ვეთანხმები, მაგრამ ამაზე საჯაროდ არ ვილაპარაკებ!“

„ოცნებაში“ უთანხმოებაა. ზაქარია ქუცნაშვილმა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეობასთან ერთად საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელის თანამდებობაც დატოვა. ამ უკანასკნელიდან წასვლის თაობაზე პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს განცხადებით უკვე მიმართა. სავარაუდოდ, მას ამ პოსტზე ზვიად ძიძიგური ჩაანაცვლებს. ქუცნაშვილს ჯერ არ გადაუწყვეტია, დარჩება თუ არა წევრის სტატუსით ინტერფრაქციული ჯგუფის შემადგენლობაში. კულუარებში კი აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ ქუცნაშვილი „ქართულ ოცნებაში“ არსებულ დაპირისპირებას შეეწირა.

არაოფიციალურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ დაპირისპირების მეორე მხარეს უმრავლესობის წევრი დავით საგანელიძე დგას. „ქართულ ოცნებაში“ რომ შიდა დაპირისპირებაა, ამას საპარლამენტო უმრავლესობის წევრები დიდი ხანია ადასტურებენ, თუმცა კონკრეტული კომენტარისგან თავს იკავებენ. უმრავლესობის წევრებთან პრობლემები აქვს დავით ლორთქიფანიძესაც, რომელიც კოაბიტაციის მახინჯ ფორმას ეწინააღმდეგებოდა. უმრავლესობის წევრები კი პრესასთან ყველანაირ დაპირისპირებას უარყოფენ და გადაადგილებებს მუშა პროცესს აბრალებენ.

„სარკე“ „ქართული ოცნების“ შიგნით მიმდინარე პროცესების გარკვევას პარლამენტის ვიცესპიკერ ზვიად ძიძიგურთან ინტერვიუში შეეცადა.

— ბატონო ზვიად, კოალიციამ მმართველობის ერთი წლის თავზე რა შედეგი მიიღეთ?

— ჩვენი ქვეყანა თვისობრივად გახდა სხვა სახელმწიფო, რაც გამოიხატება, პირველ რიგში, იმით, რომ საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადავედით, რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური გემოვნების მიხედვით კი არ ხდება ქვეყნის მართვა, არამედ უმრავლესობაში მოსული ძალები ხდებიან ქვეყნის პოლიტიკის საშინაო და საგარეო კურსის განმსაზღვრელნი.

ჩვენ ვნახეთ, საქართველომ ვილნიუსის სამიტზე როგორ მოაწერა პარაფირებას ხელი, რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის პირველი წუთიდან გვესმოდა, რომ ჩვენი სწრაფვა დასავლეთისკენ არის მოჩვენებითი და სინამდვილეში რუსულ ორბიტაზე გვინდა დაბრუნება. ახლა კი მთელმა მსოფლიომ დაადასტურა, რომ ჩვენი კურსი არის დასავლური და ეს ხდება იმის პარალელურად, როცა ვცდილობთ ურთიერთობის ნორმალიზებას რუსეთთან.

რუსეთთან, რომელმაც საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპირება მოახდინა და კიდევ ცდილობს საქართველოს მიწა-წყლის მიტაცებას, ჩვენი მიდგომა არის აბსოლუტურად მეზობლური. ხელისუფლების პოზიცია არის გონივრული და სწორი. გარდა ამისა, ის, რომ ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების ფასი გაიზარდა; ის, რომ არასამთავრობო სექტორი გახდა ძლიერი; ის, რომ მედია არის აბსოლუტურად თავისუფალი, განსაკუთრებით ელექტრონული მედია; ის, რომ სასამართლო არის გაცილებით დამოუკიდებელი; ის, რომ პოლიტიკური ფუნქცია დაკარგა პოლიციამ და მიიღო სერვისის ფუნქცია, რომ მოემსახუროს ქართველ ხალხს; ის, რომ არჩევნებში ხელისუფლებამ დაადასტურა თავისი ნება, რომ აპირებს სამართლიანი არჩევნების ჩატარებას და არ აპირებს სახელისუფლებო რესურსების გამოყენებას — ეს ყველაფერი, ჯამში, გვაძლევს სურათს, როგორი საქართველო გვაქვს დღეს. არ არის მოწოდებები და დაპირისპირებები ქვეყნის შიგნით. ხელისუფლება იძლევა მაგალითს, რომ ქვეყანა წავიდეს დამშვიდებისაკენ და მეტი ვიფიქროთ ეკონომიკის გაზრდაზე.

— რუსეთისა და საქართველოს პრობლემებს ხელისუფლების გონივრული პოზიცია როგორ გადაჭრის? ხომ ხედავთ, როგორ მოხანმოძართულად მოიწევენ მცოცავი ანექსიით?

— გვჭირდება გრძელი, კანონზომიერი ქმედებები, რომ ეს პრობლემები მოგვარდეს. ამისთვის კი მთავარი ბერკეტი, რაც საქართველოს გააჩნია, არის სწორედ ევროკავშირი, ნატო, საერთაშორისო თანამეგობრობა, რომელიც მუდმივად თავის პოლიტიკას უპირისპირებს რუსეთს. ეს არის საუკეთესო საშუა- →18

ვყიდით მაკულატურას
☎ 599 95 54 83

ლი, როგორც ისტორიულად ვიყავით ქრისტიანული სამყაროსთვის. ამიტომაც არის საჭირო, სწრაფად ჩაჯდეს ევროპულ ოჯახში საქართველო.

— სანამ ევროპული ოჯახამდე მიგალთ, ყველა ფიქრობს, რომ დიდი საფრთხის შემცველი წლები გველოდება. რუსეთმა იმაზე მეტი რაღა შეიძლება გააკეთოს, რაც აქამდე გაგვიკეთა?

— არამცოცავი ანექსიაცაა და ამიტომ ასე ადვილად ნუ შევხედავთ რუსულ თამაშს, რომ მეტი არაფერია დარჩენილი. დარჩენილი ყოველთვის არის, მაგრამ მეეჭვება, რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგას სოჭის ოლიმპიადამდე. მანამდე არც რაიმე ხელისმოწერას ვვარაუდობ. გვინახავს, რომ რუსეთს შეუძლია ეს პროცესები მართოს ევროპის ქვეყნების მართვით. აქაც ალბათ ასე იქნება, გააჭიანურებს მანამდე, სანამ ოლიმპიადას მოამთავრებს და მერე უკვე ამ თემას სხვა გზით მიხედავს. არ ვამბობ, რომ აგრესიისკენ წავა, მაგრამ შეიძლება ისეთი საკითხები დააყენოს



ევროპის სანაცვლოდ, რომ საქართველოს დაფიქრება მოუწიოს.

— სასპეკულაციო თემაში ალბათ სიხშირეა და ცხინვალს გულისხმობთ.

— თუნდაც.

— ხელისუფლება მზად არის, ამ გამოწვევებს გაუძღოს?

— გაძღების თვალსაზრისით, ხელისუფლების იმედი მაქვს, მაგრამ ეჭვი მეპარება, საქართველო და ევროპაც რამდენად მოახერხებს, რუსეთს მოუგოს. ეჭვი მეპარება არამარტო იმიტომ, რომ საქართველო ვერ მოიფიქრებს, პირიქით, საქართველო უფრო მოიფიქრებს, რადგან გამობრძმედილია რუსულ თამაშებში, მაგრამ მგონია, რომ დასავლეთი არ აჰყვება ჩვენს ქვეყანას ან ვერც თვითონ მოიფიქრებს ეფექტურ სვლებს. დასავლეთის მხრიდან ჩვენ ვხედავთ ერთმანეთზე მიყოლებულ შეცდომებს.

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოს სანქცია დაუწესა. ითქვა, რომ 2 წლის განმავლობაში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ეგიდით შესვლდრები არ გაიმართება, მიზეზი კი არის რუსი დეპუტატი ჯასალი ლიხაჩოვი, რომელსაც საქართველოში წინასაპრეზიდენტო არჩევნებზე დაკვირვების უფლება არ მიეცა.

— თქვენც ზუსტად ის გაგახსენდათ, რაც მე ვიფიქრე, მაგრამ არ ვთქვი. სწორედ ანალოგიური შეცდომები შეიძლება გახდეს დროებითი სირთულეების წყარო.

— იმედია, მართლაც დროებითი სირთულეების და ისევ არ შეეჩეხებით ლუი მეთოთხმეტისდროინდელ პრობლემას.

— იმას გულისხმობთ, რომ, როგორც ლუი მეთოთხმეტე ვერ მიხვდა საქართველოს პერსპექტივას, შეიძლება ევროპაც ვერ მიხვდეს?

— დიახ.

— ერთ გერმანელ მსხვილ ფინანსისტს სახელმწიფო სტრუქტურებიდან ვკითხე, რატომ არ აკეთებთ საქართველოში ინვესტიციებს-მეთქი. ჩვენ შედარებით მცირე ფინანსური მასშტაბების ქვეყანა ვართო. აბა, დიდი ვინ არის-მეთქი, ვკითხე და ამერიკა, ის თამაშობს მსოფლიო მასშტაბითო, მიპასუხა და სწორადაც. მართლაც ამერიკაა მსოფლიო მასშტაბის მოთამაშე პოლიტიკაშიც და ეკონომიკაშიც. ევროპა გაცილებით ვიწრო ინტერესების პატრონია, შეიძლება ეს ლუი მეთოთხმეტიდან მოდის ან დღევანდელი მდგომარეობითაც იყოს გამოწვეული — ეკონომიკური პოტენციალი არ აქვს.

ასე რომ, დღეს თუ მივადგებით ევროპას, მარტო მასზე არ იქნება დამოკიდებული, გაგვიხსნიან თუ არა კარს. ამერიკაზეც იქნება დამოკიდებული და ეს არის ევროპისკენ ჩვენი სვლის დიდი გარანტი. ამერიკამ იცის კავკასიის კვანძის ფასი და ის სულ მუშაობს, რომ ევროსტრუქტურებსა და ნატო-ში შევიდეთ.

პესიმისტები არ უნდა ვიყოთ, სულხან-საბა ორბელიანისდროინდელი ევროპა აღარ არის, განსხვავებულია, რადგან ახალი ფაქტორი აქვს იმ დროსთან შედარებით და ეს არის ამერიკა.

„შეუჩაცხყოფის განცდა ნამდვილად ექნებოდა „ხასანბეგუჩასა“ და „მჰავალეამიეჩის“ მქონე ქართველ ჯაცს, ოცა ამ დონის ცეჩემონიალზე მას „შაღახოთი“ ნაჰმოაჩენდნენ. აღბათ სრულიად გაუგებარია, ჩატომ იღებს იქითა მხარე სიმბოლიჯის შეჩჩევაში მონანილეობას და თან, ოცა ეს სიმბოლიჯა შეიძლება აჩ იყოს ადეკვატური“.

„უმრავლესობის ყველა ნევრი აცნობიერებს, რომ უნდა გააკეთოს არჩევანი — დარჩება ხელისუფლებაში თუ ნავა ოპოზიციაში და ფაქტობრივად ნაცმოძრაობის გვერდით დადგება".

ლება, რომ ჩვენი სუვერენიტეტი და უფლებები დავიცვათ.

— ვარაუდობენ, რომ პარაფირების შემდეგ მძიმე ერთი წელი ელოდება საქართველოს, ისევ რუსეთიდან გამომდინარე.

— არანაირი მძიმე წელი არ იქნება. ეს იქნება ეკონომიკური კონტაქტის დამყარების წელი ევროკავშირთან. გარკვეული ნაბიჯების შედეგად ჩვენი სოფლის პროდუქტები დაბრუნდა რუსულ ბაზარზე, რომლის შესაძლებლობაც ევროკავშირის ბაზართან არის 4-ჯერ ნაკლები. ევროკავშირის ბაზარი 500 მილიონიანია, მაშინ როცა რუსეთის ბაზარი 130 მილიონია და ეს არ არის ბერკეტი, რომლის ამოქმედებითაც შეუძლია საქართველოზე მოახდინოს ზემოქმედება, რომ უარი ვთქვათ ასოცირების ხელშეკრულებაზე. რუსეთს საქართველოზე ზეწოლის ბერკეტი ბევრად ნაკლები აქვს, ვიდრე უკრაინაზე, სომხეთსა და აზერბაიჯანზე. რაც შეეძლო, უკვე გამოიყენა. სხვა, რაც შეიძლება აამოქმედოს, სოხუმსა და ცხინვალთან შედარებით არის ძალიან მცირე ძალის.

— საკითხავია, ჩვენი პროდუქტი არის ევროპული ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი?

— რითი შეუძლია დანარჩენი მსოფლიო მოხიბლოს საქართველომ? ეს არის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ეკოლოგიურად სუფთა, რომელზეც ამ ბოლო დროს დიდი მოთხოვნილებაა. სწორედ ეს პროდუქტები შეიძლება აწარმოოს საქართველომ და ამ მიმართულებით სერიოზული ეკონომიკური ურთიერთობა გააჩაღოს ევროპასთან. გარდა ამისა, საქართველოში არის იაფი მუშახელი და შესაძლებელია, მალე ვიხილოთ საქართველოში სხვადასხვა ბრენდების საწარმოები, როგორიცაა „მერსედესი", „აუდი". დიდი ბრენდები ყოველთვის ცდილობენ თავიანთი წარმოება გაიტანონ იქ, სადაც მუშახელი არის იაფი და გასაღების ბაზარიც ახლოსაა. ასევე მნიშვნელოვანია ტრანზიტის ფუნქცია, რომელიც საქართველოს გააჩნია. ასე რომ, ერთი ციცქნა ქვეყანას ძალიან სერიოზული ცვლილებები ელოდება ევროპასთან დაახლოების თვალსაზრისით. ამ მხრივ, 2014 წელი იქნება ძალიან საინტერესო.

— საწარმოებს ინვესტორები ხსნიან და, გაწბილებული ბიზნესმენების ფონზე, რომლებსაც ჯერ ფული ჩაადებინეს და მერე ბინადრობა არ მისცეს, ვინ გარისკავს ფულის ისევ შემოტანას?

— ინვესტორის დაფრთხობა ხდებოდა 9 წლის განმავლობაში. ახლა სიტუაცია რადიკალურად არის შეცვლილი. დღეს საქართველოში ყველანაირი სიტუაციაა იმისათვის, რომ ბიზნესმენმა ფული ჩადოს.

— თუ ყველაფერი ასე კარგადაა, რატომ ჩაიკან, მაგალითად, ირანელები, რომ ფული ჩაადებინეს და საბანკო ანგარიშები გაუკეთეს, ან იგივე ეგვიპტელი კოპტები, რომ მთელი ფული დაებანდეს და ახლა ბინადრობის მოპოვებისთვის სასამართლოში უწევთ სიარული.

— კონკრეტული საქმეები არ მაქვს შესწავლილი, მათ კი შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს საქართველოშიც და უცხოეთშიც. გამართლების შემთხვევაში საქართველოს დაეკისრება დიდი ჯარიმები მათ სასარგებლოდ. როცა დავა მიმდინარეობდა ქართველ მეწარმესა და სახელმწიფოს შორის, თუ ასეთ დავებს სააკაშვილის დროს 99,9 პროცენტით იგებდა სახელმწიფო, ივანიშვილის დროს 70 პროცენტი მოიგეს მეწარმეებმა. ესეც არის მნიშვნელოვანი სიგნალი ბიზნესმენებისთვის.

— ვიღლიოუში პარაფირების ცერემონიის დროს გაჟღერებულმა „სულიკომ" და „შალახომ" როგორ სასიათზე დაგაყენათ?

— ისეთი დიდი მნიშვნელობა ნამდვილად არ მიმინიჭებია, როგორსაც სოციალურ ქსელებში ანიჭებენ. არ ვიცი, ჩვენებს ჰკითხეს თუ პირდაპირ ინტერნეტიდან აიღეს ეს მუსიკა, მაგრამ უკეთესის შერჩევა რომ შეიძლებოდა, ცხადია.

— რა ხდება საპარლამენტო ცხოვრებაში?

— სტაბილური ვითარებაა. საუბრობდნენ, რომ პოლიტიკიდან ივანიშვილის წასვლის შემდეგ კოალიცია დაიშლებოდა, მაგრამ არანაირი დაშლის საფრთხე არ არსებობს და ლოგიკაც არის ამაში — ხელისუფლებაში მყოფი კოალიციიდან წასვლა ნიშნავს ოპოზიციაში წასვლას. აქ დგება პოლიტიკური პასუხისმგებლობის თემა. არ ველოდები, რომ კოალიციიდან კობა დავითაშვილის მსგავს ნაბიჯს იმდენი დეპუტატი გადადგამს, რომ ამას რყევები მოჰყვეს. ჩვენი პარლამენტი მალე საუკეთესო იქნება მთელ აღმოსავლეთ ევროპაში.

— „ოცნების" სტაბილურობაზე საუბარი ცოტა მოჩვენებითი ხომ არ არის ზაქარია ქუცნაშვილის ნაბიჯის შემდეგ? თქვა, რომ თქვენ ჩაანაცვლებთ ინტერფრაქციულ ჯგუფში. იმასაც ამბობენ, რომ ყველაფერი, რაც ხდება „ოცნებაში", დაკით საგანელიძის ჯგუფთან დაპირისპირების შედეგია.

— დანიშვნები და გადაადგილებები ჩვეულებრივი მუშა პროცესია. რაც შეეხება დაპირისპირებას, უმრავლესობაში არიან სხვადასხვა მსოფლმხედველობის ადამიანები და ყოველთვის იქნება აზრობრივი დაპირისპირება, მაგრამ უმრავლესობის ყველა წევრი აცნობიერებს, რომ აიღო ვალდებულება მოსახლეობის წინაშე და უნდა გააკეთოს არჩევანი — დარჩეს ხელისუფლებაში თუ წავიდეს ოპოზიციაში და ფაქტობრივად ნაცმოძრაობის გვერდით დადგეს.

— გუბაზ სანიკიძესაც ჰქონია კოალიციის საწინააღმდეგო მოსაზრება პარლამენტის თბილისში გადმოტანასთან დაკავშირებით და, როგორც ამბობენ, პარლამენტში მისი არდასწრების მიზეზი სწორედ ეს არის.

— არ გეთანხმებით, რომ არ ჩანს. გუშინ მე და გუბაზი გვერდიგვერდ ვისხედით სხდომაზე. აქტიურად არის ჩართული საპარლამენტო ცხოვრებაში. რაც შეეხება პარლამენტის გადმოტანას თბილისში, გუბაზს არასოდეს დაუყენებია საკითხი ასე, არც მაჟორიტარად არჩევის პერიოდში და არც — მერე. ყოველთვის ამბობდა, რომ ქუთაისი უნდა გადავაქციოთ საუნივერსიტეტო ქალაქად და ძალიან ძნელია გუბაზს ამაში არ დაეთანხმო. ვმუშაობთ პროექტებზე, რომ პარლამენტის გადმოტანის შემდეგ ქუთაისი გულნაკლული არ დარჩეს.

— თუ არის საკითხები, რაშიც არც თქვენ ეთანხმებით კოალიციას?

— როგორ არ არის! ბევრი თემაა, მაგრამ ამაზე ვსაუბრობთ შიგნით, შეიძლება ვიკამათოთ კიდეც, მაგრამ შიგნითვე ვთანხმდებით. კონსერვატორებს ეს გარეთ არასოდეს გამოგვიტანია და ამის გაკეთებას არც ვაპირებთ. ის ადამიანები, რომლებიც ვერ ითმენენ და თავიანთ პოზიციას გარეთ ავლენენ, რაღაც პერიოდის მერე მიხვდებიან, რომ სწორად არ მოიქცნენ.

— ქუცნაშვილმაც არაფერი უთხრა კოალიციის წევრებსო, ასე ითქვა.

— გინდათ, რომ კოალიციის თემებზე ვისაუბრო საჯაროდ? შიგნით, სამზარეულოში რა ხდება, ეს არის შიდა საქმე და როცა საჭიროდ ჩავთვლით ამაზე რამის თქმას, ერთად გავაკეთებთ განცხადებას.

— თვითმმართველობის კანონპროექტთან დაკავშირებით სერიოზული შენიშვნები აქვს არასაპარლამენტო ოპოზიციას. მიიჩნევენ, რომ გაუაზრებელია და მასში სეპარატისტული ნაღმებია ჩადებული.

— არანაირი ნაღმი არ არის ჩადებული, პირიქით, მაგ კუთხით ძალიან დაცულია. შენიშვნები კი, რა თქმა უნდა, იქნება. დარწმუნებული ვარ, ცხარე დებატები გაიმართება. არასამთავრობოებიც მიიღებენ მონაწილეობას, არასაპარლამენტო ოპოზიციაც და მივიღებთ ისეთ კანონს, როგორიც ქვეყანას სჭირდება.

— მაგრამ ზედმეტ დეცენტრალიზაციაში უკვე პრობლემას ხედავენ.

— არავითარი ზედმეტი დეცენტრალიზაცია! დეცენტრალიზაცია არის იმდენი, რამდენიც უნდა იყოს. თვითმმართველობის აზრი არის დეცენტრალიზაცია და თუ ცენტრალიზაცია გვინდოდა, იყო სააკაშვილის დროს და მაშინ დავტოვოთ, როგორც იყო. ყველა კადრს სააკაშვილი ნიშნავდა. რომელიმე რაიონს „ფანტანის" ნაცვლად ხიდის აგების გადაწყვეტილება რომ მიეღო, გამგებელს ზუსტად 5 წუთში ბორკილებით გამოიყვანდნენ კაბინეტიდან. ეს იყო ის თვითმმართველობა, რომელიც სააკაშვილის პირობებში იყო. ჩვენ გვინდა არამარტო რეფორმა მოხდეს ადმინისტრაციაში, არამედ ხალხის ფსიქიკაც შეიცვალოს, რომ ის ფული არის მათი ფული და სწორად დახარჯვაში თითოეული მოქალაქე უნდა ჩაერიოს.

— დაკით ნარმანიას კანდიდატურას რამდენად მიიღლოდით თბილისის მერის პოსტზე?

— ეს არის მიმართულება. ჩვენი ხელისუფლება სთავაზობს კონცეფციას — საქართველოს პრეზიდენტიც, პრემიერიც და პარლამენტის თავმჯდომარეც მშვიდი ადამიანები არიან, თავიანთ საქმეს აკეთებენ. ამ 20 წელიწადში პოლიტიკური იწილო-ბიწილო და დაპირისპირება ბევრი ვიხილეთ და გვეყოფა. დათო არის ძალიან ნიჭიერი, კარგი მენეჯერი, მეურნე კაცი, რომელმაც იცის, რა სჭირდება რაიონს, ქალაქს და თბილისსაც კარგად გაუძღვება.

— მისი არათბილისელობა გაძლა ბეკრისთვის მიუღებელი ამ პოსტზე.

— 2012 წელს მეც ვიყარე თბილისის მერობაზე კენჭი და „კარენნოი" თბილისელებს მოვუგე. სამტრედიელი ვარ, იქ მაქვს სკოლა დამთავრებული და 40 ათასი ხმა ავიღე თბილისში. მთავარი არ არის, თბილისელი ხარ თუ არა, მთავარია, რამდენად გესმის თბილისის პრობლემები და რამდენად იცნობ ქალაქს. საკითხის ასე დაყენება არასერიოზულია. სასაცილოა, ილაპარაკო, რომ თბილისის მერი არ უნდა იყოს გლდანელი, კახელი, იმერელი თუ მეგრელი.

Cyan Magenta Yellow Black

ჯონდი ბაღათურია: „ხელისუფლება თუ ხუხაშვილის თვალებით მზერას თავს არ დაანებებს, გადაიჩეხება!“

«ირაკლი ღარიბაშვილს შეუძლია ბიძინა ივანიშვილზე მეტი გამბედაობა გამოიჩინოს»

ქართული პოლიტიკური სპექტრი თვითმმართველობის რეფორმის განხილვას იწყებს. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პროექტის თანახმად, მერეების და გამგებლების არჩევა პირდაპირი წესით მოხდება, გაიზრდება თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა, გუბერნატორების ადმინისტრაციებთან შეიქმნება ადგილობრივი საკრებულოების კოლეგიური საბჭოები, სამოქალაქო ჩართულობის მიზნით შეიქმნება საზოგადოებრივი საბჭოები... კანონპროექტი ასევე განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ და ფინანსურ საფუძვლებს, თვითმმართველობის ორგანოების არჩევითობას, მათი საქმიანობის წესს და მათ საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის პრინციპებს. ის, რასაც ყველა ცალსახად უჭერს მხარს, თვითმმართველი ერთეულების ავტონომიურობის ზრდაა, თუმცა ამ პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით კანონში გაწერილი რეგულაციების მიმართ ცალკეული კითხვები მაინც ჩნდება. ამ მხრივ, შენიშვნები აქვს არასაპარლამენტო ოპოზიციასაც.

„სარკეს“ „ქართული დასის“ ლიდერი, ჯონდი ბაღათურია ესაუბრა.

— ჩვენ ვერ დავუშვებთ კანონპროექტიდან იმ ნორმის ამუშავებას, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს დაშლა სეპარატისტულ საფეოდალოებად. დანარჩენ საკითხებზე კი არსებობს იმ ტიპის შენიშვნები, რომლებზეც შესაძლოა დიალოგი გაიმართოს.

— ხელისუფლება სეპარტიზმის საფრთხეს კატეგორიულად გამორიცხავს.

— არ ვფიქრობ, რომ ეს შეგნებულადაა გაკეთებული, გამოუცდელობის ბრალია, მაგრამ ებრაელებს აქვთ ერთი წყევლა — შენი არ იცოდე და სხვისი არ გესმოდესო. გულწრფელად, ყოველგვარი დამადლების გარეშე ვეცდებით, მოვუყვეთ ხელისუფლებას ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცით საფრთხეების შესახებ. სულ რომ არ უნდოდეს ადამიანს, ეს რეფორმა ამას აფიქრებინებს. ჩვენ ვართ სახელმწიფო, რომელმაც დაკარგა ორი რეგიონი. ყველა ხელისუფლებას ერთნაირი რამ ახასიათებს — როცა კაბინეტში შედიან, ამნეზია ემართებათ, ავიწყდებათ წარსული, ხალხი და იკვებებიან ილუზიებით. „ოცნებას“ აქვს ილუზია, რომ თუ რუსეთს სააკაშვილივით დედას არ აგინებენ, ის დაგვიბრუნებს აფხაზეთს და სამაჩაბლოს. ასეთი ილუზიები ხელისუფლებისთვის დამღუპველია და იმიტომ ვახსენე, რომ თუ შეუქმნი გარე ძალას ნიადაგს, იქ აუცილებლად აღმოცენდება სარეველა ბალახი.

— იქნებ დააკონკრეტოთ ის მუხლები, რასაც არ ეთანხმებით.

— ჩვენი ადგილობრივი თვითმმართველობა რეფორმას ნამდვილად საჭიროებს, მაგრამ — სეპარატიზმის გარეშე. ასეთ რეფორმას, ჯობია, სულ არ დაიწყო. კარგია თვითმმართველი ქალაქების გამოცხადება, მაგრამ სოფლის თვითმმართველობამ შეიძლება შექმნას ნოყიერი ნიადაგი ცნობილი სეპარატისტებისთვის სტატუსის მისანიჭებლად. ჩვენ გვაქვს ჩვენი ხედვები, მაგრამ შინაარსობრივ განხილვას პრესის ფურცლებიდან არ ვაპირებთ, მერე ბრალი რომ არ დაგვდონ არაკონსტრუქციულობაში.

— თუ რეფორმა მაისამდე ვერ მოესწრო, შეიძლება ადგილობრივი არჩევნების თარიღი გადაიწიოს? საარჩევნო კოდექსიც ხომ მოსასწრებია?

— რატომ არ უნდა მოესწროს? თუ პოლიტიკური ნება იქნება, მოესწრება, თუმცა პარლამენტმა კონცეფცია დაამტკიცა 19 თებერვალს და 8 თვის მერე, ახლა ვიწყებთ მსჯელობას. ხელისუფლება გვიან, მაგრამ

„ნახმანიას აქამდე ვიცნობდი, ოგოოჩ ზიდიდობიან და ზომიეი ჯაცს. ახლა შევატყვეთ, ომ თანამდებობამ და ჯანდიდატად დასახელებამ მოახყია მისი სიმტკიცე. ხომ გინახავთ ბავშვები, მამიკოს ომ ნახავენ, მეიე ომ გათამამდებიან. ადგან ბიძინას ზეიგი აქვს, ამიტომ თუ ჩათვალა, ომ ნიშნისმოგებით უნდა იდაპპაიკოს, აასეიოზელია“.

მაინც ცდილობს სიტუაციის გამოსწორებას და ამის საშუალებას მივცემთ. ასევე სამუშაოა საარჩევნო კოდექსზეც, რომელიც საერთოდ დრაკონულია. ბევრი მუშაობა დაგვჭირდება, მაგრამ ამ ეტაპზე არჩევნების გადადების საფუძველს ვერ ვხედავ.

ჩვენ ვემზადებით ყველაფრისთვის, რომ შეიძლება ხელისუფლებამ გამოიჩინოს სიჯიუტე, მაგრამ, როგორც პასუხისმგებლობის მქონე ძალა, ვცდილობთ, შევქმნათ ისეთი წინასაარჩევნო გარემო, რომელიც ყველა პარტიას მისცემს საშუალებას, სრულფასოვნად ჩაატაროს საარჩევნო კამპანია და ეფექტურად მიიტანოს ამომრჩევლამდე სათქმელი.

ასევე ვცდილობთ, ადგილობრივი თვითმმართველობები იყოს ეფექტური, რომ შეძლოს იმ პროექტების განხორციელება, რასაც ხალხს დაჰპირდებიან. თვითმმართველობის რეფორმაც ამისთვის არის საჭირო. ვაპირებთ თვითმმართველობების უფლებების მაქსიმალურ დელეგირებას, ასევე — ფინანსური დამოუკიდებლობის მინიჭებას. აი, ეს გვინდა ჩვენ, მაგრამ ტერიტორიების ცვლილება საერთოდ არ არის საჭირო. თუ მაინც გვინდა, საკრებულოებს უნდა ვკითხოთ. ზოგან შესაძლოა იყოს ამის საჭიროება, მაგრამ თვითმიზნად გარიხადოთ, რომ ხონში შევქმნათ ხონის და მათხოჯის მუნიციპალიტეტები ან თელავში ყარაჯალას და თელავის მუნიციპალიტეტები, ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ.

— ხელისუფლების ერთწლიანი მმართველობის შედეგებს როგორ აფასებთ და რა მოლოდინი გაქვთ განახლებული მთავრობისგან?

— დღევანდელი სიტუაცია არ არის სასურველი, რადგან ხელისუფლების ბევრ წევრს ეტყობა, რომ გამოუცდელია, ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი პარლამენტშია. ფაქტია, რომ რეფორმატორული მთავრობა ვერ შედგა. მათ ვერ უზრუნველყვეს სწრაფი და ეფექტური რეფორმები, მათ შორის — მართლმსაჯულების რეფორმა, რასაც სამართლიანობა უნდა მოეტანა. ეს მოხდა არა იმიტომ, რომ ვინმემ არ იცოდა, არამედ პარლამენტის უპრინციპობის გამო. პარლამენტმა ჩააგდო ეს რეფორმა ნაციონალების ხათრით, რომ ისინი არ გაესამართლებინათ.

მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის მინისტრის მიმართ დადებითად ვარ განწყობილი და მის გუნდს ეტყობა გულმოდგინება, ჯერ-ჯერობით მხოლოდ დაწყებულია სადაზღვევო რეფორმა, რომელიც მნიშვნელოვანი ხარვეზით მიმდინარეობს. არის სხვა მნიშვნელოვანი რაღაცეებიც, რაც დასაწყები და გასაკეთებელია. რეფორმა წარმატებით შედგა შსსში და სასჯელაღსრულების სისტემაშიც. პოზიტიურად ვაფასებ ეკონომიკის და დევნილთა მინისტრების გულმოდგინებას, მაგრამ ეკონომიკის სამინისტრო არ არის იმ კომპეტენციის უწყება, რომელიც შეძლებს იმ რეფორმების გატარებას, რომ ქვეყანაში სამუშაო ადგილები შეიქმნას. პოლიტიკური გადაწყვეტილებაა მისაღები, რომელმაც უნდა შექმნას ბიზნესგარემო. ამისთვის კი, პირველ რიგში, საჭიროა, ინვესტორმა თავი ქუდში იგრძნოს. რა უნდა იყოს პირველი სიგნალი? უკანონოდ ჩამორთმეული ქონება უნდა დაუბრუნდეთ!

— ეს გაჭირდება და ამას ხელისუფლებაც ადიარებს, რადგან ჩამორთმეული ქონების დიდი ნაწილი პატრონსანი მყიდველის ხელშია.

— სიცრუეა! ეს არის გია ხუხაშვილის ლოზუნგი. ხელისუფლება თუ ხუხაშვილის თვალებით მზერას და მისი ყურებით მოსმენას თავს არ დაანებებს, გადაიჩეხება! მაგალითად, სახელმწიფომ ხალხს ნაკვეთები ჩამოართვა და მერე ისევ ხალხმა შეისყიდა. უნდა გამოიძიონ, ეს იყო თუ არა თვალთმაქცური გარიგება. ზოგი ჩამორთმეული ქონე-

→20

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

ქ-ნი ქეთევანი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

ბა კი ისევ სახელმწიფოს ხელშია და უნდა დაუბრუნოს პატრონს. იყო შემთხვევები, კერძო პირმა წაართვა კერძო პირს, მაგალითად, ელმავალმშენებელი ქარხანა, ვაგონშემკეთებელი ქარხანა. ვისაც ეს წაართვეს, კიდევ აქვს ფული და სულ რომ არ ჰქონდეს, ისეთია, ქვაზე რომ დასვა, ფულს მაინც გააკეთებს, ანუ შეუძლია, სამუშაო ადგილი შექმნას, მაგრამ არ გააკეთებს, თუ არ დაუბრუნეს წართმეული. მთავრობამ ამას მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს.

მე მესმის ბიძინა ივანიშვილის, რომლის პოლიტიკაში მოსვლა პროგრესული ნაბიჯი იყო, მაგრამ ახლა მისმა ჩარევამ პოლიტიკაში არ უნდა შეაფერხოს ქვეყნის განვითარება. ბიძინას მანევრირების ნაკლები საშუალება ჰქონდა, რადგან ის კაპიტალი, რაც მას პოლიტიკაში მოსასვლელად დაეხმარა, მისთვის ერთგვარი ტვირთი აღმოჩნდა. მეტი რაღაცისთვის უხდებოდა ანგარიშის გაწევა. ასეთი ტვირთი ირაკლი ღარიბაშვილს არ აწევს, ამიტომ მას შეუძლია უფრო გამბედავი იყოს. მართალია, უნდა მოისმინოს ივანიშვილის აზრიც და ბაღათურიასიც, მაგრამ მან თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და ჩვენც ხელი უნდა შევუწყოთ.

— პრემიერის დასახელებას პარტიის ლიდერად ახალი ნაცმოძრაობის შექმნა ხომ არ მოჰყვება?

— არა, მიშა ხელისუფლებაში მოსვლამდეც იყო უზნეო, მაგრამ რაც მერე გახდა, ამაში ხელი მონოპოლიამ ანუ ოპოზიციის არარსებობამ შეუწყო. ღარიბაშვილის აზროვნება გამოჩნდება ოპოზიციასთან დამოკიდებულებაში. აქ იყოფა აზროვნება ლიდერის და სახელმწიფო მოღვაწის. პოლიტიკური ლიდერის ვიწრო ეგოისტური ინტერესია, რომ კონკურენტი არ ჰყავდეს, მაგრამ სახელმწიფო მოღვაწის ინტერესში შედის, ჰყავდეს ისეთი ძლიერი კონკურენტი, რომელიც აიძულებს რეჟიმში მუშაობას. მინდა, ღარიბაშვილი წარმოჩინდეს, როგორც საზოგადო მიღვაწე და არ დარჩეს პარტიის ლიდერად, თუმცა მას ამ პარტიის ლიდერობის უფლება აქვს.

— „ქართული ოცნების“ დაშლას ისევ ელოდებით?

— ეს დამოკიდებულია ღარიბაშვილის მიზიდულობაზე. თუ ის წარმატებული გახდა, მისი ორბიტიდან ანუ ხელისუფლებიდან მოწყვეტა არ მოუნდებათ, მაგრამ თუ ხელი შეეშალა, ყველა შეეცდება, წარუმატებლობას გაემიჯნოს და ხელი მას შეახოცოს.

— თბილისის მერობის კანდიდატი „ოცნებამ“ უკვე დასახელა — დავით ნარმანია. მოელოდით?

— ნარმანიას კანდიდატურის დასახელებას რომ აპირებდნენ, ინფორმაცია მქონდა, მაგრამ რამდენად ლოგიკურია, ეს ცალკე თემაა. პირადად მე ცუდი განწყობა მის მიმართ არ მაქვს. ნარმანიას აქამდე ვიცნობდი, როგორც ზრდილობიან და ზომიერ კაცს. ახლა შევატყვეთ, რომ თანამდებობამ და კანდიდატად დასახელებამ მოარყია მისი სიმტკიცე. იმედია, დაუბრუნდება ჩვეულ სახეს, თუ არა და, საზოგადოება ჩათვლის, რომ ის აქამდე ზრდილობიანი ბიჭი იმიტომ იყო, რომ ზურგს არაფერი უმაგრებდა. ხომ გინახავთ ბავშვები, მამიკოს რომ ნახავენ, მერე რომ გათამამდებიან. რადგან ბიძინას ზურგი აქვს, ამიტომ თუ ჩათვალა, რომ ნიშნისმოგებით უნდა ილაპარაკოს, არასერიოზულია.

— ისე, რაზე მიგანიშნათ ნარმანიამ — ჭკუით იყავით, თორემ...

— ვიღაცასთან ჰქონია დიალოგი და იმას დავასახელებო. დაასახელოს მერე. ვერ ვხვდები, თუ ჰქონდა დიალოგი, ამაში ნიშნისმოგების საფუძველი რა არის. მე მოვიკითხე პარტიებში და ყველამ უარყო.

— ზემოთ როცა თქვით, რამდენად ლოგიკურია, მისი დასახელება მერად, ეს ცალკე თემაა. რა იგულისხმეთ?

— ამას არჩევნები აჩვენებს. პირადად მე კი, მიმაჩნია, რომ პოლიტიკოსი უნდა იყოს ძლიერი, ზნეობრივი, გამბედავი და თავისი თავი თვითონ უნდა ჰყავდეს შექმნილი. ხათრით არჩეული კანდიდატების მომხრე არ ვარ. ვიღაცის ზურგით მოხვიდე პოლიტიკაში და მერე „გონორით“ ილაპარაკო... ვიღაცისგან შეიძლება შეჩვეულები ვართ, მაგრამ შენ რომ პოლიტიკაში მარტო იმის გამო ხარ, ბიძინას მოეწონე და ქვა ქვაზე არ დაგიდია პოლიტიკაში, არასერიოზულად გამოიყურები. ის ტონალობა ნარმანიასგან შეცდომა იყო და კარგია, თუ გაითვლისწინებს. თუ ამის საფუძველი არის ბიძინა ივანიშვილი, უფრო მეტი ანგარიში უნდა გაუწიო, რომ ისიც არ შეარცხვინო.

— არასაპარლამენტო ოპოზიციას მერობის კანდიდატი გეყოლებათ?

— რა თქმა უნდა, გვეყოლება.

— გამსხვილებასაც ხომ არ აპირებთ? მახსოვს, იყო ამაზე საუბარი.

— კი, უნდა შეიქმნას ახალი კოალიცია, რომელიც შეძლებს, კონკურენცია გაუწიოს „ოცნებას“ და პოლიტიკური სცენიდან გაისტუმროს ნაცმოძრაობა.

— ვისთან გაქვთ კონსულტაციები?

— სანამ არ იქნება შეთანხმება, მანამ არ ვიტყვით. სამ-ოთხ პარტიას შორის არის საუბრები.

— ერთი კახა კუკავა იქნება, რადგან მას აქვს გამსხვილების დიდი სურვილი. მაშინ, ვინ არ იქნება, ის გვითხარით.

— ერთი რამ ნამდვილად ვიცით, არ უნდა შევქმნათ ისეთი სიჭრელე, როგორიც „ოცნებაშია“. დიდ მნიშვნელობას მივანიჭებთ პოლიტლიდერების წარსულს. წარსულის ქექვა არ მიყვარს, მაგრამ ვისაც თავი შეურცხვენია, ვისაც ხაზინა გაუქურდავს ან თანამშრომლობდა კრიმინალურ რეჟიმთან, რაც ქვეყნის განვითარებას აფერხებდა, ასეთ პარტიებთან თანამშრომლობის მომხრე არ ვარ. „ოცნებაშიც“ არის ასეთი ხალხი და საკითხავია, ვინ უფრო ტყუის — ვინც გადავიდა თუ ვინც მიიღო?

ფილმი „სათამაშო“ გამახსენდა, პიერ რიშარი რომ თამაშობს. ერთი მომენტია — ოლიგარქი, რომელიც ცუდი უფროსია, დაიბარებს დირექტორს და ეუბნება, შარვალი ჩაიხადეო. დირექტორი ჩაეკითხება, მართლა ამას მეუბნებიო. ის უდასტურებს და მართლა ჩაიხდის. მერე ოლიგარქი ეკითხება — ვინ უფრო ურჩხულია, ვინც მოგთხოვა შარვლის ჩახდა თუ ის, ვინც ხელფასისთვის შარვალი ჩაიხადაო. ხელფასის გამო არავინ უნდა ჩაიხადოს და თუ ჩაიხდის, მაშინ უნდა იცოდეს, რომ შარვალჩახდილი დადის და ამბიციებიც დაიოკოს!

✓ პოლიტიკის რუბრიკა
მოამზადა მანანა გეგეშიძ

გივი ბერიკაშვილი და მისი მეუღლე გულის შეჯვების შემდეგ თავს კარგად გრძნობენ

„ქართველმა ექიმებმა მამაჩემი ჯიდევ ეთხოვე გადაარჩინეს“



ქართველი ხალხის საყვარელი მსახიობი, უფროსი თაობის ვარსკვლავი გივი ბერიკაშვილი,ცოტა ხნის წინ მიოკარდიუმის ინფარქტის დიაგნოზით საავადმყოფოში მოათავსეს. 5 დღის შემდეგ კი, იმავე დიაგნოზით, არტისტის მეუღლე ლეილა კაპანაძეც სტაციონარში გადაიყვანეს.

ბატონი გივი და ქალბატონი ლეილა თანატოლები არიან — 79 წლის. როგორც „სარკემ“ მათი ქალიშვილის, მანანა ბერიკაშვილისგან შეიტყო, ცოლ-ქმარი უკვე სახლში არიან და რეაბილიტაციას გადიან.

— ქალბატონო მანანა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯერ დედათქვენს, ქალბატონ ლეილას დაემართა ინფარქტი და შემდეგ ბატონ გივის.

— ჯერ მამაჩემი გახდა ცუდად და შემდეგ — დედაჩემი. გივის ინფარქტს ფილტვების ანთებაც დაერთო. 5 დღეში კი დედაჩემს დაემართა გულის შეტევა. ახლა უკვე სახლში არიან.

— ეს ყველაფერი რაიმე სერიოზულმა ნერვიულობამ გამოიწვია?

— არა, სერიოზული სანერვიულო არაფერი ჰქონიათ, თუმცა ფაქტია, რომ დედამ მამაჩემის გამო ინერვიულა. გივი სახლში იყო. კუჭის ტკივილი დაეწყო და მივხვდით, რომ გული აწუხებდა. წავიყვანეთ საავადმყოფოში. ჯერ რესპუბლიკურ საავადმყოფოში იწვა, შემდეგ „მედი ქლაბ ჯორჯიაში“. ძალიან გთხოვთ, დაწერეთ, რომ ამ კლინიკის ექიმების უზომოდ მადლიერები ვართ! დედა გულიკო ჩაფიძის კლინიკაში მოხვდა. ქალბატონი გულიკო და აჩიკო ჩუხრუკიძე მკურნალობდნენ. პარალელურ რეჟიმში სხვადასხვა საავადმყოფოში იწვნენ ერთი და იმავე დიაგნოზით. ყველას დიდ მადლობას ვუხდით.

— ბატონ გივის და დედათქვენს გული ადრეც აწუხებდათ?

— გივის მოციმციმე არითმია ჰქონდა, მაგრამ გულის სერიოზული დაავადება არ ჰქონია. ფილტვების ანთება კი გადაიტანა ორჯერ. გივის ორი სტენტი ჩაუდგეს. დედას კი თერაპიული მკურნალობა ჩაუტარდა.

— ქალბატონ ლეილასაც იგივე სიმპტომები აღენიშნებოდა?

— არა, დედას გულის არეში ჰქონდა ტკივილი. ქართველი ექიმების მუდამ მჯეროდა. გივი ქართველმა ექიმებმა კიდევ ერთხელ გადაარჩინეს. ორჯერ გაუკეთეს ოპერაცია — კუჭის რეზექცია და მაშინაც ნამდვილად გმირობა ჩაიდინეს.

— მამას საავადმყოფოშიც გააგებინეთ მეუღლის ავადმყოფობა?

— კი, გავაგებინეთ. 24 წლის ასაკში შეუღლდნენ და დღემდე ერთად არიან. წარმოიდგინეთ, ერთმანეთისთვის რა არიან. ჯერ სუსტად გრძნობენ თავს. იმედი მაქვს, კარგად იქნებიან.

— ღმერთმა კიდევ დიდხანს გიმყოფოთ კარგად! ბატონი კახი კავსაძე მივიდა სანახავად და კიბეზე წაიქცაო, მართალია?

— კი, ფეხი აუცდა და დავარდა. შუბლი და ცხვირი დაარტყა. უკვე კარგად არის ისიც. სანახავად მივიდა კი არა, სულ გივისთან იყო, გვერდიდან არ მოშორებია.

✓ რუსუდან ადვაძე

Cyan Magenta Yellow Black

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲐᲪᲐᲠᲐᲕᲐ ᲛᲐᲛᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲖᲔ ᲤᲘᲚᲛᲡ ᲘᲦᲔᲑᲡ

„ᲛᲔᲨᲘᲜᲘᲐ, ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲔᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲩᲜᲓᲔᲡ“

ᲯᲝᲛᲐᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲐᲪᲐᲠᲐᲕᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲙᲘᲜᲝᲨᲘ ᲡᲔᲥᲡᲘᲡᲛᲘᲛᲑᲝᲚᲝᲡ ᲘᲛᲘᲯᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲓᲐ, ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲪᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲡ. ᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲘᲣᲡᲔᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲪᲓᲘᲡ ᲑᲔᲓᲡ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲡ, ᲘᲡᲔᲗ ᲡᲘᲬᲛᲘᲜᲓᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲔᲮᲝᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲑᲔᲠᲘ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲐ — ᲦᲘᲠᲡ ᲛᲐᲛᲐᲖᲔ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲘᲦᲔᲑᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ.

— ᲓᲐᲯᲘᲗ, ᲨᲔᲯᲘᲜᲢᲧᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲛᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲐ ᲒᲡᲣᲠᲗ. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲮᲠᲘᲗᲔ ᲐᲛ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ?

— მე, როგორც პროდიუსერი, ვიქნები ამ საქმეში ჩართული, რეჟისორი კი გია კაჭარავა გახლავთ. ძალიან დიდი და სერიოზული პროექტია. ახლა ფინანსების მოძიებაზე ვმუშაობთ. ფილმის სცენარი დედა პარასკევას წიგნის მიხედვით გამზადდა, მისი მითითებით ვმუშაობთ. აბსოლუტურად ყველას უნდა მივცეთ საშუალება, რომ ამ ფილმის მონაწილე გახდეს, რაც შემოწირულობასაც გულისხმობს. ეს ფილმი აბსოლუტურად ყველას საკუთრება უნდა გახდეს, თუმცა ძირითად თანხებს მაინც ჩვენ მოვიძიებთ.

— მხატვრული ფილმი იქნება თუ დოკუმენტური?

— მხატვრული, რომელიც ორ ნაწილად გაიყოფა. როგორც აღმოჩნდა, მამა გაბრიელის ბავშვობა ისეთი საინტერესო და დატვირთულია, მისი ერთ ფილმში ჩატევა რთული იქნება, ამიტომ ფილმს ორ ეტაპად გადავიღებთ. პირველი მამა გაბრიელის ბავშვობა იქნება, მეორე კი — შემდეგი პერიოდი. ფილმის სავარაუდო სახელია „პირველი ბერი“. მსახიობების კასტინგი ძალიან მალე დაიწყება. ათასობით 12-13 წლის ბავშვის ნახვა მოგვიწევს. მეორე ნაწილისთვის მამა გაბრიელის როლს ვინც ითამაშებს, დაახლოებით უკვე ვიცით, მაგრამ ჯერ არ გავახმაურებთ.

— ფილმში თქვენც მიიღებთ მონაწილეობას?

— დიახ. ჩემი გმირის როლი ისეთი ნეგატიურია, როცა სცენარს ვკითხულობდი, ვინატრე, ნეტავ, ეს პერსონაჟი მე არ მათამაშონ-მეთქი, მაგრამ სწორედ ის როლი მერგო. დედა

„ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲰᲐᲯᲔᲠᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲐ „ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲑᲔᲠᲘ“. ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲡᲢᲘᲜᲒᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲐᲚᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ. ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ 12-13 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲜᲐᲮᲕᲐ ᲛᲝᲒᲕᲘᲜᲓᲔᲑᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲠᲝᲚᲡ ᲕᲘᲜᲪ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ, ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲣᲙᲕᲔ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲒᲐᲕᲐᲰᲛᲐᲣᲠᲔᲑᲗ.

— ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲗᲕᲚᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ?

— დიახ. ჩემი გმირის როლი ისეთი ნეგატიურია, როცა სცენარს ვკითხულობდი, ვინატრე, ნეტავ, ეს პერსონაჟი მე არ მათამაშონ-მეთქი, მაგრამ სწორედ ის როლი მერგო. დედა პარასკევამ დამამშვიდა, კურთხევა მომცა.

ფილმში მამა გაბრიელი ნათელი მხარეა, მეორე მხარეს ბოროტება უნდა იყოს. ბოროტი სისტემის განსახიერება სწორედ ის გმირია, რომელსაც მე ვითამაშებ. ჩემს პერსონაჟში იმდენი ბოროტებაა ჩადებული, რომ რაღაც მომენტში ვიფიქრე კიდეც, შეიძლება საზოგადოებაში ჩემ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გაჩნდეს-მეთქი. მანამდეც მითამაშია ცუდი ტიპები, მაგრამ ასეთი — არა. 28 ნოემბერს ერევანში ფილმის პრემიერა შედგა, სადაც ცუდ პოლიციელს ვთამაშობ, მაგრამ ის ამასთან შედარებით არაფერია.

— მამა გაბრიელზე ფილმის გადაღება ადვილი საქმე არ არის, დიდ ცხოვრებისეულ და სულიერ გამოცდილებას საჭიროებს. 36 წლის ასაკში ცხოვრებისგან რა გაქვთ ნასწავლი?

— მივხვდი, რომ ცხოვრება მოძრაობაა. აქტიური, ენერგიული უნდა იყო, ბოროტება არ ჩაიდინო, სიყვარულით იცხოვრო და საქმეც სიყვარულით აკეთო. და აუცილებლად უნდა გყავდეს ადამიანი, რომელიც ყველაზე რთულ წუთებში დაგეხმარება, შენ გვერდით იქნება. ეს შეიძლება ცოლი ან შეყვარებული იყოს. თუ გაქვს ბედნიერება, რომ გვერდით დედამამა გყავდეს, ეს უდიდესი დახმარებაა. ხანდახან შეიძლება იფიქრო, რომ საყვარელი ადამიანისთვის დროის დათმობას ვერ

„ᲩᲔᲛᲘ ᲒᲛᲘᲰᲘᲡ ᲰᲝᲚᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲜᲔ�გᲐᲢᲘᲣᲰᲘᲐ, ᲰᲝᲪᲐ ᲡᲪᲔᲜᲐᲰᲘᲡ ᲯᲕᲘᲗᲮᲔᲚᲘᲡᲑᲓᲘᲚᲘ, ᲕᲘᲜᲐᲗᲘᲗ, ᲜᲔᲢᲐᲕ, ᲔᲡ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲟᲘ ᲛᲔ ᲐᲠ ᲛᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝᲜ-ᲛᲔᲗᲥᲘ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲡᲬᲝᲠᲘᲔᲓ ᲘᲡ ᲰᲝᲚᲘ ᲛᲔᲗᲘᲗ. ᲓᲔᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲐᲛ ᲓᲐᲛᲐᲛᲨᲕᲘᲓᲐ, ᲯᲣᲗᲮᲔᲕᲐ ᲛᲝᲛᲪᲐ“.

ახერხებ, მაგრამ აუცილებლად უნდა იპოვო თუნდაც ორი ან ხუთი წუთი მაინც, რომ დააფასო ის, რაც გაქვს და ეს დაფასება შენი სიტყვებით და დამოკიდებულებით გამოხატო. რასაც შინაგანად გრძნობ, ყოველთვის უნდა გაუზიარო იმ ადამიანებს, რომლებიც შენთვის ძვირფასები არიან, რადგან შეიძლება ამის თქმის საშუალება მერე აღარ მოგეცეს.

— როცა განვლილ ცხოვრებას აფასებთ, შეცდომებს ხედავთ?

— რა თქმა უნდა. ჩემს შეცდომებს ხშირად ვაანალიზებ. კარგი გამონათქვამია, არ ცდება ის, ვინც არაფერს აკეთებსო. რაც უფრო მეტს აკეთებ, მით უფრო მეტი შანსია, შეცდომა დაუშვა. უბრალოდ მომავალში უნდა გაითვალისწინო. მე საკუთარ შეცდომებზე ბევრს ვსწავლობ.

— ᲔᲡᲔ ᲘᲒᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐᲪ ᲐᲠ ᲒᲘᲭᲘᲠᲗ.

— ჩემი შეცდომების უდიდეს ნაწილს შედეგიდან გამომდინარე ვხედავ.

— სად ხედავთ ამ შეცდომებს, პირად ცხოვრებაში თუ კარიერაში?

— ყველგან. როცა აქტიური ხარ, ბევრ რაღაცას აკეთებ და მეორეხარისხოვანი არ ხარ, იქ ყოველთვის რაღაც ხდება. მთავარია, კარგი დასკვნები გააკეთო და მომავლისთვის გაითვალისწინო.

ერთ რაღაცას მივხვდი, რაც უფრო დაკავებული ხარ, მით უფრო მეტის გაკეთებას ასწრებ. ადრე, როცა შედარებით თავისუფალი ვიყავი, ათჯერ ნაკლების გაკეთებას ვახერხებდი, ვიდრე ახლა, როცა ძალიან დატვირთული ვარ. საერთოდ, რაღაც ზღვარი არსებობს, რომლის იქითაც შეიძლება ვერ გაქაჩო, მაგრამ ჯერჯერობით ვახერხებ და, მგონი, იმ ზღვარისთვის არ მიმიღწევია, რომლის იქითაც უკვე ვეღარაფრის დამატებას შევძლებ.

— სომხურ პროექტებში მონაწილეობას ხშირად იღებთ. რატომ დაინტერესდნენ სომეხი პროდიუსერები თქვენით?

— ჩემი სომხური „ეპოპეა“ დაახლოებით 3 წლის წინ დაიწყო, როცა ერთ-ერთმა სომეხმა რეჟისორმა კლიპში გადამიღო. სხვათა შორის, მის პროდიუსინგში „სარჯე“ იყო ჩართული. კლიპი სომხური ბაზრისთვის იყო გათვლილი. 2011 წელს ახალი ფილმის „ასი ათასი წმისთვის“ მსახიობს ეძებდნენ, ძალიან დიდი კასტინგი ჩაატარეს, მაგრამ შესაბამის კანდიდატს თვეების განმავლობაში ვერ პოულობდნენ. ნაცნობმა სომეხმა რეჟისორმა მე გამიწია რეკომენდაცია. ეს პროექტი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა და იქიდან დაიწყო ყველაფერი.

ახლა ტელებოევიკს, 4 სერიიან ფილმს იღებენ, რომელშიც მთავარ როლს ვთამაშობ. ფილმი რუსეთის ბაზრისთვისაა გათვლილი. ასევე — უკრაინულ-ქართულ-გერმანულ-ბულგარულ ფილმში ვიღებ მონაწილეობას, რომელსაც „ურსუსი“ ჰქვია და მისი რეჟისორი ოთარ შამათავაა. მთავარ როლს ნიკა თავაძე თამაშობს, მე კი მისი ისტორიის ერთ-ერთი მთავარი გმირი ვიქნები. გადაღებების ნაწილი უკრაინაში მქონდა, თებერვალში უკვე თბილისში გვექნება.

ჯომარდობის სეზონი დამიმთავრდა, დეპრესია მეწყებოდა, ვფიქრობდი, გაზაფხულამდე რა მიაღწევს-მეთქი და ეს გადაღებები მიეწყო ერთმანეთს, ამიტომ ჩემთვის გაზაფხული მალე მოვა და ისევ ნავში გადავჯდები.

— იმდენ ფილმში თამაშობთ, მგონი, ხალხს დააკარგა, სპორტსმენი რომ ხართ.

— ვცდილობ, შევახსენო ხოლმე თავი. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის სპორტსმენის სტატუსი ბევრად უფრო მომხიბვლელია, ვიდრე მსახიობის. ჩემდა სამწუხაროდ, სპორტის იმდენ სახეობაზე ვიარე, საბოლოო ჯამში, პროფესიონალი, აქტიური სპორტსმენი ვერ დავდექი, თუმცა ჯომარდში უფრო პროფესიონალად ვითვლები. სანამ სპორტულ კარიერას დავასრულებ, ბევრ ჩემპიონატზე მოვახერხებ გასვლას.

— სპორტის კიდევ რომელ სახეობაში გიცდიათ ბედი?

— ფეხბურთს კარგად ვთამაშობდი, ტურნირებზე მინი ფეხბურთი მითამაშია და საკმაოდ წარმატებულადაც, ბევრჯერ საუკეთესო ბომბარდირიც გამხდარვარ. ყოველთვის თავმდამსხმელის პოზიციაზე მიყვარდა თამაში. კალათბურთსაც კარგად ვთამაშობდი, მაგრამ სიმაღლე არ მიწყობდა ხელს. ვნანობ, რომ ჩოგბურთში არ ვცადე ბედი, თუმცა იმით მაინც ვარ ბედნიერი, რომ სპორტსმენის სტატუსი მოვიპოვე და ხალხისთვის სპორტსმენ-მსახიობი ვარ.

— მას შემდეგ, რაც ტელეკომპანია „იმედის“ დილის ეთერიდან სალომე გოგაიშვილთან ერთად გაგიშვეს, რისი ირიბი მიზეზიც ჰომოფობია ანუ ჰომოსექსუალისტების მიმართ არაკეთილგანწყობა იყო, ტელევიზიიდან სხვა შეთავაზება აღარ მიგიღიათ?

— ტელეწამყვანობაზე არ ვფიქრობ და ახლო მომავალში არაფერს ვგეგმავ.

✓ ეკა ლემონჯავა

ᲙᲣᲭ-ᲜᲐᲬᲚᲐᲕᲘᲡ ᲓᲘᲡᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲘ
(ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲝᲑᲐ, ᲤᲐᲦᲐᲠᲐᲗᲘ, ᲨᲔᲑᲔᲠᲘᲚᲝᲑᲐ)
ᲓᲘᲡᲑᲐᲥᲢᲔᲠᲘᲝᲖᲘ

ᲛᲘᲘᲦᲔᲗ

ᲚᲐᲥᲗᲝ-ᲯᲘ

www.laqto.ge

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲪᲐᲜᲘᲗ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐᲡ, ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲔᲥᲘᲛᲘ.

Cyan Magenta Yellow Black

აეჭვიანებს თუ არა თაკო ჩორგოლაშვილი ქმარს თავისი ცეკვებით

რეზი დიდია: „თაკოს ხელში ჩაგდება არ გამჭირვებია“

■ რეზი და თაკო

ცელებკომპანია „იმედის“ ჟურნალისტმა, თაკო ჩორგოლაშვილმა, 3 წლის წინ კალათბურთელ რეზი დიდიას დაუკავშირა ცხოვრება. მათ ერთმანეთი ერთ-ერთ ბარში შეამჩნიეს, მერე კი მეგობრების წრეში დაახლოვდნენ.

ახალგაზრდა წყვილს ცალ-ცალკე ხშირად უწევს ყოფნა — ერთი თბილისშია, მეორე ქუთაისში. განშორებებს მათი საქმე ითხოვს, რეზი ქუთაისის კალათბურთის გუნდში თამაშობს. ცოლის ცეკვას პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ხშირად ეკრანზე უყურებს და არა დარბაზიდან, რადგან თბილისში ჩამოსვლის საშუალება ყოველთვის არ აქვს. ამ დროს მეგობრების გამხნევება სჭირდება, რადგან ძალიან ნერვიულობს. ცოლ-ქმარი ისევ შეყვარებულებად გრძნობენ თავს, მხოლოდ ერთ რამეში ვერ თანხმდებიან — რეზის მამობა სურს, თაკო კი დედობისთვის მზად არ არის.

— როგორ დაიწყო თქვენი სიყვარულის ისტორია?

თაკო: ყველაფერი 3 წლის წინ დაიწყო. ინიციატორი რეზი იყო. დაიწყო სიურპრიზების კეთება. მაშინაც ქუთაისის გუნდში თამაშობდა და ხშირად ვერ ჩამოდიოდა თბილისში, თუმცა, როგორც კი თავისუფალ დროს გამონახავდა, ჩემ სანახავად გამორბოდა. ხანმოკლე ურთიერთობის შემდეგ ინტერესი უფრო გამძაფრდა და ხედავთ, რომ დღეს უკვე ცოლ-ქმარი ვართ.

რეზი: თაკო პირველად ბარში დავინახე და მაშინვე ჩამივარდა გულში. მერე, როგორც ხდება, საერთო სამეგობროს მეშვეობით დავუახლოვდი. მისი ხელში ჩაგდება არ გამჭირვებია. პირველად მე გამოვუტყდი გრძნობებში. ჯერ ვუთხარი, რომ ძალიან მომწონდა, შემდეგ კი ვუთხარი, მიყვარხარ-მეთქი.

— თაკო, რეზი ახლაც ისეთივე ინიციატიურიანი და აქტიურია?

თაკო: რეზი შეყვარებულობის პერიოდში როგორიც იყო, ახლაც ისეთია. ზოგადად მზრუნველი ადამიანია. ხშირად მიწყობდა სიურპრიზებს და დღემდე ასეა. როცა არ ველოდი და ყველაზე მეტად მჭირდებოდა მასთან ურთიერთობა, უეცრად ჩემ გვერდით აღმოჩნდებოდა. ეს არის ადამიანი, რომლის იმედიც მაქვს, ვეყრდნობი და სულ ცდილობს, კომფორტი შემიქმნას.

რეზი: „თაკოს წვეკვის დროს ისე ვნერვიულობ, რომ მეგობრები მეხუმრებიან, ოღონ დალიე, გული არ გაგისკდესო“.

რეზი: „ვბუზღუნებ და გავაგრძელებ ბუზღუნს მანამ, სანამ მამა არ გავხდები! მინდა, ჩემმა თაკუნამ შვილი გამიჩინოს“.

სიშორე თავისას შვრება, ერთმანეთი სულ გვენატრება.

რეზი: უფრო მეტი პასუხისმგებლობა ვიგრძენი, თუმცა ისეთივე შეყვარებული ვარ მასზე, როგორიც შეყვარებულობის პერიოდში. დღემდე მიყვარს სიურპრიზების კეთება, თუმცა დეტალებზე არ ვისაუბრებ იმიტომ, რომ ეს ჩემი და თაკოს პირადია. იგივე შემიძლია თაკოზეც ვთქვა, ის ძალიან რომანტიკულია.

თაკო: ცოლქმრობის დროს გაჩნდა სიმშვიდე, ნდობა და გაიზარდა პასუხისმგებლობაც.

— ახალგაზრდა წყვილი ასე ხშირ-ხშირ განშორებებს როგორ ეგუებით?

რეზი: ერთადერთი, რაც ჩვენს ურთიერთობაში არ მომწონს, ეს არის განშორება. ყოველი წასვლის წინ თაკო მეკითხება, ხომ მალე ჩამოხვალო. მისი ეს კითხვა მაგიჟებს. ადრე ცრემლებიც ახლდა ამ ყველაფერს. ახლა მეტად გავაცნობიერეთ, რომ ასეა საჭირო.

თაკო: „როცა შემოთავაზება მივიღე, ერთი კვირის განმავლობაში ვფიქრობდი. ვერ ვიტყვი იმას, რომ თავიდან რეზიმ ამ სიახლეზე ტაში დამიკრა. ბევრი საუბრის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ მეწვეკვა, ეს ჩემს კარიერას წაადგებოდა. წვეკვა ხელოვნებაა, მასში ერთი მარწვალიც არ დევს ამორალობის“.

თაკო: მეცინება, როცა ამბობენ, განშორება ზოგჯერ კარგია, სულ გენატრებათ ერთმანეთი, არ გაძლევთ იმის საშუალებას, რომ ერთად ყოფნა მოგწყინდეთო. რეალურად კი განშორება ძალიან რთულია. ადამიანი, რომელიც გიყვარს და სულ გენატრება, გინდა, შენთან ახლოს იყოს. მინდა, რომ რეზი თითოეული წუთის მომსწრე იყოს. ეს ყველაფერი ჩვენს შემთხვევაში ტელეფონის საშუალებით ხდება. ამის ფონზე ტელეფონზე ლაპარაკი აღარ მიყვარს.

ერთად ყოფნას სხვა ძალა აქვს. მესამე წელი დაიწყო, რაც ქუთაისში უწევს ყოფნა, მაგრამ ორივემ ვთქვით, რომ ჩვენს საქმეს ასე სჭირდება. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მომავალში უკეთესი ხვალინდელი დღე გვქონდეს. მის კარიერას, მის საქმეს დიდ პატივს ვცემ. ჩემს საქმიანობასაც რეზი იგივენაირად აფასებს. თანამედროვედ მოაზროვნეა, არ მიეკუთვნება იმ მამაკაცების კატეგორიას, რომლებიც მეორე ნახევრებს სახლში კეტავენ. ყველაზე ბედნიერია, როცა ჩემს წარმატებას უყურებს. ვამაყობ, რომ ასეთი კაცი მყავს გვერდით.

— სიყვარულის გამყარებიდან რამდენ ხანში შექმენით ოჯახი?

თაკო: წელიწადნახევარში ტრადიციების მიხედვით გვქონდა ნიშნობა და მალევე გადავედით ერთად საცხოვრებლად.

რეზი: მალევე კი არა, მესამე დღეს გადავედით ერთად. მახსოვს, როგორ გამოიყურებოდა თაკო... პრინციპში, მასთან გატარებული ყოველი დღე კარგად მახსენდება, მართლაც ძალიან ლამაზი ნიშნობა გვქონდა.

— რეზი, როცა ცოლს ეკრანზე უყურებთ, რა გრძნობა გეუფლებათ?

რეზი: ჯერ კიდევ შეყვარებულები ვიყავით, როცა თაკო პირველად გამოჩნდა ეკრანზე. ისე ვინერვიულე, ვერ ვუყურებდი, მხოლოდ ვუსმენდი. მერე ასჯერ გადავახვიე და ვუყურე. შეცდომებზე ვეხუმრებოდი კიდეც, მაგრამ ეს არ სწყინდა, ჩემთან ერთად იცინოდა. პირველი ეთერის შემდეგ თაკო პროფესიულად ძალიან გაზრდილია.

— თაკო, თქვენც იმავეს გრძნობთ, როცა ქმრის თამაშს უყურებთ?

თაკო: მასავით განვიცდი მოგებასაც და წაგებასაც. აქტიური ქომაგი ვარ, ვყვირი, აპლოდისმენტებით ვამხნევებ.

შეყვარებულობის პერიოდში უფრო აქტიურად დავდიოდი მის თამაშებზე, ამ ბოლო დროს ისეთი ცხოვრების რეჟიმი მაქვს, ვეღარ ვახერხებ, ამის გამო რეზი ხშირად მებუზღუნება.

რეზი: გასულ ზაფხულს ქუთაისში ყოფნა მოუწია. იქ არავის იცნობდა. მე დილას და საღამოს ვარჯიშები მქონდა და მისთვის ამ გრაფიკზე მორგება რთული აღმოჩნდა. თავის წილად ცდილობს, ხელი შემიწყოს.

— როცა თაკო ტრიბუნებზეა და გიყურებთ, ეს გაძლიერებთ?

რეზი: როცა ის ტრიბუნებზეა, ორმაგი ძალებით ვთამაშობ. ყოფილა შემთხვევა,

Cyan Magenta Yellow Black

როცა თამაშზე დაუგვიანია და, ტრიბუნაზე რომ ვერ ვხედავდი, განვიცდიდი. როგორც კი მოვიდოდა, მაშინვე ვამჩნევდი და ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ კარგად მეთამაშა.

— თაკო, სპორტსმენი ბიჭები ქალების გაძლიერებული ყურადღების ქვეშ არიან. ამაზე როგორ რეაგირებთ?

თაკო: რეზი საკმაოდ სიმპათიური მამაკაცია, თავის საქმეში წარმატებული და

> **რეზი: „ყოველი ნასვლის წინ თაკო მეკითხება, ხომ მაღლე ჩამოხვალო. მისი ეს კითხვა მაგიჟებს. ადრე წრემლებიც ახლდა ამ ყველაფერს".**



რეალიზებული, ბუნებრივია, რომ ბევრი თაყვანისმცემელიც ჰყავს, ამას მივესალმები, კარგია. ამ ყველაფერს მე არასდროს შევუწუხებივარ. ვიცი, რეზი რამდენად ერთგული პიროვნებაა. მის ცხოვრებაში ის ადამიანი ვარ, რომლის იქითაც არავინ და არაფერი უნდა.

რეზი: ეჭვიანობა რა მოსატანია, არც ერთი ვაძლევთ იმის საბაბს ერთმანეთს, რომ ვიეჭვიანოთ. ამ თემაზე არც კი ვსაუბრობთ.

თაკო: ადამიანში ყველაზე მეტად ეს თვისება არ მიყვარს. როცა საზოგადოებამ გამიცნო, ვიფიქრე, რომ რაღაც დროზით რეზი გაღიზიანდებოდა, მაგრამ აბსოლუტურად პირიქით მოხდა. იმაზე მეტს ითხოვს ჩემგან, ვიდრე შემიძლია, რომ გავაკეთო.

— რეზი, როცა პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები" თქვენი ცოლი სხვასთან ცეკვავს და ხანდახან საკმაოდ სექსუალურად გამოიყურება, უხერხულობას არც მაშინ გრძნობთ?

რეზი: არანაირ უხერხულობას არ ვგრძნობ, როცა ჩემი ცოლი თავის მეწყვილესთან ცეკვავს. პროექტის დაწყებამდეც არ მიფიქრია, რომ რაიმე სახის უხერხულობა შემექმნებოდა. პირიქით, ვცდილობ, ჩემი გულშემატკივრობით გავამხნევო.

ვიდრე თაკო პროექტში ჩაერთვებოდა, მანამდეც ძალიან კარგად ცეკვავდა. მეც მიყვარს ცეკვა და ხშირად ვცეკვავთ ერთად. ახლა ის პროფესიონალურ დონეზე ცეკვავს და ალბათ გამიჭირდება ფეხის აწყობა. იმედია, თავის ცოდნას გამიზიარებს. მინდა გითხრათ, რომ ჩემი ცოლი ყველა მონაწილეზე კარგად ცეკვავს.

თაკო: როცა შემოთავაზება მივიღე, ერთი კვირის განმავლობაში ვფიქრობდი. ვერ ვიტყვი იმას, რომ თავიდან რეზიმ ამ სიახლეზე ტაში დამიკრა. ბევრი საუბრის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ მეცეკვა, ეს ჩემს კარიერას წაადგებოდა. ცეკვა ხელოვნებაა, მასში ერთი მარცვალიც არ დევს ამორალობის. მიხარია, რომ საზოგადოების დიდი ნაწილიც ასე ფიქრობს. მადლობა ღმერთს, რომ ჩემ გვერდში მყოფი ადამიანი საღად აფასებს ამ ყველაფერს.

რეზი: ყოველ ხუთშაბათს დაძაბული ვარ. რადგან ქუთაისში ვცხოვრობ და ვვარჯიშობ, ყოველ ჯერზე ვერ ჩამოვდივარ, მხოლოდ რამდენიმე ტურს დავესწარი. ყოველ ხუთშაბათს მე და ჩემი გუნდელები ვიკრიბებით და ერთად ვუყურებთ პროექტს. თაკოს ცეკვის დროს ისე ვნერვიულობ, რომ მეგობრები მეხუმრებიან, ცოტა დალიე, გული არ გაგისკდესო. წინა ტურში ჟიურიმ ცოლი ცოტა დამიჩაგრა. დაუმსახურებლად დაუწერეს დაბალი ქულები.

— როცა სახლში ერთად ხართ, თქვენი ოჯახური ცხოვრება როგორია, თაკო კარგი დიასახლისია?

თაკო: ჩვენ ცალკე ვცხოვრობთ. იქიდან გამომდინარე, რომ ერთმანეთს კვირაში ერთხელ, ხანაც ორ კვირაში ერთხელ ვნახულობთ, ვცდილობ, მთელი დრო მას დავუთმო. რეზი გურმანია და მინდა, მისი მოთხოვნები ამ მხრივ დავაკმაყოფილო.

რეზი: ყველაფერი კარგად გამოსდის. მიყვარს სალათი ცეზარი და ხშირად ვთხოვ, რომ მომიმზადოს. სხვადასხვანაირად აკეთებს მაკარონს. საყიდლებზე ერთად მივდივართ და მერე ერთად ვფუსფუსებთ. მიყვარს მისი გაკეთებული კერძი. კარგი მზარეულია.

> **თაკო: „ვიცი, რეზი რამდენად ერთგული პიროვნებაა. მის ცხოვრებაში ის ადამიანი ვარ, რომლის იქითაც არავინ და არაფერი უნდა".**

— როგორ შეაფასებდით თანაცხოვრების 3 წელს?

თაკო: ერთ წინადადებაში ვერ ჩავატევ, რა არის ჩემთვის რეზისთან გატარებული 3 წელი. მის გვერდით მშვიდად ვარ. მიხარია, როცა ამ სიტყვების თქმა თამამად შემიძლია.

რეზი: თანაცხოვრების 3 წელს ძალიან დადებითად შევაფასებდი. ჩემი თაკუნა ძალიან მიყვარს. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ სულ გზაში ვარ. როგორც კი ეს სეზონი დამთავრდება, თბილისში ჩამოვალ, მინდა, რომ ერთად ვიყოთ.

— შვილის გაჩენაზე ფიქრობთ თუ ჯერ არა?

თაკო: სულ ამ თემაზე ვლაპარაკობთ. რეზი პატარებს როცა ხედავს, აკანკალებს, ისე უყვარს ბავშვები. არ დაგიმალავთ და გეტყვით, ჯერ დედობისთვის მზად არ ვარ. ამის გამო ხშირად მებუზღუნება რეზი.

რეზი: ვბუზღუნებ და გავაგრძელებ ბუზღუნს მანამ, სანამ მამა არ გავხდები! 31 დეკემბრის შემდეგ, როცა პროექტი დასრულდება, ამ თემაზე სერიოზულად ვიფიქრებთ. მინდა, ჩემმა თაკუნამ შვილი გამიჩინოს.

✓ ლანა კიკნაძე

ნინა სუბლატი შავი კაბით გათხოვდა

ახალგაზრდა მომღერალმა, კონკურს „საქართველოს ვარსკვლავის" გამარჯვებულმა ნინა სუბლატმა, სულ რამდენიმე თვეში მოასწრო, შეყვარებულს დაშორებოდა, ახალი სიყვარული ეპოვა და ცოლადაც გაჰყოლოდა. მისი ქმარი 31 წლის მუსიკოსი გიორგი შამანაურია, რომელიც თბილისის სიმფონიური ორკესტრის ერთ-ერთი მესაყვირეა. მათი სიყვარულიც სპონტანურად განვითარდა და დაქორწინებაც მოულოდნელად გადაწ-

> **„ტიპუჩ ქართულ ოჯახებს ჩემ ვეუჩებ, ცოლქმრობა თითქოს ვალდებულებასავით აქვთ. ჩვენ ხელი მოვანეჩეთ, მაგრამ საკუთარ თავზე არანაირი ზედმეტი ვალდებულება არ აგვიღია".**

ყვიტეს. ოჯახურ ცხოვრებას ისე ართმევენ თავს, როგორც შეუძლიათ. გამოუცდელ დიასახლისს ქმარი ეხმარება, სახლსაც ალაგებს და საჭმელსაც ამზადებს.

— ნინა, ცოტა ხნის წინ, როცა „სარკესთან" თქვენი და გიორგი შამანაურის სიყვარულზე ლაპარაკობდით, არ გითქვამთ, რომ დაქორწინებას აპირებდით. სპონტანურად გადადგით ეს ნაბიჯი?

— ოჯახის შექმნა დაგეგმილი არ გვქონია, ერთ დღეს უცბათ გადავწყვიტეთ ხელისმოწერა. არც ქორწილი გადაგვიხდია და არც განსაკუთრებულად აღგვინიშნავს. მეგობრები ახლაც კი ელიან ქორწილს, მაგრამ (იცინის)... ხელისმოწერის დღეს ჩვეულებრივი, შავი კაბა და პიჯაკი მეცვა. ჩვენს მეჯვარეებთან ერთად, მეგობრების ვიწრო წრეში აღვნიშნეთ ის →24

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლოოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:
სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია. ქ-ნი ქეთევანი

☎ 577-29-37-41, 247-58-83

Cyan Magenta Yellow Black

საღამო.

— მეჯვარეები ვინ იყვნენ?

— გიორგის მეჯვარეები იყვნენ მუსიკოსი ნიკოლოზ რაჭველი და მსახიობი სოფია სებისკვერაძე, ჩემი მეჯვარე კი მომღერალი სოფო ტოროშელიძე იყო.

— საინტერესო იყო თქვენი სტატუსი, რომელიც „ფეისბუქზე“ ქორწილის დღესვე დაწერეთ, რომ ქმარმა პირველივე დღეს მოგატოვათ და გასტროლებზე წავიდა.

— ნიკოლოზ რაჭველი ერთი თვით მიემგზავრებოდა გასტროლებზე პეტერბურგში, ჩვენ კი ამდენი ხნით არ გვინდოდა მოცდა და გადავწყვიტეთ, გიორგის წასვლამდე მოგვეწერა ხელი.

— ცალკე ცხოვრობთ თუ მშობლებთან ერთად?

— მე, გიორგი და გიორგის ძმა ვცხოვრობთ ერთად.

— გაიცანით ერთმანეთის მშობლები?

— გიორგი იცნობს დედაჩემს, მე კი გავიცანი გიორგის ბებია და მამიდა. მის მშობლებს ჯერ არ ვიცნობ, ისინი საზღვარგარეთ ცხოვრობენ.

— დიასახლისობა როგორ გამოგდით?

— დიასახლისის ამპლუაში ვერც წარმომიდგენია თავი. როლები გვაქვს განაწილებული, რომ სახლი დალაგებული იყოს, ჭურჭელი — დარეცხილი და ა.შ. ძირითადად მაინც გიორგი იღებს ვალდებულებებს საკუთარ თავზე, მაგრამ ხანდახან მეც ვეხმარები.

— როგორც ჩანს, არც კერძების მომზადება გხიბლავთ დიდად.

— საჭმელების გაკეთება არ ვიცი და არც მინდა, ვიცოდე. ერთი-ორჯერ რომ ვცადე, ძალიან ცუდი შედეგი მივიღე. შემწვარი კვერცხი რატომღაც მწვანე გამომივიდა, მერე აღმოჩნდა, რომ მარილის ნაცვლად სოდა დამიყრია. სამზარეულოში საშინელებები გამომდის. ერთადერთი, ჩაის და ყავის მომზადება შემიძლია. გაყინულ პროდუქტებსაც ვამზადებ.

— გიორგი აშკარად არ არის პრეტენზიული მეუღლე...

— სანამ ერთად ცხოვრებას გადავწყვეტდით, მიცნობდა და იცოდა, როგორი ტიპიც ვიყავი. ყოველთვის აღვნიშნავდი, რომ ჩემს ვალდებულებებში ვერ ვხედავ იმას, რისი გაკეთებაც არ მინდა. დიასახლისობა ჩემთან ახლოს არ არის. ეს ამბავი გიორგიმ ჩვეულებრივად მიიღო. ნამდვილად არ არის პრეტენზიული ქმარი, პირიქით, ძალიან გამგებია.



„გიორგის ძალიან ვუყვარვარ და ამის გამო ბევრ რამეს მითმობს, თუნდაც იმას, რომ სახლს თვითონ ალაგებს, საჭმელს აკეთებს“.

— თქვენ როგორი ცოლი ხართ?

— მე მეუღლედ ვერც აღვიქვამ თავს. ტიპურ ქართულ ოჯახებს რომ ვუყურებ, ცოლ-ქმრობა თითქოს ვალდებულებასავით აქვთ. ჩვენ კი ჩვეულებრივად ვცხოვრობთ, ისე, როგორც შეყვარებულობის პერიოდში. ხელი მოვაწერეთ, მაგრამ საკუთარ თავზე არანაირი ზედმეტი ვალდებულება არ აგვიღია. ვფიქრობ, რომ კარგი ცოლი ვარ, თუმცა... მოკლედ, ვარ ის, რაც ვარ! არც ეჭვიანი გახლავართ, არც დიდად ვაწუხებ.

— არც გიორგია ეჭვიანი?

— ცოტა ეჭვიანი ნამდვილად არის, მაგრამ ხანდახან არ მესმის, რატომ ეჭვიანობს, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამის გამო ცხოვრების სტილი შევიცვალე. უფრო მეტიც, გიორგის მოსწონს ჩემი ჩაცმულობა, ჩემი გემოვნება. რაც შეეხება მეგობრებთან დროის გატარებას, ბუნებრივია, როცა მეორე ნახევარს პოულობ, მეგობრები მეორე პლანზე ინაცვლებენ. ამ სიტუაციაში თავს კარგად ვგრძნობ. გიორგი ჩემს საქმეშიც მეხმარება, მეც იმავეს ვაკეთებ მისთვის. გიორგის ძალიან ვუყვარვარ და ამის გამო ბევრ რამეს მითმობს, თუნდაც იმას, რომ სახლს თვითონ ალაგებს, საჭმელებს აკეთებს. ეს უკანასკნელი კი ძალიან სიამოვნებს.

■ გიორგი და ნინა

— რა მოგწონთ მისი მომზადებული კერძებიდან განსაკუთრებით?

— ყველაზე მეტად ბულიონი მომწონს, ძალიან გემრიელია.

— ერთმანეთს რა თვისებებით ჰგავხართ და რითი განსხვავდებით?

— ხასიათით ორივე ძალიან ვგავართ ერთმანეთს, მეც მიყვარს კლასიკური მუსიკა და მასაც. უბრალოდ, მე უფრო ჯიუტი თუ ამბიციური ვარ, ვიდრე გიორგი. ასეთი მცირე განსხვავებების გამო ხანდახან შეიძლება ვიკამათოთ, მაგრამ მსუბუქად და, რაც მთავარია, იშვიათად. ოჯახი სწორედ იმიტომ შევქმენით, რომ ერთმანეთს ძალიან ვგავართ.

„საჭმელების გაკეთება ახ ვიცი და ახც მინდა, ვიცოდე. ერთი-ორჯერ რომ ვცადე, ძალიან ცუდი შედეგი მივიღე. შემწვარი კვერცხი რატომღაც მწვანე გამომივიდა“.

— როგორ ფიქრობთ, რთულია გიორგისთვის პოპულარული ცოლის ყოლა?

— მგონია, რომ არამარტო გიორგისთვის არის რთული, არამედ ყველასთვის. მეც გამიჭირდებოდა გიორგის ადგილას ყოფნა, რადგან ყველა გაკვირდება და ეს ხშირ შემთხვევაში გამაღიზიანებელია. თუმცა არ ვარ ის პიროვნება, რომელსაც ცნობადობა ზღუდავს და ცვლის. ჩვეულებრივად ვცხოვრობ, როგორც პროექტ „საქართველოს ვარსკვლავამდე“ ვცხოვრობდი.

— ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო რუტინას როგორ უდგებით?

— ჩვეულებრივად, მაგალითად, დიდად არ ვზრუნავთ ფინანსების დაზოგვაზე, როცა შეგვიძლია, ვხარჯავთ, როცა არ შეგვიძლია — არა. ჩვენი ურთიერთობა ერთადერთი სიტყვით შემოიფარგლება და ეს არის სიყვარული. სხვა დანარჩენი ჩვენთვის მნიშვნელოვანი არ არის.

— მსუბუქი მეტოქეობა თუ არის ხელოვან ცოლ-ქმარს შორის?

— ჩვენ განსხვავებულ სფეროებში ვართ, გიორგი კლასიკური მუსიკის გზით მიდის, მე მომღერალი ვარ. ამიტომ ჩვენ შორის არც კონკურენცია არსებობს.

— არც რჩევები გჭირდებათ ერთმანეთისგან?

— გიორგი ალბომის ჩაწერასა თუ რეპერტუარის შერჩევაში ძალიან მეხმარება. ძალიან ვენდობი. მომწონს მისი ხედვა და რჩევები.

— შეიძლება ცოლ-ქმარმა სამომავლოდ ერთობლივად იმუშაოთ სცენაზე?

— არა მგონია. სახლში კი სიამოვნებით ვთანამშრომლობთ, თუმცა არ ვიცი, მომავალში რა იქნება.

— პროფესიიდან გამომდინარე, შეიძლება ხშირად მოგიწიოთ განშორებები, გასტროლებზე წასვლა, საქმიანი მოგზაურობები. ამას შეგუებული ხართ?

— როცა შესაძლებლობა გვექნება, ერთად წავიდეთ, ამას აუცილებლად გავაკეთებთ. ორი თვით ლონდონში მივდივარ სასწავლებლად და დიდი სურვილი მაქვს, გიორგიც ჩემთან ერთად წამოვიდეს. ორი თვე დიდი დრო არ არის, მაგრამ ცოლ-ქმრისთვის მაინც ბევრია. შეგუებულები ვართ იმას, რომ ჩვენი კარიერა ერთმანეთის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. მონატრების გამო კარიერაში მცდარ ნაბიჯებს არ გადავდგამთ. ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და იმედი მაქვს, სულ ასე იქნება. თუ დრო აქვს, გიორგი ყველგან მომყვება და ასევე ვარ მეც, მის ყველა კონცერტს ვესწრები. ვცდილობთ, ერთმანეთის შესახებ ყველაფერი ვიცოდეთ და მუდმივად ერთმანეთის გვერდით ვიდგეთ.

— დაბოლოს, ნინა, თქვენს შემოქმედებაში რა სიახლეებია?

— შოთიკო ბოჭორიშვილის პროექტში, ვიდეოარტში ვმონაწილეობ, ასევე — საახალწლო პროექტებში, მაყურებელი რიყეზე გამართულ კონცერტზეც მიხილავს. მალე გამოვა ჩემი, ლუკა ზაქარიაძის, მარიკო ლეჟავას და ნუკა გვალიას ერთობლივი ალბომი, რომელშიც ჩვენი ქავერები შევა.

✓ **მანანა ნოდია**

Cyan Magenta Yellow Black

გიორგი ბოჭორიშვილს ცოლმა ხორციანი კერძები დაავიწყა

„დეიდაჩემს ტოხტი დავუწუნე, დედაჩემს — ხაჭაპური"

ბატონი გიორგი ბოჭორიშვილი კარგი კულინარების ხელშია გაზრდილი და ეს მის ნახელავ კერძებსაც ეტყობა. გემრიელი საჭმლის მთავარი საიდუმლო იცის — ინგრედიენტებში ზომიერების დაცვა და კულინარის სინდისიერება. თითქმის ყველაფრის მომზადება შეუძლია, მაგრამ ბოლო პერიოდში ამ საქმისთვის დრო აღარ ემეტება. თანაც მისი ცოლი, მსახიობი ეკა დემეტრაძე, ხორცეულს არ ეკარება, ძირითადად რძის პროდუქტებით იკვებება და ქმარ-შვილიც ასეთ მენიუზე გადაიყვანა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გიორგი უპრეტენზიო მჭამელი გახდა. კვების საკითხს ძალიან დიდი ყურადღებით უდგება, ვერაფერს გამოაპარებ. მისთვის კერძის შემადგენლობასაც და გარეგნულ იერსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

— გიორგი, როგორ ჩამოყალიბდით კარგ კულინარად?

— დედაჩემი და დეიდაჩემი მაგარი მზარეულები არიან. მათ შემყურეს საჭმლისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩამომიყალიბდა. ბოლო პერიოდში ნაკლებს ვჭამ, ადრე კი სულ ჭამაზე ვფიქრობდი. ბოლო დროს სახლშიც აღარ ვაკეთებ არაფერს, არადა მომზადების პროცესი ძალიან მიყვარს.

— რატომ შემოსწყვრით კულინარიას?

— მგონია, რომ ამაში ჩემს დროს ვხარჯავ.

— ცოლი განებივრებთ გემრიელი სადილებით?

— არა. ჯერ ერთი, ეკა ძალიან ცოტას ჭამს და მეორე, არც იცის საჭმელების კეთება. რაც უყვარს, იმას კარგად ამზადებს, მაგალითად, სალათებს. ქათმის ხორცის გარდა, სხვა ხორცს საერთოდ არ ეკარება. ასე რომ, ჩვენი გემოვნება მხოლოდ რძის პროდუქტებში ემთხვევა ერთმანეთს. ეკა რომ არ ჭამს ხორცეულს, მეც აღარ ვჭამ. მე და ბავშვი სოსისს თუ მოვიხარშავთ. ძირითადად ხილსა და რძის ნაწარმზე ვართ გადასული.

— როგორც წესი, ვისაც კულინარიაში რამე ვაეგება, ბაზარში წასვლა და პროდუქტების შერჩევაც უყვარს. ეს თქვენთვისაც სასიამოვნო პროცესია?

— ბაზარი არასოდეს მიყვარდა, სულ მგონია, რომ რაღაცას მატყუებენ. იშვიათია კეთილსინდისიერი გამყიდველი, რომელიც არც მოგატყუებს და კარგ პროდუქტსაც გამოგატანს. ყველის ყიდვაც ძალიან ძნელია ბაზარში.

ჩემი მეგობარი წავიდა სოფელში და იქ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები მოჰყავს, ოღონდ ძალიან ცოტა. საქართველოში ხალხი საკმაოდ არაჯანსაღად იკვებება. ქართველებმა ცხიმის დიდი ოდენობით მოხმარება ვიცით, რაც ორგანიზმს ვნებს. ქეიფსა და ღვინის სმაზე აღარაფერს ვამბობ.

— თქვენ არ სვამთ?

— ღვინოს კონიაკი მირჩევნია. სამ ლიტრ ღვინოს რომ დალევ და ორ კილო მწვადს დააყოლებ, 40 წლის ასაკში ინფარქტი რომ დაგემართოს, აღარ უნდა გაგიკვირდეს.

— როცა სასიათი და დრო გაქვთ, რა კერძებს ამზადებთ?

— თითქმის ყველაფერს — სოუსს, ჩახოხბილს, „ოსტრის", სუპ-ხარჩოს.

— ჩვენს მკითხველს რა რეცეპტები შეგიძლიათ გაუზიაროთ?

— ჩემი საყვარელი კერძია ხორციანი სალათი და მას გასწავლით. შეგიძლიათ როგორც ქათმის, ისე საქონლის ხორცით მოამზადოთ:

ხორცს მოხარშავთ და დაძიძგნით. ერთ კილო ხორცზე დაგჭირდებათ ერთი კილო გახეხილი ბოლოკი, ერთმანეთში აურევთ, დაასხამთ ორ პაკეტ მაიონეზს, ერთმანეთში ისევ კარგად აურევთ და ბლომად ბროწეულის მარცვლებს მოაყრით. ძალიან გემრიელია. მე ქათმის ხორცით მომზადებული მირჩევნია, რადგან ნაკლებად ცხიმიანია. ბროწეული ყველაზე მეტად უხდება.

შემიძლია ხმელი ლობიოს გაკეთება გასწავლოთ, რომელიც ძალიან გემრიელი გამომდის. ორნაირად ვამზადებ. ლობიო რომ წამოდუღდება, წყალს გამოუცვლით, მეორედაც რომ წამოდუღდება წყალი, ჩააჭრით 4 თავ ხახვს და ერთად ხარშავთ. შემდეგ კი ჩვეულებრივად შეკმაზავთ მწვანილით.

მეორენაირად თუ ვამზადებ, ზეთში ცალკე ვშუშავ ხახვს და ცოტა ტომატს ვუშვრები. საჭიროა ქინძი, უცხო სუნელი და ორრახუში. თუ აჯიკა მაქვს, ვუმატებ და კარგ გემოს აძლევს. მერე ამ ყველაფერს ლობიოში ვყრი, ცოტა ხანს კიდევ ვადუღებ და კერძი მზადაა.

ლობიოს ადრე ხშირად ვაკეთებდი, რადგან ძალიან მიყვარს, მაგრამ მისი მომზადების პროცესი იმდენად დამღლელია, იმდენი დრო სჭირდება, რომ ბოლოს გასინჯვის სურვილიც აღარ მაქვს.

„ყველი, ჩაი, ჯახაქიანი პური — ესაა ჩვენი დილის მენიუ. ძალიან მიყვარს მანონი, ხაჭო, ყეფირი. ამის შემდეგ მოდის მანდარინი, ბანანი, ვაშლი, ზაფხულში — ჯიტრი, პომიდორი. სულ ესაა, ფაქტობრივად საჭმელებს აღარ ვაკეთებთ".

ამერიკაში რომ ვცხოვრობდი, სუპერმარკეტში იყიდებოდა ლობიო ხორცით, რომელიც ძალიან ცხარე, მაგრამ უგემრიელესი იყო. იქ საკმაოდ პოპულარული კერძია. ლობიოს ისე მომზადება აქაც ვცადე, მაგრამ საშინელება მივიღე. იქ რაღაც ისეთს უკეთებენ, რასაც ვერ ვიგებ. ალბათ რომელიმე სუნელია, რომელიც საქართველოში არ არის.

ჩაქაფული ბევრჯერ გამიკეთებია, ძალიან ბევრი მწვანილით, ტყემლით და ღვინით. ბატკნის ხორცით ერთხელ მოვამზადე, ძირითადად ხბოს ხორცით ვაკეთებ, უფრო მშრალი და ნაკლებად ცხიმიანია.

— როგორც ჩანს, ცხიმიან საკვებს ერიდებით.

— ჰო, რაღაცნაირად შემზიზღდა. თან აღმოვაჩინე, რომ ღორის ხორცზე ალერგია მაქვს. ცოტა ბევრი მწვადი რომ ვჭამო, მაშინვე რეაქციას მაძლევს. საკმაოდ დიდხანს ვერ ვხვდებოდი, რა მწყენდა, ბევრჯერ გადასხმების გაკეთებაც დამჭირდა. ერთი პერიოდი სასმელსაც ვაბრალებდი, საბოლოოდ კი აღმოვაჩინე, რომ შემწვარი ღორის ხორცი მწყენს. მხოლოდ ერთი-ორი ნაჭრის დაგემოვნების უფლებას ვაძლევ საკუთარ თავს.

— ასეთი კულინარი ქმარი ცოლს სიურპრიზად გემრიელ ჯახშებს არ ასაჯდრებთ?

— ადრე ვუკეთებდი, მაგრამ ახლა უკვე სახლში მხოლოდ დილაობით ვჭამთ. ყველი, ჩაი, კარაქიანი პური — ესაა ჩვენი დილის მენიუ. ძალიან მიყვარს მანონი, ხაჭო, კეფირი. ამის შემდეგ მოდის მანდარინი, ბანანი, ვაშლი, ზაფხულში — კიტრი, პომიდორი. სულ ესაა, ფაქტობრივად საჭმელებს აღარ ვაკეთებთ. წვენებსაც ჩვენ თვითონ ვწურავდით — სტაფილოს, ჭარხალს, ვაშლს, მაგრამ წვენსაწური ისეთი რთული ასაწყობ-დასაშლელია, რომ შევეშვით.

— ტკბილეული არ გიყვართ?

— ტკბილეული მიყვარს, მაგრამ ყველაფერი — არა. ადრე შოკოლადსაც კი არ ვჭამდი. რაც სიგარეტს დავანებე თავი, მას შემდეგ შემიყვარდა. მიყვარს ნამცხვრებიც, ოღონდ ზომიერად უნდა ჭქონდეს სიტკბო. კვების მხრივ, პრეტენზიული ვარ. ვერც საცივს ვჭამ ყველგან. დედა და დეიდა ისეთ მაგარ საცივს აკეთებენ, რომ სხვის ნახელავს ვეღარ ვჭამ. ახალ წელს ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო მაგარ საცივს გააკეთებს, ძალიან სერიოზულად უდგებიან ამ საქმეს. ზოგჯერ სუფრაზე მინახავს ისეთი საცივი, რომლის ზედა ფენაც მხოლოდ ცხიმია. რომ მომკლა, ასეთ საცივს ვერასოდეს შევჭამ!

— ნამცხვრის გამოცხობაც ხომ არ გიცდიათ?

— შანსი არაა, ნამცხვრის გამომცხობი მე არ ვარ! ამის ნერვები არ მაქვს. სურვილიც არასოდეს გამიჩნდება. ამ ბოლოს დეიდაჩემს ტორტი დავუწუნე, ძალიან ტკბილი იყო. დედაჩემს ხაჭაპურსაც ვუწუნებ. ყველა აღნიშნავს, რომ გემრიელია, მაგრამ მე არ მომწონს. ძალიან ბევრ ყველს უშვრება, მეუბნება, ხაჭაპურს ბევრი ყველი უნდა ჭქონდესო, მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ ჯობს, ზომიერად ჭქონდეს.

— თევზეულის მიმართ როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

— მეც ძალიან მიყვარს და ეკასაც. ყველაზე მეტად კალმახს გამოვარჩევ. ე.წ. ცოცხალი თევზი გემრიელი კია, მაგრამ შესახედავად არ მომწონს, ამიტომ არ ვჭამ.

— დაბოლოს, როგორ ფიქრობთ, კარგი მზარეულისთვის რისი ცოდნაა უმთავრესი?

— ყველაფერი სინდისიერად უნდა გააკეთო და მთავარი — ინგრედიენტებში ზომიერების შენარჩუნება კარგი გემოს საწინდარია.

✓ ქეთი დინოშვილი

ნათელმხილველი ნელი ბიჩიკაშვილი

სამწუხაროდ, დღევანდელ ყოფაში პრობლემები ჩვენი ყოველდღიური თანამგზავრი გახდა. თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვ. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქ-ნი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება.

მერწმუნეთ, ქ-ნი ნელის წინასწარმეტყველება ბევრ სიურპრიზს გაპირდებათ...

ჩანერა ხდება წინასწარ.

☎ 214-20-65 (ბინა), 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.

Cyan Magenta Yellow Black

რა ჯავრი ჩაიტანა საფლავში ზურაბ ქაფიანიძემ

„მამას ჩანაწერების დღიური მისი გარდაცვალების შემდეგ აღმოვაჩინეთ“



„მე და მამას იმდენად ახლო ურთიერთობა გვქონდა და ისეთი რაღაცეების თქმას ვუბედავდი, რომ მერე თვითონაც მიკვირდა. თბილი ადამიანი იყო, მაგრამ მისი მხრიდან სითბოს გამოხატვა ცოტა უცნაურ ფორმებში ხდებოდა. კი არ მოგეფერებოდა, „დაგჭმუჭნიდა“.

ᲛᲐᲛᲐᲡ ᲩᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲦᲛᲝᲕᲐᲩᲘᲜᲔᲗ

Მსახიობი ზურაბ ქაფიანიძე ქართული კინოს ვარსკვლავებს შორისაც კი გამორჩეული იყო თავისი გარეგნობით, ხმით, ქცევით. დევგმირს ჰგავდა. ვაჟკაცებს განასახიერებდა ეკრანზე და ცხოვრებაშიც ასეთი იყო. სტკიოდა ყველაფერი, რაც ქვეყანას და თითოეულ ადამიანს ცალ-ცალკე აწუხებდა. თავის დღიურში ჩაუწერია კიდეც: „არ შემიძლია მოვისვენო ვერც დღე და ვერც ღამე. სანამ ჩემს ქვეყანაში ერთი გაჭირვებული ადამიანი მაინც იარსებებს, მე მოსვენებული ვერ ვიქნები“.

რაჭაში დაბადებული ბიჭის ცხოვრება უცნაურად წარიმართა. თბილისში პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩასაბარებლად ჩამოვიდა, მაგრამ ქუჩაში კინოსა და თეატრის ვარსკვლავმა აკაკი ხორავამ შენიშნა და მსახიობობა ურჩია. ასე მოხვდა ჯერ თეატრალურ ინსტიტუტში, მერე — თეატრში, შემდეგ კი — კინოში.

„წუხელის ბიჭი დაბადებულა...“ — შეუძლებელია ზურაბ ქაფიანიძის წაკითხული ეს ლექსი ერთხელ მოგესმინა და მეხსიერებაში არ ჩაგრჩენოდა. ამ სტრიქონებს განსაკუთრებული ემოციით კითხულობდა. თავად მას ერთი გოგონა და ორი ვაჟი დარჩა — ლელა, ბერდია და ბექნუ. ბექნუმ მამის გზა გააგრძელა, ისიც მსახიობია.

„სარკესთან“ მამის შესახებ სწორედ ის საუბრობს:

— მამაჩემი არამხოლოდ მსახიობი და ცნობილი სახე იყო, ის უფრო მეტი გახლდათ, რადგან თავიდან ბოლომდე ეროვნული ფიგურა იყო. მამას ჰქონდა ჩანაწერების დღიური, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ აღმოვაჩინეთ. ერთგან წერს, სანამ ჩემს ქვეყანაში ერთი გაჭირვებული ადამიანი მაინც იარსებებს, ვერ მოვისვენებო. ქვეყნის მდგომარეობას ითავისებდა და სტკიოდა. თითოეული ადამიანის პრობლემა გულთან ახლოს მიჰქონდა. ქუჩაში უბრალო შემხვედრსაც კი ეხმარებოდა. თუკი ვინმეს ოდნავ მაინც ხელს გაუმართავდა, ამით უზომოდ ბედნიერი იყო. ჩემი აზრით, ადამიანი შეიძლება იყოს პროფესიონალი თავის საქმეში, მაგრამ თუ ის არ არის კარგი პიროვნება, მისი საქმიანობა წყალს მიაქვს.

ერთი შემთხვევა გამახსენდა. ერთმა ჩემმა ნაცნობმა მთხოვა, როცა მამასთან ერთად იქნები, დამირეკე, მასთან რაღაც სათხოვარი მაქვსო. სახლში მისულმა მამას ეს რომ ვუთხარი, გამინაწყენდა. ჩემი ნომერი რატომ არ მიეცი, იქნებ იმ კაცს როგორი საჩქარო საქმე ჰქონდაო. არ არსებობდა, ვინმე დახმარების სათხოვნელად მოსულიყო და უარით გაესტუმრებინა. როგორც შეეძლო, ყველას გვერდით უდგებოდა.

უამრავი ქვეყანა ჰქონდა მოვლილი, ზოგან გადაღებებზე იწვევდნენ, ზოგან — ლექციების ჩასატარებლად. თუმცა როგორი გამორჩეული ადგილიც უნდა ენახა, საქართველოს უპირატესად თვლიდა. ჩვენს მეზობელ ქვეყნებში მიღებული და დაფასებული პიროვნება გახლდათ. დანანებით იტყოდა ხოლმე, ჩემს ფიგურას ამ ერებთან დაახლოების მიზნით რატომ არ იყენებენო.

მოკლედ, მამა ასეთი ტიპი იყო, მისთვის მთავარი ადამიანური ურთიერთობები გახლდათ. ყოფით თემებზე საუბარს თუ დაუწყებდი, გვერდზე გადაგწევდა, ხოლო თუკი ერთი პიროვნების ან მთლიანად ქვეყნის გასაჭირზე ეტყოდი რამეს, მაშინ მთელი სულით და გულით ჩაერთვებოდა საუბარში.

— მის ბავშვობასა და ახალგაზრდობაზე თქვენთვის მოუყოლია თავად ან სხვა კინმეს?

— მამაჩემი რაჭაში, ონის რაიონში, სოფელ ნაკიეთში დაიბადა და გაიზარდა. მამამისი ვასო ქაფიანიძე იყო, დედა კი — თინა ხიდეშელი. ბაბუა კოლმეურნეობის თავმჯდომარე გახლდათ. მამას ორი დედმამიშვილი ჰყავს — ნელი და მარინა ქაფიანიძეები. ჩემი მამიდები ზურაზე ბევრად უმცროსები არიან. როგორც ისინი იხსენებენ, როცა პატარები იყვნენ, ზურა პერანგის ღილებს ჩაიხსნიდა, დებს შიგნით ჩაისვამდა და ასე დაჰყავდა აქეთ-იქით. ძალიან უყვარდა და მათთან საოცრად თბილი ურთიერთობა ჰქონდა. მამიდაჩემის ბავშვობისდროინდელი წინდები საწოლთან ჰქონდა ჩამოკიდებული.

სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში ჩამოვიდა, მაშინდელ ტექნიკურ ინსტიტუტში აპირებდა ჩაბარებას. ერთ დღესაც რუსთაველის პროსპექტზე მეგობრებთან ერთად იდგა, ხმამაღლა ლაპარაკობდა და თან იცინოდა. ხომ იცით, მას როგორი გამორჩეული სიცილი და ხმის ტემბრი ჰქონდა. იმ დროს შემთხვევით აკაკი ხორავამ ავტომანქანით გაიარა. თვალში მოხვდა ზურაბის გარეგნობა, მისი სიცილი, ხმა და კაცი გაგზავნა მასთან. როდესაც მამასთან მივიდნენ და უთხრეს, ვინ იბარებდა, შერცხვა. ეგონა, რომ ამ უდიდეს არტისტს მისთვის საყვედური უნდა მიეცა. ბატონ აკაკის უკითხავს, სად აბარებდა და თან დაუყოლებია, არანაირი ტექნიკური ინსტიტუტი, საბუთები ჩემთან უნდა შემოიტანოო (მაშინ აკაკი ხორავა თეატრალური ინსტიტუტის რექტორი იყო). ასე ჩააბარა მამამ სამსახიობო ფაკულტეტზე.

„როცა პატარები იყვნენ, ზურა პერანგის ღილებს ჩაიხსნიდა, დებს შიგნით ჩაისვამდა და ასე დაჰყავდა აქეთ-იქით. ძალიან უყვარდა და მათთან საოცრად თბილი ურთიერთობა ჰქონდა. მამიდაჩემის ბავშვობისდროინდელი წინდები საწოლთან ჰქონდა ჩამოკიდებული“.

ბატონი აკაკი 4 წელი შვილივით ზრდიდა, ყველაფერში ეხმარებოდა, როგორც პროფესიულად, ასევე მატერიალურად. ზურას ერთი მამა რაჭაში ჰყავდა, მეორე თბილისში — აკაკი ხორავას სახით.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ხორავამ საყვარელი მოსწავლე აკაკი ვასაძეს ჩააბარა, რომელიც მაშინ ალექსი მესხიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. ასე დაიწყო მამას თეატრალური ცხოვრება ქუთაისში. გარკვეული პერიოდის შემდეგ კინოსტუდიაში მიიწვიეს და ამის მერე მისი კარიერა ფილმების მიმართულებით გაგრძელდა. მისი პირველი კინოდებიუტი მერაბ კოკოჩაშვილის ფილმში „მიხა“ შედგა. ამის მერე კი ეკრანზე 50-მდე პერსონაჟი განასახიერა.

— შვილებისთვის სუფთა ქართული სახელები დაურქმევია. თქვენი სახელი — ბექნუ, როგორ შეარჩია, დაინტერესებულხართ ამით?

— ბექნუ ძირძველი სვანური სახელია. მამაჩემს სვანების და სვანეთის მიმართ უდიდესი სიყვარული ჰქონდა. სწორედ ამ სიყვარულის გამო გადაწყვიტა, ჩემთვის ბექნუ დაერქმია.

— უშუალოდ თქვენთან ურთიერთობაში როგორი იყო?

— მე და მამას იმდენად ახლო ურთიერთობა გვქონდა და ისეთი რაღაცეების თქმას ვუბედავდი, რომ მერე თვითონაც მიკვირდა, ეს როგორ ვუთხარი-მეთქი. მისი საშუალებით ისეთ პიროვნებებთან მომიწია ურთიერთობა, რომლებიც საქართველოს კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ. მათგან უმეტესობა ცოცხალი აღარ არის, ერთი-ორი ადამიანიღა შემორჩა. ბოლო წლებში, სადაც კი წავიდოდა, ყველგან მივყავდი. უხაროდა, როდესაც მის გვერდით ვიყავი. მეც განსაკუთრებული საქმე არაფერი მქონდა და მისთვის სულ მეცალა.

თბილი ადამიანი იყო, მაგრამ მისი მხრიდან სითბოს გამოხატვა ცოტა უცნაურ ფორმებში ხდებოდა. კი არ მოგეფერებოდა, „დაგჭმუჭნიდა“. ეს იყო მისი მოფერებაც და ყველაფერი.

სკოლაში ძალიან ცელქი ვიყავი, ერთ ადგილას ვერ მაჩერებდნენ. თუკი კლასში

Cyan Magenta Yellow Black

■ მარცხნიდან: ტარიელ ხარხელაური, ბექნუ და ზურაბ ქაფიანიძეები

რამე გაფუჭდებოდა, ყველაფერი ჩემი ბრალი იყო. პირველ გიმნაზიაში ვსწავლობდი, რომლის დირექტორიც ლიანა შეწირული გახლდათ. მამაჩემი და ქალბატონი ლიანა ერთმანეთს კარგად იცნობდნენ. ზურა ხშირად მოდიოდა სკოლაში და დამხედავდა ხოლმე. მისი გამოჩენა ბავშვებსა და მასწავლებლებში აჟიოტაჟს იწვევდა. ერთხელაც ასე შემოიარა და დირექტორთანაც შევიდა. ქალბატონმა ლიანამ უთხრა, თქვენს შვილს ექვს გაკვეთილზე ვერაფრით ვაკავებთო და ბოლო დღეებში მომხდარი უამრავი შემთხვევის შესახებ მოუყვა, როცა რაღაც გავაფუჭე. ბოლოს კი უთქვამს, მიუხედავად ამ ყველაფრისა, კარგი კაცი გეზრდებაო. მამას თურმე ეს ბოლო სიტყვები ისე ეამა, რომ კაბინეტიდან გახარებული გამოვიდა. ჩემი სიცელქე და ცუდი საქციელი აღარ ახსოვდა.

— მისგან გაბრაზება, საყვედური გახსოვთ?

— მამა ძალიან მკაცრი იყო, ოღონდ ჩხუბს კი არ ატეხდა, მიგახვედრებდა, თუკი რაღაც არ მოსწონდა. ვერ ვბედავდი, რომ საქმე საყვედურამდე მიმეყვანა. მისი ხასიათი ვიცოდი და ამიტომ წინასწარ ვფიქრობდი, ყველაფერი ისე გამეკეთებინა, რომ ჩემთვის შენიშვნა არ მოეცა. მე მინახავს მდგომარეობიდან გამოსული მამა, ეს რამდენჯერმე მოხდა და ყველა შემთხვევა ქვეყანაში პოლიტიკურ არეულობას ეხებოდა. ზურაბი თავის მეგობრებთან ერთად ამ საკითხს განიხილავდა. ყოველგვარ უსამართლობაზე დიდი დისკუსიები და ბრძოლები ჰქონდა. ასეთ მომენტებში ისეთი გაბრაზებული იყო ხოლმე, მასთან ლაპარაკისაც კი მეშინოდა, თორემ პირად საკითხებზე განრისხებული არასდროს მინახავს. ჩემთვის ყოველთვის გასაგები იყო, მამას რა უსაროდა და რა სწყინდა.

— დედათქვენზე გვიამბეთ.

— დედაჩემი, ნინო ყიფიანი, 2000 წელს გარდაიცვალა, მამაზე დაახლოებით 10 წლით ადრე. კონსერვატორიაში მუშაობდა, მუსიკოსი და ისტორიკოსი იყო, ასევე — გალობდა დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში. სიმსივნე ჰქონდა და ეს გახდა მისი გარდაცვალების მიზეზი. მაშინ მხოლოდ 14 წლის ვიყავი. მე დედის ავადმყოფობას მიმალავდნენ, მაგრამ მამამ ბოლო დღეებში მითხრა, დაკაცება ნაადრევად გიწევსო. მაშინ ვერ მივხვდი, რა იგულისხმა, მაგრამ ცოტა ხანში ყველაფერი გასაგები გახდა...

„დედას სიმსივნე ჰქონდა. მაშინ 14 წლის ვიყავი. დედის ავადმყოფობას მიმალავდნენ, მაგრამ მამამ ბოლო დღეებში მითხრა, დაკაცება ნაადრევად გიწევსო. მაშინ ვერ მივხვდი, რა იგულისხმა, მაგრამ ცოტა ხანში ყველაფერი გასაგები გახდა".

დედაზე საუბარი მიჭირს, რადგან ის ჩემთვის ყველაფერი იყო.

სხვათა შორის, ერთი ამბავი გამახსენდა. თურმე მამაჩემს სულ პირველად რომ ჩამოართვეს ინტერვიუ, ოჯახის ყველა წევრი დაახასიათა, მათზე ისაუბრა. როცა ჯერი დედამისზე მიდგა, მხოლოდ ერთი სიტყვით უპასუხა — დედა. თურმე როცა ბებიამ სტატია ნახა, ეწყინა და ზურას უთხრა, მამაზე, ბებიაზე, ბაბუაზე ამდენი ისაუბრე და ერთი-ორი რაღაც ჩემზეც გეთქვაო. მან უპასუხა, სიტყვა დედაზე მეტი რაღა უნდა დამეწერაო.

— თქვენს და-ძმასთან ახლო ურთიერთობა გაქვთ?

— მათთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. ჩემი და, ლელა, ფილოლოგია და სკოლაში ასწავლის. ორი შვილი ჰყავს — გიორგი და დათო. ჩემი ძმა, ბერდია, ამჟამად ახალციხეშია, სადაც ეკლესიას აშენებს. მე მსახიობი ვარ. მყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი — ნინო და მარიამი.

— მამა შვილიშვილებს მოესწრო?

— ჩემს დისშვილებთან უფრო მოუწია ურთიერთობა და მათზე ჭკუა ეკეტებოდა. ძალიან თბილი ბაბუა იყო. ჩემს უფროს შვილს, ნინოს მოესწრო, აი, მარიამს კი — ვეღარ. ნინოს რომ ვეფერებოდი, მეტყოდა ხოლმე, ხელისგულით არ მოეფერო, ის ხომ დასვრილია, ხელის ზურგით მოეფერეო. ჩემს ქალიშვილთან ძალიან მოკრძალებული და თბილი იყო, რადგან მის შვილიშვილებში ის ყველაზე უმცროსი იყო.

„ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, ერთ-ერთ გაკვეთილზე მისმა მასწავლებელმა ჰომ თქვა, ყველა ასო-ნიშანში შინაარსი დევსო. მაშინ ზურას ამაზე გასცინებია. წლები გავიდა და მათ შინაარსზე დაფიქრდა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო შუმერული ანბანის შესწავლა".

— მსახიობობა მამის საყვარელით და გაკვლენით აირჩიეთ?

— შვილებიდან ზურას პროფესიას მხოლოდ მე გავყევი და ეს შემთხვევით მოხდა. მსახიობობაზე არ მიოცნებია. ასეთი გადაწყვეტილება ერთ დღეს მივიღე და ამაზე მამას უარყოფითი რეაქცია არ ჰქონია. როდესაც ჩემი სურვილი გავანდე, მითხრა, ისე მოიქეცი, როგორც შენ მიგაჩნია სწორადო. ერთი კი იყო, რომ გაფრთხილებასავით მომცა, სადაც გინდა, ჩაბარე, ოღონდ ვერავის ვთხოვ, ჩემი შვილია და მიიღეთ, ყველაფერი შენით უნდა გააკეთო და საკუთარი თავის იმედი გქონდესო.

როდესაც მსახიობი გავხდი, ჩემს პირველ სპექტაკლსაც დაესწრო „თავისუფალ თეატრში" და ძალიან მოეწონა. ამის მერე უკვე პროფესიულ რჩევებს მაძლევდა. ყველაზე ხშირად მეუბნებოდა: „შენს საქმეში მართალი უნდა იყო. სცენიდან სიმართლე თუ არ დაანახე მაყურებელს, არაფერი გამოგივა". საერთოდ, მამამ ბევრი ლაპარაკი არ იცოდა, არც ზედმეტი შექება უყვარდა, თუმცა ვხედავდი, რომ კმაყოფილი ჩანდა იმით, რასაც ვაკეთებდი. ალბათ გულის სიღრმეში უხაროდა, რომ მისი შვილიც მსახიობი გახდა.

— ბოლო დროს ბატონი ზურაბი კინოში აღარ გამოჩენილა. სიცოცხლის ბოლო წლებში რით იყო დაკავებული, იმ პერიოდში როგორი გახსოვთ?

— მამას კინოში ოცწლიანი პაუზა ჰქონდა. ბოლოს კი, 2010 წელს, ზაზა კოლელიშვილის ფილმში „ომი და ქორწილი" ითამაშა.

მამა ახალგაზრდობიდან მოყოლებული შუმერების კულტურით იყო გატაცებული და ბოლო წლებშიც ამ კუთხით აკეთებდა რაღაცეებს. ამ სფეროს სიყვარულისა და ინტერესის გამო ფილოლოგიის ფაკულტეტიც კი დაამთავრა. უამრავი კვლევა ჰქონდა ჩატარებული, წიგნიც გამოუშვა. ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, ერთ-ერთ გაკვეთილზე მისმა მასწავლებელმა რომ თქვა, ყველა ასო-ნიშანში შინაარსი დევსო. მაშინ ზურას ამაზე გასცინებია. წლები გავიდა და მათ შინაარსზე დაფიქრდა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო შუმერული ანბანის შესწავლა. მან თავისი კვლევებით იმის დამტკიცება სცადა, რომ ქართველები შუმერების პირდაპირი შთამომავლები არიან.

მისი სიცოცხლის ბოლო პერიოდი კარგად მახსოვს. საავადმყოფოში იწვა, ერთ-ერთმა ახლობელმა, რომელიცმის სანახავად იყო მისული, უთხრა, ახლა ქვეყანაში არეულობა და მიტინგებიაო (2011 წლის 26 მაისის ცნობილი მოვლენები იგულისხმა). ისედაც ცუდად იყო და ამ ამბების გამო მისი მდგომარეობა უფრო დამძიმდა. გული აწუხებდა. 2 ივლისს სახლში ინსულტით გარდაიცვალა. 74 წლის იყო.

ძნელია ისაუბრო ზურაბ ქაფიანიძეზე, როდესაც მისი ოჯახის წევრი ხარ. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი მამა მყავდა. შვილი ქვეცნობიერად ყოველთვის ცდილობს, რომ მშობლის განვლილ გზაზე გაიაროს. რაც უფრო მემატება წლები, უფრო მეტად ვაანალიზებ, როგორი დიდი ადამიანის შვილი ვარ.

✓ თეონა კენჭიაშვილი

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

„შეყვარებული გაპარვას მაძალებს“

17 წლის გოგო ვარ, მაგრამ ვფიქრობ, რომ გათხოვებისთვის საკმაოდ პატარა ვარ. ვერც კი წარმომიდგენია, ვიღაცის რძალი ვიყო, შვილები მყავდეს. მართალია, მიყვარს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გათხოვებაზე ვოცნებობ.

ორი წელია ერთი ბიჭი მიყვარს. ის არავის მოსწონს — არც ჩემს მშობლებს, არც ჩემს ახლობლებს, არც ჩემს დაქალებს. ყველა მეუბნება, რომ ჩემი შესაფერისი არ არის, მე კი თავდავიწყებით მიყვარს. ჩემს მომავალს მასთან ერთად ვხედავ, მაგრამ არ მინდა, რომ ეს დღე მალე დადგეს. ყველა მეუბნება, ჩამოშორდიო, მაგრამ ამას ვერ ვაკეთებ. ზოგჯერ ვჩხუბობთ კიდეც, მერე კი მალევე ვრიგდებით. მეუბნება, თუ არ დავქორწინდებით, ერთმანეთს დაგვაშორებენ, ჩვენს სიყვარულს ბევრი მტერი ჰყავსო. ვიცი, მართალს ამბობს, მაგრამ არ შემიძლია გადაწყვეტილების ასე უცებ მიღება. ის კი მაძალებს, რომ გავიპაროთ.

რაც ახალი სასწავლო წელი დაიწყო, მშობლებმა ჩემი კონტროლი გააძლიერეს. მასთან შეხვედრას ველარ ვახერხებ, ამიტომ მეც ვეთანხმები შეყვარებულს, რომ თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება დავშორდეთ, მაგრამ გათხოვების გადაწყვეტილებასაც ვერ ვიღებ. ის კი მეუბნება, არ გიყვარვარ და ასე იმიტომ იქცევი, ჩემთან ყოფნა რომ გინდოდეს, ცოლად გამომყვებოდიო.

ძალიან ცუდ დღეში ვარ, ვერც ახლობლებს ვაგებინებ, რომ ის ბიჭი თავდავიწყებით მიყვარს და ვერც შეყვარებულს ვაგებინებ, რომ მიყვარს, მაგრამ გათხოვება არ მინდა.

თქვენი ერთგული მკითხველი

„ვიცი, ცუდი ბიჭი მიყვარს“

ვულს ვერ უბრძანებო, ნათქვამია და მეც ასე ვარ, ჩემი გული ვერ დავიმორჩილე. როცა ყველაფერს ვაანალიზებ, ვხვდები, რომ დაქალები მართლები არიან, კარგი ბიჭი არ მიყვარს, მაგრამ ვერაფრით გადავიყვარე.

ჩემი შეყვარებული პიროვნულად კარგი ადამიანია, მას მართლა ვუყვარვარ, მაგრამ ცუდად იქცევა. ამ ზაფხულში დაიჭირეს და პირობითი სასჯელი აქვს მოსახდელი. ვუუბნები, თავის ცუდ ძმაკაცებს ჩამოშორდეს, მაგრამ მპასუხობს, ჩემი ძმები არიანო. ვერ ხვდება, რომ მათ გამო შეიძლება უფსკრულში გადაიჩეხოს. ჩემი ოჯახის წევრებმა არ იციან, რომ ასეთი ბიჭი მიყვარს, თორემ ალბათ გული გაუსკდებოდათ. დაქალები კი ყოველდღე ჩამჩიჩინებენ, მასთან ბედნიერი ვერასოდეს იქნებიო. შეიძლება მართლებიც არიან, მაგრამ ვერ ვივიწყებ. ერთი-ორჯერ ვცადე, რომ აღარ შევხვედროდი, მაგრამ ვერ შევძელი. სიყვარული ყველაზე და ყველაფერზე ძლიერი აღმოჩნდა.

ღმერთს ვეხვეწები, ჩემი შეყვარებული შეიცვალოს და ლამაზი მომავალი გვქონდეს. იქნებ უფალმა ისმინოს ჩემი და ყველაზე დიდი ნატვრა ამისდიოს!

თქვენი ერთგული მკითხველი

გამოხმაურება

„დედას ბიცოლაჩემმა მოუგონა, რომ ქმარს ღალატობდა“

ჟურნალ „სარკის“ 46-ე ნომერში ჩემი თანატოლი გოგონა წერდა, დედას ვერ ვაპატიებ, რომ მამას უღალატაო. არ შემეძლო, მისთვის ჩემი ამბავი არ მომეთხრო. მე არავის არაფერს ვუმტკიცებ, ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია, უბრალოდ იქნებ დაფიქრდეს ბევრ რამეზე, იქნებ შეცდომას უშვებს.

18 წლის გოგო ვარ. 3 წლის წინ მეც მისნაირ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. მეგონა, რომ დედა მამას ღალატობდა და ეს საშინელება იყო ჩემთვის. დედა შემძულდა, მისი დანახვა არ მინდოდა. მამამ სახლიდან გააგდო, მაგრამ ერთი წუთითაც არ შემცოდებია. ის ტიროდა, მეხვეწებოდა, მისთვის მომესმინა, რომ ცილს სწამებდნენ და დამნაშავე არ იყო, მაგრამ არაფრის გაგონება მსურდა. ახლა კი ამ ყველაფერს რომ ვიხსენებ, სიმწრის ოფლი მასხამს. არ ვიცი, რა უნდა გავუკეთო დედას ისეთი, რომ იმ შეცდომის გამოსყიდვა შევძლო.

ყველაფერი კი ბიცოლაჩემის გამო მოხდა. ჩვენ ერთ სახლში ვცხოვრობდით და დედას ის ვერასოდეს იტანდა. ყოველთვის ათვალწუნებული ჰყავდა, თვეში სამი კვირა ხმას არ სცემდა. დედა ძალიან მშვიდი ადამიანია და უთმენდა. ამბობდა, არ მინდა, ოჯახში ჩხუბი და არეულობა იყოსო.

სწორედ ბიცოლაჩემმა შთააგონა მამას და თავის ქმარს, რომ დედა მოღალატე იყო. გახსენებაც არ მინდა, ჩვენს ოჯახში ისეთი ამბები დატრიალდა. დედა ტიროდა, ამბობდა, უდანაშაულო ვარო, მაგრამ არავინ დაუჯერა. ჩემი უმცროსი ძმა დავიტოვე, დედას ვუთხარი, შენზე უკეთესად მოვუვლი-მეთქი და ძმის გაზრდა დავიწყე. მასზე დედასავით ვზრუნავდი. დედამ რამდენჯერმე შემომითვალა, შვილების ნახვა და დალაპარაკება მინდაო, მაგრამ გამოვუცხადე, ჩვენს სახლში ფეხს ვერ შემოდგამ-მეთქი.

ძალიან მალე ბიცოლამ მეც ამითვალწუნა, სხვების თანდასწრებით მამცირებდა, შეურაცხყოფას მაყენებდა. ზოგჯერ კი უმიზეზოდ გამებუტებოდა და რამდენიმე კვირა ხმას არ მცემდა. თან მაკომპლექსებდა, ამბობდა, დედაშენის ფეხი ხარო. მე კი ეს იმდენად არ მინდოდა, რომ მისი გულის მოსაგებად ტყავიდან ვძვრებოდი.

ერთ დღეს ბიცოლამ დაქალთან იჩხუბა. მეგობარმა კი წამოაძახა, შენი რძალი ხომ არ გგონივარ, ჭორები რომ მოუგონე და სახლიდან გააგდე, ასეთ რამეს მე ვერ გამიბედავ, თმებს დაგაცლიო. ჩხუბს შეჰყვნენ და იმ ქალმა ბიცოლას ისეთი რაღაცეები წამოაძახა...

მოკლედ, იმ დღეს ამეხილა თვალი, რომ დედა ბოროტი და შურიანი რძლის მსხვერპლი გახდა. მათ არ იცოდნენ, მე რომ ვუსმენდი. ჩემს დანახვაზე ორივემ ფერი დაკარგა. იმ დღესვე დავიბრუნე დედა. მასთან წავედი და ყველაფერი მოვუყევი. მითხრა, ვიცოდი, ადრე თუ გვიან თვალი აგეხილებოდა და მიხვდებოდი, რომ ჭორები დამიყარესო. მამაც გაიგო სიმართლე და დედას შეურიგდა.

ბიძას და ბიცოლას ურთიერთობა დაეძაბათ, მაგრამ საბოლოოდ ქმარმა მაინც აპატია. თქვა, გავშორდებოდი, მაგრამ შვილებს რა ვუყოო. მათთან სახლში ვერ გავჩერდით, ამიტომ მამამ პატარა ბინა იყიდა და ახლა ცალკე ვცხოვრობთ. რაც მათგან წამოვედით, მაშინ მივხვდით, რა ყოფილა ოჯახური ბედნიერება. ახლა ყველა კარგად ვგრძნობთ თავს. დედა არ მახსენებს იმ სიტყვებს, რაც მისთვის მითქვამს, მაგრამ მე ხომ მახსოვს? მე ხომ არასდროს დამავიწყდება, რასაც ვეუბნებოდი?

ერთი სიტყვით, გირჩევ, ბევრ რამეზე დაფიქრდე და დედას ისეთი არაფერი აკადრო, რასაც მერე ინანებ. არავის ვუსურვებ, ჩემს მდგომარეობაში აღმოჩნდეს, რადგან სინანული სიმშვიდეს ყველას დაუკარგავს.

ჟურნალ „სარკის“ ერთგული მკითხველი

„ბიძაშვილებთან კონტაქტი არ გაწყვიტო“

ჟურნალ „სარკის“ 48-ე ნომერში გამოქვეყნდა სტატია — „დედამ და ბიცოლამ ბიძაშვილებს ჩამომაშორეს“. ამ გოგონას ვურჩევ, რომ ბიძაშვილებთან კონტაქტი არ გაწყვიტოს. უფროსებს არ აქვთ უფლება, ჩვენს ურთიერთობებში ასე უხეშად ჩაერიონ. ბავშვების საქმეში ცხვირი არავინ უნდა ჩაყოს.

ერთხელ დედა მეც გადამეკიდა, ერთ გოგოსთან მეგობრობას მიშლიდა, მაგრამ არ დავუჯერე. რატომ უნდა გამეწყვიტა კონტაქტი, თუკი მასთან თავს კარგად ვგრძნობდი?! მართალიც აღმოვჩნდი, იმ გოგომ ყველას დაუმტკიცა, რომ ჩემი უერთგულესი მეგობარია. ახლა დედას ჩემი დაქალი ძალიან უყვარს. ხშირად ეუბნება, რომ ჩვენთან დარჩეს.

შენს ადგილას უფროსებს გამოვუცხადებდი, რომ ბიძაშვილები ძალიან გიყვარს და მათთან ურთიერთობა სულ გექნება. როცა ასე მკაცრად დააყენებ საკითხს, შენს ცხოვრებაში აღარ ჩაერევიან.

მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დაანკაუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru

ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

„დედამ ოთახში ნათესავი შემომისახლა“

ქოგესალმებით! ამ წერილს 16 წლის გოგო გწერთ. შეიძლება ჩათვალოთ, რომ ჩემი ისტორია ჟურნალში გამოსაქვეყნებელი არ არის, მაგრამ, მერწმუნეთ, ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს და თქვენი რჩევა მჭირდება.

მშობლებთან ერთად ოროთახიან ბინაში ვცხოვრობდი, სადაც უმცროს ძმასთან ერთად მეძინა. ეს კი ნამდვილი კოშმარი იყო, რადგან ძმასთან გამუდმებით ვჩხუბობდი. ჩემს ნივთებს იღებდა, აფუჭებდა. არც დღე მქონდა მოსვენება და არც ღამე. ერთი წლის წინ ოცნება ამიხდა და სხვა ბინაში გადავედით, რომელსაც დიდი ფართიც აქვს და, რაც მთავარია, საკუთარი ოთახი მაქვს, მე და ჩემს ძმას ცალ-ცალკე გვძინავს, მაგრამ ჩემი სიხარული დიდხანს არ გაგრძელდა. ბედნიერება დედამ ჩამიშხამა. ჩემს ნაოცნებარ ოთახში თავისი ნათესავი შემომისახლა.

ერთ დღეს დედამ მითხრა, ჩვენი ნათესავი ჩამოდის სოფლიდან და ცოტა ხნით შენთან იცხოვრებს, ცოდოა, მისი მშობლები არ მუშაობენ, აქ სამსახური იშოვა და სანამ წელში გაიმართება და ბინას იქირავებს, აქ იქნებაო. შეუგნებელი და უგულო ადამიანი არ ვარ. კარგად ვხვდები, რომ გაჭირვებულს ხელის გამართვა სჭირდება, ამიტომ დედას უარს როგორ ვეტყოდი? იმ გოგოს ჩემი ხელით გავუშალე საწოლი, თავისი კუთხე ლამაზად მოვუწყვე, რომ თავი კარგად ეგრძნო.

თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად იყო, დავმეგობრდით კიდეც, მაგრამ მერე ყველაფერი აირია. ჩვენი ნათესავი არ მომწონს. ჯერ ერთი, განმარტოების საშუალებას არ მაძლევს. მოდის თუ არა, მაშინვე ჩემს ოთახში შერბის და ლოგინზე წვება. ამ ბოლო დროს კი ჩემს კომპიუტერთან ისე ჯდება, არც მეკითხება, შეიძლება თუ არა. მეც მინდა განმარტოება, მშვიდად მეცადინეობა და კომპიუტერიც მჭირდება, მაგრამ ნათესავი ყველაფერში ხელს მიშლის.

ყველას ჰგონია, რომ თბილისში მშობლების დასახმარებლად ჩამოვიდა, სინამდვილეში კი თვითონ ერთობა. დაქალები გაიჩინა და ყოველღამე გეგმებს აწყობენ, მეორე დღეს სად წავიდნენ და როგორ გაერთონ. ისეთ სისულელეებში ხარჯავს ფულს, რომ გაგიკვირდება. იმის ნაცვლად, სოფელში თავისიანებს დაეხმაროს, ურეკავს და ფულს აქეთ სთხოვს. ეუბნება, ხელფასამდე ფული შემომაშველეთო. ის საცოდავებიც უგზავნიან, ალბათ გაჭირვებით აგროვებენ, რომ დასაქმებულ შვილს თბილისში გამოუგზავნონ.

დედას ვეუბნები, აქ რატომ არის, თუ ისევ მშობლები ეხმარებიან-მეთქი. ის კი ამბობს, შენ და მამაშენი იმიტომ ვერ იტანთ, რომ ჩემი ნათესავია, აბა, თქვენი გვარის იყოს, თუ თან არ გადაჰყვებოდითო. რამდენჯერაც ვცადე, დედისთვის რაღაცეები ამეხსნა, იმდენჯერ ასეთი პასუხი მივიღე, ამიტომ მასთან ლაპარაკს აზრი არ აქვს.

მართლა ვერ ვხვდები, ნათესავი რატომ ჩამოვიდა, აქ რას აკეთებს. სხვის სახლში ცხოვრობს, მშობლებს ვერაფერს უკეთებს, აბა, რა მიზნით არის თბილისში, რომ გაერთოს და დაქალები გაიჩინოს?

ყველას გეფიცებით, რომ ვხედავდე, თავისი ოჯახის გამო შრომობს, იქით დავეხმარებოდი და ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ ვერ ვხვდები მიზეზს, რის გამოც ჩემს ოთახში მისი ყოფნა უნდა ავიტანო. იქნებ მითხრათ, მე ვცდები თუ დედა. ჩემი საყვარელი ჟურნალის მკითხველებისგან ველი გამოხმაურებას. წინასწარ დიდი მადლობა.

თქვენი ერთგული მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

www.abdiibrahim.com.tr

ეეფუთნეთ „ზაქთრის ინფექციეზი“ თქვენი ოჯახის ერთგული ეეზოზრეზის დახმარეზით

ბენეტი
ორალური სპრეი

ბენეტი პლიუსი
ორალური სპრეი

ყელის ტკივილისა და პირ-ხახის ინფექციურ-ანთებითი დაავადებების ეფექტური, სწრაფი და უსაფრთხო მკურნალობა

- სწრაფად ხსნის ტკივილსა და დისკომფორტს
- უზრუნველყოფს ხანგრძლივ გაუტკივარებას
- აუმჯობესებს ღეჭვისა და ყლაპვის ფუნქციებს
- გამოიყენება ყველა ასაკობრივ ჯგუფში: ბავშვებში, მოზრდილებსა და ხანდაზმულებში
- აქვს სასიმოვნო გემო

ბენეტი სპრეის გამოყენება შეიძლება 6 წლამდე ასაკის ბავშვებში, ხოლო ბენეტი პლიუსი ბავშვებში ინიშნება 6 წლის ასაკიდან.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

საქართველო, თბილისი 0112,
დ. აღმაშენებლის გამზ. 148/III

PSP №1

ABDIIBRAHIM

ბენეტი
ბენზიდამინი

ბენეტი პლიუსი
ბენზიდამინი/ქლორჰექსიდინი

Cyan Magenta Yellow Black

ქართველ გოლიათებს ღორის მწვადი ენატრებათ

ევროპის უველაზე ძლიერ მამაკაცს თაგვის ეშინია

■ გიორგი და კოტე

Ორმა გოლიათმა, კოტე ჯანაშიამ და გიორგი დოინჯაშვილმა, ტელეპროექტ „ნიჭიერში“ 5 მეტრზე გადააადგილეს თვითმფრინავი, რომელიც 40 ტონაზე მეტს იწონიდა და ამით მსოფლიო რეკორდი დაამყარეს.

კოტე და გიორგი უძლიერეს მამაკაცთა ფედერაციაში არიან გაწევრებული და სპორტის ამ სახეობაში რამდენიმე წელია ასპარეზობენ. გამარჯვებები და საერთაშორისო ტიტულები დიდი შრომის ფასად უჯდებათ. მათ რთულ რეჟიმში უწევთ ცხოვრება. კვება, ძილი, დასვენება მუდმივად წინასწარ გაწერილი და დაგეგმილი აქვთ.

23 წლის კოტე ჯანაშია სიმაღლით თითქმის 2 მეტრია და 150 კილოს იწონის. 30 წლის გიორგი დოინჯაშვილის სიმაღლე კი 178 სმ-ია, წონა — 145 კილო. ქართველმა გოლიათებმა „სარკეს“ თავიანთი ცხოვრების წესზე უამბეს.

— თვითმფრინავის გაწევით თითქმის მთელი საქართველო აალაპარაკეთ. როგორ გაგიჩნდათ ეს უცნაური იდეა?

გიორგი: რადგან ამ რეკორდს მსოფლიოში ვერავინ ხსნიდა, ჩვენ დავინტერესდით. თუ არ ვცდები, 10 წლის წინ 28-29 წამში გაწიეს 34 ტონა. ჩვენ მეტი გავწიეთ. თვითმფრინავი 40 ტონას იწონიდა, შიგ 9 ტონა საწვავი ესხა და პილოტებიც ისხდნენ.

— ეს ნომერი ალბათ საკმაო სიფრთხეს შეიცავდა.

კოტე: ჩვენთვის — არა, იქ მყოფთათვის — კი.

გიორგი: ის თვითმფრინავი წელიწადზე მეტია არ დაძრულა. მას ფაქტობრივად მუხრუჭები არ ჰქონდა, ჩვენ კი ისე ვარბენინეთ, შეეშინდათ, სხვა თვითმფრინავები არ დაგვეზიანებინა ან ის ხალხი, ვინც ჩვენ გარშემო იდგა.

— დარწმუნებული იყავით, რომ ამას შეძლებდით?

კოტე: კი, რადგან ყოველთვე ასეთ რაღაცეებს ვაკეთებთ, თვითმფრინავებს — არა, მაგრამ „ტრაილერებს“, „კამაზებს“ ვწევთ.

ჯოტე: „მე ჰოგოჰიც ვარ, ასეთი გოგონები არ მომწონს. ქალი ღამაზი და ჭკვიანი უნდა იყოს, თან ჩემს საქმეს ჰატივს უნდა სცემდეს“.

100 ტონის გაწევას ვაპირებდით, მაგრამ ამაზე დიდი თვითმფრინავი არ იყო.

— რა შეგრძნება დაგეუფლათ, რეკორდის მოხსნა რომ შეძელით?

კოტე: ყოველი შეჯიბრის და ტურნირის შემდეგ ძალიან დიდ ადრენალინს ვიღებთ და ამას ვერაფერს შევადარებთ.

— სპორტის ამ სახეობით როდის დაინტერესდით?

კოტე: გაწევრებული ვართ უძლიერეს მამაკაცთა ფედერაციაში, რომელიც 3-4 წლის წინ ჩამოყალიბდა. მანამდე ჩვენთვის ვვარჯიშობდით. მე 16 წლიდან ქუთაისში ინტენსიურად ვვარჯიშობ. ამ ფედერაციის ჩამოყალიბების შემდეგ სხვადასხვა შეჯიბრებაზე დავდივართ.

გიორგი: მეც ბავშვობიდან ვვარჯიშობ. რუსთავში ერთ-ერთი ძლიერი მწვრთნელი, დავით რაზმაძე მყავდა, მის კლუბში სრულიად შემთხვევით მიმიყვანეს, მაშინ 15 წლის ვიყავი. ბოდიბილდინგებში გამოვდიოდი. ახლა ძირითადად ამ სპორტმა გამიტაცა, რაც ადამიანის არარეალურ ძალებს უკავშირდება. კოტეს პირველად შეჯიბრზე შევხვდი ქუთაისში, ქუთაისობის დღესასწაულზე, სხვათა შორის, ერთმანეთის წინააღმდეგ გამოვდიოდით.

— როგორია თქვენი ცხოვრების წესი, დღის რეჟიმი და რა შრომასთან არის ეს ყველაფერი დაკავშირებული?

გიორგი: დღის განმავლობაში 4-5 საათი ვვარჯიშობთ.

კოტე: კვირაში 6 დღე 4 საათის განმავლობაში ინტენსიურად ვვარჯიშობთ.

— ამ სპორტის გამო რა აკრძალვები გაქვთ?

გიორგი: თუ ამ სპორტში რაიმეს მიღწევა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობა გინდა, რაღაც-რაღაცეები უნდა დათმო. მაგალითად, სპეციალური კვება გვაქვს, საათების მიხედვით ვჭამთ. ღორის ხორცი და მწვადი გვენატრება, ვერ ვჭამთ, რადგან ისეთ ვიტამინებს ვიღებთ, ღორის ხორცი ალერგიას გვაძლევს. ამიტომ რაციონიდან ღორის ხორცი, მწარე, ტომატ-პასტები და ისეთი რაღაცეები, რაც ისედაც ვნებს ორგანიზმს, ამოღებული გვაქვს. ასევე — ძალიან ბევრი უნდა გვეძინოს, შუადღეზეც ვიძინებთ, ღამე კი 12 საათზე აუცილებლად უნდა დავწვეთ, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩვენ ისეთ დატვირთვას ვიღებთ, ორგანიზმმა ეს დანაკარგი უნდა აღიდგინოს.

— ალკოჰოლი არ გეკრძალებათ?

კოტე: მე, პირადად, ცხოვრებაში წვეთი არ დამილევია, სასმელის გემოც კი არ ვიცი და არც სურვილი მაქვს, ვიცოდე.

გიორგი: გასინჯული როგორ არ მაქვს, მაგრამ დალევას ვერიდები, რადგან ალკოჰოლი ჩვენს ორგანიზმს ვნებს.

— ქეიფის დროს როგორ იქცევით?

გიორგი: მაგრამ ვჭამთ!

— ანუ ბევრს?

კოტე: ბევრს ვჭამთ, კი. საჭმელს ძირითადად სახლში ვამზადებინებ ხოლმე, რომ რაც შეიძლება ნაკლები ქოლესტერინი ჰქონდეს. მაგალითად, ქათმის ხორცს კანს ვაძრობ. დღეში, სულ ცოტა, ერთ ჭამაზე მხოლოდ ქათმის ხორცი 4 კილო მჭირდება. სხვათა შორის, ბევრ პურს არ ვიღებ.

— გიორგი, კოტემ საოცარი რამ მითხრა. თქვენც ასე იკვებებით თუ ეს ინდივიდუალურია?

გიორგი: 4 კილო ხორცს — არა, მაგრამ მეც ბევრს ვჭამ. დღის განმავლობაში დაყოფილი უნდა გქონდეს, რას როდის და რამდენს ჭამ. რაც უფრო მეტს იწონი, რაც უფრო მეტი გაქვს კუნთი და რაც უფრო ძლიერი ხარ, ამ სპორტში მეტ შედეგს აღწევ. ასე რომ, წონაც ბევრი გვინდა, კუნთიც და ჭამაც.

— თქვენი მიღწევების შესახებ გვიამბეთ. რა ტიტულები გაქვთ მოპოვებული დღემდე?

კოტე: მსოფლიო პრიზიორი, მსოფლიო ჩემპიონი, ევროპის პრიზიორი, საერთაშორისო ტურნირის მონაწილე და გამარჯვებული ვარ.

გიორგი: საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ვარ. 2010 წელს ჰოლანდიაში მსოფლიო ჩემპიონი გავხდი, 2013 წელს დუბაიში — მსოფლიო ფინალისტი, მეორე ადგილზე გავედი, ახლახან კი ამერკლასიკის ჩემპიონი, ანუ არნოლდ შვარცენეგერის სახელობის ჩემპიონი გავხდი. მთელ ევროპაში ყველაზე ძლიერი მამაკაცის ტიტული მაქვს.

— ყველაზე მსუბუქი, რაც გაგიწევიათ, რა იყო?

კოტე: თავიდან ორივემ 18-20 ტონა სიმძიმის სახანძრო მანქანა გავწიეთ. ყველაზე რთული, რაც მარტო გამიწევია, მატარებლის 9 ვაგონი იყო, ეს ქალაქ რუსთავში,

გიორგი: „ბოლო გამოსვლას, ჰოცა მე და ჯოტემ თვითმფრინავი გავწიეთ, ედეაჩემმა ვეი უყურა, ტიროდა. მითხრა, თავი დაანებე, ეს ხომ ანანოჰმაღური საქციელიაო“.

ლითონკონსტრუქციის ქარხანაში გავაკეთე.

გიორგი: მარტომ 24 ტონიანი „ტრაილერი“ გავწიე 20 მეტრზე, თან 54 წამში.

— ახლა რა სამიზნეა თქვენი მიზანი, რასთან გინდათ შეჭიდება?

გიორგი: ძალიან გვინდა, 100 ტონიანი სამხედრო გემი გავწიოთ. ეს გინესის რეკორდი იქნება. მსგავსი რაღაც ერთხელ არის გაკეთებული, მაშინ გემი 3 სანტიმეტრით გადააადგილეს, ჩვენ ვეცდებით, 4-5 სანტიმეტრზე გავწიოთ. ეს ჩვენი ოცნებაა.

კოტე: როცა ეს რეკორდი დაფიქსირდა, „ტანკერი“, ანუ სამხედრო გემი, 57 ტონას იწონიდა. მას შემდეგ 10 წელი გავიდა და ამ რეკორდის მოხსნა არავის უცდია.

— ცალ-ცალკე ასპარეზობაზე არ გიფიქრიათ?

გიორგი: ეს რეკორდი ორმა კაცმა მოხსნა და ცალ-ცალკე გაკეთება, არარეალურია. თუმცა ერთმა კაცმა 120 ტონიანი ბოინგი გადააადგილა.

კოტე: რადგან ვმეგობრობთ, ვცდილობთ,

ყველაფერი ერთად გავაკეთოთ.

— როგორ ემზადებით შეჯიბრის წინ?

გიორგი: ერთმანეთს ვამხნევებთ. შეიძლება ფიზიკურად მზად იყო, მაგრამ ფსიქოლოგიურად თუ იმას დაუშვებ, რომ შეიძლება ვერ გაკეთო, ვერაფერი დაგეხმარება. თუ ფიზიკურადაც ძლიერი ხარ და სულიერადაც, ყველაფერი გამოგივა.

— ალბათ ბევრ ტრავმასაც იღებთ.

კოტე: კი, ძალიან ტრავმული სპორტია. მარჯვენა ფეხზე მყესი ორჯერ გამიწყდა, წვივებიც ზიანდება, ხრტილებიც მქონდა დამტვრეული. ძალიან დიდი მოფრთხილება და თავის დაზოგვაა საჭირო.

გიორგი: ღვთის წყალობით, თითიც არ ამტკიებია.

— ფიზიკურად გოლიათები შანაგანადაც ასეთი ძლიერები ხართ თუ არის რაღაც, რისაც გეშინიათ?

კოტე: ერთადერთი, უფლის გვეშინია, მეტი არაფრის!

გიორგი: პირველ რიგში, უფლის მეშინია და კიდევ — თაგვის.

— დაოჯახებულები თუ ხართ და, სპორტის გარდა, რითი ხართ დაკავებული?

გიორგი: მწვრთნელი ვარ, ბავშვებს ვავარჯიშებ. მე დაქორწინებული ვარ.

კოტე: მე არ მყავს ცოლი. მეც ვამეცადინებ ბავშვებს, მაგრამ მწვრთნელი არ ვარ. უბრალოდ, რამდენიმე ბავშვი მაბარია, ვისაც ძლიერი მამაკაცების ფედერაციაში ყოფნა და ვარჯიში სურთ. მოკლედ, ვისაც სურვილი აქვს, მოდის და ჩემთან ერთად ვარჯიშობს.

— თქვენს საქმიანობას ოჯახის წევრები როგორ უყურებენ?

კოტე: მამა მამხნევებს, დედა კი მეუბნება, თავი დაანებე, რამეს იტკენო. ოჯახის წევრები გვერდში მიდგანან, ჩემი ყველა წარმატება ძალიან ახარებთ.

გიორგი: როცა ჩემები შეჯიბრს უყურებენ, ნერვიულობენ. ბოლო გამოსვლას, როცა მე და კოტემ თვითმფრინავი გავწიეთ, დედაჩემმა ვერ უყურა, ტიროდა. სახლში რომ მივედი, მითხრა, თავი დაანებე, ეს ხომ არანორმალური საქციელიაო.

— მაინც რა გხიბლავთ ამ სპორტში?

გიორგი: სწორედ არანორმალურობა გვხიბლავს.

— კოტე, როგორი გოგონა წარმოგიდგენიათ თქვენ გვერდით?

კოტე: მე როგორიც ვარ, ასეთი გოგონები არ ომმწონს. ქალი ლამაზი და ჭკვიანი უნდა იყოს, თან ჩემს საქმეს პატივს უნდა სცემდეს.

— არსებობს ასეთი ადამიანი თქვენს ცხოვრებაში?

კოტე: არა, მაგრამ გამოჩნდება.

✓ ეკა ლემონჯავა

2 წლის ბიჭმა მსოფლიო რუკა ზეპირად იცის

„ჩემი შვილი პატრიარქის ნათლულია და მისი მადლითაა ასეთი განსაკუთრებული"

■ რომა გრძელიძე

2 წლის და 2 თვის რომა გრძელიძეს ბაღდათელ მაგელანს ეძახიან. ეს მეტსახელი მისი განსაკუთრებული უნარის გამო დაარქვეს — რომამ საქართველოს და მსოფლიოს რუკები ზეპირად იცის. ის ოჯახში მესამე ვაჟია. პატრიარქმა მონათლა. რომას დედა, ელისო ენდელაძე-გრძელიძე, მის ამ ნიჭს სწორედ ნათლიის მადლით ხსნის. ბიჭუნა, ერთი შეხედვით, სხვა ბავშვებისგან არაფრით გამოირჩევა. როცა გაბრაზებულია, დედას რუკასთან მიჰყავს და რომა მაშინვე მშვიდდება. ქალბატონი ელისო შვილში ბევრ სხვა უნარსაც ხედავს, რაზეც „სარკესთან" ისაუბრა.

— ქალბატონო ელისო, რომას რა განსაკუთრებულ თვისებას ამჩნევდით დაბადებიდან?

— თავიდანვე ძალიან დინჯი ბავშვი იყო. ჩვენი მოძღვარი, მამა მიქაელ გიორგობიანი და სხვებიც ხშირად აღნიშნავდნენ, ამ ბავშვს ძალიან ჭკვიანი, განსაკუთრებული თვალები და გამომეტყველება აქვსო. რომა ჩვილობიდან დაგვყავს ეკლესიაში. 3 თვის იყო, როცა მოვნათლეთ, პატრიარქის ნათლულია. თოთო იყო, ხატების კუთხესთან მისვლა რომ სიამოვნებდა. ახლაც ყველაზე კარგად ხატებთან გრძნობს თავს. ჩვენს სახლში, ხატებთან, უწმინდესის სურათი გვედო. რომა 7 თვის იყო, როცა ვასწავლეთ, რომ ის მისი ნათლიაა. სულ ცდილობდა, ამ ფოტოსთან მიგვეყვანა, ამიტომ პატრიარქის სურათი გამოვიტანეთ და მისაღებ ოთახში დავდეთ. გამუდმებით ეფერებოდა და კოცნიდა ნათლიის სურათს, ახლაც ასე განსაკუთრებულად ეპყრობა.

ორი უფროსი შვილი გვყავს — 17 წლის თორნიკე და 14 წლის გიორგი. რომას გაჩენა უფრო მეტად იმიტომ მინდოდა, რომ უწმინდესს მოენათლა.

— რომამ ლაპარაკი როდის დაიწყო?

— 7 თვიდან უწმინდესის სახელს, ილიას ამბობდა და მშობლებსაც გვეძახდა, მაგრამ გამართული ლაპარაკი 2 წლიდან დაიწყო. ახლა 2 წლის და 2 თვისაა.

— როგორ აღმოაჩინეთ, რომ ბავშვს განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა?

— ერთი წლის იყო, როცა საქართველოს რუკით დაინტერესდა. ალბათ ჭრელი ფერები მოსწონდა და რუკა ამიტომაც იზიდავდა. მივიდოდა, დადგებოდა და რაც აინტერესებდა, თითს დაადებდა. მეც ვუხსნიდი, რომა, ეს ზღვა არის,

„თვითონ მომთხოვა, ფერები მესწავლებინა მისთვის და უკვე ყველა ფერი იცის. ადამიანებს ძალიან ადვილად იმახსოვრებს. ჰამდენიმე თვეც ჰომ იყოს გასული, თუ შეხვდება, მისი სახელიც ახსენდება. მიმსგავსების უნარიც აქვს, ადამიანებს ერთმანეთს ისე ამსგავსებს, გვაოგნებს".

ეს თბილისია, ეს ქუთაისია-მეთქი. რამდენიმე დღის მერე რუკაზე სხვადასხვა ქალაქებზე ხელი დავუდე და ყველას სახელი მითხრა. გავოგნდი. წლინახევრის იყო, როცა საქართველოს რუკა თითქმის ბოლომდე იცოდა.

იცით, რა მიკვირს? ასეთ პატარა ასაკში როგორ შეიძლება არ აერიოს ონი, ხონი, დედოფლისწყარო, თეთრიწყარო და სხვა ქალაქები? ჯერ კიდევ ვერ ლაპარაკობდა, როცა ქალაქების სახელები იცოდა. იცის, რომ მისი ქვეყანა საქართველოა, მას საქოქოს ეძახის. საქართველოს რუსეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი საიდან ესაზღვრება, ესეც კარგად იცის.

ყოველთვის ვამბობ, რომ რომა პატრიარქის მადლითაა ასეთი განსაკუთრებული. მეზობლად ჩემი უფროსი შვილების ასაკის ბიჭები ცხოვრობენ. რომა მათთან თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში. ამ ბავშვებსაც ძალიან უყვართ გეოგრაფია და გამუდმებით ასწავლიან. ამ ბიჭებმა რომას მსოფლიო რუკა აჩუქეს. საქართველოს რუკა რომ ამოვწურეთ, მსოფლიო რუკაზე გადავედით.

— რომა თვითონ გთხოვთ, რომ ასწავლოთ რუკა?

— კი, მისი სურვილია. თითქოს რუკა ამშვიდებს კიდეც. თუ გაბრაზებულია და ტირის, რუკასთან მივიყვანთ და მაშინვე ავიწყდება წყენა. ჯერ საქართველოს რუკას ჩამოვყვებით, შემდეგ მსოფლიოს რუკას. ახლა უკვე ძალიან მოსწონს, როცა თვითონ გვასწავლის, სად რა ქალაქი ან ქვეყანაა. ერთხელ აფრიკის კონტინენტს აკვირდებოდა, ქვეყნების ჩამოთვლა დაიწყო. ვუთხარი, ირანიც მაჩვენე-მეთქი და მიპასუხა, ირანი აფრიკაში არ არისო. უკვე დროშების სწავლა მოგვთხოვა და ამასაც კარგად ართმევს თავს. ამას წინათ ტელევიზორში საინფორმაციო გამოშვებას ვუყურებდით, უკრაინაზე საუბრობდნენ. არც მეგონა, რომა თუ უსმენდა. წამომიყვანა რუკასთან და უკრაინას დაადო ხელი, ეს არის უკრაინაო და მერე უკრაინის დროშაც მაჩვენა.

— რითი თამაშობს, რუკების გარდა, რა უყვარს?

— ცეკვა და სიმღერა ძალიან უყვარს. თვითონ მომთხოვა, ფერები მესწავლებინა მისთვის და უკვე ყველა ფერი იცის. რომა ხალხმრავალ გარემოში იზრდება და იმდენად თბილია, ყველას მოფერებით სახელებს ეძახის. სხვათა შორის, ადამიანებს ძალიან ადვილად იმახსოვრებს. რამდენიმე თვეც რომ იყოს გასული, თუ შეხვდება, მისი სახელიც ახსენდება. მიმსგავსების უნარიც აქვს, ადამიანებს ერთმანეთს ისე ამსგავსებს, გვაოგნებს.

— რომას ასეთი ნიჭი გენეტიკური ხომ არ არის?

— ჩემს მაზლს საქართველოს რუკა 5 წლის ასაკში სცოდნია. შეიძლება გენეტიკურიც იყოს, მაგრამ ღვთისგან ბოძებულ უნარს უფრო დავარქმევდი. უფროსი შვილები ასეთი ნიჭით არ გამოირჩევიან, თუმცა კარგად სწავლობენ. ჩემი მეუღლე, დათო, უკვე 20 წელია ჩვენს რაიონში სტომატოლოგად მუშაობს. მე პროფესიით ბიოლოგი ვარ, მაგრამ არ ვმუშაობ. გეოგრაფიასთან არანაირი კავშირი არ გვაქვს.

დათო ამბობს, რომ რომას მხედველობითი მეხსიერება განსაკუთრებულად აქვს განვითარებული. ალბათ ორიენტაციის ნიჭიც აქვს. ხუმრობით პატარა მაგელანს ეძახიან.

✓ სოფიო ბოჭორიძე

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო

Cyan Magenta Yellow Black

მამუკა ლომაშვილის ბიჭი იტალიაში დაიბადა

„მოუთმენლად ველოდები, ნინო ჩვენს შვილს ხოდის მაჩვენებს"

■ მამუკა და ნინო

9 ნოემბერს პაროდისტი მამუკა ლომაშვილი ბიჭის მამა გახდა. ის თავის შვილს ჯერ მხოლოდ „სკაიპით" იცნობს, რადგან პატარა ნიკოლოზი იტალიაში დაიბადა. მამუკას მეუღლე, ნინო რევაზიშვილი, წლების განმავლობაში იტალიაში ცხოვრობდა, იქ ბევრი მეგობარი ჰყავს და ამიტომ ცოლ-ქმარმა გადაწყვიტეს, ბავშვიც იქ გაჩენილიყო. ახალგაზრდა მამა ცოლ-შვილის ჩამოსვლას მოუთმენლად ელის, მათთვის ახალგარემონტებული სახლი აქვს გამზადებული.

— მამუკა, გილოცავთ შვილის შეძენას! როდის და სად დაიბადა ნიკოლოზი?

— დიდი მადლობა მოლოცვისთვის! ნიკოლოზი 9 ნოემბერს შეგვეძინა. იტალიაში, მილანთან ახლოს, ბერგამოში გაჩნდა. 56 სანტიმეტრი, 3 კილო და 850 გრამი დაიბადა.

— რატომ გადაწყვიტეთ, რომ თქვენი შვილი იტალიაში დაბადებულიყო?

— ამის ძალიან ბევრი მიზეზი არსებობდა. ჩემი მეუღლე, ნინო, იტალიაში, კერძოდ კი მილანშია ჩაწერილი. თან იქ მეგობრებიც გვყავს, რომლებიც ძალიან დაგვეხმარნენ. მოკლედ, შესაძლებლობა გვქონდა, რომ ჩვენი შვილი იქ დაბადებულიყო და ეს შანსი გამოვიყენეთ. მით უმეტეს, ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, არავინ იცის, ხვალ და ზეგ რა იქნება.

— თქვენც იქ იყავით, შვილის დაბადებას დაესწარით?

— არა. მე და ნინო იქ 24 სექტემბერს გავემგზავრეთ, დაახლოებით 3 კვირა დავრჩი და უკან დავბრუნდი, რადგან აქ საბავშვო სტუდია მაქვს, ბევრი საქმეა და ამ ყველაფერს ვერ მივატოვებდი. მოკლედ, ნინო იქ კი დავტოვე, მაგრამ ყველაფერი, მათ შორის, საბუთების საქმეც მოვაგვარე და იმედიანად წამოვედი, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ სულ სხვა რაღაცეები ყოფილა საჭირო. როცა საკონსულოში რეკავ, ხომ შეიძლება ვიღაცამ ნორმალურად გაგცეს პასუხი?!..

— რა მოხდა, ბავშვის ჩამოყვანაზე შეიქმნა პრობლემა?

— ბავშვის წამოყვანასთან დაკავშირებულ საბუთებზე. ახლა კი, ასე თუ ისე ეს პრობლემა მოგვარდა.

— თქვენი ცოლი ახლა იქ ვისთან არის?

— მეგობარ ქალთან ერთად. სამწუხაროა, შვილის დაბადებას რომ ვერ დავესწარი, მაგრამ სამაგიეროდ იმედიანად ვარ, ვიცი, რომ დედა-შვილი იქ კარგად არიან. რაც შეგვეძლო, ჩვენს შვილს იმის მაქსიმუმი გავუკეთეთ.

— ახალგაზრდა დედას არ უჭირს ქმრის გარეშე ცხოვრება?

— ერთი სული აქვს, როდის ჩამოვა. მისი იქ დატოვება ჩემთვისაც ძალიან რთული იყო, თითქმის 2 თვეა, რაც ცალ-ცალკე ვართ და ძალიან გვიჭირს. ღვთის წყალობით, ყველაფერი კარგად იქნება და მალე ორივე ჩამოვა.

— შვილი ჯერ არ გინახავთ, ხელში არ აგიყვანიათ. მამობის შეგრძნება თუ გაქვთ?

— მამობას ჯერ ვერ ვაცნობიერებ. ერთადერთი, რასაც ჩემს თავს ვატყობ, არის ის, რომ უფრო მონდომებული გავხდი, მინდა, მეტი გავაკეთო. ნიკოლოზი ჯერ არ მინახავს, არ შევხებივარ, ამიტომ მამობის შეგრძნებას ქვეცნობიერად განვიცდი. აქვე გეტყვით, რომ საცხოვრებელი შევიცვალეთ და ახლა ბინას ვაწესრიგებ.

■ ნიკოლოზი

— ანუ ნიკოლოზს ახალ სახლს ანყვდრებთ?

— დიახ. სახლი ვორონცოვზე, ჯავახიშვილის ქუჩაზე შევიძინეთ.

— ახალ ბინაში ნიკოლოზს თავისი ოთახი ექნება?

— არა, რადგან ჯერ ჩვენთან დაიძინებს, მაგრამ თავისი ოთახიც ექნება, რომელსაც შემდეგ გავუკეთებთ, არ მინდოდა, ნაჩქარევად გამოსულიყო. სარემონტო სამუშაოებს თითქმის მოვრჩი, პატარ-პატარა რაღაცეები დამრჩა და იმედია, მათ ჩამოსვლამდე მოვასწრებ.

„ნინო იტალიაში მამაკაცის სახელია, ჩემს ცოლს გავეხუმრე, სამშობიაროში ყურადღებით იყავი, ისე არ მოხდეს, რომ ნინო რევაზიშვილი მამად ჩაწერონ და მამუკა ლომაშვილი დედად-მეთქი. ხუმრობით კი ვუთხარი, მაგრამ თურმე ნინო კინაღამ მამად ჩაწერეს".

— მზად ხართ ამ ცვლილებებისთვის, რასაც ნიკოლოზის დაბადება შეიტანს თქვენს ცხოვრებაში?

— ჯერ არ ვიცი. ბავშვები ძალიან მიყვარს. ყველამ კარგად იცის, ჩემი სტუდიის ბავშვებისადმი როგორი დამოკიდებულება მაქვს, მამობა კი ალბათ უფრო დადებითისკენ შემცვლის. ახლა ვხვდები, რომ მეტი მუშაობა, მეტი ფინანსები, მეტი პასუხისმგებლობაა საჭირო, რადგან უკვე შვილი მყავს.

ჩემი მეუღლე გმირი დედაა, ფაქტობრივად ყველაფერი საკუთარ თავზე აიღო, ეს კი ორივეს ნერვების ფასად დაგვიჯდა. მოუთმენლად ველოდები, ნინო როდის ჩამოვა და ჩვენს შვილს როდის მაჩვენებს. ნიკოლოზს „სკაიპით" ვნახულობ და აქედან ვებაასები.

ერთი სახალისო რაღაც უნდა მოგიყვეთ: ნინო იტალიაში მამაკაცის სახელია, ამის გამო ძალიან ბევრჯერ კურიოზულ სიტუაციაში აღმოვჩნდით. ნინოს ხუმრობით ვუთხარი, სამშობიაროში ყურადღებით იყავი, ისე არ მოხდეს, რომ ნინო რევაზიშვილი მამად ჩაწერონ და მამუკა ლომაშვილი დედად-მეთქი. მათ რა იციან, მამუკა კაცის სახელია თუ ქალის, ნინო კი კაცებს ჰქვიათ. ხუმრობით კი ვუთხარი, მაგრამ თურმე ნინო კინაღამ მამად ჩაწერეს, კიდევ კარგი, დროულად ჩაერია საქმეში.

— ნიკოლოზს სახელი ვინ შეურჩია?

— ეს სახელი წმინდა ნიკოლოზის პატივსაცემად დავარქვით. სახელის შერჩევაზე ბევრი ვიფიქრეთ, ბოლოს კი ჩვენი მოძღვარი დაგვეხმარა. ბევრი ისეთი რაღაც დაემთხვა, რომ ამ ბავშვს აუცილებლად ნიკოლოზი უნდა რქმეოდა.

— როგორც ყველა ქართველ მამას, პირველი შვილი თქვენც ბიჭი გინდოდათ?

— არა, სულ ერთი იყო. საერთოდ, ბიჭიც უნდა გყავდეს და გოგოც.

— როდის ელოდებით ცოლ-შვილს?

— დეკემბრის შუა რიცხვებში. მთავარია, საბუთებთან დაკავშირებით პრობლემა მოგვარდა, ცოტა რაღაცეებია დარჩენილი და ამასაც მოევლება.

— შეძლებთ საოჯახო საქმეებში ცოლის დახმარებას?

— კი, როგორ არა, ბავშვების გაზრდაში, პამპერსების გამოცვლაში გამოცდილება მაქვს. მე-5 კლასში ვიყავი, როცა ჩემი პირველი ძმისშვილი დაიბადა. ძმისშვილების გაზრდაში აქტიურად ვმონაწილეობდი.

— ბავშვებზე ისე აღტაცებთ ლაპარაკობთ, მგონი, მრავალშვილიან მამობაზე უარს არ იტყვით.

— ბევრ შვილს არაფერი სჯობს, მთავარია, ჯანმრთელობა და ბევრი შემოსავალი იყოს. იმედია, ქვეყანაში ყველაფერი დალაგდება და მხოლოდ მე კი არა, ყველა საკუთარი შრომით შეძლებთ ცხოვრებას.

— „ფეისბუქის" საშუალებით პოლიტიკურ მოვლენებს აქტიურად ეხმაურებით ხოლმე. ერთ დღეს პოლიტიკაში ხომ არ გინილავთ?

— საქართველოში მიმდინარე პროცესებში ყოველთვის ვარ ჩართული არამარტო მე, არამედ ყველა, ვინც საქართველოში ცხოვრობს. აქ აბსოლუტურად ყველაფერი პოლიტიზირებულია. მომავალში არაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ ამ ეტაპზე აქტიური მოქალაქე ვარ, ჩემს პოზიციას ვაფიქსირებ და ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ. ჩემი აზრით, სწორად ვიქცევი, ყველამ უნდა იაქტიუროს, ლავირების დრო არ არის, რაც სათქმელია, უნდა ითქვას. ასე ჩემს მოქალაქეობრივ მოვალეობას ვიხდი.

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

თამუნა ლეკვეიშვილს „დიდი და მსუქანი“ გოგო ეყოლა

„სამი შვილის დედობა ცოტა მაშინებს“

„კომედი შოუში“ მატებაა. 25 ნოემბერს იუმორისტ თამუნა ლეკვეიშვილს მესამე შვილი ეყოლა. გოგონა, რომელსაც ელენე-ნენე დაარქვეს, 4 კილოს იწონის და 51 სანტიმეტრია. ელენე-ნენეს 3 წლინახევრის დაიკო, ნინი და 2 წლის ძამიკო, ნიკოლოზი ჰყავს. სამი შვილის დედა ძალიან ბედნიერია და ისევ ძალიან აქტიურია. საახალწლოდ ფილარმონიაში „კომედი გრუპის“ კონცერტებში მონაწილეობას აპირებს.

— თამუნა, კიდევ ერთხელ გილოცავთ დედობას! მესამე შვილის გაჩენა დაგეგმილი გქონდათ?

— მე და გიგი ვაპირებდით, რომ სამი შვილი გვყოლოდა, მაგრამ ამ ეტაპზე მესამე შვილი დაგეგმილი ნამდვილად არ გვქონია. ეს ყველაფერი „ექსპრომტად“ მოხდა. მეოთხე შვილზე კი აღარ ვფიქრობთ. სამი შვილი სრულიად საკმარისია.

— ძალიან აქტიური ორსული იყავით, ბოლო თვეშიც კი ეკრანზე ჩანდით.

— კი, აბსოლუტურად უპრობლემო ფეხმძიმობა მქონდა და ბოლო წუთამდე აქტიურად ვცხოვრობდი. საკეისრო 25 ნოემბერს იყო დაგეგმილი და 23 ნოემბრამდე ვმუშაობდი. 9 თვის განმავლობაში არაფერს შევუწუხებივარ. წინა ფეხმძიმობებისგან განსხვავებით, ამ ორსულობაზე შედარებით ნაკლები, 18 კილო მოვიმატე, მაგრამ მაინც ბევრია. ახლა ვაპირებ, რომ ზედმეტი წონა დიეტით დავიკლო.

— ორიგინალური სახელი შეგარჩევიათ პატარასთვის. ვინ მოიფიქრა?

— ელენე-ნენე მე და გიგიმ შევარჩიეთ, ორივეს ძალიან მოგვწონდა. თავიდან მინდოდა, მისთვის ნენე დამერქმია, მაგრამ ამაზე მე და გიგი ვერ შევთანხმდით და ელენე-ნენე ამიტომაც დავარქვით. ჯერჯერობით ელენეს ვეძახი, ნენე არ დამიძახია, მაგრამ ეს სახელი იმდენად მომწონს, შეიძლება ასეც მივმართო ხოლმე.

— ადვილად ჩაიარა ელენე-ნენეს დაბადების პროცესმა?

— საკეისრო კვეთით გავაჩინე. დიდი და მსუქანი გოგო დაიბადა. ჩემი სამივე შვილი დილის 11-ის ნახევარზე გაჩნდა. ფიზიოლოგიურად კი მხოლოდ ნინი გავაჩინე. ნიკოლოზი 24 ნოემბერს 2 წლის გახდა, მეორე დღეს კი დაიკო შეეძინა. შემეძლო მესამე შვილის დაბადება ნიკოლოზის დაბადების დღისთვის დამემთხვია, მაგრამ ვამჯობინე, რომ ბავშვებს დაბადების დღეები ცალ-ცალკე ჰქონოდათ.

— ნინი და ნიკოლოზი როგორ შეხვდნენ დაიკოს?

— ნიკოლოზი ჯერ ვერ ხვდება, რა ხდება. ნინი უკვე 3 წლინახევრისაა და თავისი დაიკო ძალიან თბილად მიიღო. ჩემი პატარა დაიკო, ჩემი ელენიკოო, ეუბნება. ფეხებზე კოცნის და ეფერება.

— როგორც ფოტოზე ჩანს, პატარა ელენე თქვენ გგავთ.

— უკვე მეორე ხართ, ვინც ეს მითხრა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, თავიდან ელენე ვერავის მივამსგავსე, ძალიან უცხო გარეგნობა აქვს. ნელ-ნელა კი ცოტათი გიგის ვამსგავსებ და არა — საკუთარ თავს.

— როგორ სასიათს ამჟღავნებს, ხომ არ ჭარბეულობს პატარა?

— ელენე ძალიან მშვიდია, ისევე როგორც ნინი და ნიკოლოზი. ჩემმა პატარამ ღამით ერთი კვება თავისით ამოაგდო, ამიტომ ხშირად აღარ მიწევს გაღვიძება.

— ბუნებრივ კვებაზეა?

— სამწუხაროდ, ჩემი ცხოვრების გრაფიკიდან გამომდინარე, ელენე ბუნებრივ კვებაზე არ მყავს. აქტიურ ცხოვრებას ძალიან მალე უნდა დავუბრუნდე და ამიტომ გადავწყვიტე, თავიდანვე ხელოვნურ კვებაზე მყოლოდა. თან რძეც არ მქონდა. რომც მქონოდა, 10 დღეში ელენეს მაინც მოუწევდა ხელოვნურ კვებაზე გადასვლა, რადგან საახალწლო კონცერტები გვაქვს ფილარმონიაში და, როგორც კი ჭრილობის ნაკერები გამართულად სიარულის საშუალებას მომცემს, მაშინვე მომიწევს სამსახურში გასვლა. მთელი მუსიკალური პროგრამა გასაკეთებელია.

ელენე-ნენე

„როგორ ქართულად ხდება ხოლმე, გიგიმ ზუსტად ასე აღნიშნა — ცოლი სამშობიაროში და ქმარი კი ძმაკაცებთან ერთად“.

— პატარა ელენე-ნენეს დაბადება როგორ აღნიშნა თქვენმა ქმარმა?

— გიგის საკუთარი ბარი აქვს. ძმაკაცები იქ შეიკრიბნენ და, როგორც ქართულად ხდება ხოლმე, ზუსტად ასე აღნიშნა — ცოლი სამშობიაროში და ქმარი კი ძმაკაცებთან ერთად.

— გიგისგან საჩუქარი თუ მიიღეთ?

— ჯერჯერობით არაფერი უჩუქებია, ველოდები.

— თქვენს ქმარს მესამე შვილი გოგო უნდოდა თუ ბიჭი?

— მისთვის სქესს მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ ვიცი, რომ გოგო გაუხარდა. გიგის ნინი ძალიან უყვარს და ნინისნაირი პატარა გოგო ვაჩუქე.

— უკვე მრავალშვილიანი დედა ხართ. კარგად არ-თმევთ თავს დიდ ოჯახს?

ნიკოლოზი და ნინი

„საახალწლო კონცერტები გვაქვს და როგორც კი ჭრილობის ნაკერები გამართულად სიარულის საშუალებას მომცემს, მაშინვე მომიწევს სამსახურში გასვლა“.

— ცოტა არ იყოს, მეშინია, მაგრამ, იმედია, ამასაც მოვაგვარებ. სამი შვილის დედობა არაჩვეულებრივი შეგრძნებაა. ნინი საბავშვო ბაღში დადის, ნიკოლოზს ძიძა ჰყავს და ელენესაც ძიძას ავუყვან, თან დედაჩემი ძალიან მეხმარება.

— ქმარი თქვენს დახმარებას ვერ ახერხებს?

— გიგი სხვანაირად მეხმარება, მორალურად და ფინანსურად მიდგას გვერდში, მაგრამ არა — ფიზიკურად.

✓ სოფიო ბოჭორიძე

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

აჩიკო სოლოღაშვილს და ანა ალექსიშვილს გასტროლებზე ერთ ნომერში სძინავთ

აჩიკო: „ოცა ცოლისთვის ხამის ყიდვა მინდა, ანა აღექსიშვილს ვაზომებ და ისე ვყიდულობ"

აჩიკო: „საშიში ასაკი მაქვს. ახლა ისეთი პატარა ვარ, ჰომეო ჰომ ვითამაშო და ახლა ისე დიდი — ჰიჩარდის როლი შევასრულო".

ანა: „მინდა, ოსკარი ავიღო, აჩიკო ჯი დარბაზში იჯდეს"

მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობებმა, აჩიკო სოლოღაშვილმა და ანა ალექსიშვილმა, 20 ოქტომბერს ყვარელში, თეატრალური ფესტივალ „დურუჯის" დაჯილდოების ცერემონიალზე წლის საუკეთესო ქალისა და მამაკაცი მსახიობის ტიტულები მოიპოვეს. ახალგაზრდა მსახიობებმა ეს ჯილდო სპექტაკლ „ზაფხულის ღამის სიზმარში" შესრულებული როლებისთვის მიიღეს. თავად სპექტაკლმაც აიღო პრიზი და მისმა რეჟისორმა დავით დოიაშვილმაც — საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისთვის. სპექტაკლი ედინბურგის თეატრალურ ფესტივალზეც ჰქონდათ წაღებული და იქაც დადებითი შეფასებები დაიმსახურა.

ანა და აჩიკო მრავალი წელია მუსიკისა და დრამის თეატრში თამაშობენ, სცენაზე ერთმანეთს პარტნიორობას უწევენ, მის მიღმა კი მეგობრობენ. საუკეთესო მსახიობის ტიტულმა მათ სიხარულთან ერთად დიდი პასუხისმგებლობაც აგრძნობინა. ინტერვიუც სწორედ ამ ემოციებზე საუბრით დაიწყეს.

აჩიკო: ისეთი ბედნიერი ვიყავი, რომ ენა დამება. აღარ ვიცოდი, ვისთვის გადამეხადა მადლობა. ინსტიტუტი, „ბერიკები", „სარდაფი" და 10 წელი მუსიკისა და დრამის თეატრი... არ მინდოდა, რომელიმე ადამიანი გამომრჩენოდა, ვინც ჩემში შრომა ჩადო. არც ჟიური დამვიწყებია, ვინც შრომა დამიფასა. იმ დღეს მივხვდი, რა ხდება საერთაშორისო დაჯილდოებების დროს, როცა ჯილდოს მიღებისას ნერვიულობენ.

ანა: როცა გამოაცხადეს, რომ მე გავხდი წლის საუკეთესო მსახიობი ქალი, მთლიანად ავკანკალდი. ისე დავიბენი, რომ ფეხზე ავდექი და ტაშს ვუკრავდი. სცენაზე გასვლას არც ვაპირებდი. მერე კი ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა ნიკა წულუკიძემ დამიძახა, სცენაზე ამოდიო. არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა.

— სიტყვა მოშზადებული არ გქონდათ?

აჩიკო: არა, რადგან არ ვიცოდი, რომ გავიმარჯვებდი. ნომინაციაზე წარდგენა ჩემთვის უკვე გამარჯვება იყო. ჩემთან ერთად ამ ტიტულზე წარდგენილი იყვნენ მსახიობები ბაჩო ჩაჩიბაია და ჯანო იზორია. ისეთი მსახიობების გვერდით წარმადგინეს, რომ არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვინ მოიპოვებდა ტიტულს. სამივე ძალიან ჩართული ვართ ამ სპექტაკლში. სამწუხაროდ, ჯანოს შემოქმედებას ნაკლებად ვიცნობ, ვიდრე ბაჩოსას. მე და ბაჩო კურსელები და ბავშვობის მეგობრები ვართ, შესაბამისად, ვიცი, როგორ იზრდებოდა ის. ძალიან ნიჭიერია და ამიტომ, როცა ჩემი სახელი გამოაცხადეს წლის საუკეთესო მსახიობ მამაკაცად, არ ველოდებოდი. მაგრამ რადგან ასე მოხდა, ძალიან ბედნიერი ვარ.

ტიტულის გადმოცემისას, ცერემონიალზე მზის სათვალე ვერ მოვიხსენი, რადგან არ მინდოდა, ჩემი ცრემლებით სავსე თვალები დაენახათ, მრცხვენოდა.

— ანა, ცერემონიალისთვის საზეიმო კაბა გქონდათ მოშზადებული?

ანა: იმდენად მოულოდნელად ავიღე ჯილდო, რომ ამაზე არც მიზრუნია. ამასთან, ამინდმაც შეგვიშალა ხელი — კაბა, რომელიც შერჩეული მქონდა, ამინდის გამო შეუფერებელი აღმოჩნდა და ამიტომ საკმაოდ სადად გამოწყობილი წავედი დაჯილდოებაზე.

— არ შემიძლია, თქვენი თმის ფერზე არ გკითხოთ. ცეცხლიანით წითელი ფერი რომელიმე როლისთვის დაგჭირდათ თუ უბრალოდ თავად მოგწონდათ ამ ფერად შეღებვა?

ანა: თმა სპექტაკლ „კარმენისთვის" შევიღებე. ეს დოის (რეჟისორი დათო დოიაშვილი) იდეა იყო. ახლაც, სხვა სპექტაკლებშიც, ისეთი როლები მაქვს, რომლებსაც წითელი თმა ხელს არ უშლის, პირიქით, უხდება. თან გარშემომყოფების მოწონება დაიმსახურა და მეც სიამოვნებით დავიტოვე.

— გეაამბეთ იმ როლებზე, რომლებმაც ეს ჯილდო მოგიტანათ.

აჩიკო: ეს წოდება პაკისა და ფილოსტრატეს როლის შესრულების გამო მივიღე. ორი როლი სინამდვილეში ერთი და იგივეა. პაკის მსგავსი ადამიანები რეალურად არსებობენ, რომლებსაც საოცრად დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ. ფილოსტრატე კი გავლენიანი ადამიანია მეფის კარზე, მხოლოდ მას ელაპარაკება მეფე და მერე ახსენდება, რომ მეფე თვითონ არის... ეს პერსონაჟები ჰგვანან ერთმანეთს და, დოის გადაწყვეტილებით, ორივე გმირი გაერთიანდა. ჩემთვის კარგი სამუშაო იყო, ისინი განსხვავებულები და თან ერთნაირები არიან.

ანა: ჩემი გმირი, ელენე, სიყვარულის გამო ყველაფერზეა წამსვლელი. კაცისგან, რომელიც უყვარს, ყველაფერს აიტანს. ძალიან ნერვული და ემოციურია. მე ასეთი არ ვარ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არც შემიძლია ვიყო.

— რა გეხმარებათ როლის გათავისებაში, რა მეთოდებს მიმართავთ?

აჩიკო: ვცდილობ, ჯერ ჩემი თავი ვიპოვო, რომ სცენაზე მართალი ვიყო და მაყურებლისთვის — დამაჯერებელი. მერე უკვე მანერა თუ ჟესტიკულაცია ბუნებრივად მოდის. რეპეტიციებზე უფრო ვიხარჯები, ვიდრე სპექტაკლებზე. რეპეტიციაზე ძიების პროცესი ყველაზე მაგარია, ამ დროს გარკვეულ ჩარჩოს ქმნი რეჟისორთან ერთად.

ანა: ძალიან ბევრი ცდის და ფიქრის მერე ხვდები, რომ პერსონაჟის ხასიათს იჭერ. მთავარია, მიხვდე გმირის ტიპაჟს, მერე ყველაფერი მარტივად კეთდება. ჩემთვის მთავარი განწყობაა, ამის გარეშე არაფერი გამომივა. ამ განწყობას კი მეგობრები და საყვარელი ადამიანი მიქმნის.

აჩიკო: ძალიან კომფორტულია დოისთან მუშაობა, რადგან არ გზღუდავს. საშუალებას გაძლევს, რაც გინდა, გააკეთო. ბოლოს კი ნამუშევარს ისე გიშალაშინებს, არც შენ გიკარგავს შრომას და თავის შრომასაც დებს. თან არასდროს აფიქსირებს, შენ უფრო მეტი იწვალე თუ მან. დოის სპექტაკლებში მსახიობი არ იკარგება, ყველას აქვს საშუალება, საკუთარი თავი აღმოაჩინოს.

— აჩიკო, თქვენი ასაკის მიხედვით, რა როლისთვის ხართ მზად?

— საშიში ასაკი მაქვს. არც ისე პატარა ვარ, რომეო რომ ვითამაშო და არც ისე დიდი — რიჩარდის როლი შევასრულო. ვცდილობ, აქტუალური ვიყო, შევქმნა ახალი რაღაც, რომ მერე ჩემს ბიოგრაფიაშიც ჩაიწეროს. რაც უფრო ბევრს წვალობ, მეტი ფერი გეშლება თვალწინ. თითქოს ყველაფერს ვაღწევ, რაც მინდა, მაგრამ დიდი წვალების ფასად. ეს ტიტული კი ამდენი წლის შრომის დაფასება იყო.

— აჩიკო, თქვენი ცოლი ნუცა ქავთარაძეც ესწრებოდა დაჯილდოებას?

აჩიკო: რასაკვირველია. ნუცა ჩემ გვერდით იყო დაჯილდოებისას და ეს ტიტული თითქოს მას მივუძღვენი. ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი ერთად ყოფნის დროს მივიღე ეს ჯილდო. როცა ცოლი ამაყობს ქმრის წარმატებით, ეს ძალიან მაგარია. ნუცა ჩემი მეორე ნახევარია. მას ისევე სწყინს და უხარია, როგორც მე. ხანდახან ემოციების გამოხატვა არ შემიძლია და ჩემს ემოციებს ნუცა გამოხატავს. ხანდახან პირიქით ხდება, მე ვარ ნუცას ემოციების გადმომცემი.

— ანა, ალბათ თქვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია საყვარელი მამაკაცის შეფასება.

ანა: ნამდვილად მნიშვნელოვანია. კარგია იმ ადამიანის გვერდით ყოფნა, ვისთანაც გიხარია ემოციების გაზიარება. ბედნიერი ვარ, რომ ჩემ გვერდით ასეთი ადამიანია. ყურებამდე ვარ შეყვარებული და თან ყოველთვის.

— ამ ტიტულმა — საუკეთესო მსახიობი — სამომავლოდ საქმე გაგიადვილათ თუ პირიქით, პასუხისმგებლობით დაგამძიმათ?

აჩიკო: როცა ამდენი ადამიანი გადაწყვეტს, რომ შენ უნდა იყო ტიტულის მფლობელი, უფლება აღარ გაქვს, მოეშვა და მათ იმედები გაუცრუო. არ მინდა, ვინმემ თქვას, აჩიკო ერთი პერიოდი კარგი მსახიობი იყო და მერე ჩაქრაო.

ანა: პასუხისმგებლობა დიდია და ამის მერე ვალდებული ვარ, მაყურებელს საინტერესო როლები ვაჩვენო. რამდენიმე წელი მეგონა, რომ ნიჭი არ მქონდა, საკუთარ ძალებში არ ვიყავი დარწმუნებული, მაგრამ ფარ-ხმალს მაინც არ ვყრიდი. ამ ტიტულმა კი თავდაჯერებული გამხადა.

— ამ წოდების მიღების შემდეგ ვარსკვლავური ჭირვეულობები ხომ არ დაგჩენდათ? მაგალითად, პრეტენზიული დამოკიდებულებები გრიმის,

Cyan Magenta Yellow Black

სამოსისა და ხანდახან როლის მიმართაც.

აჩიკო: არასდროს მქონია პრეტენზიები. ძალიან გამიხარდება, თუ თეატრს ექნება იმდენი საშუალება, რომ გრიმიორი და სტილისტი გვყავდეს. ამჟამად გრიმსაც და ვარცხნილობასაც თვითონ ვიკეთებთ. ხანდახან, როცა დრო მაქვს, ჩემს კოლეგებს ვეხმარები გრიმის გაკეთებაში.

— აჩიკო, არსებობს შეხედულება, რომ მსახიობი კარგავს საკუთარ თავს, როცა ტელევიზიაში იწყებს მუშაობას. თქვენც ერთ-ერთი ტელესახე ხართ. როგორ ატყობთ, ტელევიზია „გაფფუჭებთ“?

აჩიკო: ცხოვრებაში არის მომენტები, რომლებსაც, გინდა თუ არა, უნდა დათანხმდე, თუნდაც სატელევიზიო ეთერს. „შუადღის“ წამყვანობის გარდა, რეიტინგული პროექტის „ნიჭიერის“ ქორეოგრაფი ვარ, მაგრამ მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო: უფრო ვიამაყებ, როცა მაყურებელი ისე მიცნობს, როგორც მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობს და არა როგორც — ტელესახეს. მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ მსახიობი არჩილ სოლოლაშვილი ტელევიზიის პროდიუსერებმა თავიანთ არხზე დაინახეს. ეს სწორედ თეატრის დამსახურებაა. რომ არა თეატრი, როგორც ტელეწამყვანი, არავის ვენდომებოდი. რა თქმა უნდა, ბედნიერი ვიქნებოდი, შემოსავალი იმდენი მქონდეს, რომ სხვა პროექტებზე უარის თქმა შემეძლოს და მხოლოდ თეატრში ვიყო, თუმცა სატელევიზიო სივრცესაც აქვს თავისი ხიბლი. თუ ადრე კამერების კომპლექსი მქონდა, ეს ტელევიზიამ მომიხსნა.

— თეატრალური სამყაროს კულისებში მიმდინარე ინტრიგებზე ხშირად საუბრობენ. თქვენც შეგხვედრათ ეს უსიამოვნო მომენტები?

ანა: როგორც თქვენ გსმენიათ, რომ „ამბობენ, არსებობს ინტრიგები“, მეც ამ დონეზე გამიგია. საბედნიეროდ, ასეთ რამეს არ გადავყრივარ. შეიძლება ეს ჩვენი გუნდის და რეჟისორის დამსახურებაა.

აჩიკო: რა თქმა უნდა, რეჟისორის დამსახურებაა, რომ შეკავშირებული, მეგობრული გუნდი ვართ. ჩვენს თეატრში ინტრიგა თუ კულისების მიღმა მტრობა არ არსებობს. რაც შეეხება ჯანსაღ კონკურენციას, ეს არის და უნდა იყოს კიდეც, რადგან სტიმულია. ვთვლი, რომ ერთადერთი, რაც არ უნდა დაემართოს ადამიანს, ეს არის არაჯანსაღი ამბიცია. როცა ადამიანი იტყვის, მე მაგარი ვარო, იქ ამთავრებს ზრდას.

■ ანა და აჩიკო

ანა: „ჰამლეტიმე ნელი მეგონა, ჰომ ნიჭი ახ მქონდა. საუკეთესო მსახიობი ქალის ტიტულმა თავდაჯერებული გამხადა“.

— როგორი პარტნიორები ხართ სცენაზე და როგორი ურთიერთობა გაქვთ მის მიღმა?

აჩიკო: სცენაზე პარტნიორმა სწორად უნდა გაგიგოს, თუ რა გჭირდება და აგყვეს, ანა ასეთია. ძალიან საყვარელი და სასურველი მეგობარია. რა თემაზეც უნდა ესაუბრო, წინ არასდროს დაგხვდება. თუ არ გისმენს, ე.ი. მისთვის არასაინტერესო თემაზე საუბრობ და თავი უნდა დაანებო.

ანა: როცა სცენაზე ორი მსახიობი ერთმანეთს მოქმედებით და რეაქციებით უგებს, მაშინ ყველაფერი საინტერესო ხდება. აჩიკო ძალიან მიზანდასახულია, არასდროს არაფერი ეზარება. ცდილობს, მეგობრებისთვის დრო გამოყოს. ყოველთვის ატყობს, მეგობარს რა უჭირს და ცდილობს, დაეხმაროს. ყველაფერს ლაზათიანად აკეთებს.

— რა შთაბეჭდილებები მოგყვებათ საერთო გასტროლების მერე?

აჩიკო: გასტროლებზე ანასთან ერთად ერთ ნომერშიც კი ვყოფილვარ. კომფორტულია მასთან ყოფნა. არ გღლის და ხანდახან გგონია, რომ არც არსებობს. გასტროლებზე ყოფნისას ანას ვეწებები, რადგან ენა არ ვიცი. ხელ-ფეხით ვცდილობ, ვინმეს რამე გავაგებინო, მაგრამ თუ მაინც რაღაც დამჭირდა, ანა გვერდით მყავს. ჩემი ცოლი და ანა ერთ ზომა სამოსს ატარებენ, ამიტომ, თუ ნუცასთვის რამის ყიდვა მინდა, ანას ვაზომებ და ისე ვყიდულობ.

— რამდენად გასაგებია საყვარელი ადამიანებისთვის თქვენი დატვირთული დღის რეჟიმი და ის, რომ, თუნდაც გასტროლებზე, შეიძლება ერთ ნომერში ცხოვრობდეთ?

აჩიკო: ბედნიერი ვარ, რომ ნუცა ჩემნაირად აზროვნებს და მენდობა. ისეთი ურთიერთობა არ გვაქვს, რომ მას კითხვები გაუჩნდეს, მით უმეტეს, უპასუხო. ზუსტად იცის, სად ვარ და რატომ, ამიტომ არასდროს ეჭვიანობს.

ანა: როცა ურთიერთობა ჯანსაღია, მსგავსი ეჭვები და კითხვები არ ჩნდება, რადგან ამ დროს არსებობს ნდობა.

— დაბოლოს, თქვენი უახლოესი გეგმები რას უკავშირდება?

აჩიკო: მალე ამერიკაში მივდივართ გასტროლებზე და ორი საპასუხისმგებლო სპექტაკლი გველოდება ფილადელფიასა და ნიუ იორკში. ამერიკაში არასდროს ვყოფილვარ და წინასწარ ვემზადები კულტურული შოკისთვის. ბევრი ქართველი ემიგრანტი გველოდება.

ანა: გეგმებზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ გაგანდობთ, რომ სურვილი მაქვს, ოსკარი ავიღო, აჩიკო კი დარბაზში იჯდეს და მე ენა გამოვუყო.

აჩიკო: მე კი პირიქით, ვისურვებდი, ოსკარზეც ერთად ვმდგარიყავით!

✓ მანანა ნოდია

ნიკა გრიგოლია: „მგონი, ვანიკო თარხნიშვილმა მართლა იეჭვიანა ჩემზე“

„სახლში ტელევიზორი არ მაქვს და არც ერთ გადაცემას ვუყურებ“

ნიკა გრიგოლია პროექტ „ნიჭიერს“ პირდაპირ ზეციდან, უფრო სწორად, ჭერიდან დაატყდა თავს. უკვე მეორე კვირაა, მას ვანიკო თარხნიშვილთან და თიკა ფაცაციასთან ერთად მიჰყავს შოუ, ეს სიახლე კი ორიგინალური ფორმით ამცნეს მაყურებელს, ნიკა ზემოდან თოკებით დაეშვა ფილარმონიის სცენაზე. მისი მოვალეობა კონკურსანტების გამხნევება და მაყურებლისთვის განწყობის შექმნაა. როგორც „სარკესთან“ ამბობს, ეს ის საქმეა, რომელიც კარგად გამოსდის, მის იმიჯსაც შეეფერება და პროექტის პროდიუსერებმაც სწორედ ეს გათვალეს.

მას შემდეგ, რაც „კომედი შოუდან“ წავიდა, უფრო სწორად, გაუშვეს, ბევრი რამ გადაიფასა, მიხვდა, რომ ყველაზე მთავარი საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობა და მათი მოფრთხილებაა. ახალ სამსახურსაც მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება, რადგან წინა სამსახურში სწორედ ეს იყო მისი სუსტი წერტილი.

— ნიკა, დიდი ხანია ეკრანზე არ გამოჩენილხართ და უცებ პროექტ „ნიჭიერში“ აღმოჩნდით. საბოლოოდ დაუბრუნდით ტელევიზიას?

— მას შემდეგ, რაც „კომედი შოუ“ დავტოვე, „რუსთავი 2“-ის პროდიუსერებთან გიორგი ხაბურზანიასთან და დემნა ჯაფარიძესთან ერთად სხვადასხვა პროექტზე ვმუშაობდი. სწორედ მათი იდეა იყო, რომ „ნიჭიერში“ კონკურსანტების ოთახში ვყოფილიყავი და მონაწილეები გამემხნევებინა. ამისთვის დიდი მადლობა მათ. ძალიან გამიხარდა, როცა გიორგიმ და დემნამ მითხრეს, რომ რა იმიჯიც მაქვს, ზუსტად ეს სჭირდებოდათ.

პროექტში სიახლეა, რომ პირდაპირი ეთერის მერე, სარეკლამო ჭრისას, ჩვენი ოთახიდან გადაცემა ინტერნეტის საშუალებით ვრცელდება. მონაწილეებთან ერთად ვხუმრობ, ვერთობი, ვკითხულობ „ფეისბუქის“ „ნიჭიერის“ გვერდზე მოსულ კომენტარებს და ა.შ. ინტერნეტში მეტი თავისუფლება გვაქვს. იქ არაფერია დაგეგმილი და ყველაფერი სპონტანურად ხდება. როცა ჩემი წამყვანობის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, „ფეისბუქით“ ბევრი დადებითი გამოხმაურება მივიღე, რამაც ძალიან გამახარა.

— ფიქრობთ, რომ მაყურებელს მოესატრეთ?

— ხშირად მეუბნებოდნენ, ცუდია, ეკრანზე რომ არ ჩანხარო. „ნიჭიერის“ პირველი გადაცემის მერე კი ვიგრძენი, რომ ამხელა პაუზის შემდეგ მაყურებელს ისევ ისე ვუყვარვარ, როგორც ადრე და ეს ბედნიერებაა. დარბაზში ჩემი გამოჩენა ყველას ძალიან გაუხარდა, რამაც მეტი სტიმული მომცა. ამ →36

სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები. 2-დან 25 წლამდე!

3-5 სმ-ის მომატება კურსით. ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინების, ამინომჟავების კომპლექსით! ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება თვეში 8-20 კგ-ით!

დიეტის და ვარჯიშის გარეშე მადის დარეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება მხოლოდ მცენარეული პრეპარატებით. შედეგები 100 %-იანია.

593-44-58-65. ეჭიმი — ქალბატონი დეა
მის.: აღმაშენებლის 154.

Cyan Magenta Yellow Black

პროექტში ბევრი ადამიანია, ვინც გამხნევებს და გეუბნება, რომ კარგად მუშაობ. ეს კი მოტივაციას გიმაღლებს.

— საკმაოდ სახიფათოდ დაუშვით „ნიჭიერის“ სცენაზე — ჭერიდან თოკებით. არ გეშინოდათ?

— ამ სახიფათო დაშვებაში დამეხმარა ალპინისტი გიორგი კობახიძე. მას ვანდე ჩემი სიცოცხლე. დაშვებისას, ერთადერთი, რაზეც ვნერვიულობდი, ის იყო, რომ მას არ დაეცემინებინა და ზუსტად, თავის დროზე და წერტილში შევეჩერებინე. სხვა მხრივ, არც სიმაღლის შიში მქონდა და არც — თოკის გაწყვეტის. რეპეტიციებზე შეიძლება ერთი დაშვება არ გამოვიდეს და რამდენჯერმე სცადო. პირდაპირ ეთერში კი აუცილებლად უნდა გამოსულიყო — იდეალურ სიმაღლეზე გავჩერებულიყავი, რომ ფეხზეც დავმდგარიყავი და ჟიურის წევრებისთვის ხელის ჩამორთმევაც მომესწრო. და ეს გამოვიდა.

„ყოველდღე ვიწმუნდები, რომ ბედნიერებისთვის ჩემთვის ძვირფასი ადამიანების ჯაჭვად ყოფნა მჭირდება. ამის იქით არც ერთი თეთრი ზედმეტი შემოსავალი არ მჭირდება და ამისთვის აღარ ვიმუშავებ“.

— იცოდნენ ჟიურის წევრებმა თქვენი ამ ნომრის შესახებ?

— წარმოდგენა არ ჰქონდათ, რომ ასე შევიდოდი სცენაზე. იმდენად წარმატებული იყო ეს ნომერი, რომ ვფიქრობთ, ყოველ გადაცემაში ასევე ეფექტურად შევიდე.

— თიკა ფაცაციას და ვანიკო თარხნიშვილის ტანდემში კარგად ჩაეწერეთ?

— ვანიკოს დიდი ხანია ვიცნობ და ვმეგობრობ, თიკასთანაც — ასევე. მათთან მუშაობისას პრობლემა არ მაქვს. მშვენივრად გავართვით თავი თანამშრომლობას.

— ვანიკომ თითქოს იეჭვიანა თქვენს გამოჩენაზე, თიკამ ეს ხუმრობით აღნიშნა კიდეც.

— ვანიკომ, მგონი, მართლა იეჭვიანა (იცინის)... ჩვენ ძალიან ვმეგობრობთ და ბევრ ხუმრობას პირდაპირ ეთერში სპონტანურად ვიგონებთ. ვანიკო ნამდვილად არ იეჭვიანებს ჩემზე. მასაც შეუძლია, როცა სურვილი ექნება, ჩემს ოთახში შემოვიდეს.

— მანამდე თუ უყურებდით „ნიჭიერს“?

— დიდი ხანია, რაც სახლში ტელევიზორი არ მაქვს, რადგან არ მინდა, შესაბამისად, არც ერთ გადაცემას ვუყურებ. ერთადერთი პროექტი, რომელსაც ინტერნეტში მაინც ვუყურებდი, „ნიჭიერი“ იყო, ძალიან ვხალისობდი.

— საკმაოდ დიდი ხანია ეკრანზე არ გამოჩენილხართ. პირდაპირ ეთერში გასვლისას ნერვიულობდით?

— ყველა საქმე შესაბამის მომზადებას მოითხოვს, მით უმეტეს, ტელევიზიაში. მანამდე პირდაპირ ეთერში სისტემატურად მუშაობის გამოცდილება არ მქონია. ვყოფილვარ ჩართვებზე, მაგრამ პირდაპირ ეთერში წამყვანად ყოფნა, ბუნებრივია, ჩემთვის სიახლეა, ეს მეტ ყურადღებას მოითხოვს. გადაცემა რომ დამთავრდა, ყველამ, ვისი ნომერიც მეწერა მობილურში, დამირეკა და მითხრა, რომ ძალიან კარგი იყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის იმ ადამიანების დადებითი შეფასება, ვის აზრსაც პატივს ვცემ და ვენდობი.

— რა სირთულესთან არის დაკავშირებული პირდაპირ ეთერში მუშაობა?

— ნებისმიერ სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს. პირდაპირი ეთერის მთავარი პრინციპი არის, რომ შეცდომები არ იყოს. თუ მაინც რამე მოხდა, მთელი ენერგია და რესურსები უნდა ჩართო, რომ შეცდომა ისე გამოასწორო, ამას პრობლემა არ მოჰყვეს.

— მოგენატრათ კამერებთან მუშაობა?

— არა, არასდროს მომნატრებია ეკრანზე გამოჩენა, უბრალოდ ეს ჩემი საქმეა. ჩემთვის ყველაზე მთავარი იყო გიორგის და დემნას აზრი ჩემ შესახებ, რომ მე ამას შევძლებდი და ეს უნდა გამეკეთებინა. მათ ჩემზე ათჯერ უკეთესად იციან, რა შემიძლია და რა — არა.

— თქვენ გეპარებოდათ ეჭვი ამაში?

— არა, ეჭვი არ მეპარებოდა, მაგრამ მათი აზრი მეტ თავდაჯერებულობას მძენს. ეს ადამიანები, როგორც წესი, არ ცდებიან.

— რატომ არ მოგენატრათ ეკრანი? როგორც წესი, ტელესახეებს სამსახურის დაკარგვის მერე კამერების წინ მუშაობის „ნოსტალგია“ ეწყებათ.

— ტყუილს ვერ გეტყვით, რომ მომენატრა, მაგრამ თუ ვინმე მკითხავდა, ვისთან ვითანამშრომლებდი ტელევიზიაში, ყველაზე სასურველად ორს დავასახელებდი — „ნიჭიერს“ და დავით აქუბარდიასთან თანამშრომლობას. ამ შოუში გამოჩენამდე ძალიან ბევრი შემოთავაზება მქონდა სხვადასხვა არხიდან, რომ არ მეგონა, ისეთი ადამიანებისგანაც კი. ყველას დიდი მადლობა, თუმცა სხვაგან მუშაობის სურვილი არ მქონდა. სატელევიზიო პაუზის პერიოდში მაინც დაკავებული ვიყავი სხვადასხვა ივენთებზე მუშაობით. შემოსავლის მხრივ, არანაირი პრობლემა არ მქონდა და, რაც მთავარია, თავისუფალი დრო გამაჩნდა. ეს კი ყველანაირ ხელფასს მირჩევნია.

— „კომედი შოუს“ ბიჭებთან ამ ეტაპზე რა ურთიერთობა გაქვთ?

— ვისთანაც ვმეგობრობდი, ისევ ვმეგობრობ, ვისთანაც ვახლობლობდი — ვახლობლობ და ვისთანაც უბრალოდ ვთანამშრომლობდი, ჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს.

— გგულშემატკივრობენ ყოფილი თანამშრომლები?

— ვიცი, რომ ისინი პროექტს გულშემატკივრობდნენ მანამდეც, ჩემი საწინააღმდეგოც არაფერი აქვთ და, იმედია, ჩემ გამო პროექტის ყურებაზე უარს არ იტყვიან, ყოველ შემთხვევაში, ჩემი მეგობრები „ნიჭიერიდან“ მაინც ვეღარ გამიშვებენ, იქ ვერ შემამცირებენ... (იცინის).

— გენატრებათ ძველი სამსახური?

— არ არსებობს, 10 წელი სადღაც იმუშაო და ის არ მოგენატროს. მაშინ გამოდის, რომ იძულებით მუშაობდი. ვერ ვიტყვი, რომ ყველა დღე, რაც იქ გავატარე, საუკეთესო იყო, მაგრამ რაღაცნაირად მენატრება. ღამით ნამდვილად არ მესიზმრებოდა ყოფილი სამსახური. როცა ჩემს შვილთან ერთად ვარ, მაშინ არაფერი მახსოვს.

— ამ გადასახედიდან ხომ არ ნანობთ, რომ „კომედი შოუს“ მიდმა აღმოჩნდით?

— არა. ჩემს ცხოვრებაში არაფერს შევცვლიდი, გარდა იმისა, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც ამქვეყნად აღარ არიან, დავაბრუნებდი. როცა სამსახურიდან მოდიხარ, გარკვეული დროის მერე შეიძლება დაფიქრდე და ინანო. მე კი — პირიქით, წამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო გამიმყარდა ის შეხედულება, რომ არაფერი უნდა შემეცვალა. თუ რამე მქონდა შესაცვლელი ცხოვრებაში, ყოველთვის თავისით გვარდებოდა.

როცა სამსახურიდან მოდიხარ, ბუნებრივია, ხელფასზე ფიქრობ. მეგონა, რომ შემოსავლის პრობლემა მექნებოდა, მე კი ყველაფერს კარგად გავართვი თავი. თავისუფალი დრო საკუთარი თავისთვის გამოვიყენე.

— რა გიქმნით სამუშაო განწყობას, რა არის თქვენი საყვარელი საქმე?

— საყვარელი საქმე არ მაქვს. კარგი იქნებოდა, შემეძლოს დავწერო ისეთი წიგნი, რომელიც გამოსაცემად ეღირება ან დავხატო ისეთი რამ, რაც ვინმეს მოეწონება. ვერ ვიტყვი, რომ ნიკა გრიგოლიას ერთი საყვედურიც არასდროს მიუღია დაგვიანებისთვის ან ამგვარი რამისთვის, მაგრამ, როცა საქმე მომწონს და მიყვარს, სიამოვნებით ვაკეთებ. „ნიჭიერში“ დისციპლინასთან დაკავშირებით საყვედური არავის უთქვამს ჩემთვის.

— პოპულარული რომ არ იყოთ, ამ შოუში გამოსცდიდით, როგორც კონკურსანტი?

— ახლაც გამოვიდოდი დიდი სიამოვნებით. რამდენჯერაც ამ შოუს ვნახავდი, იმდენჯერ მიჩნდებოდა სურვილი, გამოვსულიყავი და რამე სახალისო გამეკეთებინა, რაც ადამიანებს გაართობდა.

— თქვენი ცოლი დარბაზიდან გამხნევებთ?

— ნამდვილად ასეა. ის ერთ-ერთი თაყვანისმცემელია ამ გადაცემის. როცა ვუთხარი, რომ ამ პროექტში ვიქნებოდი, ძალიან გაუხარდა. დარბაზში ზის ხოლმე და ეს ძალიან მიხარია.

— შვილი, ნიკო, თუ გიყურებთ?

— ასე გვიან ვერ მიყურებს, რადგან მეორე დღეს ბაღში უნდა წავიდეს, მაგრამ ჩანაწერებს ნახულობს და ძალიან მოსწონს.

— როგორც ამბობთ, თავისუფლება გახარებთ და საკუთარ თავს დიდ დროს უთმობთ. მაინც რას აკეთებთ?

— ყველაზე კარგი პერიოდი ახლა მაქვს. ბავშვთან ერთად დიდ დროს ვატარებ, მასთან მივდივარ ბაღში და მის მეგობრებთან ერთად ვთამაშობ. მის მეგობრებს შურდულის გაკეთება უკვე ვასწავლე, შემდეგი გაკვეთილი მშვილდ-ისრის გაკეთება იქნება.

— რადა „ცივი ომარდის“ გაკეთებას ასწავლით, რამე სასარგებლო საქმე არ სჯობდა?

— იმასაც ვასწავლი, რომ არც ჩიტს ესროლონ და არც მეგობარს გაარტყან თვალში! მათთან ერთად ვსწავლობ თამაშებს. მე, ნიკო და ჩემი მეუღლე, მარიამი, ძალიან კარგად ვატარებთ დროს. ყოველდღე ვრწმუნდები, რომ ბედნიერებისთვის ჩემთვის ძვირფასი ადამიანების კარგად ყოფნა მჭირდება. ამის იქით არც ერთი თეთრი ზედმეტი შემოსავალი არ მჭირდება და ამისთვის აღარ ვიმუშავებ.

— ამ პროექტის დასრულების შემდეგ რას აპირებთ?

— ისევ ამ ადამიანებთან ერთად გავაგრძელებ მუშაობას. ეკრანზე თუ არ ვჩანვარ, არ ნიშნავს, რომ არ ვმუშაობ. დღეს ვარ იმ ადამიანებთან ერთად, ვისთან მუშაობაც ყოველთვის მინდოდა. დარწმუნებული ვარ, მათ იმედებს გავამართლებ.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

როლანდ ოქროპირიძემ დედას მანქანა უყიდა

„ცოტა ხნით იაფფასიან ავტომობილზე გადაჯდომა მომინევს"

„ახლებედა მძღოლი ჰომ ვიყავი, ჯინაღამ ფეხით მოსიარეულე პატრულს დავეჯახე".

ბესახიობი როლანდ ოქროპირიძე კარგი მონადირეა, ამიტომ მანქანებს იმის მიხედვით არჩევს, რომ ტყეღრეებში სასიარულოდ გამოადგეს. ბევრი ავტომობილი გამოიცვალა, ბოლოს კი „თავისიანს" მიაგნო — „ნისან პატფაინდერს". ამ მანქანით საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული აქვს მოვლილი. დინჯ კახელს არც თბილისის ქაოსური მოძრაობა უშლის ნერვებს, არც საცობები და, სხვა მამაკაცებისგან განსხვავებით, არც მძღოლი ქალები. უფრო მეტიც, ახლახან დედასაც უყიდა მანქანა.

— როლანდ, როდის დაუმეგობრდით ავტომობილს?

— უკვე 9 წელია საჭეს ვმართავ. სანამ ჩემი მანქანა მეყოლებოდა, მანამდეც ვიცოდი ტარება, მაგრამ ცუდად. მართვის მომწობა ისე ავიღე, ავტომობილი არ მყავდა, მაგრამ ვიცოდი, რომ მალე ვიყიდდი.

— არჩევანი რომელ მანქანაზე გააკეთეთ?

— ჩემი პირველი ავტომობილი „გოლფ 2" იყო, რომელიც ფრანგმა მეგობარმა მაჩუქა. მას პეპელა შევარქვი. ამ მანქანით წელიწადნახევარი ვიარე და ძალიან კარგად მახსენდება. ძველი მანქანა კი იყო, მაგრამ ნაწილები იმდენად კარგი ჰქონდა, თითქმის არ მიფუჭდებოდა. თან ძველი რომ იყო, ყველაფრისთვის ვიმეტებდი, არ ვუფრთხილდებოდი, ყველანაირ გზაზე დავდიოდი.

— ადვილად შეეჩვიეთ საჭეს?

— თავიდან ძალიან დაძაბული ვმართავდი. ჩემთვის ქალაქში მოძრაობა რთული აღმოჩნდა. ახლებედა მძღოლს გზის გაგნება და პარალელურად ავტომობილის ტარება, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა. მეორე დღეს ქალაქში რომ გავედი, კინაღამ ფეხით მოსიარულე პატრულს დავეჯახე. რასაც ჰქვია, გადარჩა! ის ვერც მიხვდა, რომ ვეჯახებოდი, მაგრამ მე ძალიან დავიძაბე.

ერთხელ თეატრიდან გამოვედი და მარცხნივ უნდა შემეხვია. ჩემ წინ დიდი ჯიპი მიდიოდა. მარჯვნივ ჩემი მეგობრები დავინახე, გავხედე და ისე შევასკდი იმ ჯიპს, საჭეს თავი მივარტყი. ორ კვირაში კი უკვე თავისუფლად ვმოძრაობდი.

— „გოლფის" მერე ბევრი ავტომობილი გამოიცვალეთ?

— რამდენიმე მანქანა მყავდა, ჯერ „ტოიოტა ჰაი ლუქსი" ვიყიდე, შემდეგ ე კლასის „მერსედესი", რომელიც მეგობარს ვათხოვე და ისეთი ავარია მოუვიდა, მანქანა სულ მთლად დაიწვა. ღვთის წყალობით, ჩემი მეგობარი გადარჩა. ამის მერე „ჰონდას" ჯიპი ვიყიდე, მერე „აუდი ა 6", რომელიც მალევე გავყიდე და ახლა „ნისან პატფაინდერის" ჯიპი მყავს.

— ასეთი სიხშირით რატომ იცვლით მანქანებს?

— ისეთ მანქანას ვეძებდი, რომელიც ჩემი იქნებოდა და მივხვდი, რომ ეს ჯიპი ნამდვილად ჩემია. ახლა ფული მჭირდება, ამიტომ, სავარაუდოდ, ამასაც გავყიდი და ცოტა ხნით იაფფასიან მანქანაზე გადავჯდები. როცა მასაც გამოვცვლი, „პატფაინდერის" გარდა, სხვას არაფერს ვიყიდი.

— რითი გამოარჩიეთ ეს ჯიპი, რა აქვს ასეთი განსაკუთრებული?

— პირველ რიგში, გამძლეა და შედარებით ცოტას წვავს. დიდძრავიანი მანქანების ყიდვა მჩვევია, ამიტომ გაზს ვამონტაჟებ ხოლმე, რომ ეკონომია გავწიო. მანქანა ისეთი კომფორტული უნდა იყოს, ქალაქშიც გამოგადგეს და მიუვალ ადგილებშიც. არ არის აუცილებელი, ძალიან სწრაფი იყოს, მაგრამ სიჩქარის აკრეფა უნდა შეეძლოს. ჩემი „ნისანი" ყველა ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს. ყველგანმავალია და სანადიროდაც ამით დავდივარ. საქართველოში სანადიროდ თითქმის ყველგან ვარ ნამყოფი. თუშეთიც ამ მანქანით მოვიარე და არაფერი გასჭირვებია. ძვირადღირებულ ავტომობილს კი ამისთვის ვერ გავიმეტებდი. 1998 წელს არის გამოშვებული, მაგრამ არ ვთვლი, რომ ძველია, რადგან საკმაოდ იშვიათად მიწევს პროფილაქტიკაში სიარული.

— საბარგულში ალბათ სანადირო აღჭურვილობასაც ინახავთ.

— სანადირო აღჭურვილობა შეიძლება სულ თან არ ვატარო, მაგრამ დანა ყოველთვის მიდევს მანქანაში და კიდევ — მაშხალა, რომელსაც აანთებ და საათნახევარი ანათებს. ცეცხლის ჩამქრობსაც თან დავატარებ, ჭოგრიტსაც და საწერკალამსაც. სიმართლე გითხრათ, მანქანას ზოგიერთებივით არ ვუვლი, სალონში სიგარეტის ფერფლი რომ ჩამოუვარდებათ და სველ ტილოს ეცემიან ხოლმე. ვთვლი, რომ მანქანამ მე უნდა მომიაროს და არა — პირიქით.

— მგონია, რომ მანქანის ნაწილებშიც კარგად ერკვევით.

— თქვენ წარმოიდგინეთ, ვერ ვერკვევი. ამ ბოლო დრო უფრო ვისწავლე რაღაც-რაღაცეები. ისეთი მარჯვე არ ვარ, რომ ავტომობილი თვითონ შევაკეთო.

— ქალაქში ყოველთვის წესების დაცვით მოძრაობთ?

— ჩვენს ქალაქში მოძრაობის საკითხი ნელ-ნელა გამოსწორდა, მაგრამ ჯერჯერობით ბოლომდე მოგვარებული არ არის. შეძლებისდაგვარად კანონმორჩილი მძღოლი ვარ და არც ნერვული გახლავართ. როგორც მიდის მოძრაობა, მეც ისე ვმოძრაობ, არაფერი მაწუხებს. მხოლოდ საცობმა შეიძლება დისკომფორტი შემიქმნას, მაგრამ სხვა ქვეყნებში იმხელა საცობებია, თბილისთან შედარება არც შეიძლება.

ამ ბოლო დროს პატარა სკუტერი მოტოციკლეტები მომრავლდნენ. ძალიან კი მომწონს, მაგრამ ვფიქრობ, რომ თბილისი ამდენი სკუტერისთვის მზად არ არის და ძალიან საშიშია, რადგან შეიძლება გვერდით მოულოდნელად შემოგიძვრეს. ვისურვებდი, რომ თბილისში სკუტერების კულტურა ჩამოყალიბდეს.

— ქალი საჭესთან მოგწონთ?

— რატომაც არა?! დედაჩემს მანქანა ვუყიდე და ვერ გეტყვით, ამით რამდენი საქმე მომაშორა. ახალბედა მძღოლია, მაგრამ ვთვლი, რომ ნორმალურად მართავს. როგორც ყველა ქალი მძღოლი, დედაჩემიც მშიშარა და ნელია. ქალები დაძაბულად მოძრაობენ, მაგრამ ამას ყველაზე ვერ ვიტყვი.

— საშიშ ავარიულ სიტუაციაში თუ აღმოჩენილხართ?

— ასეთი შემთხვევა ერთადერთხელ მქონდა. კახეთიდან მოვდიოდი. სწრაფად სიარული არ მჩვევია, მაგრამ თოვლიან გზაზე ცოტა სიფრთხილეა საჭირო, მე კი ეს არ გავითვალისწინე და მანქანა ისე მომიცურდა, გზაზე დიდხანს ვიბზრიალე. კიდევ კარგი, არაფერი მოდიოდა, თორემ ისეთი ყინვა და თოვლი იყო, ვერც მომავალი მანქანა გაჩერდებოდა, ვერც მე გავხდებოდი ვერაფერს და ძალიან ცუდი რაღაც მოხდებოდა.

— ნასვამი მჯდარხართ საჭესთან?

— კი, ძალიან ბევრჯერ. ამის გამო უამრავი ჯარიმა მაქვს გადახდილი. რაც ნასვამ მძღოლებთან დაკავშირებით კანონები გამკაცრდა, უკვე ვფრთხილობ და ვცდილობ, საჭესთან ნასვამი არ დავჯდე. კანონია და უნდა დავემორჩილო. ძალიან ნასვამი კი საჭესთან არასოდეს ვმჯდარვარ. ლუდი ან რამდენიმე ჭიქა როცა დამილევია, მხოლოდ მაშინ გამირისკავს.

„ჩემ წინ დიდი ჯიპი მიდიოდა. მახჯვნივ ჩემი მეგობრები დავინახე, გავხედე და ისე შევასკდი იმ ჯიპს, საჭეს თავი მივარტყი".

ამ დროს მანქანას ჩვეულებრივად ვმართავ. ხშირად პატრული გვიან ღამით გადამოწმების მიზნით მაჩერებს. ყოფილა შემთხვევა, როცა მიცნეს და ყოველგვარი შემოწმების გარეშე გამიშვეს.

— საოცნებო მარკის ავტომობილი თუ გყავთ?

— კარგი შემოსავალი რომ მქონდეს, „მინი კუპერს" შევიძენდი.

— მერე ჩაუტეკვთ?

— პატარა მანქანა ნუ გგონიათ, თავისუფლად ვეტევი. „ფერარის" მსგავსი მანქანები არ მიყვარს. კარგი იქნება, თუ მეყოლება, მაგრამ ზუსტად ვიცი, გავყიდი.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ცივეტა დაწვეს, ნიანგს ქვებით ქოლავენ, მგაცებლებს ვოლიერში უხტებიან...

თბილისის ზოოპარკის ბინადართა გასაჭირი

ცივეტა

ახლახან თბილისის ზოოპარკის ბინადარს, ერთ-ერთ ყველაზე უწყინარ ცხოველს — 5 წლის აფრიკულ ცივეტას, ორმა მცირეწლოვანმა დამთვალიერებელმა ცეცხლი წაუკიდა. ცხოველი სერიოზულ დამწვრობას ზოოპარკის თანამშრომელმა გადაარჩინა. ცივეტა ახლა კარგად არის და კვლავ თავის გალიაშია.

ზოოპარკში ასეთი სისასტიკის შემთხვევები ხშირია. დამთვალიერებლები ცხოველებს ანთებულ სიგარეტს, ქვებსა და სხვადასხვა საგნებს ესვრიან. მტაცებელ ცხოველებსაც არ ეპუებიან, მათთან გალიაში შეძვრომას, ხელის შეყოფას, საკვების მიწოდებას ცდილობენ, რაც სასტიკად აკრძალულია.

„სამწუხაროა, რომ ვიზიტორები ზოოპარკს მხოლოდ სარეკრეაციო ზონად მიიჩნევენ და ავიწყდებათ, რომ ეს სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელსაც გაფრთხილება სჭირდება. აქ ადამიანებმა, პატარა ბავშვებმა ცოცხალი ბუნების წარმომადგენლების ნახვისა და მათთან ურთიერთობის საშუალებით განათლება უნდა მიიღონ“, — ნათქვამია თბილისის ზოოპარკის „ფეისბუქის“ გვერდზე.

„ყველა გალიის კარს წიფრული კოდი აქვს, მაგრამ ერთმა პიროვნებამ ეს კოდი ამოიცნო, დათვის გალიაში ხელი შეყო და ცხოველმა უკბინა“.

ზოოპარკისთვის მტკივნეულ საკითხებზე „სარკეს“ მისი დირექტორი ზურაბ გურიელიძე უამბობს.

— ბატონო ზურაბ, გვაამბეთ ბოლო შემთხვევაზე. ვინ და რატომ წაუკიდა ცივეტას ცეცხლი?

— დღისით, როცა ზოოპარკი ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობს, ორმა ბავშვმა ცივეტას, რომელიც გისოსებთან ახლოს წევს ხოლმე, სანთებელათი ცეცხლი წაუკიდა. საბედნიეროდ, ცხოველს სერიოზული დამწვრობა არ მიუღია, მხოლოდ შეიტრუსა და სამკურნალოდ მისი სადმე გადაყვანა არ დაგვჭირვება. ცივეტა გალიაში მარტოა ხოლმე, ძალიან მშვიდი ცხოველია. ზომითაც არ არის დიდი, საშუალო ძაღლის სიმაღლისაა.

— როგორ გადაარჩინეთ ცეცხლწაკიდებული ცხოველი, რომ სერიოზული დამწვრობა არ მიეღო?

— ზოოპარკში დაცვის სისტემა კარგად არის ორგანიზებული, თითქმის ყოველი მეტრი კამერების საშუალებით კონტროლდება. ეს შემთხვევაც დაცვის თანამშრომელმა დააფიქსირა და მაშინვე მივიდა. იქ ერთ-ერთი დამთვალიერებელიც იყო და ისიც ჩაერია. ბავშვები 10-12 წლისანი იყვნენ და სამართალდამცავებს ამიტომაც არ მივმართეთ. ასე პატარები რომ არ ყოფილიყვნენ, პოლიციას აუცილებლად ჩავრევდით.

— როგორ მოახერხეს ცივეტასთან მიახლოება?

— იმ ცხოველებს, რომლებიც სახიფათოები არ არიან, დამცავი ჯუბირი არ აქვთ. ცივეტა აბსოლუტურად უწყინარი ცხოველია, არავის არაფერს უშავებს. ამ ფაქტის შემდეგ კი იძულებულები გავხდებით, დამცავი ჯუბირები ყველას გავუკეთოთ, მიუხედავად იმისა, ეს სტანდარტებით გათვალისწინებულია თუ არა. მაგრამ არ არსებობს ბარიერი, რომელსაც ადამიანი ვერ გადალახავს. ცივეტას ვოლიერთან ჯუბირიც რომ ყოფილიყო, ეს ბავშვები თავისუფლად გადაძვრებოდნენ, ხშირად ასეც ხდება ხოლმე.

— ბავშვებისთვის არ გიკითხავთ, რატომ ჩაიდინეს ეს?

— დაცვის უფროსმა ჰკითხა, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველები არ იყვნენ ან არ ლაპარაკობდნენ. მერე კი გაიქცნენ.

— ასეთ შემთხვევებში სანქციები არ არსებობს?

— სამწუხაროდ, კანონით დადგენილი სანქციები არ არსებობს, ჩვენს თანაშრომელს ვინმეს დაჯარიმების უფლება არ აქვს. თუ რაიმე შემთხვევაა, პატრულს ვიძახებთ. ერთხელ ორი ნასვამი ადამიანი მგლების ვოლიერის დანგრევას და მათთან შესვლას შეეცადა. ისინი დაცვასაც თავს დაესხნენ, ამიტომ იძულებულები გავხდით, პატრული გამოგვეძახა. პატრულმა ისინი ტერიტორიიდან გაიყვანა, სხვა სახის დასჯა არ არსებობს. ხშირად მოდიან აქ მთვრალები, თან ზაფხულში ზოოპარკი გვიანობამდე მუშაობს. მაგრამ თუ ცხოველი დაშავდა, ეს საკმაოდ მკაცრად ისჯება. ცხოველის დაწვა აქამდე თავში აზრად არავის მოსვლია.

— ყველაზე მეტად რომელ ცხოველს ესხმიან თავს?

— განსაკუთრებით ნიანგი ზარალდება, მას დამთვალიერებლები ქვებს ესვრიან. თუ ცხოველს სძინავს, ცდილობენ, გამოაფხიზლონ და ქვებს ან ჯოხს ესვრიან, ეს კი საკმაოდ სახიფათოა. ძალიან დიდი რისკია, გისოსებში ხელს რომ ყოფენ ან ჯოხით აღიზიანებენ ცხოველს, მაგრამ დამთვალიერებლები ამას ვერ აცნობიერებენ. ცივეტა წყნარი ცხოველია და ეს ამბავი მშვიდობიანად იმიტომ დამთავრდა, თორემ მის ადგილზე სხვა ცხოველი რომ ყოფილიყო, შეიძლებოდა ტრაგედია დატრიალებულიყო. ცხოველების უმეტესობა ძალიან საშიშია.

„სპილოს გალიასთან ორი დედა საუბარში გაერთო, ბავშვმა დრო იხელთა და სპილოსთან შეძვრა. საბედნიეროდ, ჩვენმა თანამშრომელმა ბავშვი გალიიდან უვნებელი გამოიყვანა“.

— ალბათ ბევრი სხვა შემთხვევაც იყო, როცა დამთვალიერებლებმა წესები დაარღვიეს.

— დიახ, იყო. ერთხელ სპილოს გალიასთან ორი დედა საუბარში ძალიან გაერთო, ბავშვმა დრო იხელთა, ღობეზე გადაძვრა და სპილოსთან შეძვრა. საბედნიეროდ, ჩვენი ერთ-ერთი თანამშრომელი იქვე იმყოფებოდა და ბავშვი გალიიდან უვნებელი გამოიყვანა. იყო შემთხვევა, როცა ვეფხვებთან გადაძვრნენ, ბოცვერების გალიაში ხელი შეყვეს და ცხოველმა ისინი დაკბინა.

ღობეებს და ბარიერებს ცხოველებზე მეტად დამთვალიერებლები აზიანებენ. ნებისმიერ ცხოველს უნდა მოერიდო. დაცვის თანამშრომლები სულ მოძრაობენ და მათ მაინც ჰკითხო, რა შეიძლება და რა არა. ლომებთან გადაძრომაც კი უცდიათ. ამას ფხიზელ მდგომარეობაში მყოფებიც ცდილობენ და ნასვამებიც. მაგალითად, გასულ ზამთარს ნასვამი ადამიანი ვეფხვთან ჩაძვრა, ცხოველმა ის კლანჭებით დაიჭირა და მძიმედ დაშავდა. რა უნდოდა ამ ადამიანს იქ, რისთვის ჩაძვრა?!

ყველა გალიის კარს ციფრული კოდი აქვს, მაგრამ ერთმა დამთვალიერებელმა ეს კოდი ამოიცნო, დათვის გალიაში ტელეფონიანი ხელი შეყო და ცხოველმა უკბინა, საბედნიეროდ, მსუბუქად. არადა შეიძლებოდა, ის ხელი თავის ტელეფონიანად იქ დარჩენოდა. ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა მაიმუნების გალიაშიც ყოფენ თითებს, არადა ისინი ძლიერი და აგრესიული ცხოველები არიან. ყველა ცხოველი ვეტერინარულ კონტროლს გადის, აცრებიც ჩატარებული აქვთ, მათგან რაიმე დაავადების გადატანის რისკი ძალიან მცირეა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათთან კონტაქტი სახიფათო არ არის.

ხშირად მაიმუნებს სიმინდის ჩხირებს, პოპკორნს უყრიან. საკვების მიცემაც რისკია. პოპკორნი, სიმინდი ცხოველის საკვები არ არის, უფრო მეტიც, ზოგიერთისთვის შეიძლება მომწამვლელიც იყოს. როცა დამთვალიერებელს ვეუბნებით, რომ ეს არ შეიძლება, მშივრები არიანო, გვპასუხობენ. არადა, ჩვენი ცხოველები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ივვებებიან.

ზოოპარკში ქცევის წესები უნდა დაიცვა, ყველგან არის გამაფრთხილებელი ნიშნები, მაგრამ დამთვალიერებლები მათაც აზიანებენ. გაგიკვირდებათ და, შენიშვნას რომ მისცემ, აგრესიულები ხდებიან და აქეთ გადმოდიან შეტევაზე. გეუბნებიან, რომ ფული გადაიხადეს და, რაც უნდათ, იმას გააკეთებენ. ისიც უნდა ითქვას, რომ შენიშვნას ბევრი გაგებით ხვდება და ბოდიშსაც იხდის.

— ცხოველებს გამიზნულად აყენებენ ზიანს თუ ეს უყოცობით მოსდით?

— უფრო უცოდინრობის შედეგია. როგორც ჩანს, თვლიან, რომ რადგან ცხოველი ტყეეობაშია, ის სახიფათო აღარ არის. ბავშვებში უფრო ცნობისმოყვარეობასთან გვაქვს ხოლმე საქმე. ასეთ შემთხვევაში ახსნა-განმარტებაა საჭირო, რასაც ვაკეთებთ.

— ცივეტასთან დაკავშირებული ინციდენტის შესახებ სოციალურ ქსელებში დაიწერა, რატომ არ იმყოფებოდა იმ გალიასთან მეთვალყურე, ვინც ბავშვებს წესების დაცვისკენ მოუთითებდა...

— ყველა ვოლიერთან თანამშრომელს ვერ დავაყენებთ, ეს აბსოლუტურად გამორიცხულია. ამისთვის გამაფრთხილებელი ნიშნებია, სადაც წერია, რომ ცხოველებს არ უნდა მიეკარონ, რომ ბარიერზე გადასვლა, მათი კვება არ შეიძლება. თანამშრომელი ახლოს რომ იმყოფებოდა, სწორედ ამიტომ არ დაიწვა ცივეტა მთლიანად.

— როგორც ვიცი, ბოლოს ზოოპარკში ბოკვერები დაბადეს. მას შემდეგ თუ იყო მატება?

— 7 ნოემბერს ვეფხვის სამი თეთრი ბოკვერი დაიბადა. ისინი დედასთან არიან. თეთრი ბოკვერების დაბადების ეს უკვე მეორე შემთხვევაა. მათთვის სახელები ჯერ არ შეგვირჩევია. ჯერ პატარები არიან და ვერც დაიმახსოვრებენ, ამიტომ საჩქარო არ არის.

— ლომების, სიმბას და ნალას შვილი, კატო, ცუდად იყო, გვახსოვს, რომ თვალის ოპერაცია ჩაუტარეთ. ახლა როგორ არის?

— სამწუხაროდ, აქ მხოლოდ თვალის პრობლემა არ იყო, თანდაყოლილი ეპილეფსიური შეტევებიც ჰქონდა, ამიტომ მოკვდა. მისი და, ნატო, ძალიან კარგად გრძნობს თავს. მას უკვე ორი უმცროსი და და ერთი ძმა ჰყავს. ისინი ზაფხულში დაიბადნენ. ჩვენს ზოოპარკში გამრავლების პროცესი საკმაოდ კარგად მიმდინარეობს.

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

რატი დურგლიშვილის ახალ სახლს ქალის ხელი აკლია

ჟომღერალმა რატი დურგლიშვილმა თავისი ძველი პროფესია, მხატვრობა გაიხსენა და ნიჭი და ცოდნა ახალი სახლის რემონტისა და გაფორმებისთვის შესანიშნავად გამოიყენა. რატიმ მშობლებისგან დამოუკიდებლად გადაწყვიტა ცხოვრება და ბინა თბილისის ცენტრალურ უბანში, ყიფშიძის ქუჩაზე მოიწყო. ოროთახიანი სახლის გარემონტებას დიდი დრო მოანდომა, რადგან ყველა დეტალი თავად გათვალა, თანაც, როგორც თვითონ ამბობს, სიღრმისეულად. შედეგით კმაყოფილია, მაგრამ ახლა მთელი ის პროცესი კოშმარად ახსენდება.

სახლი მთლიანად მუქ ფერებშია — ყავისფერ-შოკოლადისფერში. რატიმ ერთ სივრცეში მოაქცია მისაღები, სამუშაო კუთხე და სამზარეულო. გარკვეული ნივთები საკუთარი ხელით გააკეთა, მაგალითად, ჭაღები. ორიგინალურიც გამოვიდა და იაფიც.

— რატი, როდის შეიძინეთ ეს ბინა?

— ეს სახლი ორ წელზე მეტია მაქვს, მაგრამ უსახსრობის გამო დიდხანს შავი კარკასი იყო. ბოლოს, როგორც იქნა, გავაკეთე.

— ოჯახის წევრებისგან ცალკე ცხოვრებას ადვილად შეეჩვიეთ?

— საერთოდ, ხალხმრავალი ადგილები მიყვარს, მარტოც ვერასოდეს ვცხოვრობდი. მიჩვეული ვარ, რომ ჩემთან ერთად ვიღაც აუცილებლად უნდა იყოს. თავიდან მეგონა, რომ ამ სახლში სტუმრად ვიყავი. 30 წელი ჩემს ოჯახში გავატარე, სადაც სულ ხმაური იყო და უცებ აქ მარტო გადმოვედი. თან ჩემს ოჯახში ყველა ერთმანეთზე ვზრუნავთ.

სახლში როდესაც მარტო ვზივარ და ჩემ გარშემო არაფერი ხდება, ისტერიკაში ვვარდები. მე ქალაქის ბიჭი ვარ, ჩემ გარშემო სულ ხმაური უნდა იყოს. სიჩუმეში კი არაფრის ენერგია მაქვს.

— ზოგჯერ სიმშვიდე და მარტოობაც კარგია.

— თუ მინდა, რაღაცაზე ვიფიქრო, ამ დროს მეგობრებს აღარ ვეძახი. ბოლო დროს ხატვას დავუბრუნდი (რატი სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა. ავტ.). ერთი მხრივ, მარტო ცხოვრება ძალიან კარგიცაა. ბევრი რაღაცის რეალიზებას ვახდენ. ცოტა ხნის წინ მამაჩემის კონცერტი იყო, სცენის ინტერიერი ჩემი ხელით გავაკეთე. დიდ სიამოვნებას განვიცდი, როცა საკუთარი ხელით ვაკეთებ რაღაცას.

როცა სახლის გაკეთება გადავწყვიტე, ვფიქრობდი, როგორ შემეძლო მინიმუმით მაქსიმუმისთვის მიმეღწია. მგონი, ეს შევძელი. ბინის ფარდა რომ „აიხსნა", ჩემი მეგობრები გაგიჟდნენ, ყველას ძალიან მოეწონა.

— ოჯახის წევრები დაგეხმარნენ ბინის შეძენაში?

— 13 წლიდან მაქვს ჩემი ხელფასი. ოჯახის წევრები კი მეხმარებოდნენ, მაგრამ ეს არ მომწონდა. ვიღაც რომ რაღაცის კეთებაში მეხმარება, ვთვლი, რომ ის ჩემი საქმე აღარაა. მინდა, ყველაფერი ჩემით გავაკეთო. მადლობა ღმერთს, დღესდღე-

→40

ობით ჩემი შრომით მაქვს ის ყველაფერი, რაც მინდა. ფანტაზიორი არ ვარ, რომ მაიამიში აგარაკზე ვიოცნებო, თუმცა, რომ მოვინდომო, ესეც შესაძლებელია. ცხოვრება მარტივია, თუკი მარტივად შეხედავ. მე კი ძალიან მარტივად ვუყურებ ყველაფერს. ყველაზე უკვდავი სიმღერებიც ძალიან მარტივ მელოდიებზეა გაკეთებული და თაობებს უძლებს.

— რითი მოგხიბლათ ამ სახლის კარკასმა?

— იმდენი კუთხე ჰქონდა, რომ მაშინვე მოვიხიბლე. ოთხკუთხედი ფორმის არც ერთი ოთახი არ არის, ზოგი სამკუთხედია და ზოგი — ხუთკუთხედი. აბაზანასაც ბრილიანტის ფორმა აქვს. ოთახები სტანდარტული არ არის, როცა ლაზერებით უნდა აეზომათ, ძალიან გაწამდნენ, სამჯერ მოვიდნენ, თქვეს, ეს სახლია თუ რა არისო. ძალიან მიყვარს მაღალი ჭერი და სახლმა ამითიც მიმიზიდა. მხატვრისთვის, ხელოვანისთვის როგორი სახლიც საჭიროა, ზუსტად ისეთი გამომივიდა. მიყვარს სივრცე. ახლაც ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ადგილი არ მყოფნის, მაგრამ ვფიქრობ, მეტი სივრცე აღარაა საჭირო.

„სახლში ჰოდესაც მაჰტო ვზივაჰ და ჩემ გაჰშემო აჰაფეჩი ხდება, ისტეჩიჯაში ვვაჰდები. მე ქალაქის ბიჭი ვაჰ, ჩემ გაჰშემო სუდ ხმაუჩი უნდა იყოს".

„ოთხკუთხედი ფორმის აჰც ეჩთი ოთახი აჰ აჰის, ზოგი სამკუთხედია და ზოგი — ხუთკუთხედი. აბაზანასაც ბჰილიანტის ფორმა აქვს".

— ყველაფერი ზუსტად ისე გამოგივიდათ, როგორც გინდოდათ თუ რაღაც მაინც დაგრჩათ ხინჯად?

— კედლებს რომ ვაკეთებდი, მეგობარი მეჩხუბებოდა, კანტები გაუკეთეო, არ დავუჯერე და ახლა ვნანობ. მეგონა, ძალიან გადავტვირთავდი. ხელოსანი მოვიყვანე, მაგრამ მითხრა, ახლა აღარ შეიძლება გაკეთება, რემონტი გაგიფუჭდებაო. ამიტომ ასე დავტოვე.

ფარდებიც ვერ გავთვალე კარგად. მუქია და სახლს აბნელებს, მინდა, შევცვალო, მაგრამ ერთი თეთრიც კი აღარ დამრჩა.

— ახლა ყველაფერს სხვანაირად გააკეთებდით?

— კი, უკვე ზეპირად ვიცი, რა როგორ უნდა გავაკეთო. შეგიძლიათ დამირეკოთ და გეტყვით, ელიავაზე სად იყიდება მასალები იაფად. ერთი რამ კარგად ვისწავლე — რემონტის გაკეთება მტერს უნდა უსურვო! რემონტმა ჩემი ნერვები შეიწირა. ყველა დეტალზე მე ვფიქრობდი, რჩევა არავისთვის მიკითხავს. ამდენ ფიქრში დრო ძალიან გაიწელა.

მისაღები ოთახის ერთ კედელზე ხის პატარა, ორიგინალური თაროების გაკეთებას ვაპირებდი, მაგრამ არ გამოვიდა. მინდოდა, ზემოდან ნათურები დამენათებინა, მაგრამ ამ ყველაფერისთვის დრო და ნერვები აღარ მყოფნის. რემონტის პროცესში სულ აქტიური ხარ, როცა ამთავრებ, მერე დეპრესია გემართება. ყველა ასე ყოფილა, მე კი რა ვიცოდი, ჩემს მეგობარს ვეკითხებოდი, რა მჭირს-მეთქი და ის სიცილით სკდებოდა, ერთ თვეში გაგივლისო. მართლაც გამიარა.

— დიზაინერი რატომ არ აიყვანეთ?

— იმიტომ, რომ „ტრი დე" ნახატი ძალიან იტყუება. შეხედავ, მოგწონს, მაგრამ სახლი ისეთი აღარ გამოდის. ერთ დღეს მოვიდოდი და მუშებს უცებ ვეტყოდი, ეს ამომითხარეთ, რაღაც მოვიფიქრე-მეთქი. ყოველდღე რაღაც ცვლილებები შემქონდა. მუშები გავაწამე. სულ ბოდიშებს კი ვუხდიდი, მაგრამ...

— ერთ ოთახში არის სამზარეულო, მისაღები, სამუშაო კუთხე. ეს მოსახერხებელია?

— კი, სამზარეულო და მისაღები ერთად ძალიან კომფორტულია. ფართსაც იგებ და

ПАРА ПЛЮС

УФРО ДЛИЕРИ ВИДРЕ ТИЛЕБИ

ГАНТАВИСУФЛДИТ ТИЛЕБИСГАН СУЛ РАГАЦ 10 ГУТШИ

- ЕФЕКТУРИА ЕРТЖЕРАДИ გამოყენებისას
- შეიცავს ორ აქტიურ ნივთიერებას
- 1 აეროზოლი - სრული მკურნალობა მთელი ოჯახისათვის

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

მწარმოებელი: ლაბორატორია " OMEGA PHARMA" (საფრანგეთი)

წარმომადგენლობა საქართველოში: ფიქ მედიკალი. ტელ/ფაქსი: 255-20-59. ელ-ფოსტა: ficmedical_georgia@yahoo.com

დროსაც. სამზარეულოში თაროს გაკეთებას ვაპირებ, რომელიც ამ ორ ოთახს ერთმანეთისგან გამოყოფს. სახლი ჯერ კიდევ დასამთავრებელია.

ის ყვავილიც მინდა მქონდეს, რომელიც კედელზე ადის, 4 მეტრამდე იზრდება და მერე კედელზე აბამ. ძალიან მიყვარს მცენარეები. მინდოდა, სახლი პატარა ბაღივით მომეწყო, მაგრამ ბევრი მოვლა სჭირდება და ვერ შევძლებდი.

„ბიდეღები ვიყიდე, მეხე გადავჭეხი, ნათუხები ცოტა ქვემოთ დავამაგხე, ჰომ ახ დაეწვა და სამზახეუღოს ჭაღად გამოვიყენე. ღამით ჭეხზე იეხოგღიფებივით უღამაზესი ანახეკეი ჩნდება".

— **საოჯახო საქმეებს თავად აკეთებთ?**

— ვცდილობ, რაღაცეები ვისწავლო. მთელი ცხოვრება დედა ზრუნავდა ჩემზე და დღესაც ასე გრძელდება. ტანსაცმლის გარეცხვა თუ მჭირდება, ამაშიც დედა მეხმარება. სახლში ჭამა არ მიყვარს. რამდენიმე კარგი ადგილი ვიცი და მეგობრებთან ერთად იქ მივდივარ ხოლმე. გურმანი ვარ, სადმე თუ კარგი მზარეულია, იმ ოჯახის მტერი ვარ! ყოველ კვირა მივდივარ და ვეხვეწები, რამე გემრიელი გამიკეთონ. მყავს ერთი მეგობარი ბიჭი, რომელსაც სასწაული ხელი აქვს. ყოველი კვირის დასაწყისში ვეხვეწები, ჩემთან ამოდი-მეთქი და ორ ქვაბ საჭმელს მაინც ვაკეთებინებ. მეც მეხერხება კერძების კეთება, მაგრამ ხახვის ჭრა ძალიან მეზარება, პლუს ამას სასწაულად ფეთხუმი ვარ. მე თუ რაღაცას ვამზადებ, სამზარეულოში საშინელებები ხდება. ერთადერთი, რაც მიყვარს, ეს სამზარეულოს წმენდა-გასუფთავებაა, ყოველ შემთხვევაში,

→42

ჯერჯერობით მომწონს და მერე როგორ იქნება, არ ვიცი.

ოჯახში ქალის ხელი მაინც სხვაა, მე რაც უნდა ვალაგო და ვასუფთაო, ისე მაინც არ გამომივა, როგორც ქალს გამოსდის.

— კედლების ფერები რის მიხედვით შეარჩიეთ?

— მთელი სახლი ყავისფერ-შოკოლადისფერშია. მუქი ფერები ძალიან მიყვარს. სამზარეულოს ცოტა წითელი ურევია და მაღიზიანებს. მეგობრები, ვინც მოსკოვში არიან და ჩემი სახლი ვერ ნახეს, ფოტოებს რომ ვუგზავნი, აღნიშნავენ, რომ კაცური სახლია. მიხარია, რომ სახლი სწორედ კაცური გამოვიდა. თქვენ კი მოგეწონათ, მაგრამ თავად ალბათ ამ ფერებში არ გააკეთებდით. ყველაფერს გათვლა სჭირდება. თუ სახლში შუშაბანდია, ამ შემთხვევაში უფრო ამართლებს მუქი ფერები. ჰოლში მუდმივად ბნელა და შუქი მინთია, იქ რომ თეთრი კედლები იყოს, უკვე ნათელი იქნებოდა.

„ფახდებ�s ვეh გავთვალე ჯahგად. მუქია და სახლს აბნელებს, მინდა, შევცვალო, მაგhამ ეhთი თეთhიc ჯი აღah დამhჩა".

— ინტერვიუს დასაწყისში მითხარით, რომ სამზარეულოს და მისაღების ჭაღები თქვენი ხელით არის გაკეთებული. უფრო დაწვრილებით გვითხარით, როგორ გააკეთეთ.

— არამარტო — ჭაღები. მაკა ზამბახიძე (რატის პარტნიორი დუეტში „ჯორჯია". ავტ.) ისტერიკულად არის შეყვარებული ჭილოფებზე. შეუძლია მთელი სახლი ჭილოფში ჩასვას. დასავლეთ საქართველოში ერთი ადგილია, სადაც ასეთი რაღაცეები იყიდება, არ არსებობს, მაკა იქ არ გაჩერდეს და უამრავი რამ არ იყიდოს. ეს ჭაღები ყურძნის გიდელისგანაა გაკეთებული. ძალიან მინდოდა, სახლს ქართული დეტალები ჰქონოდა. ამიტომ ერთხელაც მაკას შევუერთდი და გიდელები ვიყიდე, მერე გადავჭერი, ნათურები ცოტა ქვემოთ დავამაგრე, რომ არ დაეწვა და სამზარეულოს ჭაღად გამოვიყენე. ღამით ჭერზე იეროგლიფებივით ულამაზესი ანარეკლი ჩნდება.

ერთ-ერთ ამერიკულ მაღაზიაში სასანთლე ვიყიდე, რომელსაც ფეხი ჰქონდა, ელიავას ბაზრობაზე გადავაჭრევინე, მერე ჯაჭვები ვიყიდე, ზედ ჩამოვკიდე და ასე ძალიან იაფად მივიღე მშვენიერი ჭაღი.

საერთოდ, ნივთები ძალიან მალე მბეზრდება, შეიძლება ხვალ გავიღვიძო და მივხვდე, რომ ეს ჭაღი აღარ მინდა და შევცვალო.

ახლა ვატყობ, რომ შპალერი მბეზრდება. დილას საძინებლიდან რომ გამოვედი, ქოთნის ყვავილი სხვაგან მედგა და ადგილი შევუცვალე, ერთი კვირა აქ იდგება და მერე კიდევ გადავდგამ სადმე.

სახლის დედაბოძზე რომ ხის ჩუქურთმაა, სხვანაირად უნდა ყოფილიყო. გათვლა მქონდა, რომ შიგნიდან განათება დამეყენებინა, კედელი არის კიდეც გამოთხრილი, მაგრამ სიგანე ვერ გავთვალეთ, ამიტომ ვერანაირი ნათურა ვერ ჩავსვით. ბოლოს პირდაპირ მივაჭედე კედელზე. მერე როგორღაც დავასრულეს. ხომ გეუბნებით, ყველა დეტალზე სიღრმისეულად მაქვს ნაფიქრი.

— ერთჯერადი ჭიქებით გაკეთებული სანათიც თქვენი მოფიქრებულია?

— კი, ეს ბაბუაწვერაა, რომელიც ყვითლად ანათებს. ამისი ტორშერები მინდოდა გამეკეთებინა, მაგრამ ჯერ არ გამოვიდა. შუშის აკვარიუმზე დევს. მინდოდა, ჭერზე დამეკიდა, მაგრამ ინტერიერში არ ჩაჯდა, არადა საინტერესო იქნებოდა.

— ჭურჭელიც თქვენ შეიძინეთ?

— მეგობრებმა მაჩუქეს. მე, პირველ რიგში, ვისკის, კონიაკის და არყის ჭიქები ვიყიდე, ასევე შევიძინე საშაქრე, საათი, რომელიც კედელზეა გაკეთებული, მაგრამ ისეთი უცნაურია, დროს ვერავინ არჩევს.

— საკმაოდ დიდი აიკანი გაქვთ. რას უპირებთ?

— მინდა, იქ პატარა ბაღი გავაკეთო. ახლახან რაღაც კომბოსტო ვნახე, რომელსაც ექვსი ფერი აქვს, გავგიჟდი, ისე მომეწონა. მინდა, კუთხეში პატარა ჩანჩქერივით გავაკეთო, მიწაც დავყარო, ბალახი დავთესო, მაგრამ ჯერ უნდა ვიკითხო, წვიმა რომ მოვა, ქვედა სართულებზე ხომ არ ჩაიტანს მიწას.

— როცა მეგობრები სტუმრად მოდიან, რას აკეთებთ, რითი ერთობით?

— ხელოვნებაზე ვსაუბრობთ, ვუკრავთ და ერთად სასიამოვნოდ ვატარებთ დროს. უფალს მადლობა, რომ ჩემი სამეგობროც ზუსტად ისევე აზროვნებს, როგორც მე, ამიტომ მათთან ურთიერთობა ყოველთვის საინტერესოა. ყველა ხელოვან ადამიანს ერთი ენა აქვს, მუსიკა ცალკე ენაა, არ აქვს მნიშვნელობა, ქართულად მღერი თუ ფრანგულად.

✓ ქეთი დინოშვილი

კაროლინა ერერას ველური ვარდი თბილისშია

თბილისში კაროლინა ერერას 2013 წლის მთავარი მოვლენა — „კაროლინა ერერა ოდეპარფიუმ სუბლაიმი" შემოვიდა. ტრადიციისამებრ, ეს სიახლე „ისი პარის" მაღაზიათა ქსელის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა, ხატია შამუგიამ ჟურნალისტთა წრეში წარადგინა. ცივი ზამთრისთვის ერერას ახალი არომატი, რომელიც ველური ვარდების ძირითად ნოტებს წარმოადგენს, განსაკუთრებულად სასიამოვნო აღმოჩნდა სტუმრებისთვის. სუნამოს თბილისური პრეზენტაცია კოქტეილითა და ვარდისფორმებიანი ტკბილეულის თანხლებით ჩატარდა.

— ამ სუნამოზე მუშაობისას დიზაინერისა და პარფიუმერის შთაგონების წყარო 21-ე საუკუნის თანამედროვეობასთან შერწყმული გასული საუკუნის 20-იანი წლების ვინტაჟი გახდა. სუნამოს მთავარი ინგრედიენტი ველური ვარდებია, ამიტომაც სურნელი მრავალფეროვანი და განსაკუთრებულია. გარდა ამისა, სუნამოში არის ფაჩული, ბერგამოტი და ტყავის ინგრედიენტები. კაროლინა ერერას დომინანტი ფერი პოდიუმზეც და პარფიუმერიაშიც ყოველთვის იყო წითელი და თეთრი, მაგრამ ამჯერად ტრადიციას უღალატა და იისფერ ტონალობებში წარმოგვიდგინა ეს სუნამო. ის განკუთვნილია ძალიან მიმზიდველი და თანამედროვე ქალისათვის, რომელიც მუდამ ეპრანჭება მამაკაცებს და კეკლუცობს, — ასე გაგვაცნო ახალი სუნამო ხატია შამუგიამ.

შვეიცარული გლუკომეტრი 29ლარი!
ქოლესტერინის აპარატი 40 ლარი!
ვცვლით ძველ აპარატებს ახალზე 15 ლარის დამატებით!!!
აკონტროლეთ თქვენი ჯამრთელობა!
ეახი ეთხახით მიოკახდიუმის ინფაქტს და ათეროსკლეროზს!
გაიზომეთ დამოუკიდებლად ქოლესტერინი და გლუკოზა!
მის: ბორჯომის ქ. №4 (გერმანიის საელჩოს პირდაპირ)
ტელ: 235 44 05; 599 19 60 55. www.glucometer.ge

როგორ გადაურჩა დათო იმედაშვილი ლოს ანჯელესის პოლიციას

„თუ სადმე ცუდად ვხდები, ეს საყიდლებზე ხდება, მით უმეტეს, თუ ცოლთან ერთად დავდივარ"

ფელეპროდიუსერი დათო იმედაშვილი ყოველი მოგზაურობის დროს ძალიან მოწესრიგებული და მობილიზებულია. რომელ აეროპორტში ჩადის, რა მარკის ავტომობილს იქირავებს და სად დაბინავდება — ეს ყველაფერი წინასწარ აქვს გათვლილი. უცხო ქალაქში მისთვის ყველაზე სანუკვარი ადგილები, სადაც სიარული არასოდეს ბეზრდება, ცნობილი ბრენდების ავტოსალონებია. საზღვარგარეთ ყველაზე ხშირად ამერიკას სტუმრობს. გარკვეული პერიოდი ცოლთან ერთად ლოს ანჯელესშიც ცხოვრობდა და იქაურობას კარგად შეეთვისა. ზოგადად ამერიკული ცხოვრების წესი მისთვის უფრო ახლო და მისაღებია, ვიდრე ევროპული. საოცნებო ქვეყანა კი ავსტრალიაა, რომელიც ისევ და ისევ ამერიკას აგონებს.

— დათო, წელიწადში რამდენჯერ ვაწყობთ საქართველოს საზღვრებიდან გასვლა?

— არის წელი, როცა ხშირად ვმოგზაურობ და არის პერიოდები, როცა არსად მიწევს წასვლა. ჩემი მოგზაურობა ძირითადად საქმიანია. ბოლო წლებში უმეტესად შეერთებულ შტატებში დავდივარ.

— ამ ქვეყანას უკვე კარგად იცნობთ?

— ვერ გეტყვით, რომ ამერიკას კარგად ვიცნობ, რადგან ძირითადად ორ ქალაქში, ლოს ანჯელესსა და ნიუ იორკში მიწევს ჩასვლა. პირველად იქ 2008 წელს მოვხვდი. საქართველოდან იუსაიდ-ის პროგრამით ათი კინომწარმოებელი წაგვიყვანეს. ეს პროექტი ჰოლივუდის გაცნობას ითვალისწინებდა. სულაც არაა მითი, რომ ამერიკა ოცნებების ასრულების ქვეყანაა. ეს ყველაფერში იგრძნობა. ადამიანი შესრულებული საქმის, ტალანტის მიხედვით ფასდება, ყველას აქვს შანსი, რაღაც შექმნას.

ლოს ანჯელესში სად რა ხდება, უკვე ყველაფერი ვიცი. კინოთეატრებს, კინოსაწარმოებს და სტუდიებს კარგად ვიცნობ. ეს ქალაქი არქიტექტურით დიდად არ გამოირჩევა, თუმცა იქ არაჩვეულებრივი მუზეუმებია, სადაც ხელოვნების ნიმუშებია გამოფენილი. ლოს ანჯელესში ფანტასტიკური ბუნება და ამინდია. წელიწადში 12 თვე მზეა და ძალიან მაგარი ხალხი ცხოვრობს. მე და ანნას (დათოს ცოლი, ტელეწამყვანი ანნა იმედაშვილი. ავტ.) სახლი გვქონდა ნაქირავები და იქ ვცხოვრობდით.

— ეტყობა, იქაური ცხოვრების რიტმს კარგად აყოლილხართ.

— სიმართლე გითხრათ, იქ ჩასვლას ჩემი ცხოვრების რიტმი არ შეუცვლია, აქაც იგივენაირად ვცხოვრობდი, ამიტომ გაუცხოვება არ მჭირდა. ჩემთვის უცხო ალბათ საქმისადმი მათი მიდგომა იყო. მათთვის მთავარია, შენი გაკეთებული საქმე რამდენად სასარგებლოა. თუ ამერიკელი ამას დაინახავს, არ აინტერესებს, ვინ ხარ და საიდან მოხვედი. ეგრეევ მოგყვება და შენი პარტნიორი ხდება.

— ნიუ იორკს რა თავისებურება აქვს?

— ნიუ იორკი ნამდვილად ღამის ცხოვრებით ცხოვრობს, თუმცა ეს საკითხიც მოწესრიგებული აქვთ. გართობა და დროსტარება პარასკევს საღამოს იწყება და ორშაბათს ყველა ისევ თავის საქმეს უბრუნდება. ნიუ იორკში რომ ჩადიხარ, მით უმეტეს, ცოტა ხნით, სულ გინდა, მანჰეტენზე იყო. თუ ნიუ იორკში დიდი ხნით გაჩერდები, გამუდმებით მანჰეტენზე ყოფნა შეუძლებელია, რადგან სულ გუგუნი და აუტანელი ხმაურია. ამ ქალაქში ელიტური გარეუბნებიც არის, სადაც მდიდარი და წარმატებული ნიუიორკელები ამ გუგუნს თავს არიდებენ.

— თქვენც ოგემეთ იქაური ღამის ცხოვრება და გართობის წესი?

— ნიუ იორკში საკმაოდ საინტერესოა კლუბური ცხოვრება. იქაური კლუბები მასიური და გრანდიოზულია. ყველანაირი მუსიკა ისმის და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ბევრი ლამაზი ქალი ტრიალებს.

ნიუ იორკში სხვა უამრავი გასართობი საშუალებაცაა, მათ შორის — თეატრი და კინო. სხვათა შორის, მე და ანნა კინოთეატრის ხშირი სტუმრები ვიყავით, კვირაში სამჯერ მაინც დავდიოდით. იქ კინოში წასვლა დიდი ზეიმია. კინოდარბაზი ისეა მოწყობილი, რომ ფილმი შენს შეგრძნებებში სხვა ხარისხით მოდის. ამერიკაში სიამოვნებით ვიცხოვრებდი ისევ, თუმცა იმასაც ვხედავ, რომ ჩვენს ქვეყანასაც აქვს შანსი და შესაძლებლობა, რომ ასეთი ცხოვრების წესი დადგეს. ეს აუცილებლად უნდა მოხდეს და უნდა ჩამოვშორდეთ ჩრდილოელი მეზობლის წესებს. ჩვენი ნათელი მომავალი დასავლურ ღირებულებებშია და არავითარ შემთხვევაში საბჭოთა, იმპერიულ ან კიდევ ფუნდამენტალისტურ რელიგიურ სიბნელეში, რასაც ჩვენი მეზობელი საქართველოს დამორჩილების, განადგურების მიზნით თავს გვახვევს.

— კიდევ როშელ ქვეყნებში ხართ ნამყოფი და რა შთაბეჭდილებები დაგვიროვდათ იქიდან?

— ევროპის ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი. მხვდა წილად პატივი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გადმოსვენების ცერემონიალის ფრანგული ნაწილი მე გადამეღო. საფრანგეთშიც საქმიანი ვიზიტით მომიწია ყოფნა. ძალიან ლამაზი ქვეყანაა თავისი არაჩვეულებრივი არქიტექტურით, მაგრამ ჩემთვის მოსაწყენია იქაურობა. მგონია, რომ ევროპული ქვეყნები უფრო კარჩაკეტილია, ჩვენ გვგავს, რის გამოც ჩემთვის ნაკლებად მიმზიდველია, თუმცა საფრანგეთი დიდი ისტორიის მატარებელია და იქ მოგზაურობაც ძალიან საინტერესოა. პარიზთან მიმართებაში რომანტიკული ემოციები რატომღაც არ მაქვს. ეს შეიძლება იმის ბრალიცაა, რომ იქ მხოლოდ საქმიანი ვიზიტებით შემოვიფარგლები.

აღმოსავლეთ ევროპიდან პრაღაში ვარ ნამყოფი.

— პრაღამ როგორი ემოციები აღგიძრათ? ამბობენ, პარიზიყოთ პრაღაც სიყვარულის ქალაქიაო.

— პრაღა რამდენადაა სიყვარულის ქალაქი, ნამდვილად არ ვიცი, რადგან იქაც საქმიანი ვიზიტით გახლდით, თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ ის ჩემთვის პარიზზე გაცილებით ლამაზი ქალაქია. პარიზი უფრო მონუმენტური და მასიურია, პრაღა კი თავისი ვიწრო, ქვაფენილიანი ქუჩებით და ულამაზესი, პატარა სახლებითაა თავისებური. მიუხედავად იმისა, რომ იქ საკმაოდ ცივ ამინდში ვიყავი, მაინც დადებითად დავიმუხტე.

— უცხო ქალაქის გაცნობას საიდან იწყებთ?

— გააჩნია, სად ჩავდივარ. მაგალითად, რუსეთში რომ ჩავდივარ და თვითმფრინავიდან ფეხს გადავდგამ, ცუდი განწყობა მეუფლება. იდიოტი მესაზღვრე რომ დაგხვდება, შემოგხედავს, დაგიბღვერს და პასპორტს მოგთხოვს, არა მგონია, ამან კარგი ემოცია გამოიწვიოს ვინმეში. მოსკოვი ძალიან ლამაზი ქალაქია, თუმცა ჩემთვის იქაური არქიტექტურა დამთრგუნველია. ეს უბრალოდ ჩემი ემოციაა. დიდ შენობებთან ადამიანი თითქოს არაფერია.



■ ანნა და დათო ამერიკაში

„ქალების უმეტესობა სამოგზაუროდ ბევრი ტანსაცმლით მიდის, ჩემი ცოლი პიჩიქით იქცევა, უჩვევნია, იქიდან ნამოიღოს ბევრი ბაჩგი".

უკრაინა ძალიან მიყვარს, ოღონდ დასავლური და არა აღმოსავლურ-რუსული მიდგომების უკრაინა. საკმაოდ კარგი ხალხი ცხოვრობს. ორივე ქვეყანას ერთი და იგივე პრობლემა და სათქმელი გვაქვს, რაშიც ერთმანეთს ვუგებთ.

— ანნასთან ერთად, ამერიკის გარდა, სად ყოფილხართ?

— ანნასთან ერთად ამერიკის ორი ქალაქი — ლოს ანჯელესი და ნიუ იორკი მაქვს „დალაშქრული". თურქეთშიც არაერთხელ ვყოფილვართ. მოგზაურობაში ჩვენი გემოვნება არ იყოფა, ანნა ამ მხრივაც მომყვება. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში დავიბადე და სტერეოტიპი არსებობდა, →44

„მათთვის მთავარია, შენი გაკეთებული საქმე რამდენად სასარგებლოა. თუ ამერიკელი ამას დაინახავს, არ აინტერესებს, ვინ ხარ და საიდან მოხვედი. ეგრეევ მოგყვება და შენი პარტნიორი ხდება".

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

თითქოს თურქეთი „ბანძი“ იყო, თურმე ეს ქვეყანა ძალიან მაგარი და განვითარებული ყოფილა. ოღონდ, იცით, როგორ ვითარდება? ყოველ წელს უფრო და უფრო მაგარი ხდება იქაურობა. ძალიან მშრომელი ხალხი ცხოვრობს, აღფრთოვანებული ვარ. იქ დასასვენებლადაც ვყოფილვარ და საქმიანი ვიზიტითაც. თურქეთი უფრო იმიტომ მომწონს, რომ ამერიკას მაგონებს.

— ცოლი თქვენთვის კომფორტული თანამგზავრია?

— ჩვენ პრობლემები არც მოგზაურობის დროს გვაქვს. პირიქით, მოგზაურობაშიც ძალიან კარგად ვგრძნობთ თავს. სულ ერთად ვემზადებით, ვგეგმავთ, რა ჩავალაგოთ, გადასაჯდომად რა დრო გვექნება და იმ დროს სად გავატარებთ... ბარგი ბევრი არ მიგვაქვს. ქალების უმრავლესობა სამოგზაუროდ ბევრი ტანსაცმლით მიდის, ჩემი ცოლი პირიქით იქცევა, ურჩევნია, იქიდან წამოიღოს ბევრი ბარგი.

— ანუ საზღვარგარეთ შოპინგიც უდის თქვენს მარშრუტებში.

— ჩემი და ანნას ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ შოპინგი გახლავთ. თუ სადმე ცუდად ვხდები, ეს საყიდლებზე ხდება, მით უმეტეს, თუ ანნასთან ერთად დავდივარ. ჩემთვის შოპინგი ყველაზე დიდი ტანჯვაა, რაც კი შეიძლება ვინმემ მომისაჯოს. ანნას საყიდლებზე გავყოლივარ, მაგრამ ორივეს ძალიან გვიწვალია. მე სულ ვაჩქარებ, ანნა კი ამ საკითხს მალე ვერ აგვარებს. ამის გამო ბევრს ვებუზღუნები ხოლმე. თბილისში უფრო მიყვარს შოპინგი, რადგან აქ არჩევანი ნაკლებია და დროც ცოტა მიდის. დიდ ქალაქში კი მაღაზიაში რომ შეხვალ, თვალები ისე გიჭრელდება, ვერ ხვდები, რა რა არის.

ერთადერთი, სადაც არ ვიღლები, ავტოსალონებია. სადაც ჩავდივარ, ავტოსალონებს აუცილებლად ვათვალიერებ, ოღონდ ჩვეულებრივ ბრენდებს არ ვსტუმრობ.

**— შოპინგზე ს

აგვისტოს ბოლომდე გრძელდება. ამ დროს ჰაერის ტემპერატურა 8-18 გრადუსამდე მერყეობს. ზამთარში თოვლი იშვიათობაა — ბოლოს 2006 წელს მოთოვა. წლიური ტემპერატურა საშუალოდ 16-20 გრადუსამდე მერყეობს.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარეობს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იქ სეზონები ევროპის საპირისპიროდაა, ანუ ჩვენი ზამთარი იქაურ ზაფხულს ემთხვევა, ხოლო ჩვენი ზაფხული — იქაურ ზამთარს.

კეიპტაუნში ზაფხული (დეკემბერი-მარტი) საკმაოდ ცხელია. ქალაქის მოსანახულებლად საუკეთესო დრო ოქტომბრის და ნოემბრის თვეებია.

■ კეიპტაუნი

ფული

სამხრეთ აფრიკის ეროვნული ვალუტა რანდია, რომელიც მიმოქცევაში 1961 წელს შევიდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჩამოყალიბებასთან ერთად და მან სამხრეთაფრიკული ფუნტი შეცვალა. დღეს რანდი არა მარტო ამ ქვეყანაში გამოიყენება, არამედ ნამიბიასა და სვაზილენდში ადგილობრივ ვალუტებთან ერთად არის მიმოიქცევაში. არაოფიციალურად რანდს ზიმბაბვეშიც მოიხმარენ.

თავიდან რანდი ამერიკულ დოლარზე ძვირი ვალუტა იყო და ასე გრძელდებოდა 20 წლის განმავლობაში, სანამ გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა მისი ღირებულების კლება არ გამოიწვია. პირველად დოლარის ღირებულებამ რანდისას 1982 წელს გადააჭარბა და მას შემდეგ რანდის კურსი თანდათან ეცემოდა. დღეს 1 ამერიკული დოლარი 7,8 რანდის ტოლფასია.

ეროვნული ვალუტის გარდა თანამედროვე კეიპტაუნში ამერიკული დოლარით სარგებლობასაც თავისუფლად შეძლებთ.

ენა

სამხრეთ აფრიკაში 11 ოფიციალური ენაა გამოცხადებული — ინგლისური, აფრიკაანსი, ნდებელი, ქოსა, ზულუ, ჰედი, სესუთო, სვატი, სეტსვანა, ჩივენდა და ცონგა. კეიპტაუნში ყველა მათგანზე საუბრობენ, საგანმანათლებლო სისტემა და მედია კი მხოლოდ ინგლისურზეა დაფუძნებული.

ადგილობრივები ბრიტანულ ინგლისურზე საუბრობენ. ქალაქში პორტუგალიურ, ჩინურ და ინდურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანებსაც შეხვდებით.

ჰელიგია

სამხრეთ აფრიკაში სახელმწიფო რელიგია გამოცხადებული არ არის, ანუ რელიგიის თავისუფლებაა. აღმსარებლობის მიხედვით ადგილობრივების 40% ქრისტიანია, 40% მუსლიმანი, ხოლო დანარჩენი 20% აფრიკული კონფესიების მიმდევარია.

გადაადგილება

კეიპტაუნის საერთაშორისო აეროპორტი (იოჰანესბურგის აეროპორტის შემდეგ) სამხრეთ აფრიკაში ყველაზე გადატვირთულია. აეროპორტიდან ქალაქის ცენტრამდე მინი ავტობუსი დადის, მგზავრობის ხანგრძლივობა 20 წუთია, ღირებულება — 57 რანდი. თვითმფრინავით ძირითადად სხვა კონტინენტიდან მიმავალი ტურისტები სარგებლობენ.

სამხრეთ აფრიკის სხვა ქალაქებიდან კეიპტაუნის მიმართულებით მატარებლისა და ავტობუსის რეისები ყოველდღიურად, შეიძლება დღეში რამდენჯერმეც კი შესრულდეს. სეზონზე ტურისტების უმეტესობა კეიპტაუნში ჩასვლას გემით ამჯობინებს, მსოფლიოში ცნობილი პორტი ამ დროს საოცრად გადატვირთულია.

რაც შეეხება ქალაქის ტერიტორიაზე გადაადგილებას, ამისათვის საუკეთესო და ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალება ავტობუსია, რომელიც განრიგით დადის. ხელმისაწვდომთან ერთად ავტობუსი კომფორტულიცაა. კეიპტაუნში გზები საოცრად კარგ მდგომარეობაშია, ამიტომ მანქანის ან ტაქსის დაქირავება ქალაქის დასათვალიერებლად ყველაზე სწრაფ საშუალებას წარმოადგენს, მაგრამ გაცილებით ძვირი სიამოვნებაა.

ტაქსით მგზავრობის ფასი მძღოლზეა დამოკიდებული. ასე რომ, მოლაპარაკებაც შესაძლებელია. მანქანის დაქირავება, სულ მცირე, 3 საათით შეგიძლიათ. ამ დროის განმავლობაში კი 100 რანდის გადახდა მაინც მოგიწევთ. ისიც გაითვალისწინეთ, რომ კეიპტაუნის ქუჩებში, განსაკუთრებით კი ფეხბურთის მატჩების დროს, საცობების პრობლემა ყოველდღიურადაა.

სამზარეული

სამხრეთ აფრიკის სამზარეულოს, ბევრი ქვეყნის ზეგავლენიდან გამომდინარე, ხშირად ცისარტყელა სამზარეულოსაც კი უწოდებენ. ადგილობრივი კერძები ნებისმიერ გურმანს მოხიბლავს. კეიპტაუნში თითქმის ყველანაირ საკვებს შემოგთავაზებენ, დაწყებული ნიანგის ფილედან შემწვარი ჭიაყელებით დამთავრებული. როგორც ადგილობრივები ირწმუნებიან, ორივე მათგანი ძალიან გემრიელი და სასარგებლოა.

მათ, ვისაც ეგზოტიკური საკვები არ ხიბლავს, შეუძლია ნაცნობი კერძები მოითხოვოს, მაგალითად, ჰამბურგერი, სუში, სპაგეტი და ა.შ. ქალაქის გარეუბნებში განთავსებულია იტალიური, ინდური, ჩინური, იაპონური და ფრანგული რესტორნები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ რესტორნების ყველაზე ხშირი მომხმარებლები ადგილობრივები არიან.

თითქმის ყველა რესტორანში შეგიძლიათ მიირთვათ ბრინჯის ან ჩინური კარტოფილისგან დამზადებული ფაფა. აგრეთვე შეიძლება შემოგთავაზონ შემწვარი თევზი, საქონლის ან ქათმის ხორცი საწებელთან ერთად, რომელიც პომიდვრისა და არაქისის კარაქისგან მზადდება.

ადგილობრივები ბანანისაგან მრავალფეროვან კერძებს ამზადებენ, მაგალითად, ფაფას, ომლეტს და ტომატიან წვნიანსაც კი. პოპულარობით სარგებლობს შემწვარი ბანანიც.

სასმელებიდან ეგზოტიკური ხილის წვენი უპირველესია. რაც შეეხება ალკოჰოლს, ღვინის ქვეყანაში, რა თქმა უნდა, უპირატესობა ღვინოს ენიჭება. სამხრეთ აფრიკა ბოლო წლებში ღვინის სერიოზულ მწარმოებელთა რიგებში ჩადგა. ამ თვალსაზრისით იგი მსოფლიოში მერვე ადგილზეა.

ღირსშესანიშნაობები

კეიპტაუნი საოცრად კოლორიტული ქალაქია. აქ ბევრი საინტერესო რამ ელით ტურისტებს. სამი მხრიდან ოკეანით გარშემორტყმული ქალაქი საოცრად მიმზიდველია თავისი ქვიშიანი პლაჟებითა და ველური ბუნებით.

კეიპტაუნის ერთ მხარეს აღმართულია მაღალი მთები, სახელად მაგიდი, ხოლო მეორე მხარეს უკიდეგანო ატლანტის ოკეანეა გადაჭიმული. მაგიდის მთის კალთებს ღამის განათება ამშვენებს. ყოველ 10-20 წუთში იქ საბაგირო გზა ადის. ადგილობრივები კი ხშირად ფეხით მიაშურებენ ხოლმე. მაგიდის მთაზე არსებული პარკი, ველური ბუნების მრავალფეროვნების წყალობით, ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებს. აქ ტურისტებს საშუალება ეძლევათ, ცხოველთა სამყაროს დააკვირდნენ.

სწორედ კეიპტაუნში მდებარეობს მსოფლიოში ცნობილი კეთილი იმედის კონცხი, სადაც პირველმა ევროპელმა მე-16 საუკუნეში მიაღწია. ეს ევროპელი პორტუგალიელი მოგზაური ვასკო და გამა გახლდათ. კეთილი იმედის კონცხი აფრიკის კონტინენტის უკიდურესი სამხრეთი წერტილია.

ბუნებრივი ღირსშესანიშნაობის რიცხვს განეკუთვნება მთა „ლომის თავი“, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 669 მეტრია.

კეიპტაუნის სტადიონი თანამედროვე ხელოვნების ნიმუშია, რომელიც, ფეხბურთის გარდა, სხვა სპორტული ღონისძიებებისა და კონცერტებისთვისაც გამოიყენება. თავდაპირველად სტადიონის ტევადობა 18 000-მდე აღწევდა, დღეს კი იქ 70 000 ადგილია.

კეიპტაუნი ძალიან მოწესრიგებული ქალაქია. აქ ტურისტებს ემსახურება სასტუმროები, რესტორნები და კაფეები, აგრეთვე გასართობი ცენტრები. ულამაზესი პლაჟების მქონე ქალაქების სიაში კეიპტაუნი მეორე ადგილზეა. პლაჟი მიუზენბერგი ნომერი პირველია სერფინგისა და ყვინთვის მოყვარულთათვის მთელ სამხრეთ აფრიკაში.

კულტურული ღირსშესანიშნაობებიდან არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ვიქტორიას და ალფრედის სახელობის ნავსადგური. ეს გახლავთ ქალაქის ისტორიული გული და ყველაზე გადატვირთული ნავსადგური მთელ სამხრეთ აფრიკაში. აქ არის განთავსებული ქალაქის ყველაზე პოპულარული ბაზარი, მაღაზიები და ოკეანის აკვარიუმი.

ქალაქი მთვარდება 36 ჰექტარზე გაშენებული ეროვნული ბოტანიკური ბაღით, რომელშიც დაცულია ბუნებრივი ტყე. ეს ბაღი 2004 წელს იუნესკო-ს მემკვიდრეობის სიაში შევიდა.

არ უნდა გამოგვრჩეს ნადირობა, რომელიც კეიპტაუნში მთელი წლის განმავლობაშია დასაშვები გარკვეულ ცხოველებზე. ნადირობის პროცესს პროფესიონალები უძღვებიან.

უსაფრთხოების წესები

კეიპტაუნში თავს დაცულად იმ შემთხვევაში იგრძნობთ, თუ ადგილობრივ ნაცნობთან ან დაქირავებულ გიდთან ერთად გახვალთ გარეთ. ისინი კარგად ფლობენ აფრიკულ ენებს და უსაფრთხო ადგილებიც იციან. როცა ისინი თან გახლავთ, თქვენს მოტყუებასაც არავინ შეეცდება.

მრავალი წელია, კრიმინალი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ძირითადი პრობლემაა. რაც შეეხება კეიპტაუნს, რომელიც საკმაოდ ლამაზად და მიმზიდველად გამოიყურება, აღმოჩნდა, რომ მკვლელობების, გატაცებებისა და ძარცვის დონე აქ ყველაზე მაღალია. პოლიციელების განცხადებით, მკვლელობები უპირატესად ღარიბ უბნებსა და გარეუბნებში ხდება. ტურისტებს კი ურჩევენ, დაბინდების შემდეგ სახლიდან გასვლისა და ბანკომატების გამოყენებისგან თავი შეიკავონ.

უბის ნიგნაჯი

ქვეყანა — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა;
ქალაქი — კეიპტაუნი;
მოსახლეობა — 2 893 251;
ფართობი — 2499 კვ.კმ;
ოფიციალური ვალუტა — რანდი.

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ

Cyan Magenta Yellow Black

სად მთავრდება ქალური სიბრძნე და იწყება ქალური შეცდომა?

ცხოვრება განსაცდელების გარეშე არ არსებობს, მათ შორის, არც ოჯახური ცხოვრება. რაც მეტ მოთმინებას და სიყვარულს ვიჩენთ, მეტი შანსი გვაქვს, ამ განსაცდელებს და ხაფანგებს მშვიდობით გავაღწიოთ თავი, ოღონდ ამას ორივე მხარე უნდა ცდილობდეს, ამ უღელს ერთად უნდა ეწეოდნენ. არადა ამ დროს გადამწყვეტ როლს ანიჭებენ ყბადაღებულ ქალურ სიბრძნეს, რომელიც იმით გამოიხატება, რომ ქალმა უნდა მოითმინოს, წყენა და ტკივილი არ შეიმჩნიოს, წლები გაატაროს სიმწარეში, ქმარს შეცდომები, ტყუილი, ღალატი აპატიოს, თითები ჩუმად დაიჭამოს, და ა.შ. სამაგიეროდ ბოლოს „მოიგებს“, ანუ მოღალატე ქმარი ყველა რომანის მოლევის შემდეგ ყოველთვის მას დაუბრუნდება. საბოლოოდ კი, სიბერეში, აქვს შანსი ქალებმოყირჭებული და მოტეხილი ქმარი „მხოლოდ მისი“ გახდეს.

სხვაგვარად, ასე თუ არ მოიქცევა, საზოგადოებაც და თავად ქალიც ყოველთვის ჩათვლის, რომ მან დიდი შეცდომა დაუშვა და ქმარი დაკარგა. ასე ფიქრობს ჩვენი რესპონდენტიც, საშუალო ასაკის ქალი ანა, რომელმაც ქმარს ბევრჯერ აპატია, არაერთხელ დანგრევის პირას მყოფი ოჯახი შეინარჩუნა, მაგრამ ერთხელაც... მორიგი შემთხვევის დროს ქალს ქმრისგან მრავალგზის მიყენებული სულიერი ჭრილობები გაეხსნა, ნერვებმა უმტყუნა და, როგორც თავად ამბობს, შუახნის ასაკში საბედისწერო შეცდომა დაუშვა. მაგრამ არის კი ეს მისი შეცდომა? მკითხველმა განსაჯოს.

ანა:

— 16 წლის ვიყავი, ვასო რომ გავიცანი. დამამთავრებელ კლასში ვსწავლობდი. კლასელმა გოგონებმა გადავწყვიტეთ, ქართული ცეკვის წრეზე მივსულიყავით და სამოყვარულო დონეზე შეგვესწავლა. გაგანია აბიტურიენტობისას რა დროს გვეცეკვებოდა, მაგრამ ეს დაუინებული სურვილი ერთმა სამწუხარო ფაქტმა განაპირობა, რომელიც მანამდე ერთი წლით ადრე მოხდა: ჩემს კლასელს, ნატას, უფროსი და, სოფო, გაუთხოვდა. დიდი ქორწილი გადაუხადეს და ნატას მეგობრებიც დაგვპატიჟეს. ლამაზი პატარძალი იყო, მაგრამ ერთმა მომენტმა შარმი საერთოდ დაუკარგა. როცა ნეფემ საცეკვაოდ გაიწვია, გოგომ ხელფეხი ვერ გაანძრია. ხან კაბას წამოსდო ფეხი და ლამის კისერი წაიმტვრია, ხანაც მაღალ ქუსლებზე კვატივით დააბიჯებდა. არადა ნეფე პროფესიულ დონეზე ცეკვავდა. პატარძალი საშინელ დღეში ჩავარდა, გაწითლდა, ხასიათი წაუხდა. უხერხულობის განსამუხტავად ერთი სტუმარი გოგო გამოიჭრა და ნეფეს მეწყვილეობა გაუწია. ისე ნარნარად ცეკვავდა და ისე შეეწყო სასიძოს, რომ თვალს ვერ მოსწყვეტდი. ცეკვის დასრულების შემდეგ ტაშმაც იგრიალა...

მოხდა ის, რასაც ვერავინ იფიქრებდა: ქორწილიდან ერთი წლის შემდეგ სოფო ქმარმა მიატოვა და იმ გოგოში გაცვალა, ვინც მაშინ ეცეკვა. ეს ფაქტი გოგოებმა მძიმედ განვიცადეთ და მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტობაზე ვფიქრობდით და არა — გათხოვებაზე (მით უფრო, შეყვარებული არც ერთს გვყავდა), გადავწყვიტეთ, სასწრაფოდ ცეკვა გვესწავლა.

— ისე დაწვრილებით ყვებით ცეკვის ამბავს, როგორც ჩანს, თქვენს ქმართან რაღაც კავშირშია.

— ვასო სოლისტი იყო, არაჩვეულებრივად ცეკვავდა. სიმპათიური და კომუნიკაბელური ბიჭი გახლდათ, მაგრამ ეტყობოდა, რომ იუმორის მიღმა თავის ნამდვილ ბუნებას მალავდა. ყველასთან ახლოს იყო, მაგრამ არავისთან იხსნებოდა, შეიძლება ითქვას, მეგობარი არ ჰყავდა. მე მას უთქმელად ვუგებდი და ჩვენი მეგობრობაც აქედან დაიწყო. ერთი გოგო უყვარდა, რომელმაც უღალატა. მასზე მიყვებოდა, გულს იოხებდა და მე ვანუგეშებდი. მერე ჩვენ შორის გრძნობა ჩაისახა. შეყვარებულები ვიყავით, როცა იმ გოგომ კვლავ შეახსენა თავი. ჩვენი ამბავი გაუგია და უნდოდა, დავეშორებინეთ. ერთი პირობა, ვასო გადაიბირა კიდეც. მძიმე დღეები გადავიტანე. ორი წლის შემდეგ კვლავ უღალატა, ამჯერად უკვე გათხოვდა. ვასო ისევ დეპრესიაში ჩავარდა და, როგორც მეგობარს, მომაკითხა.

— მიიღეთ და აპატიეთ?

— თავს ვებრძოდი, მაგრამ ვაპატიე. ყველაფრის მიუხედავად, გულის სიღრმეში ძალიან მიყვარდა. მონანიებით მოვიდა ჩემთან. მითხრა, ვერც შენ დაგაფასე და ვერც შენი

„ჰა ფეხმძიმეე, ხომ ა ჰ გაგიჟდა, ახლავე გავაჩეკვეო, გაბეღისებით იყვიჩა და შინიდან თავქუდმოგლეჯილი გავაჩდა. ნავიდა და აღარც მობრუნებულა“.

სიყვარული, თუ შეგიძლია, მაპატიეო. ხელი მთხოვა და დავქორწინდით. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ვასო შეიძლება იმ გოგოს ჯიბრზე მოიქცა ასე, მაგრამ მასთან გატარებული სიყვარულით სავსე ბედნიერი დღეების მოგონება ამ ეჭვს მიქარწყლებს.

— ბედნიერი ცოლქმრობა გქონდათ?

— დიდ სიითბოს და მზრუნველობას იჩენდა, ჩემზე ბედნიერი არავინ მეგონა. ამ იდილიამ სამ წელს გასტანა. მერე პრობლემები შემექმნა დედამთილთან, რომლის სახლშიც ვცხოვრობდით.

— რა სახის პრობლემები გაჩნდა?

— საქმე ისაა, რომ ამ ხნის განმავლობაში შვილი ვერ გავაჩინე. ორსულად ვრჩებოდი, მაგრამ ნაყოფს ვერ ვინარჩუნებდი. იმედს არ ვკარგავდი, ჯერ ახალგაზრდა ვიყავი და ყველაფერი წინ მქონდა, მაგრამ დედამთილი ძალიან განიცდიდა. ორი ქალიშვილი ჰყავდა, ცალკე ცხოვრობდნენ ქმრებთან ერთად. მათგან შვილიშვილები ეყოლა, მაგრამ ვასო ყველას ერჩივნა, შვილებიდან განსაკუთრებით უყვარდა, მისით ამაყობდა, სხვები მეორეხარისხოვნად მიაჩნდა. ქმარი გარდაცვლილი ჰყავდა და მთელ იმედებს ვაჟიშვილზე ამყარებდა. მე კი უშვილობის გამო ამომიჩემა, ამითვალწუნა და დამაკომპლექსა. ფეხმძიმედ რომ ვრჩებოდი, თავს მევლებოდა, ხოლო მუცელი რომ მომეშლებოდა, ზედ არ მიყურებდა, ოჯახში ხორცმეტად მთვლიდა. ვასომ რომ ცეკვას თავი დაანება და მუშაობას შეუდგა, ამასაც მე მაბრალებდა.

ასეთი განწყობით ზედმეტად მგრძნობიარე გავხდი, ჩემს მდგომარეობას ძალიან განვიცდიდი, მეგონა, უსაშველო მჭირდა და შვილი არასოდეს შემეძინებოდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ დედამთილი ქმარს ჩემ წინააღმდეგ აქეზებდა. ერთხელ შევესწარი, ეუბნებოდა, რაღა ანაზე შეაჩერე არჩევანი, ის გოგო მოგეყვანა ცოლად (ანუ ყოფილი შეყვარებული), ქმარს ორი შვილი გაუჩინაო. გული თუ არ გამისკდებოდა, არ მეგონა! თანაც ის ქალბატონი, ორი შვილის პატრონი, მაშინ უკვე ქმარგაცილებული იყო. მერე ჩემს ქმარს აეტორღიალა და დედამთილის წაქეზებით ვასოს მისკენ გული მიუბრუნდა.

— ურთიერთობა ისევ განაახლეს?

— სხვებისგან ვიგებდი, რომ ერთად სეირნობდნენ. ხან სად ნახულობდნენ, ხან — სად. ვასო ჩემთან კატეგორიულად უარყოფდა, იფიცებოდა, მასთან არაფერი მესაქმება, რაღაც ეშლებათო. მათზე ბრაზობდა, ვინც ამბებს მაწვდიდა. მისი ფიცის დაჯერებას და გულის დამშვიდებას რომ ვცდილობდი, სწორედ მაშინ ვიგებდი ახალ გულისგამხეთქ ამბავს.

ერთხელ ქმრისგან წასვლა დავაპირე, რომ ნერვიულობისგან გული წამივიდა. სასწრაფოს გამოუძახეს და საავადმყოფოში გამაქანეს. ფეხმძიმედ აღმოვჩნდი. წოლითი რეჟიმი დამინიშნეს. ამ ორსულობამ სიტუაცია ჩემ სასარგებლოდ მოაბრუნა — ქმარი ჩემ მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას და სიყვარულს იჩენდა. ეჭვი შემეპარა ყველა იმ ინფორმაციაში, რასაც მეუბნებოდნენ. უფრო მეტიც, დავიჯერე, რომ ის მხოლოდ ჭორები და ჩვენი ოჯახის დანგრევისთვის გამიზნული მტკნარი სიცრუე იყო. მოვიძულე ყველა ის ადამიანი, ვინც მანამდე ჩემი გულშემატკივარი მეგონა.

— შვილის გაჩენამ დედამთილთანაც მოგიგვარათ პრობლემა?

— ბავშვის დაბადებამ დედამთილიც კეთილად განაწყო. ერთი სიტყვით, ჩვენს ცხოვრებაში ბევრი პოზიტიური რამ მოხდა. ჩვენი შვილის, ნანუკას გაზრდამ სულ სხვა ტალღაზე გადაგვიყვანა. ორი წლის შემდეგ კი სიტუაცია კვლავ აირია.

— ამჯერად რაღა მოხდა?

— ჩემი დედამთილი ახალმა სადარდებელმა შეიპყრო, ისე არ მოვკვდე, გვარის გამგრძელებელი შვილიშვილი არ დამრჩესო (გარდაცვლილი ქმრის პატივისცემა სურდა). სულ შეგვძახოდა, ერთი შვილი — არაშვილიო. გვეუბნებოდა, ბიჭიც გააჩინეთო. ფეხმძიმედ არ ვრჩებოდი და ვასომაც რაღაცნაირად გული აიყარა. ერთი შეხედვით, ვაჟკაცური და ნებისყოფიანი კაცი სინამდვილეში უსუსური, ქალის ენების ამყოლი აღმოჩნდა. ადრე ვფიქრობდი, ძველი შეყვარებული ბოლომდე ვერ დაივიწყამეთქი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ყველაფერი მისი პიროვნული სისუსტის ბრალი იყო.

— თქვენსა და ვასოს შორის კვლავ ქალი ჩადგა?

— სანამ ექიმებთან და ექიმბაშებთან დავრბოდი, რომ დავფეხმძიმებულიყავი და ამით ოჯახში სიამტკბილობა აღმედგინა, ჩემი ქმარი ისევ გაძვრა. ამჯერად ვიღაც რუს ოფიციანტ ქალს გადაეყარა. იმ რესტორანში სამუშაოდ მეგობარმა თედომ მოაწყო.

— ამის შესახებაც გულშემატკივრებისგან შეიტყვეთ?

— ვიღაც ქალმა დამირეკა ანონიმურად და მითხრა.

— ანონიმურ ზარს ენდეთ?

— საქმე ისაა, რომ თედოს ცოლი, თინა, გაკვრით მიმანიშნებდა, ვასოსთან ფხიზლად ყოფილიყავი. ნამდვილად რაღაც იცოდა. ამას ანონიმური ზარიც დაერთო და...

— იმ ოფიციანტთან ვასოს სერიოზული ურთიერთობა ჰქონდა, თქვენი ოჯახი კვლავ საფრთხის წინაშე დადგა?

— ქმარს ვთხოვდი, სამსახურიდაეტოვებინა.

Cyan Magenta Yellow Black

დედაჩემი უცხოეთში ცხოვრობს და იქიდან გვეხმარებოდა, ასე რომ, ვასოს სამსახურის დაკარგვით შიმშილით არ დავიხოცებოდით. მარწმუნებდა, რომ სიცრუე იყო, თუ გინდა, იმ ოფიციანტს შეგახვედრებ და გაგაცნობ, ჩვენ შორის არაფერი ხდებაო. ანონიმური ზარები კი არ წყდებოდა. ალბათ არ უნდა მომესმინა, მაგრამ ქალური ცნობისმოყვარეობა მძლევდა, მერე კი საშინელ მდგომარეობაში ვვარდებოდი.

დაძაბულობამ პიკს რომ მიაღწია, სწორედ მაშინ დავრჩი ფეხმძიმედ. ისტორია გამეორდა. ჩემმა ორსულობამ სიტუაცია კვლავ შემოატრიალა. ვასომ უთქმელად დატოვა სამსახური და ჩემს მოვლას შეუდგა. მაშინ ვიფიქრე, სადაც უნდა წავიდეს, მაინც ჩემთან ბრუნდება, ნამდვილად ვუყვარვარვარ-მეთქი. ისევ ისეთი თბილი და მზრუნველი გახდა, ოჯახის გარეთ არც იხედებოდა.

„ყოველთვის დამთმენი, მზრუნველი და მოსიყვარულე ცოლი ვიყავი. ალბათ ამით ვინარჩუნებდი ოჯახს. ბოლოს ნერვებმა მიმტყუნა და შეცდომებიც დავუშვი".

— ამჯერად ბიჭი შეგეძინათ?

— ტყუპი ქალ-ვაჟი გავაჩინე. ბიჭს ნოდიკო დავარქვი, მამამთილის სახელი, გოგოს კი — ნუცა. ჩემი დედამთილი ცას ეწია. ვასოც უბედნიერესი იყო, თუმცა მისთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, გოგოს გავაჩენდი თუ ბიჭს. შვილებს აღმერთებდა.

— ახლა უკვე როცა ყველა დაბრკოლება გადალახეთ, თქვენი ცხოვრება კალაპოტში ჩადგა?

— ჩემმა ქმარმა ახალი სამსახური დაიწყო, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და ოჯახშიც სიმშვიდემ დაისადგურა, მაგრამ თურმე როცა გგონია, რომ ყველაფერი დალაგებულია და წყნარად ხარ, სწორედ მაშინ მოდის განსაცდელი. ეს ახლახან, 40 წლის ასაკში დამემართა. სოციალურმა ქსელებმა ჩვენი ოჯახი დანგრია.

— ეს როგორ მოხდა?

— სოციალურ ქსელში თავად არ ვიყავი ჩაბმული, მაგის არც დრო მქონდა და არც სურვილი. ბავშვებმა შემთხვევით აღმოაჩინეს ერთი ახალგაზრდა ქალის, ვერიკოს გვერდზე ვასოსთან ერთად გადაღებული ფოტო და ყველაფერი აქედან დაიწყო.

— მაკომპრომეტირებელი ფოტო იყო?

— უბრალოდ ერთად იდგნენ თოვლში და მეტი არაფერი, მაგრამ გუდაურში იყო გადაღებული. არადა ოჯახში არც ვიცოდით, ვასო იმ დღეებში გუდაურში თუ იმყოფებოდა. ესე იგი შეგნებულად დაგვიმალა. შვილები გავაფრთხილე, მამისთვის არაფერი ეთქვათ და იმ დღიდან დაკვირვება დავიწყე. ვასო ოსტატურად ინიღბებოდა, ვერაფერს შეამჩნევდი, იმ გოგოს სოციალურ გვერდზე კი დროთა განმავლობაში ახალ-ახალი ფოტოები იდებოდა — ქალი ბედნიერი სახით ჩემს ქმართან ერთად ჩახუტებული პოზირებდა. მისგან ვიგებდი, ჩემი ქმარი სინამდვილეში სად იყო და რას აკეთებდა.

— ამის შესახებ ქმარს როდის დაელაპარაკეთ?

— როცა ინტიმური ფოტოები დაიდო, მაშინ. ფოტოებს იმ გოგოს „დაქალოჩკების" მხრიდან გამოხმაურებაც ჰქონდა, კომენტარებში დაწყვილებას ულოცავდნენ და ბედნიერებას უსურვებდნენ.

— ქმარმა ეს ყოველივე როგორ აგიხსნათ?

— მითხრა, ვერიკო ჩემი თანამშრომელია და გოგოები უბრალოდ ხუმრობენ, სერიოზული არაფერი ხდებაო.

— ფოტოზე გამოსახულ ინტიმურ სცენებზე რა თქვა?

— ოსტატურად შესრულებული ფოტომონტაჟია, აი, ასეთი გიჟები არიან, ამით ერთობიან, ისე, ცუდი ადამიანები არ არიან, გაგაცნობ და დარწმუნდებიო.

— დაუჯერეთ?

— თუ გინდა, დაიჯერო, იჯერებ, მაგრამ წარსულის გამოცდილებამ ამის საშუალება არ მომცა. ვასოს ვუთხარი, ძალიან ძნელია ხუმრობად მიიღო, იმ გოგოს ფოტოები წააშლევინე-მეთქი. დამპირდა, შენს ნერვიულობად არ მიღირს და, ცხადია, ასეც მოვიქცევიო.

— ფოტოები წააშლევინა?

— წააშლევინა კი არა, ყოველდღე ახალი ფოტოები ჩნდებოდა — ზოგი ძველი, ზოგიც ახალი, შთამბეჭდავი კომენტარებით და ლექსებითურთ. ვასო მპირდებოდა, დღეს-ხვალ წაშლისო, მაგრამ ამ ფუჭ დაპირებებს ბოლო არ უჩანდა. თავიდან ვცდილობდი, სიმშვიდე შემენარჩუნებინა და პატარა გოგოსავით არ ავვარდნილიყავი, მაგრამ ნერვებმა მიმტყუნა. ამ თემაზე ქმარს სერიოზულად ვეჩხუბე. მითხრა, ვერიკო ჩვენი უფროსის ნათესავია და ზედმეტს ვერ ვეუბნები, თორემ ჭკუას ვასწავლიდიო. მისი დაჯერება უკვე შეუძლებელი იყო და ძიება დავიწყე.

— და ვერიკო არ აღმოჩნდა ისეთი, როგორც ქმარი წარმოგიდგენდათ?

— არც თანამშრომელი იყო და არც უფროსის ნათესავი. ჩემი ქმრის მორიგი საყვარელი გახლდათ. ალბათ ჯობდა, მათი ურთიერთობის შესახებ არაფერი მცოდნოდა. ქალები ახალგაზრდულ წლებში უშვებენ შეცდომებს, მე კი ამ ასაკში, ამხელა გამოცდილების მქონეს, ნერვებმა მიმტყუნა და სრულიად უჭკუოდ მოვიქეცი.

„ამ თემაზე თუ ჩამოვუგდებები საუბარს, მეტყოდა, გიჟი ხარ, სამკურნალო ხარ, ჰალუცინაციები გაქვს, რაღაცეები გელანდებაო. ეს ფარაზა მოღალატე ქმრების ტიპური სალექსიკო ფონდიდანაა".

— თავს რატომ იდანაშაულებთ, რა შეცდომა დაუშვით?

— ეჭვი შემეპარა, იქნებ იმ გოგომ არც კი იცის, ვასო რომ ცოლშვილიანია-მეთქი და ამ მიზნით სოციალური ქსელით დავეკონტაქტე, პირად გვერდზე წერილი მივწერე. მან კი პასუხად ახალი ფოტოები გამოფინა. მის თავხედობას საზღვარი აღარ ჰქონდა. გავმწარდი, მისი ადგილსამყოფელი მოვიძიე, შევხვდი და გამოვლანძღე. ვასომ არ მაპატია, თავზე რომ გადავახტი, ჩანთა ჩაალაგა და პროტესტის ნიშნად შინიდან წავიდა. იმ გოგოსთან ვერაფერს გახდა, მე კი დაბალ ღობესავით მომექცა. ჩემმა დედამთილმა მერეღა გაიგო, რაც ხდებოდა და საშინელ დღეში ჩავარდა. იმის ნაცვლად, რომ გვერდში დამდგომოდა და შვილი მოექცია ოჯახისკენ, მე მომდგა. შვილი ეცოდებოდა და ხელს აფარებდა. როგორც გარემოების მსხვერპლს, ისე უყურებდა. დედა გენაცვალოს, რა დღეში ჩაგაგდეს ქალებმაო და იმ „ქალებში" მეც მგულისხმობდა.

— შეიძლებოდა, რომ ქმარი სახლში დაგებრუნებინათ?

— დედამისი გახდა ძალიან ცუდად, ბავშვებმაც განიცადეს და მაგიტომ დაბრუნდა. მე ზედ არ მიყურებდა. ურთიერთობა აღარ გამოგვდიოდა, სულ ვკამათობდით და ვჩხუბობდით. ყველაფერს მე მაბრალებდა, თავის ღალატსაც კი. ჩემი დედამთილი რომ გარდაიცვალა, ესეც მე დამაბრალა — არადა ქალი წლობით უკვე ჩავარდნილი იყო და მე ვაცოცხლებდი, მოვლას და ექიმებს არ ვაკლებდი.

— ურთიერთობა ყველარ დაალაგეთ?

— იმ გოგოსთან აგრძელებდა ურთიერთობას. იმხელა გამოცდილება მივიღე, რომ ღალატს უკვე მისი ქცევებიდან და ტონიდან ვხვდებოდი. ამ თემაზე თუ ჩამოვუგდებები საუბარს, მეტყოდა, გიჟი ხარ, სამკურნალო ხარ, ჰალუცინაციები გაქვს, რაღაცეები გელანდებაო. ეს ფრაზა მოღალატე ქმრების ტიპური სალექსიკო ფონდიდანაა. მისი აღარაფერი მჯეროდა, არც ტყუილების ატანა შემეძლო. კიდევ მიმტკიცებდა, რომ მისი „ცხოვრება" ვიყავი, მთხოვდა, სხვაგვარად მივდგომოდი... ეს კიდევ უფრო მაღიზიანებდა, ვეუბნებოდი, თუ იმ ქალს ვერ ელევი, მასთან წადი, ნუღა გვაწამებ-მეთქი.

— ქმრის შენარჩუნების სურვილი აღარ გქონდათ?

— ნერვები აღარ მყოფნიდა. ბავშვებიც ძალიან ნერვიულობდნენ, ბიჭს მამის მიმართ აგრესია გაუჩნდა, გოგონები მეხვეწებოდნენ, მამას ნუ გააგდებო... ვიცი, რაც იყო ჩემი ქმრის წამალი, უნდა დავფეხმძიმებულიყავი, მაგრამ ასე „შეკვეთით" ეს როგორ მოხდებოდა?!

— ვასო ოჯახიდან წავიდა?

— ჩემს ნათქვამზე არ წასულა, სიტუაცია რაღაცნაირად გადავაგორეთ და თითქოს ცოტა დავმშვიდდით კიდეც, მაგრამ შემდეგ ახალი ტალღა აგორდა — ის გოგო დაფეხმძიმდა. კარგახანს არ გამოჩენილა სოციალურ ქსელში, მერე ფოტო დადო — მუცელი ეტყობოდა. ამან მთლად გადამრია და ქმარს დავეტაკე. არ იჯერებდა და ფოტო ვაჩვენე. შეიძლება ამის შესახებ არც იცოდა და ჩემგან გაიგო. იქნებ ამით შეცდომა დავუშვი. რა ფეხმძიმედ, ხომ არ გაგიჟდა, ახლავე გავარკვევო, გაგულისებით იყვირა და შინიდან თავქუდმოგლეჯილი გავარდა. წავიდა და აღარც მობრუნებულა. ალბათ ახლა ორსულ საყვარელს მუცელზე ეფერება (როგორც თავის დროზე მე), აღარც ოჯახი ახსოვს და აღარც შვილები.

— მისი დაბრუნების იმედი გადაგეწურათ?

— ალბათ სასწაული უნდა მოხდეს, რომ შევრიგდეთ. შეიძლება დაბრუნდეს კიდეც, მაგრამ არა მგონია, მივიღო. ვცდილობ, ხვედრს შევეგუო და დეპრესიას არ დავნებდე — სამი შვილი მყავს გასაზრდელი. არ ვიცი, რა დავაკელი, ყოველთვის დამთმენი, მზრუნველი და მოსიყვარულე ცოლი ვიყავი. ალბათ ამით ვინარჩუნებდი ოჯახს. ბოლოს ნერვებმა მიმტყუნა და შეცდომებიც დავუშვი. სხვაგვარად რომ მოვქცეულიყავი და მეტი დამეთმინა, ვინ იცის, იქნებ ქმარიც შემენარჩუნებინა.

✓ ნანა კობახიძე

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

დედამთილთან კონტაქტის ხელოვნება

დედამთილთან უთანხმოება — ეს მახადიული თემა ბევრი გათხოვილი ქალის და საპატარძლოს სულს აფოთიაქებს. ხა ახის საჭირო იმისთვის, ხომ თქვენი ჩრეულის დედა თქვენი მეოხე დედა გახდეს და ახა შვილზე თავისი უფლებების თავგამოდებული დამცველი? გთავაზობთ ფსიქოლოგთა ჩრევებს.

პირველივე შეხედვით

გაცნობის პირველივე მომენტიდან გულღიაობა და კეთილმეგობრულობა გამოამჟღავნეთ. მომავალ დედამთილს აგრძნობინეთ, რომ მასთან მტრობას არ აპირებთ. ნუ იპირფერებთ. იყავით მშვიდი და კეთილმოსურნე. დედამთილმა უნდა იგრძნოს თქვენი გულწრფელი მადლიერება იმისთვის, რომ ასეთი შესანიშნავი ვაჟიშვილი აღზარდა.

ხა აჩუქოთ

საქმროს რჩევა ჰკითხეთ, რა უფრო მართებული იქნება მიართვათ მის დედას პირველ გაცნობაზე: ყვავილები, კანფეტები თუ ტორტი. თუ სადედამთილოს ცარიელი ხელებით გაეცნობით, ეს თქვენზე არცთუ ძალიან კეთილსასურველ შთაბეჭდილებას შექმნის. მომავალში არასდროს აჩუქოთ საჩუქრები მხოლოდ იმიტომ, რომ ზრდილობის წესები დაიცვათ. წინასწარ გაიგეთ თქვენი დედამთილის სურვილი, რა მოსწონს, რა უყვარს. ეს შეგიძლიათ შეუმჩნევლად გააკეთოთ, საუბარი ჩამოაგდეთ თემაზე, რა სურს ჰქონდეს. შეგიძლიათ ახლობელ ნათესავებს ჰკითხოთ ან უბრალოდ მაღაზიებში ერთად სიარულისას ამა თუ იმ ნივთზე დედამთილის რეაქციას დააკვირდეთ.

დედამთილი თქვენი მეტოქე ახ ახის

თუ ერთ ბინაში ცხოვრება გელით, ნუ იჩქარებთ, დედამთილი საშინაო საქმეებს ჩამოაშოროთ და მისი ადგილი დაიკავოთ. მისი ცხოვრების ყაიდას დააკვირდით. ეცადეთ, გააგებინოთ, რომ შესანიშნავი დიასახლისია, თქვენ კი ცდილობთ, ცხოვრება ცოტა შეუმსუბუქოთ. შეაქეთ, როგორი ხელმარჯვეა, ყველაფერი როგორ კარგად გამოსდის. სთხოვეთ, ერთ-ერთი მისი საფირმო კერძი გასწავლოთ. თუ დედამთილს ჯიუტად არ სურს სამზარეულოში თქვენი შეშვება, ნუ დაადალებთ. ეს დრო თქვენი საჭიროებისთვის გამოიყენეთ, მაგალითად, პარიკმახერს ან ფიტნეს-კლუბს ეწვიეთ.

მოსმენა ისწავლეთ

არასდროს შეეკამათოთ და ნუ შეაწყვეტინებთ, თუ დედამთილი აზრის გამოთქმას ცდილობს. უმჯობესია, ზედმეტად გაჩუმდეთ და თავი შეიკავოთ. დაე, სათქმელი თქვას. საუბრის დასასრულს აცნობეთ, რომ მის პოზიციას ეთანხმებით და შესატყვისად იმოქმედეთ, მაგრამ თქვენით მანიპულირების და კამათის პროვოცირების უფლება არ მისცეთ. თქვენი ნეგატიური ენერგია სპორტდარბაზში ან რაიმე ფიზიკურ სამუშაოზე ამოაფრქვიეთ. არასდროს შეხვიდეთ კონფლიქტში არც ერთ გარემოებაში, რათა დედამთილს საბაბი არ მიეცეს შვილთან დაიჩივლოს, რომ თქვენ პატივს არ სცემთ.

მისი ხასიათი გაიგეთ და იმოქმედეთ

ძირითადი სიძნელე ისაა, რომ დედამთილის ხასიათი სწორად გაიგოთ:

დედამთილი — მესაკუთე

ყველაზე რთული ხასიათია. უკვე წინასწარ არ უყვარხართ, ვინაიდან საერთოდ არავითარი რძალი არ ესაჭიროება. ამ სიტუაციაში ისღა დაგრჩენიათ, ნეიტრალური პოზიცია დაიჭიროთ და დაელოდოთ, რომ დრო ყველაფერს განკურნავს.

დედამთილი — ოჯახის უფროსი

თუ მორჩილი ხართ, მაშინ, უეჭველად შეეწყობით. თუ დამორჩილება თქვენს გეგმებში არაფრით შედის, ეცადეთ, იშვიათად შეხვდეთ, მაგრამ არავიათრ შემთხვევაში ჩხუბი არ ატეხოთ. შესაძლებელია, როდესაც რძალში ძლიერ პიროვნებას დაინახავს, დედამთილმა თქვენთვის ანგარიშის გაწევა დაიწყოს.

დედამთილი — თავზე მზრუნველი

ეს ქალი იმდენად გატაცებულია საკუთარი პიროვნებით, თავისი გარეგნობით, რომ მხოლოდ ერთი ფაქტი აშინებს — ბებია გახდეს. ხშირად შეახსენეთ, რომ მშვენივრად გამოიყურება და ეცადეთ, თავისი საზრუნავით არ დაგტვირთოთ.

დედამთილი — წუწუნა

უქეიფობაზე მუდამ ჩივის, უყვარს, ზრუნვითა და ყურადღებით გარშემორტყმული იყოს. ამ შემთხვევაში ოქროს შუალედი დაიცავით. დედამთილის პრობლემებში შეძლებისდაგვარად მიიღეთ მონაწილეობა, მაგრამ ეცადეთ, დანარჩენი დრო მისგან შორს იყოთ.

დედამთილი — ჯარიეარისტი

სიამოვნებით გადმოგაბარებთ მის შვილზე ზრუნვას. ასეთი დედამთილისგან განსაკუთრებულ დახმარებას ნუ ელით. არ დაგეხმარებათ არც მატერიალურად, არც შვილების აღზრდაში. თუ ამ კუთხით პრეტენზიები არ გექნებათ, მაშინ ერთმანეთს კარგად შეეწყობით.

ჰიხადი უნდა იყოს ჰიხადი!

თუ დედამთილი ცდილობს, ქმართან თქვენს ურთიერთობაში ჩაერიოს და ხელმძღვანელის როლი შეასრულოს (მაგალითად, თქვენს აზრს ანგარიშს არ უწევს, რაღაც გეგმებს ადგენს ან თქვენს საძინებელში დაუკაკუნებლად შემოდის, ან კიდევ შვილთან ისე ურთიერთობს, თითქოს თქვენ საერთოდ არ არსებობთ), მაშინ სერიოზული საუბარი მოგიწევთ. თავი ხელში აიყვანეთ და საუბრის დროს მაქსიმალურად თავაზიანი და კორექტული იყავით. აუხსენით თქვენი შეხედულება ცხოვრებაზე. გააგებინეთ, რომ დღის განაწესს და ოჯახის ბიუჯეტს ქმართან ერთად გეგმავთ, მისი მონაწილეობის გარეშე. ბრძოლას ნუ წამოიწყებთ. უბრალოდ, თქვენს გეგმებზე მოუყევით და მტკიცედ გააგებინეთ, რომ ეს თქვენი უფლებაა.

ქმახს ნუ ჩახევთ

როგორი ანჩხლიც უნდა იყოს დედამთილი თქვენთან ურთიერთობაში, ნუ დაივიწყებთ, რომ შვილისთვის მუდამ საყვარელ დედად დარჩება. არ ეცადოთ, ისე მოიქცეთ, რომ ვაჟიშვილი ჩამოშორდეს. პირიქით, ქმარს ზედმეტად შეახსენეთ, რომ დედამისს დაურეკოს, მისი ჯანმრთელობით დაინტერესდეს, სტუმრად შეუაროს (თუ ცალ-ცალკე ცხოვრობთ), დაბადების დღე (დღესასწაული) მიულოცოს. თქვენც ხშირად მოიკითხეთ და მისი საქმეებით დაინტერესდით.

იუმორი გიხსნით

სიტუაციას ნუ დაამძიმებთ. ნებისმიერი დაძაბულობა იუმორით განმუტეთ. თავი კომედიის მონაწილედ წარმოიდგინეთ, სადაც რძლის როლს ასრულებთ. თუ საყვედურების მოსმენა მეტად აღარ შეგიძლიათ, დედამთილი კომიკურ სიტუაციებში წარმოიდგინეთ. ყველაფერი გააკეთეთ, რომ ბრაზის ნაცვლად სიცილი დაიწყოთ.

უმჯობესია შოხს

თუ არის შესაძლებლობა, ცალკე იცხოვრეთ. ნებისმიერ შემთხვევაში უმჯობესია ფული დაკარგოთ, ვიდრე ოჯახი დაანგრიოთ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

როგორ ამოვიცნოთ პატარა მთვარეული

ბავშვი ბორგავს, ძილში ლაპარაკობს, აკრაჭუნებს კბილებს... ასეთ დროს მისი ნევროპათოლოგთან კონსულტაციაზე მიყვანა აუცილებელია, რადგან არაა გამორიცხული, საქმე მთვარეულთან გვქონდეს.

პატარებში სომნადაავადების არსებობა საკმაოდ მაღალია. თუ ბავშვის ნერვული სისტემა გენეტიკურად შედარებით სუსტია, დედას პრობლემური ორსულობა ან გართულებული მშობიარობა ჰქონდა, სომნამბულიზმის (მთვარეულობა) განვითარების რისკი მაღალია. ზოგჯერ მთვარეულობის უკან შეიძლება იმალებოდეს ისეთი დაავადება, როგორიცაა ეპილეფსია. ასეთი ბავშვისთვის კი გამოკვლევების ჩატარება და სათანადო მკურნალობა აუცილებელია.

ადრეული სიმპტომები

როგორც წესი, 6 წლამდე ბავშვებში ძილში სიარულის ეპიზოდები არ იჩენს თავს. ამ ასაკამდე არსებობს სხვა ნიშნები, რომელთა შემთხვევაშიც შესაძლოა ეჭვი მივიტანოთ მთვარეულობაზე. მაგალითად, ძილში კრთომა, კბილების კრაჭუნი, ძილში ლაპარაკი...

ზოგი ექიმი მიიჩნევს, რომ ბავშვთა სომნამბულიზმის ნიშანია ლოგინში რიტმული მოძრაობები, მაგალითად, ზურგზე წოლისას თვალდახუჭული ბავშვი ჯერ ერთ მხარეს ქანაობს, შემდეგ — მეორე მხარეს, ან წევს მუცელზე, მაგრამ მთელი ძალით ხან წინ მოძრაობას ცდილობს, ხან უკან.

მეტი ყურადღება

ასეთი ეპიზოდების დროს პატარების მიმართ მეტი ყურადღებისა და სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს, რადგან თუ ბავშვი მშვიდად იქნება, მკვეთრად გამოხატული ნევროზული ნიშნების გარეშე, მთვარეულობის განვითარების რისკი ნაკლებია.

სასარგებლოა აქტიური, მოძრავი თამაშები, ცეკვა, ტანვარჯიში. სასურველია, ბავშვი დაძინებას მშვიდი მუსიკის ფონზე მივაჩვიოთ. ასევე კარგია, თუ დედას აქვს საშუალება, ძილის წინ შვილს იავნანა უმღეროს. ასეთ დროს ტვინის სინქრონული ბიორიტმები ნერვულ სისტემას „გადააწყობს“ და ამშვიდებს.

აუცილებელია ნევროპათოლოგთან კონსულტაციაც და მისი რეკომენდაციების (საჭიროების შემთხვევაში მკურნალობის კურსის) ზედმიწევნით შესრულება.

რძემჟავა პროდუქტების სიკეთე მავშვებისათვის

ყველს აინტერესებს, რატომაა რძემჟავა პროდუქტები ასეთი სასარგებლო როგორც უფროსების, ისე პატარებისათვის. ყველაზე მთავარი ისაა, რომ რძემჟავა პროდუქტებში არსებული კალციუმისა და ცილების რაოდენობა ორგანიზმის მინერალებზე მოთხოვნილების დღიურ ნორმას უზრუნველყოფს. გარდა იმისა, რომ კალციუმი ძვლოვანი და სახსროვანი სისტემისა და კბილებისთვისაა აუცილებელი, ის ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემისთვისაც. კიდევ ერთი: რძემჟავა პროდუქტებში არსებული ფოსფორისა და ბევრი სხვა მინერალის წყალობით, კალციუმი ორგანიზმის მიერ გაცილებით უკეთ და იოლად შეითვისება.

პატარებს ხშირად აქვთ რძის შაქრის, ლაქტოზას აუტანლობა. რძემჟავა პროდუქტების მიღებისას კი ორგანიზმში ისეთი ნივთიერებები გამომუშავდება, რომლებიც ლაქტოზის გადამუშავება-მონელებაში ეხმარება.

საყურადღებოა ისიც, რომ რძემჟავა პროდუქტებში არსებული ბიფიდობაქტერიები კლავენ დაავადების გამომწვევ და შხამიან მიკროორგანიზმებს.

კეფირი — ყველაზე სასარგებლო პროდუქტია. შეიძლება ითქვას, რომ პატარებისთვის (და არამარტო მათთვის) ერთ-ერთი ყველაზე იოლად შესათვისებელი და მოსანელებელი პროდუქტია. ის კარგია იმუნური სისტემისთვის, აუმჯობესებს თირკმლების მუშაობის პროცესს, გულ-სისხლძარღვთა, ძვლოვან და ნერვულ სისტემებს. სწორედ ამიტომ დიეტოლოგები ბავშვთა კვებაში კეფირის ჩართვას ერთი წლის ასაკიდან გვირჩევენ.

იოგურტი — მისი ერთ-ერთი მთავარი ღირსება შენახვის შედარებით ხანგრძლივი ვადაა, რასაც რძის სხვა პროდუქტებზე ვერ ვიტყვით. მასში არსებული ცხიმები და ცილები იოლად შეთვისებადია. განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვებისთვის იოგურტის მიცემა ავადმყოფობის შემდეგ. ის ორგანიზმს რეაბილიტაციის პროცესში ეხმარება.

ხაჭო — ორგანიზმი მას დაახლოებით 9%-ით ითვისებს. მდიდარია მინერალებით, განსაკუთრებით ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტით, როგორიცაა კალციუმი და ფოსფორი, რომლებიც სავალდებულოა ბავშვთა კვებაში.

როგორ ვიხსნათ შვილები რეკლამების ტყვეობიდან

ტელევიზორი თანამედროვე ბავშვებისთვის ერთ-ერთი საყვარელი გასართობი და თავის შექცევის საშუალებაა. მიუხედავად იმისა, რომ ყველამ კარგად ვიცით, ტელევიზორის ყურება საერთოდ არ არის სასურველი პატარებისათვის (განსაკუთრებით მიუღებელია 3 წლამდე ბავშვებისათვის), უფროსებიც აქტიურად ვუყურებთ შვილების თანდასწრებით.

დღეს ბავშვების დიდმა ნაწილმა ზეპირად იცის ამა თუ იმ სატელევიზიო რეკლამის რგოლის ტექსტი. გარდა ამისა, სარეკლამო ბილბორდები, რგოლები აქტიურად ტრიალებს სავაჭრო ცენტრებსა და საბავშვო გასართობ ადგილებშიც. შედეგად, ჩვენი შვილები უნებურად ხდებიან რეკლამის ტყვეები.

ბავშვთა ფსიქოლოგების ერთი ნაწილი თვლის, რომ საგანგაშო არ არის, თუ პატარამ ზეპირად იცის სარეკლამო რგოლების ტექსტები და გარკვეულწილად მათი გავლენის ქვეშ იმყოფება. მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ თავსმოხვეული რეკლამა უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ნერვულ სისტემაზე და ფსიქიკაზე. ფერადი და სწრაფადცვალებადი კადრები, რომლებიც სარეკლამო რგოლებშია გამოყენებული, პატარების ყურადღებას ძაბავს, ამან კი შესაძლოა ბავშვის მეხსიერების შესუსტება გამოიწვიოს.

ჩვენი შვილები რომ მინიმალურად იყვნენ დამოკიდებული სარეკლამო რგოლებზე, სპეციალისტების მიერ მოწოდებული რამდენიმე რეკომენდაციის გათვალისწინებაა საჭირო:

- აყურებინეთ პატარებს მათი ასაკის შესაფერისი მულტფილმები;
- ნუ დატოვებთ ოთახში ტელევიზორს ჩართულს იმ მიზნით, რომ ბავშვმა თავი მარტო არ იგრძნოს;
- სკოლამდელი ასაკის პატარებს კრიტიკული აზროვნება ბოლომდე განვითარებული არ აქვთ. ისინი რეკლამას პირდაპირ აღიქვამენ და თვლიან, რომ რეკლამირებული პროდუქტი მართლაც საუკეთესოა. ამიტომ საჭიროა მშობელმა გასაგებ ენაზე განუმარტოს, რაში მდგომარეობს სარეკლამო რგოლების არსი;
- რაც უფრო აქტიური და დაკავებულია ბავშვი, ნაკლები დრო ექნება ტელევიზორის საყურებლად. ატარეთ შვილი სხვადასხვა სპორტულ წრეზე, ცეკვაზე, სიმღერაზე. ეცადეთ, მისი ასაკისა და სურვილის გათვალისწინებით იყოს დატვირთული;
- პატარები ორიენტირებას მშობლებზე ახდენენ, ამიტომ მათი თანდასწრებით ტელევიზორთან დიდი დროის გატარებას მოერიდეთ;
- სწორად შეარჩიეთ აკრძალვის ფორმები. ნუ იქნებით კატეგორიული და აკრძალვასთან ერთად აუცილებლად შესთავაზეთ ალტერნატივა.

თუ ამ რეკომენდაციებს გაითვალისწინებთ, თქვენი შვილი რეკლამების გავლენის ქვეშ აღარ მოექცევა.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

Cyan Magenta Yellow Black

სად დაკიდოთ სარკე სახლში

არქეოლოგიური გათხრები მოწმობს, რომ უკვე ძველ საბერძნეთში, რომსა და ეგვიპტეში ადამიანები პატარა სარკეებს თან ატარებდნენ. ის გაკეთებული იყო მრგვალი ფორმის კარგად გაპრიალებული ფირფიტისგან. ხოლო პირველი მინის სარკე უკანა მხრიდან ვერცხლისწყლის ან კალის ფენით, მე-18 საუკუნის ბოლოს ვენეციაში დაამზადეს. სწორედ ასეთ სარკით ვსარგებლობთ დღეს.

სახლისთვის ადგილს სწორად ვარჩევთ

სარკისთვის ადგილის შერჩევისას უნდა გაითვალისწინოთ არამხოლოდ დიზაინის მოთხოვნები. ძველი სწავლულების თანახმად, სარკე სახლში მთავარ დამხმარედ ითვლება. სწორედ ის ხდის შემოსულ ენერგიას ჰარმონიულს. სახლში სარკე შეგიძლიათ განათავსოთ ოთახებში, სამზარეულოში, შემოსასვლელში.

სარკე თავზე ცოტა მაღლა უნდა დაკიდოთ — ახალი იდეების აღმოსაცენებლად.

შემოსასვლელში სარკე ოთახის კარის პირდაპირ მოათავსეთ, იქ ენერგია რომ შევიდეს.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სარკე შემოსასვლელი კარის პირდაპირ იყოს — სახლში ახალი ენერგია შემოსვლას ვერ შეძლებს.

არ შეიძლება სარკეების ერთმანეთის პირდაპირ განლაგება — ენერგიას მოძრაობის საშუალებას არ მისცემს.

არ შეიძლება საძინებელში სარკის ისე მოთავსება, რომ მასში მძინარეთა საწოლი აირეკლოს. მიჩნეულია, რომ ეს ოჯახურ ჩხუბს და ღალატს იწვევს.

სარკე ყოველთვის იდეალურად სუფთა უნდა იყოს. დაუშვებელია მასში აისახოს ნაგვის ყუთი, ჭუჭყიანი თეთრეულის კალათა, ელექტროგაყვანილობა, როზეტი.

მაგიდის გვერდით დაკიდებული სარკე სახლში ბარაქასიმდიდრეს იზიდავს. შემოსასვლელში ჯობს სარკე კარის მარჯვნივ ან მარცხნივ განათავსოთ.

სააბაზანოში რეკომენდებულია სარკე ნიჟარის ზემოთ დაკიდოთ, ფორმა ნებისმიერი შეიძლება იყოს.

სასტუმროში სარკე აუცილებელი არ არის, მაგრამ, თუ გსურთ, ეს ოთახი უფრო მყუდრო, კომფორტული იყოს, შეგიძლიათ ლამაზ ჩარჩოში ჩასმული სარკე მაგიდის გვერდით განათავსოთ.

სიგარეტს შავი შოკოლადი შეგიცვლით

ქალები, რომლებიც მოწევას თავს ანებებენ, წონაში სწრაფად იმატებენ. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. ჯერ ერთი, საკვების არომატი გაცილებით უკეთ შეიგრძნობა და შედეგად მადა ძლიერდება. სისხლში ნიკოტინის დონის დაკლებაზე სისხლძარღვებიც იწყებენ რეაგირებას და ვიწროვდებიან. სპაზმების მოხსნას გლუკოზა ეხმარება. ამიტომაა, ქალი მოწევისათვის თავის დანებების შემდეგ კანფეტებისა და ნამცხვრების მიმართ დაუოკებელ ლტოლვას რომ განიცდის. მაგრამ არის ისეთი ტკბილეული, რომელიც სტრესს ხსნის და ფიგურას ზიანს არ აყენებს. ასეთი თაფლი და შავი, მწარე შოკოლადი გახლავთ.

ტესტი

პრინციპული ხართ თუ დამთმობი?

1. თქვენი ორიგინალური იდეა რომ დაიწუნონ, განაწყენდებით?

ა) რა თქმა უნდა — 0
ბ) ასეთი იდეები არ მაქვს — 0
გ) არა — 2

2. სპორტულ თამაშში პარტნიორად როგორ ადამიანს აირჩევდით?

ა) იმას, ვინც ამ თამაშის წესები კარგად იცის — 2
ბ) ვინც კარგად თამაშობს — 0
გ) არ ვიცი — 0

3. რა რეაქცია გაქვთ, როცა ცუდ ამბავს იგებთ?

ა) მშვიდად ვხვდები — 0
ბ) ვღელავ — 2
გ) არანაირი — 0

4. ნასვამ ადამიანებთან ურთიერთობა გაღიზიანებთ?

ა) არა — 2
ბ) ძალიან — 0
გ) ნასვამებს იშვიათად ვხვდები — 0

5. ადამიანებთან კონტაქტში ადვილად შედიხართ?

ა) არა — 0
ბ) არ ვიცი — 0
გ) რასაკვირველია — 2

6. თქვენ მიმართ ნაქვამ ირონიულ სიტყვებს მშვიდად ხვდებით?

ა) საშინლად ვღიზიანდები — 0
ბ) ხურდას ვუბრუნებ — 2
გ) ადამიანებს, რომლებიც ასეთ რამეს მაკადრებენ, არ ვეკონტაქტები — 0

7. ეთანხმებით აზრს, რომ ბევრი ადამიანი თავის საქმეს არ აკეთებს?

ა) ძნელი სათქმელია — 0
ბ) დიახ — 0
გ) არა — 2

8. რა რეაქცია გექნებათ, თუ თქვენი პროტეჟე ყურადღების ცენტრში მოექცევა?

ა) გამიხარდება — 2
ბ) გავბრაზდები — 0
გ) არანაირი — 0

9. როცა მოხუცი ახალგაზრდას აკრიტიკებს, თქვენ:

ა) შეეკამათებით — 0
ბ) საუბრის თემას შეცვლით — 2
გ) ყურადღებას არ მიაქცევთ — 0

10. როგორ იქცევით, როცა თქვენს აზრს არ იზიარებენ?

ა) ვბრაზდები — 0
ბ) ვცდილობ, აზრი შევაცვლევინო — 0
გ) ვცდილობ, მიზეზებში გავერკვე — 2

შედეგები:

16-20 ქულა — პრინციპულიც ხართ და დამთმობიც. შეგიძლიათ თქვენთვის მიუღებელ წინადადებებსაც კი გაგებით მოეკიდოთ. თუ საჭიროა, საკუთარ აზრს თამამად უკუაგდებთ.

8-14 ქულა — საკუთარ აზრსა და შეხედულებებს მტკიცედ იცავთ. თუ თანამოსაუბრის სისუსტე იგრძენით, შეგიძლიათ, ძალიან უხეშიც იყოთ. ასეთ დროს მოთმინება და ტაქტი მართლაც გღალატობთ.

0-6 ქულა — ჯიუტი ხართ და გსურთ, ყოველთვის თქვენი აზრი გაიტანოთ. ასეთი მიდგომით სხვებთან კონტაქტი ძალიან გაგიჭირდებათ, რადგან მოუთმენელი ადამიანი არავის უყვარს.

Cyan Magenta Yellow Black

რა საკვებს ითხოვს ჩვენგან ინტელექტი

ეეცნიერებაში გაჩნდა ახალი მიმართულება — ინტელექტის დაპროგრამება. როგორც გაირკვა, ინტელექტის ფორმირება ბევრად დამოკიდებულია პროდუქტებზე, რომლებითაც მომავალი დედა იკვებება. მაგალითად, ქალი, რომელიც ფიგურისთვის დაბალკალორიულ დიეტას ხშირად იცავს ან ხორცს საერთოდ არ ჭამს, სწავლის მიმართ დაბალი გონებრივი შესაძლებლობის ბავშვს გააჩენს. ხოლო თუ დედის ორგანიზმს ფოლიუმის მჟავა და რკინა აკლია, ეს მომავალი ბავშვის ინტელექტუალურ კოეფიციენტს აქვეითებს, მაგრამ ტვინის სწორად „კვება“ ნებისმიერ ასაკში შეიძლება.

საუზმე ტვინის ასამუშავებლად

ჩვენი ტვინი 100 მილიარდი მშიერი უჯრედისგან შედგება, რომლებიც მუდამ გამოკვებას საჭიროებენ. მიუხედავად იმისა, რომ ტვინის უჯრედები სხეულის მთელი მასის 2%-ს შეადგენს, დღიური კალორიების ნორმის დაახლოებით 20-30%- ითხოვს. ადამიანებს, რომლებიც საუზმეზე უარს არასდროს ამბობენ, უკეთესი მეხსიერება აქვთ და უფრო მხნედ გამოიყურებიან იმათთან შედარებით, ვინც დილით მხოლოდ ფინჯან ყავას მიირთმევს.

ტვინი ერთი წუთითაც რომ არ დარჩეს საკვების გარეშე, მენიუში უნდა ჩართოთ რთული ნახშირწყლებით მდიდარი პროდუქტები. ორგანიზმში ისინი უფრო ნელა იხლიჩება და ტვინის ყოველ უჯრედს გამამხნევებელი ნივთიერებებით ასაზრდოებს. რთული ნახშირწყლების წყაროა რუხი პური, მთლიანი მარცვლეულის ფაფები (შვრიის, წიწიბურას), მთლიანი მარცვლეულის ფანტელები რძითა და ხილით, მაგალითად, ვაშლით ან ბანანით.

გსუხს ჭკვიანი იყო? თევზი ჭამე!

წინათ ფიქრობდნენ, რომ თევზის შესანიშნავი თვისება მასში ფოსფორის არსებობით აიხსნებოდა, მაგრამ სადღეისოდ ცნობილია, რომ საქმე ეხება ცხიმმჟავა ომეგა-3-ს. ის ნერვული უჯრედების მუშაობას არეგულირებს, ტვინში სიგნალების გატარებას აუმჯობესებს, სეროტონინის — კარგი განწყობის ჰორმონის — გამომუშავებას ეხმარება. ომეგა-3-ის ძირითადი წყაროა ორაგული. ასევე ნაკლებად ცხიმიანი სახეობები — კეფალი, სკუმბრია და ქორჭილა.

ბოსტნეული, ხილი, თხილეული

ორგანიზმში შესული ჟანგბადის მთელი მოცულობის დაახლოებით 20%-ს ტვინი იყენებს. ამიტომ განსაკუთრებით მიდრეკილია ე.წ. თავისუფალი რადიკალების მავნე ზემოქმედებისკენ. ისინი ორგანიზმში ხვდება სიგარეტის ბოლით, გამონაბოლქვი აირებით, შემწვარი საჭმლით, ასევე რენტგენის სხივების მოქმედებით წარმოიქმნება. მავნე თავისუფალი რადიკალები ჯანმრთელ უჯრედებს, მათ შორის — ტვინის უჯრედებს უტევენ, აზიანებენ და ანადგურებენ, მაგრამ მათი განეიტრალება შეიძლება ანტიმჟანგავებითა და C და E ვიტამინებით, ბეტა კაროტინით მდიდარი პროდუქტებით.

C ვიტამინის წყაროა ტკბილი წიწაკა, ბროკოლი, ფორთოხალი, მარწყვი, ჟოლო.E ვიტამინით მდიდარია ზეითუნის ზეთი, ნიგოზი, ნუში, გოგრის თესლები, ქაცვი. ბეტა-კაროტინს შეიცავს სტაფილო, ნესვი. თავის ტვინზე ასევე კარგად მოქმედებს მწვანე ჩაის შემადგენლობაში არსებული ანტიმჟანგავები.

ძეხვი, სიგარეტი, სტრესი

ყველაფერი, რაც სისხლძარღვებისთვის მავნეა, ტვინზეც ცუდად მოქმედებს. მეხსიერებაზე ცუდი გავლენის მქონე პროდუქტებს შორისაა ცხიმიანი ძეხვები, შებოლილები, ხორცის ნახევარფაბრიკატები, ტკბილეული, მარილიანი. ეს საკვები სისხლში ქოლესტერინისა და შაქრის დონეს ამაღლებს და სისხლძარღვების დახშობას ხელს უწყობს. ამისგან იტანჯება — გული, ფილტვები, თირკმლები და განსაკუთრებით ტვინი. ტვინი აჭრელებულია ათასობით კაპილარით, უწვრილესი სისხლძარღვებით, რომელთა დახშობა დამღუპველია. ასევე ნათელი გონების მტერია მავნე ჩვევები და სტრესი.

მკურნალი ზღვიდან

ზღვის მარილი ფართოდ გამოიყენება კულინარიასა და მედიცინაში, ასევე კოსმეტოლოგიაშიც.

მარილი შედის ადამიანის სისხლის შემადგენლობაში, მონაწილეობას იღებს გაცვლით პროცესებში, შინაგანი ორგანოების მუშაობაში და გულ-სისხლძარღვთა საქმიანობის რეგულაციაში. მის შემადგენლობაში, სხვადასხვა მინერალი და სასარგებლო ნივთიერებები შედის.

გემოთი ზღვის მარილი ჩვეულებრივისგან თითქმის არ განსხვავდება, მაგრამ ორგანიზმისთვის ბევრად მეტ საჭირო ნივთიერებს შეიცავს, როგორიცაა: კალიუმი, კალციუმი, ნატრიუმი, იოდი, ბრომი. ყველა ისინი ხელს უწყობს უჯრედების კვებას და გასუფთავებას, ნერვული უჯრედების მუშაობას აუმჯობესებს, ჰორმონულ ცვლას არეგულირებს და კუნთებზე მომადუნებელი ეფექტი აქვს.

სურდოს მკურნალობა

ზღვის მარილის ხსნარი სურდოს სამკურნალოდ გამოიყენება. მას ანტიბაქტერიული ეფექტი გააჩნია, ამიტომ ექიმები ურჩევენ, გაციების პირველი ნიშნების დროს ცხვირ-ხახა მარილიანი ხსნარით გამოირეცხონ. ხსნარი თავად შეგიძლიათ მოამზადოთ: 1 ჭიქა თბილ წყალს 1 ჩაის კოვზი ზღვის მარილი დაუმატეთ, ან აფთიაქში მზა საშუალება შეიძინეთ.

ყელში გამოვლება

პირის ღრუს ან ყელის ანთების დროს კარგად ეხმარება მარილის ხსნარი. ამისთვის გამოიყენება 2 სუფრის კოვზი წვრილი ზღვის მარილი 1 ჭიქა თბილ, ანადუღარ წყალში გახსნილი (შეგიძლიათ 2 წვეთი იოდი დაუმატოთ). დაავადების სიმძიმის მიხედვით, მიღებული ხსნარი ყელში 3-4-ჯერ გამოივლეთ.

სტრესის მოხსნა

კუნთების მოსადუნებლად, დაღლის ან სტრესის მოსახსნელად ზღვის მარილის აბაზანა მიიღეთ. 15-20 წუთი თბილი წყლის აბაზანა ნერვულ სისტემას ამშვიდებს და სიმძიმის შეგრძნებას აქრობს. აბაზანაში შეგიძლიათ დაუმატოთ დამამშვიდებელი ეფექტის მქონე ეთერზეთები: პიტნის, ლავანდის, მელისას, ჟასმინის და სხვა. გარდა ამისა, ასეთი აბაზანები რეკომენდებულია კანის სხვადასხვა დაავადების, რევმატიზმის, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების დროს.

ცელულიტის სანინააღმდეგო

მარილის კრისტალები შხაპისთვის განკუთვნილ ნებისმიერ გელში დაუმატეთ და მასაჟის მოძრაობებით პრობლემურ ადგილებზე კანში შეიზილეთ. ასეთი პროცედურისთვის გამოიყენეთ ნეჭა. 5-7 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ, თბილად ჩაიცვით და საწოლში ჩაწექით.

✓ რუბრიკა მოამზადა აზა გაგოშიძემ

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

შეუყვარდა თუ არა სანდრო კახიძეს საკუთარი კონკურენტი ნატა ელბაქიძე

„პირველი სიყვარული დასრულდა, მაგრამ ლამაზი მოგონებები დამიტოვა“

 პროექტ „ახალი ხმის“ მონაწილე, 20 წლის სანდრო კახიძე, ისეთი პოპულარული გახდა გოგონებში, უკვე მათი იმედიც აქვს — ფიქრობს, რომ ესემესებს, რომლებიც ასე სჭირდება, არ დაიშურებენ. სიმპათიური კონკურსანტი არც ქუჩაში რჩება შეუმჩნეველი და არც უნივერსიტეტში. ის კი მხოლოდ ერთს ეძებს, მას, ვინც ბოლომდე უერთგულებს და ყველაფერში გაუგებს. ერთხელ უკვე უყვარდა და იმ გრძნობისგან ტკივილიც იწვნია. ახლა ცხოვრებისეული გამოცდილება მოემატა და გოგონებსაც აღარ აძლევს უფლებას, რომ გული ატკინონ.

— სანდრო, სანამ რუბრიკას შეკუნებით, გვიამბეთ, როგორ მოხვდით პროექტში.

— „ახალი ხმის“ პირველ სეზონს ვუყურებდი და ძალიან მომწონდა. ბავშვობაში ვმღეროდი, მაგრამ ამ საქმეს სერიოზულად ამ პროექტში მოვეკიდე. დედაჩემის ინიციატივა იყო, მონაწილეობა მიმეღო, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ასეთი მასშტაბური კონკურსისთვის მოუმზადებელი ვიყავი. საკუთარი თავის რწმენა იმდენად მაკლდა, როცა სამეგობრო ვიკრიბებოდით, სიმღერისგან ყოველთვის თავს ვიკავებდი. ახლა კი ნებისმიერ სიტუაციაში შემიძლია ვიმღერო, „ახალმა ხმამ“ ყველანაირი კომპლექსი მომიხსნა. დედისგან ძალიან დიდ თანადგომას ვგრძნობ. დღეს ჟურნალისტები, თქვენი ჟურნალი ჩემით რომ დაინტერესდნენ, ესეც დედაჩემის დამსახურებაა. მან მიბიძგა ამისკენ.

ბრმა კასტინგზე სიმღერა იმ დროს მომიწია, როცა მწვრთნელებს ადგილები თითქმის აღარ ჰქონდათ, მაგრამ გამიმართლა და სტეფანეს გუნდში მოვხვდი. ძალიან კარგი ადამიანი და ამასთანავე ძლიერი მწვრთნელია. სიმღერა იმხელა სიამოვნებას მანიჭებს, ამის გარეშე ცხოვრება უკვე წარმოუდგენლად მიმაჩნია.

— რანგზე ვიზუალურად ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მონაწილე — ნატა ელბაქიძე დაამარცხეთ. იცით, თქვენზე რომ ამბობენ, თითქოს რომანი გაქვთ?

— გეთანხმებით, ამბობენ, რომ მე და ნატას ერთმანეთი გვიყვარს. სტეფანემაც რინგისთვის ისეთი სასიყვარულო სიმღერა შეგვირჩია, შეუძლებელი იყო, ჩვენ შორის ფლირტი არ გაჩენილიყო. თავიდან თითქოს ერთმანეთის მიმართ რაღაც ნამდვილად ვიგრძენით. გვეკითხებოდნენ კიდეც, ერთმანეთი მართლა ხომ არ გვიყვარდა, მაგრამ ყველას მინდა ვუთხრა, რომ ჩვენს შემთხვევაში შეძახილს ხე არ გაუხმია და უბრალოდ კარგი მეგობრები ვართ.

— თაყვანისმცემლების ყურადღებას უკვე გრძნობთ?

— ამ თემაზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ გამოგიტყდებით, რომ თაყვანისმცემელთა რიცხვმა ნამდვილად იმატა. მობილურზე ხშირად მირეკავენ გოგონები, „ფეისბუქზეც“ ბევრი მწერს: „ძალიან სიმპათიური ბიჭი ხარ!“, „ვაიმე, მიყვარხარ!“, „ერთი ნახვით შემიყვარდი!“, „მაგრად მღერი! წარმატებებს გისურვებ!“ და ა.შ. ინტერესდებიან, შეყვარებული მყავს თუ არა.

> „სტეფანემ რინგისთვის ისეთი სასიყვარულო სიმღერა შეგვირჩია, შეუძლებელი იყო, ჩვენ შორის ფლირტი არ გაჩენილიყო. თავიდან თითქოს ერთმანეთის მიმართ რაღაც ნამდვილად ვიგრძენით“.

მინდა, „სარკის“ საშუალებით ყველა ჩემს თაყვანისმცემელს ვუთხრა, რომ თავისუფალი ვარ. ეს კომპლიმენტები ძალიან მსიამოვნებს და მახარებს, რომ გოგონები ასე მგულშემატკივრობენ. არც პროექტამდე მაკლდა მათი ყურადღება, მაგრამ ასეთი რამ არასოდეს მიგრძვნია, რაც ალბათ ტელეეკრანის დამსახურებაა. ასე თუ ისე, უკვე ქუჩაშიც მცნობენ. რამდენჯერმე გოგონებმა გამაჩერეს, რა სიმპათიური ბიჭი ხარო.

— თქვენ თუ გჩვეულა ქალისთვის კომპლიმენტების თქმა?

— ამ ბოლო დროს უფრო ხშირად ვეუბნები გოგონებს კომპლიმენტებს. ადრე ყოველთვის თავს ვიკავებდი ან მერიდებოდა. ახლა კი, თუ გოგო მომეწონა, კომპლიმენტს პირდაპირ ვეუბნები.

— როგორი უნდა იყოს გოგონა, რომ მისთვის ქათინაურის თქმის სურვილი გაგიჩნდეთ?

— არასერიოზული ქალები არ მიყვარს და ასეთი გოგო ჩემგან კომპლიმენტს ვერ მიიღებს. არსებობენ ისეთები, რომლებმაც თვითონაც არ იციან, ამ ცხოვრებისგან რა უნდათ. არასტაბილური, არასერიოზული, ცანცარა და ჩამოუყალიბებელი ქალები მაღიზიანებენ. არიან 25-26 წლის გოგონები, შეხედავ, მოგეწონება, მაგრამ იმდენად არამყარი აზროვნება აქვთ, რომ არასერიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებენ. არ მომწონს, როცა გოგო პირფერობით გამოირჩევა და ბიჭთან მხოლოდ იმიტომ აქვს ურთიერთობა, რომ სჭირდება.

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მშვენიერი სქესისგან გული გაქვთ ნატკენი.

— კი, ყოფილა შემთხვევა, რომ გოგოს მოვუტყუებივარ. ამის გამო მათი ნდობა ისე დავკარგე, მეგობარ გოგოსთანაც გავწყვიტე ურთიერთობა. ამ ტყუილის მერე გოგოს ძალიან რთულად ვენდობი. წყვილის ურთიერთობაში მთავარი ნდობაა, რასაც ტყუილი ყველაზე მეტად უშლის ხელს.

— შეყვარებული გყოლიათ?

— ერთადერთხელ მიყვარდა, ორი წლის წინ, მაგრამ ის სიყვარული დასრულდა. ალბათ ბავშვური გატაცება უფრო იყო, მაგრამ, როგორც პირველი გრძნობა, მაინც დასამახსოვრებელი აღმოჩნდა. ამ სიყვარულმა ლამაზი მოგონებები დამიტოვა, დღეს კი მასთან აღარაფერი მაკავშირებს. ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ მისალმებით შემოიფარგლება. დღეს შეიძლება რამდენიმე გოგო ერთად მომწონდეს, მაგრამ პირველი სიყვარულის შემდეგ სერიოზული ურთიერთობა არავისთან მქონია.

— როცა გიყვარდათ, როგორ გამოხატავდით ამ გრძნობას?

— შეყვარებული სანდრო კახიძე საყვარელი გოგოს გამო ყველაფერს აკეთებს. სიყვარულის გამო ყველაფერზე წავსულვარ, არაფერი დამითმია. თუ ადამიანი მიყვარს, არ დავკარგავ. ზოდიაქოთი ქალწული ვარ და ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულების მსგავსად მეც რომანტიკული ვარ, მით უმეტეს, შეყვარებულობის პერიოდში, თუმცა მარტოობაც ძალიან მიყვარს. მაქვს ხოლმე პერიოდები, როცა მინდა, მარტო დავრჩე და ჩემს მომავალ ცოლზე ვიფიქრო. შეყვარებულისთვის არასოდეს მიმღერია, მაგრამ რომ მეყოლება, აუცილებლად ვუმღერებ. ჯერ-ჯერობით ჩემს ცხოვრებაში ისეთი გოგო არ გამოჩენილა, ვისაც ყველანაირად გავუგებ.

— როგორი ქალი შეძლებს თქვენს გაგებას?

— ვინც ერთგულება იცის და სილამაზესთან ერთად დადებითი თვისებებითაც გამოირჩევა. როგორც ჩემი მეგობრები მეუბნებიან, ძალიან მშვიდი ხასიათი მაქვს, ამიტომ ჩემი მეორე ნახევარიც რომ ასეთივე მშვიდი იყოს, ვერ შემავსებს. მოკლედ, ჩემ გვერდით ერთგული და მზრუნველი გოგო წარმომიდგენია.

> „ჭკვიან ქალთან ურთიერთობა რთულია, მაგრამ სასიამოვნო. თუ ჭკვიან ქალს უყვარხარ, ეს ძალიან დიდი ბედნიერებაა! ვეთანხმები გამოთქმას, რომ მაგარი ქალის უკან მაგარი კაცი დგას“.

განათლებულ ადამიანებს ძალიან ვაფასებ. ვფიქრობ, რომ ინტელექტი ურთიერთობებში ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ჭკვიან ქალთან ურთიერთობა რთულია, მაგრამ სასიამოვნო. თუ ჭკვიან ქალს უყვარხარ, ეს ძალიან დიდი ბედნიერებაა! ვეთანხმები გამოთქმას, რომ მაგარი ქალის უკან მაგარი კაცი დგას. ქალზე ნამდვილად ბევრი რამაა დამოკიდებული. ვინც კი ოდესმე მომწონებია, ყველა ძალიან განათლებული და ჭკვიანი ყოფილა. გოგოსთვის რჩევა ხშირად მიკითხავს და გამომდგომია კიდეც.

— რა პროფესიის ქალი ვერ წარმოგიდგენიათ თქვენ გვერდით?

Cyan Magenta Yellow Black

— კალათბურთელი. მე 180 სანტიმეტრი ვარ, ისინი კი 2 მეტრამდე არიან. მოკლედ რომ გითხრათ, კალათბურთელ გოგოს ჩემთან შანსი არ აქვს!

— ქალსა და კაცს შორის ყალდებულებებისგან თავისუფალი, ჩარჩოებგარეშე ურთიერთობა თქვენთვის მისაღებია?

— ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე და ქართულ ადათ-წესებს ძალიან დიდ პატივს ვცემ, თუმცა რაღაცეები მიუღებელია ჩემთვის. მაგალითად, არაქალიშვილი გოგოს ოჯახში შემოყვანა შეიძლება ჩემთვისაც მიუღებელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის გამო ადამიანი არ უნდა შეგიყვარდეს. შეიძლება გოგოს ოჯახი რაღაც მიზეზის გამო დაენგრეს, მაგრამ რადგან უკვე გათხოვილი იყო, არ შეიძლება მეორეხარისხოვნად აქციო.

— სიმღერას ახლა მოჰკიდეთ ხელი სერიოზულად, მანამდე რას აკეთებდით?

— ერთი პერიოდი წყალბურთელი ვიყავი. სწავლის გამო თავი დავანებე, მაგრამ ფორმაში რომ ვიყო, მაინც ვვარჯიშობ. ამჟამად ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ვსწავლობ. პირველი კურსი წარმატებით დავხურე და ახლა მეორე კურსზე ვარ. პროექტის გამო გაცდენა ხშირად მიწევს, მაგრამ ყველა ხელს მიწყობს. ჩემი უნივერსიტეტელი გოგონები ძალიან აქტიურობენ. იმედი მაქვს, ლაივ კონცერტებზე ესემესებსაც გამომიგზავნიან. უნივერსიტეტშიც ბევრი გოგო მეპრანჭება. ზოგი არ იმჩნევს, მაგრამ მამაკაცური ინტუიცია ყოველთვის ამართლებს და იოლად ვხვდები.

— დაბოლოს, რა ეტაპზეა პროექტი?

— კონკურენცია უკვე საკმაოდ იგრძნობა. რამდენიმე ეტაპი წარმატებით გადავლახე. მალე ლაივ კონცერტები დაიწყება, სადაც ყველაფერი ესემესებზე იქნება დამოკიდებული. ალბათ ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ გოგონებს თავი მოვაწონო და დამიმესიჯონ. მეგობრები მეუბნებოდნენ, შენ ისეთი კარგი ტიპი ხარ, ბევრი გოგო დაგიმესიჯებსო და ვნახოთ, რას იზამენ.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

ლენს არმსტრონგმა დოპინგის მოხმარება აღიარა

ნარსულში სახელგანთქმულმა ამერიკელმა ველოსიპედისტმა, ლენს არმსტრონგმა, რომელსაც დოპინგის მოხმარების გამო „ტურ დე ფრანსის“ მრავალდღიანი ველორბოლის გამარჯვებულის ტიტული ჩამოართვეს, განაცხადა, რომ ველოსპორტსმენთა მსოფლიო კავშირის (UCI) ყოფილი პრეზიდენტი ჰეინ ვერბრიუგენი მას დოპინგის მოხმარებისთვის სასჯელის თავის არიდებაში ეხმარებოდა. ამ ინფორმაციას ბრიტანული გამოცემა „დეილი მეილი“ ავრცელებს.

არმსტრონგის თქმით, 1999 წელს, „ტურ დე ფრანსის“ რბოლის დროს, დადებითი შედეგის დოპინგ-ტესტი ჩააბარა და ეს ვერბრიუგენისთვის ცნობილი იყო, მაგრამ მან არ ისურვა ამ ფაქტის გახმაურება. შედეგად არმსტრონგს ძველი რიცხვით გამოუწერეს რეცეპტი საცხზე, რომელიც აკრძალულ ნივთიერება კორტიზონს შეიცავს და რომელსაც ის თითქოსდა ტრავმის სამკურნალოდ იყენებდა.

არმსტრონგს დოპინგის გამოყენების ბრალდება აშშ-ის ანტიდოპინგურმა სააგენტომ (USADA) წაუყენა, რომელმაც 2012 წელს გამოაქვეყნა საგანგებო გამოძიების შედეგების მასალები. მასში არმსტრონგი მოხსენიებული იყო, როგორც მსოფლიო სპორტის ისტორიაში ყველაზე დახვეწილი და წარმატებული დოპინგ-პროგრამის შემქმნელი.

ამ მასალების გამოქვეყნების შემდეგUCI-მ გადაწყვიტა, ლენს არმსტრონგისთვის ჩამოერთმია მის მიერ მოპოვებული ყველა ტიტული, მათ შორის, სიდნეის 2000 წლის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალიც და სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

2013 წლის იანვარში ოპრა უინფრისთვის მიცემულ ინტერვიუში სპორტსმენმა პირველად აღიარა, რომ თავისი სპორტული კარიერის განმავლობაში ხშირად იყენებდა აკრძალულ პრეპარატებს.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე არმსტრონგმა თანამშრომლობა დაიწყოUCI-ს ახალ ხელმძღვანელობასთან, რომელმაც ველოსპორტში დოპინგის გამოყენების გამოაშკარავებაზე დაიწყო მუშაობა. ამასთან დაკავშირებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ასეთი ფაქტების გამოვლენის შემდეგ შესაძლოა სპორტსმენს დისკვალიფიკაციის ვადა 8 წლამდე შეუმცირონ.

ვერბრიუგენსUCI-ს პრეზიდენტის პოსტი 1991 წლიდან 2005 წლის ჩათვლით ეკავა. 2013 წლის ნოემბერში კი საპატიო პრეზიდენტის პოსტი დატოვა, რომელიც 2008 წლიდან ეკავა. ველოსპორტის ეროვნული ფედერაციებისთვის გაგზავნილ წერილში, რომელიც თანამდებობიდან მის გადადგომას შეეხებოდა, ის წერდა, რომ კანონგარეშე ქმედება არ ჩაუდენია და მისი სინდისი აბსოლუტურად სუფთაა.

მწვრთნელებიც ჩხუბობენ

ფილიპინელი მოკრივე მენი პაკიაოსა და ამერიკელი მოკრივე ბრენდონ რიოსის მწვრთნელებმა 20 ნოემბერს მაკაოში ჩატარებული ღია ვარჯიშის დროს ჩხუბი გამართეს.

კონფლიქტი მას შემდეგ დაიწყო, რაც პაკიაოს მწვრთნელმა ფრედი როუჩმა რიოსის წარმომადგენლებს სპორტული დარბაზის დატოვება იმ მოტივით მოსთხოვა, რომ მათი ვარჯიშის დრო უკვე დამთავრებული იყო. როცა რიოსის მწვრთნელმა რობერტ გარსიამ უპასუხა, რომ მათ კიდევ ჰქონდათ დრო, როუჩმა მას „უტვინო მექსიკელი“ უწოდა.

ამის შემდეგ კონფლიქტში ამერიკელი მოკრივის ფიზიოთერაპევტი ალექს არისი ჩაერია. მან როუჩს, რომელიც პარკინსონის დაავადებით იტანჯება, დაცინვა დაუწყო, შემდეგ კი მოულოდნელად მიუახლოვდა და მკერდში ჩასცხო. იმ წამსვე საქმეში სპორტული დარბაზის დაცვის სამსახურის წარმომადგენლები ჩაერივნენ და როუჩი გარეთ გაიყვანეს.

ამ ინციდენტის შემდეგ რობერტ გარსიამ განაცხადა, რომ კონფლიქტის წამომწყები სწორედ როუჩი იყო, რომელმაც ის უმიზეზოდ გამოლანძღა. მწვრთნელმა იქვე დაამატა, რომ ის ამ ინციდენტის დროს შეურაცხმყოფელ გამოთქმებს იყენებდა მექსიკელებისა და ებრაელების მისამართით. არისმა კი თავის მხრივ განაცხადა, რომ იძულებული გახდა, კონფლიქტში ჩარეულიყო, ვინაიდან როუჩის ქმედება სულ უფრო მეტად აგრესიულ სახეს იღებდა.

პაკიაოს მწვრთნელმა რასიზმთან დაკავშირებით მის მიმართ გამოთქმული ბრალდება უარყო. როუჩმა აღიარა, რომ მან მართლაც უწოდა იქ მყოფ ერთ-ერთ რეპორტიორს ებრაელი, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ გააკეთა, რომ მისი სახელი არ იცოდა.

ამ აყალმაყალის დროს რიოსი ველოტრენაჟორზე ვარჯიშობდა, ხოლო მისი მეტოქე პაკიაო იმ მომენტში სპორტულ დარბაზში არ იმყოფებოდა.

უკრაინელი ფეხბურთელი რეანიმაციაში აღმოჩნდა

ყიევის „დინამოს“ ყოფილი კაპიტანი ვლადისლავ ვაშჩუკი ავტოსაგზაო შემთხვევის გამო რეანიმაციულ განყოფილებაში აღმოჩნდა. ავარიის შედეგად ვაშჩუკს ნეკნი აქვს მოტეხილი და ფილტვი დაზიანებული. ამის თაობაზე განცხადება ფეხბურთელის ყოფილმა ცოლმა, მარგარიტა სიჩკარმა გააკეთა.

ავტოავარია კიევში დილის 7 საათზე მოხდა. 38 წლის ფეხბურთელი თავისი „ტოიოტათი“ სატვირთო ავტომობილის გასწრებას მარჯვენა მხრიდან ცდილობდა და ამ დროს შეეჯახა კიდეც. სპორტსმენის მანქანა სერიოზულად დაზიანდა, სატვირთოს დაზიანება კი უმნიშვნელოა და არც მისი მძღოლი დაშავებულა.

ვაშჩუკს ბოლო დროს კიევის საფეხბურთო კლუბ „არსენალის“ სპორტული დირექტორის თანამდებობა ეკავა. თავისი სპორტული კარიერის უმეტესი ნაწილი კიევის „დინამოში“ გაატარა, გარდა ამისა, კიდევ რამდენიმე უკრაინულ კლუბსა და მოსკოვის „სპარტაკში“ გამოდიოდა. უკრაინის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ვაშჩუკს 63 მატჩი აქვს ჩატარებული.

✓ **მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

Cyan Magenta Yellow Black

ლამას ბეწვის წინდა 1200 დოლარად

გერმანიაში ერთ-ერთმა წინდების მწარმოებელმა კომპანიამ ცოტა ხნის წინ შემოდგომა-ზამთრის კოლექცია გამოუშვა, რომელშიც 1200 დოლარად ღირებული ყავისფერი წინდაც შევიდა. წინდა აქლემისებრთა ოჯახის წარმომადგენელი ცხოველის, ლამას, მსოფლიოში ყველაზე იშვიათი და ძვირადღირებული ბეწვისგანაა შექმნილი. ეს ცხოველი ანდებში ბინადრობს და თითოეული მათგანი 500 გრამ ბეწვს იძლევა.

ყველაზე ძვირადღირებული წინდა ხის ყუთებშია მოთავსებული. კომპანიამ სულ 10 წყვილი ასეთი წინდა გამოუშვა და ჟახლოეს მომავალში ლამას ბეწვისაგან პულოვერების დამზადებასაც აპირებს. ასეთი პულოვერი 3 000 დოლარი ეღირება.

ხის ყველაზე მაღალი სკულპტურა ჩინელმა შექმნა

ჩინელი მხატვარი ჟენ ხუმჰუი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. მან ხისგან ყველაზე დიდი სკულპტურა შექმნა, რომლის სიგრძე 12,2 მეტრს აღწევს. ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად კი ზუსტად 4 წელი დასჭირდა.

სკულპტურა შექმნილია ნახატის მიხედვით, რომელზეც ჩინეთის ქალაქ კაიფენის ლანდშაფტია ასახული. აღსანიშნავია, რომ სკულპტურული გამოსახულებები და ნახატის დეტალები აბსოლუტურად იდენტურია.

მაღლი ჰიტლერი

ინგლისში, ქალაქ იორკში მცხოვრები 7 თვის ბულდოგის ჯიშის ლეკვი, სახელად პატჩი, საოცრად ჰგავს ადოლფ ჰიტლერს. პატრონის, ლინდა უაითჰედის თქმით, ლეკვი საკუთარ სახელზე აღარ რეაგირებს, რადგან ბოლო დროს მას ყველა ნაცისტი დიქტატორის სახელს ეძახის.

ადოლფსა და ლეკვს შორის მართლაც საოცარი მსგავსებაა — გვერდზე გადაწეული შავი თმა და პატარა ულვაში.

დასაფლავებული კაცი სახლში დაბრუნდა

პოლონეთის ქალაქ ლუბლინში 2 წლის წინ გაუჩინარებული 38 წლის იაროსლავ კაროლინსკი სახლში უვნებელი დაბრუნდა. იაროსლავი 2011 წლის ოქტომბერში სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა. რამდენიმე თვეში პოლიციამ უკრაინის საზღვრის მახლობლად მამაკაცის გვამი იპოვა, რომელიც კაროლინსკის მშობლებს თავიანთი შვილი ეგონათ და დაკრძალეს. გასულ კვირას სახლში დაბრუნებულ კაცს შავებში ჩაცმული, მგლოვიარე მშობლები დახვდნენ. დედას „გარდაცვლილი“ შვილის დანახვაზე გული წაუვიდა.

არ ვრცელდება ინფორმაცია, თუ სად იმყოფებოდა ამ ხნის განმავლობაში იაროსლავი. ამჟამად პოლიცია იმას არკვევს, 2 წლის წინ ვისი გვამი დაკრძალა კაროლინსკების ოჯახმა.

თვითმფრინავის საპირფარეშოში ოქროს ზოდები იპოვეს

ინდოეთის ქალაქ კოლკატას აეროპორტში თვითმფრინავის დამლაგებლებმა ტუალეტში დამალული 1,2 მილიონის ღირებულების 24 ოქროს ზოდი იპოვეს. თითო ზოდი დაახლოებით 1 კილოგრამს იწონის.

ეს რეისი ბანგკოკიდან ჩაფრინდა კოლკატაში. როცა დამლაგებლებმა მომდევნო გაფრენამდე თვითმფრინავის სალონის დალაგება დაიწყეს, ტუალეტში ორი ჩანთა აღმოაჩინეს, რომლებიც თავიდან ასაფეთქებელი მოწყობილობა ეგონათ, მაგრამ... მათში ოქროს ზოდები ეწყო.

როგორც გაირკვა, ეს თვითმფრინავი ძირითადად დუბაიდან მუმბაიში დაფრინავს ხოლმე, სადაც ინდოეთის ყველაზე დიდი ოქროს ბაზარია. პოლიციას ეჭვმიტანილი უკვე ჰყავს, მაგრამ მის ვინაობას მკაცრად ასაიდუმლოებს.

Cyan Magenta Yellow Black

პირველი ძაღლი, რომელმაც ევერესტი დაიპყრო

ერთ დროს უპატრონო ძაღლი, სახელად რუპი, პირველი ძაღლია მსოფლიოში, რომელმაც ევერესტი დაიპყრო. ინდოეთის ერთ-ერთ ქალაქში 8 თვის პატარა, მაწანწალა ძაღლი დანიელმა მთამსვლელმა, ჯონ ლარსონმა იპოვა და სამშობლოში წაიყვანა. სულ მალე კი ლარსონი და რუპი საუკეთესო მეგობრები გახდნენ.

მთამსვლელმა რუპი მხოლოდ ვეტერინარის თანხმობის შემდეგ გაიყოლა ევერესტის დასალაშქრად და ასე გახდა ის ოფიციალურად პირველი ძაღლი, რომელიც 5 000 მეტრ სიმაღლეზე ავიდა ევერესტის ბანაკში. ჯონამა და რუპიმ ბანაკს ზუსტად 13 დღეში მიაღწიეს.

მდიდარი კატები

შეძლებულმა კაცმა, სახელად ლეონ შეპარდმა, მთელი თავისი ქონება ორ კატას დაუტოვა. ლეონს თავისი კატები ძალიან უყვარდა, უფრო მეტიც, მათ ოჯახის სრულუფლებიან წევრებად თვლიდა. ანდერძის თანახმად, ლეონმა კატებს, სახელად ფრისკოსა და ჯეისს, უზარმაზარი ვილა და 250 ათასი დოლარი დაუტოვა.

შეპარდი 79 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას 5 შვილი დარჩა, რომლებიც მემკვიდრეობას მხოლოდ ფრისკოს სიკვდილის შემდეგ მიიღებენ, ჯეისი კი იქ უნდა გადაიყვანონ, სადაც საუკეთესო პირობები ექნება.

ჯაცი, რომელიც 405 ჯილოიანი ჩინის ფეხსაცმლით დადის

51 წლის ჩინელი ჩან ფუსინისათვის სიმძიმის ტარება პრობლემას აღარ წარმოადგენს. ფაბრიკის მუშა ბოლო 7 წელია, დილაობით 20 წუთის განმავლობაში რკინის ფეხსაცმლით სეირნობს, რომლის წონაც 405 კილოგრამს შეადგენს. ფეხსაცმელი სიგრძეში 30 სანტიმეტრია, სიგანეში — 20, ხოლო სიმაღლეში — 40. ჩანმა ფეხსაცმელები რკინისგან თავად შეადუღა. თავიდან მათი წონა 70 კილოგრამი იყო, მაგრამ ვარჯიშის ნიადაგზე თანდათან წონის დამატება დაიწყო.

ამჯერად ფეხსაცმელები საწყისზე 7-ჯერ მეტს იწონის და ყველასთვის გამოცანად რჩება, როგორ ახერხებს ჩან ფუსინი რამდენიმე მეტრის გავლას. მისი ოცნებაა, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდეს.

საშობაო განათებით დამეარებული მსოფლიო რეკორდი

ავსტრალიაში მცხოვრებმა რიჩარდსების ოჯახმა საშობაო განათებით ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მათ სახლი, რომელიც ქვეყნის დედაქალაქის, კანბერას გარეუბანში მდებარეობს, 500 ათასზე მეტი საშობაო ნათურით მორთეს. რეკორდი უკვე ოფიციალურად დააფიქსირა გინესის მსოფლიო რეკორდების წარმომადგენელმა.

ზღაპრული სანახაობის დასათვალიერებლად რიჩარდსების ეზოში ყოველდღიურად უამრავი ადამიანი იკრიბება. ოჯახის უფროსის, დევიდის ვარაუდით, მათი შემოსავალი 90.000 დოლარამდე გაიზრდება, რომელსაც გაჭირვებულ ადამიანებს გადაურიცხავს.

შეგახსენებთ, რომ ეს არ არის ოჯახის პირველი რეკორდი, 2011 წელს მათ სახლი 331 038 ნათურით მორთეს, 2012 წელს კი მათი რეკორდი ნიუიორკელმა ოჯახმა გააუმჯობესა.

გაბრაზებულმა ქალმა 100 წყვილი ფეხსაცმელი შეიძინა

ჩინეთში, სიჩუანის პროვინციაში მცხოვრებმა 26 წლის ქალმა, ვანგ უანგმა, მეგობარ კაცთან ჩხუბის შემდეგ, შურისძიების მიზნით, 100 წყვილი ფეხსაცმელი შეიძინა. როგორც მაღაზიის ადმინისტრაცია აცხადებს, მან ამ შენაძენში 20.000 იუანი (3.300 დოლარი) დახარჯა. ფეხსაცმელები ავტომობილში რომ არ ჩაეტია, ქალმა წებოვანი ლენტით ნაწილი მანქანას ზემოდან დააკრა. ვანგის მიერ შეძენილ კოლექციაში ყველა სტილისა და სეზონის ფეხსაცმელია, რამდენიმე წყვილი კი მამაკაცისაც გამოერია.

ფეხსაცმელების ფანს მედიის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ. ვანგ უანგის განცხადებით, მისმა მეგობარმა მამაკაცმა ე.წ. მარტოხელების ფესტივალის დღეებში, რომლის დროსაც ონლაინ შოპინგი ძალიან პოპულარულია, სასურველი ფეხსაცმლის შეძენის უფლება არ მისცა და სწორედ ამიტომ იყიდა ერთდროულად 100 წყვილი ფეხსაცმელი.

Cyan Magenta Yellow Black

ლოთად ხომ არ ჩამოყალიბდით?

ყოველ დადებით პასუხში 1 ქულა დაიწერეთ.

1. თვლით, რომ უსიამოვნებებთან გასამკლავებლად ყველაზე კარგი საშუალება ბოთლი ღვინო, ასი გრამი არაყი ან კათხა ლუდია?

2. ოდესმე ისე დამთვრალხართ, რომ მეორე დღეს ვერ გაგიხსენებიათ, რას აკეთებდით?

3. თვლით, რომ მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ კონიაკის გადაკვრა მხნეობისთვის არ გაწყენთ?

4. ნაცნობები თქვენზე ამბობენ, რომ ცოტა ნასვამი ძალიან საინტერესო და მხიარული ადამიანი ხდებით?

5. როცა რამდენიმე დღე გადაბმულად სვამთ, ამის გამო სინდისი გქენჯნით?

6. სასმელის ბოთლებს მალავთ, რათა ოჯახის წევრებმა არ შეამჩნიონ, რომ დალიეთ?

7. მეგობრებს დალევაში ეჯიბრებით?

8. ყოფილა შემთხვევა, დაგილევიათ და არაფერი გახსომებიათ, რაც ხდებოდა?

9. ყოფილა შემთხვევა, როცა საჭესთან მთვრალი დამჯდარხართ?

10. თვლით, რომ სინდისის ქენჯნას და ნერვიულობას ისევ დალევა სჯობია?

11. სამსახურში, კოლეგებთან ერთად ხშირად დაგილევიათ?

12. დალევის შემდეგ გუნება-განწყობა გიუმჯობესდებათ და უსიამოვნებები გავიწყდებათ.

13. პირველ ჭიქას ყოველთვის ბოლომდე სვამთ?

14. შეგიძლიათ მარტომ, თანამეინახის გარეშეც მშვენივრად დალიოთ?

15. ცოტა სპირტიანი სასმელი სახლში ყოველთვის გაქვთ გადანახული?

16. თვლით, რომ ალკოჰოლი წამალია?

17. არამსმელი ადამიანები გაღიზიანებენ?

18. არასოდეს ითვლით, რამდენ ჭიქას სვამთ?

19. ყოველთვის იმდენს სვამთ, რამდენის შესაძლებლობაც კონკრეტულ მომენტში გაქვთ?

20. ღიზიანდებით, როცა გირჩევენ, რომ ცხოვრების წესი უნდა შეიცვალოთ?

შედეგები:

0-1 ქულა — თუ ტესტის კითხვებს ალალად უპასუხეთ, შეიძლება ითქვას, რომ არამსმელი ბრძანდებით.

2-4 ქულა — ტესტის შედეგების მიხედვით, ალკოჰოლიზმი არ გემუქრებათ.

5 ქულა — კარგი შედეგია, თუმცა სიფხიზლე არ მოადუნოთ და ხანდახან თავი აკონტროლეთ.

6-12 ქულა — თავი არ მოიტყუოთ, რომ სპირტიანი სასმელი ვერაფერს დაგაკლებთ. ეცადეთ, რამდენიმე კვირა ალკოჰოლს არ გაეკაროთ და დააკვირდით, როგორი რეაქცია გექნებათ.

12 ქულაზე მეტი — თუ ტესტის შეკითხვებზე პასუხის გაცემისას არ ხუმრობდით და ტესტი სერიოზულად გაიარეთ, დიდი პრობლემა გაქვთ — თქვენნაირებს კლასიკურ ლოთებს ეძახიან. კარგი იქნება, თუ ექიმს მიმართავთ დახმარებისთვის. გირჩევთ, ალკოჰოლისკენ მიდრეკილება სასწრაფოდ ჩაახშოთ.

აქტიურად მომქმედი ხართ თუ გვერდიდან დამკვირვებელი?

1. შინაგან დაძაბულობას და მღელვარებას ხშირად გრძნობთ?

ა) არასოდეს — 0
ბ) იშვიათად — 5
გ) საკმაოდ ხშირად — 10
დ) იშვიათად — 5

2. როგორ შეაფასებდით თქვენს მოთმინების უნარს?

ა) საკმაოდ ძლიერი — 5
ბ) ზომიერი, შეიძლება ხანდახან ავფეთქდე კიდეც — 5
გ) საერთოდ არ გამაჩნია — 10
დ) რაღაცეები შემიძლია მოვითმინო კიდეც, გააჩნია სიტუაციას — 5

3. გიყვართ საკუთარი წარმატებების აფიშირება?

ა) არა — 0
ბ) იშვიათად — 5
გ) დიახ, ამის აფიშირება მიყვარს — 10
დ) ზოგჯერ, როცა ეს საჭიროა —5

4. როგორ გრძნობთ თავს ქორწილში ან წვეულებაზე?

ა) ჩვეულებრივად — 5
ბ) როგორც თევზი წყალში — 10
გ) ცოტა ვიბოჭები — 10
დ) დაძაბული ვარ — 0

5. საქმეებს წინასწარ გეგმავთ?

ა) როდის, როგორ — 5
ბ) არასოდეს — 5
გ) აუცილებლად, სხვაგვარად არ შემიძლია — 10
დ) ვგეგმავ, ოღონდ მხოლოდ უახლოეს საქმეებს — 10

6. ტელევიზორს ხშირად უყურებთ?

ა) დიახ — 0
ბ) მხოლოდ ახალ ამბებს — 10
გ) იშვიათად — 5
დ) გააჩნია, რა გადაცემას უჩვენებენ — 5

7. ფულს როგორ ხარჯავთ?

ა) ვცდილობ, ეკონომიურად ვხარჯო — 5
ბ) ხარჯვაში ძუნწი ვარ — 0
გ) გააჩნია სიტუაციას — 5
დ) ვფლანგავ, რასაც ძალიან ვნანობ — 10

შედეგები:

60-70 ქულა — ზედმეტად აქტიური და საქმიანი ხართ, რის გამოც გარშემომყოფთა ყურადღებას იქცევთ. შინაგანი შფოთვა და ნერვიულობა კი ზოგჯერ დაუფიქრებელი საქციელისკენაც გიბიძგებთ.

30-55 ქულა — ზომიერად აქტიური ბრძანდებით და საქმესაც მეტნაკლებად ართმევთ თავს. ეს გარკვეულ თავდაჯერებულობას განიჭებთ და საქმესაც გაცილებით შემართებით აკეთებთ.

0-25 ქულა — პასიური ხართ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ უმოქმედობა თქვენი უუნარობითაა გამოწვეული. უბრალოდ, ცხოვრებაში დამკვირვებლის როლი უფრო გიზიდავთ, ვიდრე აქტიური მონაწილის.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

7	1	8						
			4	2	5			
						6	9	3
		5	8	1			2	
	4			6				
3					9	1		
5								7
	9			7		8		
		2	3				4	

№ 2

7					4			9
	1		8				6	
		9		6		4		
			5		3		7	
	4			7				
8			1		9	5		
		2				8		
	3				7		1	
5			2			3		4

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.

Cyan Magenta Yellow Black

ცივი ხართ თუ ვნებიანი?

1. ბავშვობაში უფროსების ალერსი გსიამოვნებდათ?
ა) დიახ — 3
ბ) არა — 1

2. მშობლები ხშირად გეფერებოდნენ?
ა) დიახ — 3
ბ) არა — 0

3. ბევრი სათამაშო გქონდათ?
ა) დიახ — 3
ბ) არა — 0

4. როგორ ფიქრობთ, ქალური ხართ?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0

5. ცეკვა გიყვართ?
ა) დიახ — 3
ბ) არა — 0

6. უპირატესობას სამეჯლისო ცეკვებს ანიჭებთ?
ა) დიახ — 3
ბ) არა — 0

7. ფანქრის თავის ღრღნა გჩვევიათ?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0

8. დასახულ მიზანს თითქმის ყოველთვის აღწევთ?
ა) დიახ — 0
ბ) არა — 1

9. მოგწონთ საკუთარი შიშველი სხეულის სარკეში თვალიერება?
ა) დიახ — 3
ბ) არა — 0

10. როცა მამაკაცი დანახარჯს თქვენ მაგივრადაც იხდის, პროტესტის გრძნობა გიჩნდებათ?
ა) დიახ — 3
ბ) არა — 0

11. სწრაფად ჭამთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

12. სურვილი გაქვთ, სამი და მეტი შვილი გყავდეთ?
ა) დიახ — 3
ბ) არა — 0

13. ხმაური საშინლად გიშლით ნერვებთ?
ა) დიახ — 0
ბ) არა — 2

14. გჩვევიათ ლამაზი საგნებით აღფრთოვანება?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

15. გჩვევიათ შენიშვნებისა და დავალებების მიცემა?
ა) დიახ — 0
ბ) არა — 1

16. უსარგებლო ნივთებს იოლად ელევით?
ა) დიახ — 0
ბ) არა — 1

17. მიგაჩნიათ, რომ სინაზე მხოლოდ მამაკაცის მოსახიბლად არაა საჭირო?
ა) დიახ — 3
ბ) არა — 0

18. რა რეაქცია გაქვთ, როცა სხვები თქვენ მიმართ სინაზეს იჩენენ?
ა) ვიმორცხვებ — 0
ბ) ეს ძალიან მსიამოვნებს — 3
გ) ამას მოკრძალებით ვეკიდები — 0

19. ყველაზე მეტად რომელი ჯიშის ძაღლი მოგწონთ?
ა) მეძებარი — 1
ბ) პუდელი — 0
გ) სპანიელი — 2
დ) ტაქსა — 3

20. სასიყვარულო წერილი მიიღეთ, როგორ მოიქცევით?
ა) სამახსოვროდ შევინახავ — 2
ბ) დავხევ და გადავყრი — 0
გ) თუ იმ ადამიანისგანაა, ვინც მიყვარს, შევინახავ, სანამ ერთად ვართ — 1

შედეგები:

20 ქულაზე ნაკლები — სინაზის გამოვლენა თქვენთვის პრობლემაა, თუმცა გსიამოვნებთ, როცა გარშემომყოფები იჩენენ თქვენ მიმართ ყურადღებას და სინაზეს. ეცადეთ, თავისუფლად გამოამჟღავნოთ საკუთარი გრძნობები და ახლობლებსა და გარშემომყოფებს გაუფანტოთ აზრი, რომ ცივი ქალი ხართ.

20-35 ქულა — თუ შეძლებთ შიშისა და საკუთარი სიმორცხვის დამარცხებას, მართლაც ნაზი ქალი იქნებით. კარგი მასწავლებელი გჭირდებათ, რომ ერთი-ორი გაკვეთილი ჩაგიტაროთ, თუ როგორი უნდა იყოს ვნებიანი ქალი. გირჩევთ, კომპლექსებისაგან გათავისუფლდეთ და მეტი თავისუფლება გამოიჩინოთ.

35-45 ქულა — ნაზი და ვნებიანი ქალი ხართ. არ გიჭირთ საკუთარი გრძნობების გამოხატვა. არც ადამიანებთან ურთიერთობა გიჭირთ, რადგან ყველას უყვარხართ და მოსწონხართ.

45 ქულაზე მეტი — ვნებიანი და უნაზესი ქალი ხართ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მამაკაცებს ჭკუას აკარგვინებთ და მათთვის ნამდვილი საგანძური ბრძანდებით.

მიდრეკილი ხართ აგრესიისადმი?

1. ნერვიულობის დროს წონასწორობას ადვილად კარგავთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

2. როცა ვიღაცას პრინციპულად არ ეთანხმებით, ხმამაღალ ლაპარაკზე და კამათზე გადადიხართ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

3. თვლით, რომ სხვებს თქვენი შურთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

4. ვინმეს ჯიბრით რამეს გაკეთება გსიამოვნებთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

5. თვლით, რომ ძალა უკეთესი დამხმარეა, ვიდრე ლოგიკა?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

6. გარშემომყოფების მიმართ ხშირად უხეშობთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

7. საშინელებათა ან საბრძოლო ჟანრის ფილმებს ხშირად უყურებთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

8. გჩვევიათ თქვენზე სუსტების აბუჩად აგდება?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

9. არსებობს ადამიანი, რომელსაც ვერ იტანთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

10. ამჩნევთ, რომ გარშემომყოფები თავს გარიდებენ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

11. შვილების დასჯა გჩვევიათ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

12. ოდესმე გაბრაზებულს რამე დაგილეწავთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

13. მიგაჩნიათ, რომ ზოგიერთი დანაშაულისთვის სიკვდილით დასჯა მისაღებია?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

შედეგები:

5-13 ქულა — აგრესიისადმი საოცარი მიდრეკილება გაქვთ. საკუთარი ქცევების კონტროლი გიჭირთ. გახსოვდეთ — დაცინვაც კი აგრესიაა! ხომ არ დადგა დრო, საკუთარი ქმედებები გააანალიზოთ?

0-4 ქულა — გარშემომყოფებისადმი კეთილგანწყობილი ხართ. თბილი, დამთმობი, გულჩვილი ადამიანი ხართ. იფრთხილეთ, ზედმეტი არ მოგივიდეთ, რადგან შესაძლოა, თავად გახდეთ აგრესიის ობიექტი.

Cyan Magenta Yellow Black

როგორ გავიუმჯობესოთ ჰორმონული ფონი

ადამიანის ორგანიზმი ყოველთვის ესწრაფვის სასიცოცხლო ბალანსის შექმნა-დაცვას. ამის მისაღწევად უამრავი შესაძლებლობა აქვს. სისხლში ამა თუ იმ ჰორმონის კონცენტრაციის შემცირებით ან გაზრდით შეგვიძლია ჩვენი ჰორმონული ფონი გავიუმჯობესოთ. ამაში განსაზღვრული სახეობის პროდუქტების მიღება გვეხმარება.

თირეოიდური ჰორმონი ფარისებური ჯირკვლის მიერ გამომუშავდება და დილაობით ადამიანის გარეგნობაზე, კარგ განწყობაზე და ძილის შემდეგ კარგ დასვენებაზეა პასუხისმგებელი. ამ ჰორმონის სტიმულაციისთვის გამოიყენეთ ზღვის პროდუქტები და ზღვის კომბოსტო, ფინიკი, ხურმა, ცირცელი, შავი ქლიავი, ყოლო, ატამი. ბოსტნეულიდან ყველაზე სასარგებლოა ბოლოკი, ისპანახი, მიწავაშლა, თალგამი.

სომატროპინი (ზრდის ჰორმონი) პასუხისმგებელია ფიზიკურ ფორმაზე, ახალგაზრდობას იცავს, სხეულს ამაგრებს, ყველა ძირითად კუნთს ავითარებს, დღის ენერგიას იძლევა, ძალას აღადგენს და მშფოთვარე მდგომარეობას აქრობს. კუნთების ზომიერი ფიზიკური დატვირთვა და ცილოვანი საკვები (თევზი, საქონლისა და ფრინველის ხორცი) ბალანსის დაცვას ეხმარება.

მელატონინი (ძილის ჰორმონი) პასუხისმგებელია დაძაბულობის მოხსნაზე, სისხლს ათხელებს, ღამით თვლემას იწვევს, თირეოიდული ჰორმონების აქტივიზაციის დახმარებით, დილით აღვიძებს. პროდუქტებიდან „უყვარს“ ბრინჯი და სიმინდი, ასევე ბანანი.

კორტიზოლის ჰორმონი აუცილებელ ენერგიას იძლევა იმისთვის, რომ სტრესი დავძლიოთ. მაგრამ ამ ჰორმონის სიჭარბე ფარისებური ჯირკვლის დაქვეითებას და თირეოიდული ჰორმონების ნაკლებობას იწვევს.

ესტრადიოლი (ქალური ჰორმონი) მკერდის განვითარებაში, შესანიშნავი ქალური ფორმების შექმნაში მონაწილეობს. სახესა და თვალებზე ზრუნავს, ჭარბი თმისგან იცავს, ამტანობას მატებს. რაციონში ცხოველურ ცილებს ითხოვს, ხოლო მაკარონის ნაწარმითა და პურით გატაცება არ ღირს.

ტესტოსტერონი (მამაკაცური ჰორმონი) ქალის ორგანიზმშიც გამომუშავდება და ენერგიის სტაბილურ მოზღვავებას უზრუნველყოფს, ცხიმოვან და კუნთურ მასას ანაწილებს, პასუხისმგებელია სექსუალურ ჯანმრთელობაზე. ქალებისთვის მოცემული ჰორმონის სიჭარბე მავნეა. მისი შემცირება შეიძლება, თუ გამოიყენებთ თაფლს, შაქარს, მცენარეულ ზეთს, ნატურალურ წვენებს, ნაღებსა და რძეს, თეთრ პურს.

პროგესტერონი (სიმშვიდის ჰორმონი) პასუხისმგებელია სიმშვიდეზე, უზრუნველობაზე, ძილს აუმჯობესებს. ამ ჰორმონის დონის დაქვეითების დროს საკვებში გამოიყენეთ ცხოველური ცილები (კვერცხი, თევზი, ცხიმიანი ხორცი და ფრინველი), P და C ვიტამინების შემცველი — ციტრუსები, ასკილი, შავი მოცხარი და სხვა.

სეროტონინი (სიხარულის ჰორმონი) დადებითი ემოციების (სიხარული, ბედნიერება, კმაყოფილება) განცდას ეხმარება. რეკომენდებულია შოკოლადი (რომელიც 70% კაკაოს შეიცავს). ის ბედნიერების ენდორფინებს ათავისუფლებს და მხნეობის მუხტს იძლევა. გამოიყენეთ ცხოველური ცილებით გაჯერებული პროდუქტები. ასევე სასარგებლოა ლობიო, ცერცვი, სოკო, პომიდორი, ბანანი, ქლიავი, ფინიკი და ლეღვი.

ყავა, ალკოჰოლი და მოდური ენერგიული სასმელები განწყობას დროებით ამაღლებს, ხოლო ენერგიის დროებითი მოზღვავება ნერვულ სისტემას ასუსტებს და ფიტავს. ამიტომ სწორი კვება, საკმაო ფიზიკური დატვირთვა და სტრესის მიმართ გამძლეობა არამხოლოდ განწყობას აუმჯობესებს, ასევე ჰორმონული ფონის აღდგენას ეხმარება. თავზე იმუშავეთ, ჯანმრთელობა გაიმაგრეთ და გარე სამყაროსთან ჰარმონიაში იყავით.

მოვიშუშოთ ბზარები ქუსლებზე

ქუსლებზე დახეთქილი კანი არამხოლოდ ესთეტიკურ, ასევე ფიზიკურ უხერხულობას ქმნის. ქუსლებზე ბზარების გაჩენის მიზეზია: სოკოვანი დაავადება, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, მექანიკური ფაქტორები (ვიწრო ფეხსაცმელი, სინთეტიკური წინდები და ა.შ.), კანის არასაკმარისად დატენიანება.

ნახეთქების ძირითადი მიზეზი მაინც არასაკმარისი დატენიანებაა. ისარგებლეთ ფეხის ნებისმიერი კრემით და სუფთა ტერფებზე ერთი თვის განმავლობაში ღამით წაისვით, ხოლო მოშუშების პროცესის დასაჩქარებლად ხალხური საშუალებები გამოიყენეთ.

მაღამო თაფლითა და ქონით

2 სუფრის კოვზ დამდნარ ღორის ქონს 1 სუფრის კოვზი თაფლი დაუმატეთ. წყლის აბაზანაზე გააცხელეთ და კარგად აურიეთ. ძილის წინ ქუსლებზე წაისვით და ნატურალური ქსოვილის წინდები ჩაიცვით. არ დაგავიწყდეთ, პროცედურის წინ ტერფები თბილ წყალში კარგად დაიბანოთ.

სახამებლის ნახევი

მცირე ბზარებს ადვილად აქრობს სახამებლის, კვერცხის გულისა და ლიმონის წვენის ნარევი. მომზადების წესი: 1 სუფრის კოვზ სახამებელს და 1 სუფრის კოვზ ლიმონის წვენს კვერცხის გული დაუმატეთ. ფეხები თბილ წყალში ჩაყავით, შეიმშრალეთ და მიღებული მასა ქუსლებზე წაისვით. როდესაც ნარევი გახმება, ფეხები თბილი წყლით დაიბანეთ და ქუსლებზე მკვებავი კრემი წაისვთი.

ბალახები

პროფილაქტიკისთვის გამოიყენეთ ფეხის აბაზანები ბალახების ნახარშით. გვირილის ნახარში — კანის აღსადგენად, მუხის ხის ქერქის — ჭარბი ოფლიანობისგან გასათავისუფლებლად, კალენდულას — ანთების ჩასაქრობად, სალბის — კანის დასამშვიდებლად.

რატომ სკდება ტუჩის ბოლოები

ანგულიტი — ეს არის პირის ლორწოვანი გარსის დაავადება, რომელიც ყველაზე ხშირად გამოწვეულია სტრეპტოკოკით ან საფუარის სოკოთი. ამ დროს ტუჩის ბოლოებში კანი სკდება, იბზარება, ჩნდება წყლული. პირის გაღება ძნელია ტუჩის კუთხეებში ტკივილის გამო. უსიამოვნო სიმპტომები ძლიერდება მჟავეს ან მარილიანის ჭამისას.

ანგულიტის ძირითადი მიზეზი ინფექციაა, მაგრამ დაავადება მხოლოდ მათ უტევს, ვისაც იმუნური სისტემა დაქვეითებული აქვს. ეს მთავარი ფაქტორია, რომელიც ბზარების გაჩენას ხელს უწყობს. ინფექცია შეიძლება გარედან (ჭუჭყიანი ჭურჭელი, ხელი) მოხვდეს ან შიგნიდან — (ნუშურა ჯირკვლების ანთება, სურდო, სტომატიტი) განვითარდეს. ქრონიკულ ანგულიტს ხელს უწყობს A, E და B ჯგუფის ვიტამინების, აგრეთვე რკინისა და თუთიის ნაკლებობა. სიმპტომების შემსუბუქება შეიძლება ადგილობრივი საშუალებებით, მაგალითად, საჭიროა კანზე წაისვათ კალანხოეს წვენი, ასკილის, ჩაის ხისა და სელის ზეთი, ქრისტესისხლას ნაყენი. მაგრამ დაავადებისგან საბოლოოდ გათავისუფლდებით მხოლოდ იმუნიტეტის ამაღლება-გაძლიერებით (გამოწრთობა, სამკურნალო ბალახების გამოყენება) და სრულყოფილი კვებით, რომელშიც საკმარისად არის ვიტამინები და მიკროელემენტები.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

გვპასუხობს ექიმი



— ადრე სისხლნარევი ნახველი მქონდა, მაგრამ შემიჩერდა. სიცხე არ მაქვს, პირიქით დაბალი მაქვს, 36 გრადუსამდე. ფილტვების ანთების ნიშანი ხომ არ არის?

— სისხლნარევი ნახველი პირდაპირი ჩვენებაა ფილტვის დაავადების, ამიტომ გირჩევთ, სპეციალისტს დროულად მიმართოთ. შეჩერება განკურნებას არ ნიშნავს.

— საშიში ხომ არ არის კანიდან ხალის გაქრობა?

— სავარაუდოდ, თქვენ პიგმენტური ლაქა გქონდათ და გაგიქრათ, რაც საგანგაშო არ არის.

— ბავშვს ეზარება მოძრაობა, მუცელზე წოლისას ტირის. გამოცდილმა პედიატრმა გვითხრა, ზარმაცი ბავშვია და საგანგაშო არაფერიაო. დაგვინიშნა მასაჟები. საშიში ხომ არ არის?

— ყველა ბავშვის განვითარება ინდივიდუალურია. პედიატრი შეამჩნევდა, ბავშვს რამე თანდაყოლილი პათოლოგია რომ ჰქონდეს. შეგიძლიათ ბავშვთა ორთოპედთანაც გაიაროთ კონსულტაცია. მასაჟები გააქტიურებს.

— 10 დღეა გადამიცდა მენსტრუაცია, ტესტი გავაკეთე და დადებითი მიჩვენა. გინეკოლოგთან და ექოსკოპიაზე რამდენ ხანში უნდა მივიდე?

— სპეციალისტის კონსულტაცია უკვე საჭიროა. პირველი ექოსკოპიური გამოკვლევა მცირე ვადებზე ტარდება ორსულობის დადასტურებისთვის.

— ვარ 16 წლის, სიმაღლე 163 სმ და წონა 53 კგ. მირჩიეთ რამე, რაც სიმაღლეში ზრდას შემიწყობს ხელს.

— გირჩევთ, კვების რაციონში შეიტანოთ კალციუმით მდიდარი პროდუქტები. დადგენილია, რომ ზრდის ჰორმონის გამოყოფას ასტიმულირებს ცილოვანი საკვები. ამიტომ მიიღეთ კაკალი, კვერცხი, ხაჭო; ამავე დროს უნდა მიიღოთ ახალი მწვანილი, სტაფილო, პომიდორი. უძილობა ზრდას აფერხებს.

— წყალი, რომელშიც ჯერცხლის რამე ნივთი დევს, სასარგებლოა თუ არა ჯანმრთელობისათვის?

— ვერცხლს აქვს ბაქტერიების საწინააღმდეგო ეფექტი.

— გთხოვთ მირჩიეთ რამე ხალხური მეთოდი შეკრულობის და ბუასილის წინააღმდეგ.

— 2 სუფრის კოვზ ბაბუაწვერას ფესვს დაასხით 1 ლიტრი წყალი. ადუღეთ 20 წუთის განმავლობაში. მიიღეთ 1/2 ჭიქა დღეში 3-4-ჯერ, ჭამის წინ. აიღეთ 1 სუფრის კოვზი დაფქული წიწაკა, შეურიეთ 4 სუფრის კოვზ მცენარეულ ზეთს და დააყენეთ 2 კვირის განმავლობაში. ეს ზეთი შეიძლება მიიღოთ შინაგანადაც, თუ შეკრულობა გაწუხებთ, 20 წვეთი ჭამის წინ. ბუასილის მკურნალობაში დიდი მნიშვნელობა აქვს დიეტას. მისი მიზანია კუჭის მოქმედების ნორმალიზაცია. დღიური რაციონი უნდა შეიცავდეს დიდი ოდენობით სითხეს და პროდუქტებს, რომლებიც დადებითად მოქმედებენ ნაწლავის პერისტალტიკაზე. ნაწლავების მოქმედებას ააქტიურებს მინერალური წყალი. არ გირჩევთ ძლიერმოქმედი სასაქმებელი საშუალებების ხშირად მიღებას. აუცილებელია რაციონიდან ცხარე, ტკბილი, შემწვარი, შებოლილი საკვების, ძლიერი ალკოჰოლური სასმელების ამოღება. ბუასილის დროს უმი კარტოფილისაგან გააკეთეთ სანთლები და ძილის წინ გაიკეთეთ.

4 ჩაის კოვზ ძახველის დაქუცმაცებულ ქერქს დაასხით 1 ჩაის ჭიქა წყალი და ადუღეთ 30 წუთი. გაწურეთ, შეავსეთ ანადუღარი წყლით პირვანდელ მოცულობამდე და მიიღეთ 1 სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ ჭამამდე.

— ჩემი შვილი 4 თვისაა, რა ასაკიდან შეიძლება მიეცეს ხაჭო, სტაფილო ან სტაფილოს წვენი და რა რაოდენობით?

— სტაფილო ბავშვის რაციონში შეიძლება 5-6 თვის ასაკიდან ჩართოთ. მოხარშეთ, გახეხეთ, ერთგვაროვანი ფაფა რომ მიიღოთ. 6 თვიდან ბავშვს შეიძლება სტაფილოს ახალგამოწურული წვენიც მისცეთ, ოღონდ მცირე ულუფებით, რომ ალერგია გამოირიცხოს. თუ ალერგიის არავითარი ნიშანი არ გამოაჩნდა, ულუფა გაზარდეთ. უმი სტაფილოს წვენის ხშირად და დიდი რაოდენობით მიღება არ არის სასურველი, რადგან ვიტამინის სიჭარბე ისევე მავნებელია, როგორც მისი ნაკლებობა.

რაც შეეხება ხაჭოს, უმჯობესია, ბავშვის რაციონში პედიატრთან კონსულტაციის შემდეგ ჩართოთ. ისე კი მას 6 თვიდან აძლევენ, თავდაპირველად დღეში 30 გრამს, 7-8 თვის ასაკში — 40 გრამს, 9 თვის შემდეგ კი — 50-ს. კვირაში 2-3-ჯერ.

— რომელი უფრო ეფექტურად მოაშორებს თმას სამუდამოდ, ლაზერული ეპილაცია თუ ფოტოეპილაცია?

— ფოტოეპილაცია არის თმების მოშორება სინათლის იმპულსებით, კერძოდ, სინათლის სხივების ზემოქმედებით ზიანდება თმის ბოლქვები. ზოგადად, ეპილაცია შველის ისეთ ჭარბთმიანობას, რომელიც ჰორმონულ დარღვევას არ უკავშირდება. თმის ფოლიკულები თანდათან იხურება და თმა აღარ ამოდის, თუმცა საჭირო ეპილაციის რაოდენობა ინდივიდუალურია და კონკრეტულად ვერავინ გეტყვით, რამდენი სეანსი დაგჭირდებათ.

— სისხლი მიდედება ძალიან ნელა. მივიღე კალციუმის შემცველი პრეპარატები, მაგრამ უშედეგოდ. თუ არსებობს რაიმე მარტივი მეთოდი, რომ ხელის გაკაწვრის დროს დიდი რაოდენობით სისხლი არ დავკარგო?

— აუცილებელია ჰემატოლოგის ჩართვა. თვითნებურად წამლების მიღებას ნუ გარისკავთ.

— იქნებ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, როგორია ვაშლის, ხაჭოს, სტაფილოს დიეტა და რა დაავადებების დროს ინიშნება.

— ვაშლის დიეტა ინიშნება 1-2 დღის განმავლობაში. ავადმყოფს დღის განმავლობაში აძლევენ მხოლოდ ვაშლის 1-1,5 კგ-ს, რაც თანაბრად უნდა განაწილდეს მთელი დღის რაციონზე. უნდა მიიღოთ 5-6-ჯერ, დაახლოებით ორსაათიანი ინტერვალებით. ეს დიეტა შეიცავს 3-5 გრამ ცილას, 100-160 გრამ ნახშირწყლებს, რაც 430-670 კალორიას შეადგენს. ამ დიეტას განტვირთვის დიეტას უწოდებენ. რეკომენდებულია სიმსუქნის, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიული დაავადების, ნეფრიტის და სისხლის მიმოქცევის დარღვევის დროს. ხაჭოს დიეტა ინიშნება გულ-სისხლძარღვთა დაავადებისას, ქრონიკული ნეფრიტის დროს, როცა მიმდინარეობს შეშუპებით, ოღონდ აზოტი არ უნდა იყოს მომატებული. დიეტა 2-3 დღიანია. 500 გრამი ახალი ხაჭო და 150 გრამი შაქარი ან თაფლია საჭირო. დიეტა შეიცავს 75 გრამ ცილას, 75 გრამ ცხიმებს, 50 გრამ ნახშირწყლებს.

სტაფილოს დიეტა — ინიშნება ქრონიკული და მწვავე ნეფრიტის დროს, როდესაც არის შეშუპება და მომატებული აზოტი, ღვიძლისა და სანაღვლე გზების დაავადებების დროს, რევმატული პოლიართრიტის, სიმსუქნის, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიული დაავადებების დროს. დიეტა 1-2 დღიანია, საჭიროა 1,5 კგ სტაფილო, 50-75 გრამი შაქარი. სტაფილო უნდა გაიხეხოს, მოეყაროს შაქარი, თითო მიღებაზე 200 გრამი უნდა მიიღონ. დიეტა შეიცავს 10-15 გრამ ცილას, 120-180 გრამ ნახშირწყლებს; საშუალოდ 700 კალორიას შეადგენს.

თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო S და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black



1. დაკოდილი მამალი ცხვარი; 2. ვაზის ჯიში; 3. მატერიალური კულტურის ყოველი საგანი; 4. ... რიხტერი; 5. რკინა-ნიკელის ერთგვარი შენადნობი; 6. ფულად-საკრედიტო დაწესებულება; 7. ქალაქი-პორტი თურქეთში; 8. ლავაში გახვეული კატლეტის მსგავსი საჭმელი; 9. ფერწერა წყალ-საღებავებით; 10. ... ფოიხტვანგერი; 11. ხის სათლელი იარაღი; 12. ვაშლის ჯიში; 13. მსუბუქი ეტლი გადასახსნელი სახურავით; 14. ბატონო ინგლისურად; 15. დიდი ხერხი; 16. მომჟავო კურკოვანი ხილი; 17. ერთეული ვექტორი; 18. სატურნის თანამგზავრი; 19. წნეხი; 20. ბუნებრივი საღებავი; 21. ... პაჩინო; 22. ხომალდის ტვირთი; 23. ინდაური კუთხურად; 24. მავთულის ან ფურცლოვანი ლითონის სისქე; 25. ერთხმიანი საოპერო ნაწარმოები; 26. იაპონური ავტომობილი; 27. საფლობი ტალახი; 28. ... კასილიასი; 29. შაქრის ლერწმის საჭრელი დანა; 30. ფრანგული ცეკვა; 31. კავკასიის მთიელთა სოფელი; 32. მაჰმადიანთა ღმერთი; 33. პადე-...; 34. სახელმწიფო ევროპაში; 35. სახელმწიფო აფრიკაში; 36. ლითონის, ხის და მისთ. დასამუშავებელი მანქანა; 37. დაბალ, გამხდარ კაცზე იტყვიან; 38. ეშმაკობა, ოინი; 39. ნიში ოთახში საწოლით; 40. ინგლისელი პოეტი; 41. არქიტექტურული კომპოზიციის ერთ-ერთი სახეთაგანი; 42. ყური რასაც აღიქვამს; 43. საზეიმო წვეულება; 44. სამშენებლო მასალა; 45. ბურთის გუნდური თამაში, ინგლისში პოპულარული; 46. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული; 47. საიალქნე ძელი; 48. ბჭე; 49. ქალბატონო პოლონურად; 50. კუზიანი კურდღელი; 51. სახელმწიფო ვესტინდოეთში; 52. იაპონური ალუბალი; 53. ჯარისკაცი თურქეთში; 54. მსხლის ჯიში; 55. ... ბოლდუინი; 56. მაუგლის მეგობარი პითონი; 57. აღტაცებული მაყურებლის რეაქცია თეატრში, კონცერტზე; 58. ... ასათიანი; 59. ქიმიური ელემენტი; 60. ტაროსი; 61. სისხლძარღვის აღმნიშვნელი წინსართი; 62. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 63. საზღვარი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოდიანი სკანვორდის პასუხები

1. კალია; 2. იმპროვიზაცია; 3. ალტი; 4. პატრი; 5. რო; 6. სოხანე; 7. კი; 8. ატონია; 9. აბიო; 10. ბზა; 11. პატაკი; 12. ინა; 13. ნიპელი; 14. კაპრალი; 15. სკა; 16. პინგვინი; 17. ივლისი; 18. იზოტონია; 19. ტარას; 20. კრავი; 21. ბუი; 22. ალთაი; 23. აგრიპა; 24. მუნ; 25. ამაგი; 26. ტრი; 27. აბულია; 28. ნაგოია; 29. პირანია; 30. აიოვა; 31. რატი; 32. არტისტი; 33. კანოე; 34. გეა; 35. ლოკი; 36. ურულოგია; 37. აკურა; 38. ტობოგანი; 39. რენე; 40. ტუია; 41. ანისული; 42. პესეტა; 43. ენერგია; 44. ტაუ; 45. კოლონია; 46. უატი; 47. ფენაკიტი; 48. მსაჯი; 49. მინარეთი; 50. ნარ; 51. ბრასი; 52. ჰიტროუ; 53. სტელა; 54. კრივი; 55. მორალი; 56. კორომი; 57. მარშაკი; 58. ანა; 59. ვოლანი; 60. იზა; 61. ანამნეზი. **სურათებზე:** რიზ უიზერსპუნი; კრის ტაკერი; ბოი ჯორჯი; კეიტ ბეკინსეილი.

ჯოდი — გოპაკი

Cyan Magenta Yellow Black

მწვანე სკანვორდი

1. სვანური დელიკატესი
2. ღამის ფრინველი
3. რძის პროდუქტი
4. პურის საცხობი
5. არკა
6. განყენება, განზოგადება
7. ... ლავინი
8. სანელებელი
9. ყვავილი
10. ... გრუზინსკაია
11. ზამთრის თვე
12. ქართული გაზეთი
13. ბედნიერი (ძვ.)
14. ნუსხა
15. ბოლო ნოტი
16. წლოვანება
17. სინათლის სიკაშკაშის ერთეული
18. შუადღის დასვენება იტალიაში
19. ხანა, ეპოქა
20. მეცნიერების დარგი
21. ჭუჭყად დაჩნეული რამ
22. ზღვის ბრტყელი თევზი
23. ჩრდილი (საბა)
24. ... ლინკოლნი

წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. ია; 2. სი; 3. სალტო; 4. ილი; 5. კი; 6. ტაიჭი; 7. პლანეტა; 8. ტაბლა; 9. ატომია; 10. მადრიდი; 11. ბოა; 12. ტარტალია; 13. რეა; 14. მამამთილი; 15. ლემა; 16. შრე; 17. პიცა; 18. ცირკი; 19. ელია; 20. მესა; 21. მა; 22. აკირა; 23. კამელია; 24. რუ. **სურათებზე:** ჭადრაკი; დომინო; ნარდი; ბანქო.

Cyan Magenta Yellow Black

თავხედურად მოგექცნენ? ღირსეულად უპასუხეთ

არსებობს ადამიანი, რომელსაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც უტიფრად არ მოქცეოდნენ. ამას ვერაფერს მოუხერხებ. საკითხავი სხვა რამ არის: რა და როგორ ვუპასუხოთ თავხედს და საერთოდ, პასუხის გაცემა ღირს?

სად შეიძლება შეხვდეთ უტიფარს? პრაქტიკულად ყველგან. საკუთარი ბინის სადარბაზოში, გზაზე, ტრანსპორტში, მაღაზიაში, თეატრში და, თქვენ წარმოიდგინეთ, ეკლესიაშიც! ეს იმიტომ, რომ უდიერისთვის სულ ერთია, სად იმყოფება. თავხედობა — ეს არ არის ცუდი აღზრდის ან დაბალი ინტელექტის შედეგი. ეს სულის განსაკუთრებული მდგომარეობაა, ფსიქოლოგიური თავდაცვის თავისებური სახეა, რომლითაც შინაგანად უბედური და თავში გაურკვეველი ადამიანები სარგებლობენ.

თავხედობა გზაზე

გზაზე უტიფრობის გამოვლენის შესახებ ყველგან წერენ და ლაპარაკობენ, მაგრამ უშედეგოდ. მათი რიცხვი მაინც არ მცირდება. როგორ მოიქცეთ, თუ საჭესთან თავხედს გადაეყარეთ? პირველ რიგში, სულელს გზა მიეცით. რაც უნდა გაგიკეთოს — გზა გადაგიჭრას, უკნიდან მოგაწვეს, ბორდიურისკენ შეგნებულად მიგაგდოს, წუმპეში ისე გაიაროს, თქვენი მანქანა კაპოტიდან საბარგულამდე ამოსვაროს — ნუ აყვებით. ჯერ ერთი, ვერ დაეწევით. თუ ამის გაკეთებას მაინც შეეცდებით, დიდი რისკია, რომ ავარიულ სიტუაციას თავად შექმნით. მეორე, შეჩერება და ასეთ ადამიანთან ურთიერთობის გარკვევა საშიშია, ღმერთმა იცის, როგორ ფსიქიკურ მდგომარეობაში იმყოფება. ამავდროულად ფაქტი არ არის, რომ მისი თავხედური ქცევა კონკრეტულად თქვენზეა მიმართული. ალბათ ეს მისი ჩვეულებრივი ქცევის წესია. თავხედს ვერ შეცვლით.

„შენს თავს შეხედე!“

ბევრი არცთუ უსაფუძვლოდ ამტკიცებს, რომ ყოფაცხოვრებითი უხეშობების სამყაროში ვცხოვრობთ. მაგალითად, ავტობუსში შემთხვევით გაჰკარით და ბოდიშის მოსახდელად პირის გაღებაც ვერ მოასწარით, რომ უკვე გესმით: „ცხოველი, როგორ იკვრევინებ!“ ან საბავშვო მოედანზე რომელიღაც ბავშვის დედა, რომელმაც საჭიროდ ჩათვალა ბავშვებს შორის უთანხმოებაში ჩარეულიყო, უკვე გიყვირით: „საკუთარ შვილს უკეთესად მოუარე, მარტო გაჩენა არ კმარა!“ ყველაფერ ამას დაუმატეთ უხეშობები მაღაზიებში, რიგებში, მეზობლების ან მავნე მოზარდების მხრიდან.

ძალიან გსურთ, თავხედს პასუხი გასცეთ. თუ მახვილგონიერი ხართ და სწრაფი რეაქცია გაქვთ, გაგიმართლათ. მაშინ შეგიძლიათ უტიფარი თავის ადგილზე ლამაზად მოსვათ და ყველას დასაცინი გახადოთ. ხოლო პასუხი ასეთი მანერით — „თვითონ ხარ მასეთი“ — არც პატივს შეგმატებთ და განწყობასაც გაგიფუჭებთ.

თუ დიალოგი მაინც აუცილებელია, ეცადეთ, თანამოსაუბრის პროვოკაციას არ წამოეგოთ, ის კი ამას ნამდვილად შეეცდება. ჯობს, უტიფარი მოთოკოთ: „ასეთი ტონით საუბარი უაზრობაა“, „კონკრეტულად რით ხართ უკმაყოფილო?“, „მოდით, ეს მშვიდად განვიხილოთ“ და ა.შ. თანამოსაუბრეს ნება მიეცით ყველაფერი ამოაფრქვიოს. ბოლოს და ბოლოს სიტყვების მარაგი გამოელევა, დაცხრება და შემდეგ პრობლემის განხილვას შეძლებთ.

„მეფე“

როგორც კი მცირე შესაძლებლობა მიეცემათ, ადამიანი მასზე დამოკიდებული გახადონ, მაგალითად, კანცელარიაში, რეგისტრატურაში, სამდივნოში მომუშავენი მაშინვე პატარა „მეფედ“ გარდაიქმნებიან. „თქვენ ბევრი ხართ, მე ერთი! კარი დახურეთ! გამოგიძახებთ, როდესაც შევძლებ!“ ამბობს გაპრანჭული „მეფის ასული“ ან „მნიშვნელოვანი“ ქალბატონი და ტელეფონით ლაყბობას აგრძელებს.

ყველაფერს იუმორით მიუდექით. სინამდვილეში ეს ხომ სასაცილოა. შეიბრალეთ საცოდავი არსება, რომელმაც ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწია და ასეთი სულელური გზით თავის დამკვიდრებას ცდილობს. მაგრამ შებრალება არ ნიშნავს ნებაზე მიშვებას. აუღელვებლად გაუმეორეთ: „მესმის, რომ დაიღალეთ, მაგრამ ცნობა (საბუთი, უფროსის ნახვა და ა.შ.) მესაჭიროება“ და შემდეგ რაც უნდა გითხრან, ნებისმიერი ფრაზა თქვენი მოთხოვნით დაამთავრეთ.

სამუშაოზე

როგორც წესი, უხეშობს ხელმძღვანელი ან ის, ვინც თქვენზე ცოტა უფრო სრულუფლებიანია. თუ ასეთი ქცევა ერთჯერადი არ არის, არამედ პრაქტიკულად ურთიერთობის ნორმაა, ღირს, ახალ სამსახურზე იფიქროთ. ხელმძღვანელს ვერ შეცვლით, ხოლო თქვენი დამცირების უფლება არავის უნდა მისცეთ.

დაბოლოს, ხშირად თავხედობა — ეს შიშის გამოვლენაა თქვენ წინაშე. შეიძლება ოპონენტს თქვენი შურს ან თქვენი მხრიდან კონკურენციის ეშინია. აგრძნობინეთ, რომ უსაფრთხოდ არის და თვითონვე დამშვიდდება.

რაზომ ამცირებენ ადამიანები სხვებს და საკუთარ თავს?

ზროდადრო ყველა ვცოდავთ: ვიღაცის ღირსებებს ვაკნინებთ, ნაკლოვანებებს ვაზვიადებთ, ვიღაცას ვაქვეითებთ, ვამცირებთ, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებისთვისაც ასეთი ქცევა პრაქტიკულად ურთიერთობის ერთადერთი მოდელია. თანაც ამას ვერ ამჩნევენ, არ აცნობიერებენ და ვერც კი წარმოუდგენიათ, სხვაგვარად მოქცევა თუ შეიძლება.

ხა იმაღება დამცირების უკან?

სხვების გაუფასურება — ეს ჩვენი ფსიქიკის დამცავი მექანიზმია, სხვა სიტყვებით, ჯავშანია. ადამიანები მას ცხოვრების მანძილზე იძენენ და რაც უფრო მეტხანს ცოცხლობენ, ეს ჯავშანი მით უფრო სქელი და მძიმე ხდება. ვის და რისთვის ესაჭიროებათ? ესაჭიროებათ დაბალი თვითშეფასების ადამიანებს, რათა სხვების დამცირების ხარჯზე საკუთარი პოზიტიური სახე დაიცვან, თავი განადიდონ. ვინც ეს დამცავი მექანიზმი აითვისა, როგორც წესი, მას სიყვარულის ენა არ ესმის, მხოლოდ ძალისა და პატივისცემის ენას სცნობს. მისი აზრით, პირველ რიგში საჭიროა თავის პატივისცემა. ამის მიღწევა შეიძლება განვითარებით და შთამბეჭდავი წარმატებებით ან სხვების დამცირება-გაუფასურებით. რომელი უფრო ადვილია? რა თქმა უნდა, მეორე.

რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ზოგიერთები გაუფასურებას იყენებენ, როგორც თავდაცვის საშუალებას. ამ შემთხვევაში ამცირებენ არა სხვებს, არამედ თავს — საკუთარ ცოდნას, უნარს, მიზანს. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში თავის მიმართ იმედი არ გაუცრუვდეთ („მე ხომ უუნარო ვარ, ჩემგან რა უნდათ? უიღბლოებს რა მიღწევები შეიძლება ჰქონდეთ?).

ხშირად აკნინებენ მათ, ვინც ძლიერ სჭირდებათ და ვისაც არ ენდობიან, რათა არ დაუახლოვდნენ, არ შეეჩვიონ. და შემდეგ, როცა დარტყმას იგემებენ, მტკივნეული არ იყოს.

სხვების დამცირება-გაუფასურება ბავშვობიდან იღებს სათავეს. ძალიან ხშირად მშობლები ერთმანეთს ამცირებენ, გზადაგზა შვილს მის ნაკლოვანებებზე უთითებენ. ბავშვი ურთიერთობის ამ მოდელს იღებს, როგორც ერთადერთს და მოზრდილობის ცხოვრებაში თან მიაქვს.

თავდაცვის სტრატეგია

როგორ მოვექცეთ ასეთ ადამიანებს? თუ არის შესაძლებლობა გაიქეცით, თქვენი ცხოვრებიდან ამოშალეთ.

თუ ეს ადამიანი ახლობელია, თუ მისთვის მნიშვნელოვანი ხართ და არის იმედი, რომ მოგისმენთ, შეგიძლიათ თქვენს გრძნობებზე, მის სიტყვებსა და ქცევებზე, თქვენს რეაქციებზე ესაუბროთ, რომ არ გსიამოვნებთ, გწყინთ, გტკივათ. სთხოვეთ, ასე მეტად აღარ მოიქცეს. უთხარით, თქვენ მიმართ როგორ ურთიერთობას ელით და მოითხოვეთ.

თუ ეს მეთოდი არ მუშაობს, მაგრამ ამ ადამიანთან ურთიერთობის გაგრძელება გსურთ, მისი ქცევა თქვენს თავზე არ მიიღოთ, არამედ უფრო ღრმად შეხედეთ, ამის უკან რა იმალება. როგორც წესი, ეს არის გაუცნობიერებელი სიახლოვის პანიკური შიში და სიყვარულის ნევროზული მოთხოვნილება.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ქართული ანეკდოტები

— ხა ღამაზი ჯაბა გაცვიათ, — ეუბნება ჯაცი ქალს.
— ახც მე ვახ უჩიგო, — გაიჯეჯღცა ქალმა.
— ვნახოთ, ვნახოთ. აბა, ჯაბა გაიხადეთ.

— გასულ შაბათს კარლოიას სიდედრის დასაფლავებაზე ვიყავი. ყვავილები ვერ ვიშოვე და ბამბანერკა ჩავუდევი კუბოში მიცვალებულს.

— გაუხარდა?

— არა, თურმე დიაბეტი ჰქონია და იმას დაუბრიდავს.

❖ ❖ ❖

ექიმი პაციენტს:

— თუ არ მოწევ, არ დალევ, ქალებში და კაზინოში არ ივლი, 20 წელი კიდევ იცოცხლებ.

— მერედა, რა უნდა ვაკეთო ის 20 წელი?

❖ ❖ ❖

გოგო კაფეში ზის და ყავას სვამს. მიუახლოვდა ქუთაისელი და ეკითხება:

— შეიძლება დავჯდე აქანა? ისე, ცნობიზა, თქვენს დანახარჯს მე გადევიხდი.

— მართლა? ძალიან კარგი, — გაუხარდა გოგოს, — ა, შენ გაზის და დენის ქვითრები. ინტერნეტის ფულს მე თვითონ გადავიხდი.

❖ ❖ ❖

— აქედან სასტუმრო შორსაა? — ეკითხება ოზურგეთში ჩასული სტუმარი გურულს.

— რავა გეკადრებათ, ბატონო, რავარც მიხვალთ, იქვეა.

❖ ❖ ❖

რესტორნიდან გამოსული ცოლ-ქმარი საუბრობენ.

ცოლი: ვინ იყო ის ქალი, გამუდმებით რომ გიღიმოდა?

ქმარი: ჩემი მამიდაშვილი იყო, მაყვალა.

ცოლი: შენ რომ ჩემთან არასოდეს გიხსენებია მაყვალა?

ქმარი: ნუ ხარ შარზე! ერთი წუთის წინ არ გითხარი?!

❖ ❖ ❖

— არა, ბრალდებული არ იტყუება, იგი ნამდვილად ექიმი ყოფილა, — ეუბნება ერთი გამომძიებელი მეორეს.

— რითი მიხვდი, რომ ექიმია?

— მის ჩვენებაში ერთი სიტყვაც კი არ ეწერა გარკვევით.

❖ ❖ ❖

— ჩემი ქმარი აფერისტია, — შესჩივის ქალი დაქალს, — ავლაბარში სანახევროდ ვიქირავეთ ბინა. ას ლარს ის იხდიდა, ას ლარს მე.

— და აფერისტი რატომაა?

— გუშინ შემთხვევით გავიგე, რომ ბინა მისი ყოფილა.



— იცი, ქიები გყავს?
— ვიცი.
— მეხე ახ მჯინაღობ?
— ახა, ჯანმრთელები ახიან.

❖ ❖ ❖

— ნუ ბრალდებული ერქვა, ბრალდებული ერქვა, ეს ერქვა, ეს ერქვა, ეს

ალან ალექსანდრ მილნი

დასაწყისი №37-48

წითელი სახლის საიდუმლოება

ვარკმა ჩაიცინა და ჩემს დასანახად რამდენიმე არტისტული ჟესტი გაითამაშა, ვინიცობაა, თუ მათ ვერ შევნიშნავდი.

— გადასარევია! — მისით მართლა მოხიბლული დავრჩი, — ვერავინ მიხვდება! აბა, დავიწყოთ!

მე ვესტიბიულში გავიხედე. იქ არავინ იყო, ამიტომ თამამად მივაშურეთ ბიბლიოთეკას, საიდანაც მარკი საიდუმლო გასასვლელში დაეშვა და გაუჩინარდა, მე კი ვესტიბიულში დავჯექი და ლოდინი დავიწყე.

თქვენ სტივენსის და მოახლის ჩვენებები მოისმინეთ. როგორც კი ეს უკანასკნელი მარკის მოსაძებნად „ტაძარში“ წავიდა, სადაც მარკი ხშირად აფარებდა ხოლმე თავს და ფიქრებს ეძლეოდა, კაბინეტში შევედი. ხელი გვერდითა ჯიბეში მედო, ხელში კი რევოლვერი მეჭირა.

მარკი უკვე იქ იყო და, რობერტის როლში შესული, რაღაც სისულელეებს როშავდა, თუ როგორ მოაგროვა ფული ავსტრალიიდან აქ ჩამოსასვლელად. მოკლედ, პატარა წარმოდგენა გამართა. მერე მან თავისი ბუნებრივი ხმით, თითქოს მის ნორისი გაახსენდაო, ხმამაღლა შესძახა: „ახლა ჩემი ჯერია! აბა, დამაცადე!“. დაახლოებით ის, რაც ელსიმ გაიგონა. წესით, მოახლე იქ არ უნდა ყოფილიყო და შეიძლებოდა ყველაფერი გაეფუჭებინა, მაგრამ მოხდა პირიქით, მისი ყოფნა სასარგებლოც კი აღმოჩნდა, რადგან ის მოწმე იყო, მე რომ მჭირდებოდა ანუ მარკი და რობერტი კაბინეტში ერთად რომ იყვნენ.

მე არაფერი მითქვამს, რადგან მავანის მიერ ჩემი ხმის გაგონება აშკარა რისკს შეიცავდა. ჩემს ტუტუც დეიდაშვილს მხოლოდ გავუღიმე, რევოლვერი დავაძრე და ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, ისე დავახალე. შემდეგ ბიბლიოთეკაში დავბრუნდი და, როგორც ჩემს ჩვენებებშიც ვთქვი, ლოდინი დავიწყე.

მისტერ ჯილინჰემ, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თქვენი მოულოდნელი გამოჩენისას რა შოკი განვიცადე? შეგიძლიათ ჩასწვდეთ მკვლელის აზრებს, რომელმაც (როგორც თავად ფიქრობდა) ყველა შემთხვევითობა გაითვალისწინა, მერე კი, მოულოდნელად, აბსოლუტურად ახალ პრობლემას შეეჯახა? არ ვიცოდი, შეცვლიდა თუ არა რამეს თქვენი გამოჩენა. იქნებ არც არაფერს, ან ყველაფერს. მე ხომ შემინული კარის გაღება დამავიწყდა!

არ ვიცი, რამდენად ჭკვიანურად ჩათვლით მარკის მოკვლის ჩემეულ გეგმას. შესაძლოა, არა. მაგრამ თუ ამ საქმეში რაღაც შექებას მაინც ვიმსახურებ, ალბათ იმის გამო, რომ მოულოდნელი კატასტროფის მომენტში თავის მობილიზაცია შევძელი და პირდაპირ თქვენ ცხვირწინ ფანჯრის გაღება მოვახერხე. რაც შეეხება გასაღებებს, აქ რაღაცას მიხვდით, მაგრამ მე თქვენზე გონებამახვილი აღმოვჩნდი. მისტერ ჯილინჰემ, გასაღებებთან დაკავშირებით მე თქვენ გაგაცურეთ. როგორ? თავს უფლება მივეცი, ბოულინგის სათამაშო მოედნის სიახლოვეს თქვენი და თქვენი მეგობრის ბევერლის საუბარი მომესმინა. სად ვიყავი? მისტერ ჯილინჰემ, თქვენნაირი გამჭრიახი ადამიანისთვის ამის გარკვევა ძნელი არ უნდა იყოს.

თუმცა რას მივედ-მოვედები? მე თქვენ განა რამეში გამტყუნებთ. თქვენ საიდუმლოს ფარდა ახადეთ — რომ რობერტი მარკი იყო და მნიშვნელოვანი ახლა მხოლოდ ესაა. როგორ შეძელით ეს? ახლა ამას ველარასოდეს გავიგებ. სად დავუშვი შეცდომა? იქნებ თქვენ თავიდანვე მატყუებდით. იქნებ თქვენ გასაღებების შესახებაც იცოდით, ფანჯრის ამბავიც და საიდუმლო გასასვლელის არსებობაც. მისტერ ჯილინჰემ, აშკარაა, რომ თქვენ ძალიან ჭკვიანი ადამიანი ხართ.

ხელთ მარკის ტანსაცმელი მეპყრა. შემეძლო, გასასვლელში დამეტოვებინა, მაგრამ გასასვლელის არსებობა უკვე აღარ იყო საიდუმლოება, მის შესახებ ნორისმა იცოდა. ეს ჩემი გეგმის ალბათ ყველაზე სუსტი რგოლი იყო — მის ნორისი ტანსაცმელს ნამდვილად იცნობდა, ამიტომ ის ტბაში ჩავძირე. ასევე ორი გასაღებიც, რევოლვერი კი დავიტოვე, მისტერ ჯილინჰემ.

არა მგონია, რამის დამატება ღირდეს. ეს წერილი გრძელია, მაგრამ, მეორე მხრივ, უკანასკნელი ჩემს ცხოვრებაში. იყო დრო, როცა ბედნიერი მომავალი მეიმედებოდა, ცხადია, არა წითელ სახლში და არა მარტოობაში. შესაძლოა ეს ფუჭი ოცნებები იყო, მის ნორბერის ღირსი მარკზე მეტად ნამდვილად არ ვიყავი, მაგრამ მე მას ბედნიერს გავხდიდი. ღმერთო, მის გასაბედნიერებლად რას არ ვიზამდი! მაგრამ ახლა ეს უკვე შეუძლებელია. მისთვის მკვლელის ხელის შეთავაზება არაფრით იქნებოდა ლოთის ხელის შეთავაზებაზე უკეთესი. მარკი ამიტომ მოკვდა. ანჟელა ამ დილით ვნახე. ძალიან საყვარელი იყო. ძნელია, გაუგო ამ ცხოვრებას.

ესეც ასე. ჩვენ — ებლეტები და კეილი — აღარ ვართ. საინტერესოა, რას ფიქრობს ყველაფერ ამაზე მოხუცი კეილი? თუმცა რა მნიშვნელობა აქვს...

მშვიდობით, მისტერ ჯილინჰემ. ვწუხვარ, თქვენი ჩვენთან სტუმრობა არც ისე სასიამოვნო რომ გამოდგა, მაგრამ ალბათ ხვდებით, რა დღეშიც აღმოვჩნდი. არ დაუშვათ, ბილმა რომ ჩემზე ძალიან ცუდად იფიქროს. ის კარგი ყმაწვილია და მიხედეთ. ვიცი, გაკვირვებული დარჩება. ახალგაზრდებს ყოველთვის უკვირთ. თქვენი მადლობელი ვარ, ჩემს ყაიდაზე რომ დამამთავრებინეთ. ჩემი დაკვირვებით, ჩვენ ერთმანეთს ცოტათი ვესიმპათიურებით. სხვა დროს შეიძლება მეგობრებიც გავმხდარიყავით — თქვენ და მე, მე და ის უმანკო არსება. უთხარით მას, რასაც საჭიროდ ჩათვლით, ყველაფერი ან არაფერი. თქვენ გეცოდინებათ, რა უნდა აირჩიოთ. კიდევ ერთხელ მშვიდობით, მისტერ ჯილინჰემ.

მეთიუ კეილი

დღეს საღამოს მარკის გარეშე თავი ეულად ვიგრძენი. უცნაურია, არა?“.

ბილმა წერილი გვერდზე გადადო:

— ღმერთო ჩემო! რას არ გაიგებს კაცი!

— ვიცოდი, ამას რომ იტყოდი, — შენიშნა ენტონიმ.

— ტონი, გინდა თქვა, რომ ეს ყველაფერი იცოდი?

— ცხადია, ბოლომდე არა, მაგრამ რაღაცეებს ვხვდებოდი.

ბილი კვლავ წერილს დასწვდა და მაშინვე დააბრუნა უკან:

— რა მისწერე? ეს გუშინ საღამოს იყო? მას შემდეგ, როცა სტენტონში წავედი?

— ჰო.

— მოკლედ, მისწერე, რომ მარკი რობერტი იყო?

— ჰო. თან დავამატე, რომ დღეს დილით მისტერ კარტრაიტს უიმპლ-სტრიტიდან ვუდეპეშებდი და ვთხოვდი, რომ...

— გასაგებია! — გააწყვეტინა ფრაზა აღელვებულმა ბილმა, — აქამდე ჩვენ ერთად ვმოქმედებდით, მერე კი უცებ, ბაც! და ჩაიკეტე, თან ჩემთვის გაუგებარ რაღაცეებზე მელაპარაკებოდი.

— მაპატიე, ბილ, — გაუღიმა ენტონიმ, — ახლავე ყველაფერს აგიხსნი, თუმცა, ფაქტობრივად, არც არაფერია ასახსნელი. მისტერ კარტრაიტი კი გვამის ამოსაცნობად გახდა საჭირო.

— კი მაგრამ, რატომ ის?

— ამ დანტისტს მარკი ხშირად აკითხავდა და ალბათ თავის შესახებაც უყვებოდა რაღაცეებს. მისტერ კარტრაიტი ყველაზე მეტად აკვირდებოდა მარკის პირისახეს და კარგადაც დაამახსოვრდებოდა ის.

ბილმა თავი დააქნია და კვლავ წერილს მიუბრუნდა:

— მესმის. მოკლედ, კეილის შეატყობინე, რომ გვამის ამოცნობას დანტისტს სთხოვდი.

— ჰო, და ეს მისთვის დასასრული

Cyan Magenta Yellow Black

იქნებოდა. შევიტყობდით რა, რომ რობერტი მარკი იყო, ყველაფერს ფარდა აეხდებოდა და კეილის ნამოქმედარი გაცხადდებოდა.

— კარგი, მაგრამ შენ საიდანღა მიხვდი?

ენტონი წამოდგა და ყალიონის დატენვას შეუდგა:

— ბილ, ამის ახსნა არც ისე ადვილია. ალგებრა გაგონილი მაინც გექნება, არსებობს პირობა, იქსი კი მოსაძებნია. პირობას თუ კარგად ჩაუკვირდები და კიდევ რაღაცეებს გამოიყენებ, შეიძლება იქსსაც მიაგნო. ეს პირველი ხერხია, მეორეს კი შერჩევა ჰქვია. ანუ, ვთქვათ, იქსი ოთხია, მაგრამ ის პირობას არ აკმაყოფილებს ანუ არ ვარგა. მერე ხუთს ცდი, მერე ექვსს და ა.შ. ვიდრე სწორ პასუხს მიადგები. ჩემს შემთხვევაში რაღაც ასეთი მოხდა, ცოტა ინტუიციაც მოვიშველიე და სწორ პასუხს მივაგენი: რობერტის როლი მარკმა შეასრულა, ოღონდ ამას თავადვე ემსხვერპლა.

— უფრო გასაგებად ვერ ამიხსნი?

— დავიწყებ ტანსაცმლით. მას საყელო აკლდა. საკითხავია, რატომ?

— ის ხომ არა, თეთრეულის კალათში რომ იყო?

— სწორედ ის, ოღონდ არა კეილის, არამედ თავად მარკის ჩაგდებული, რადგან, როგორც ფრანტი, ერთ საყელოს ორჯერ არ იკეთებდა, კეილიმ კი მისი ტანსაცმელი ისე წამოიღო, საყელოზე არც უფიქრია.

— კარგი. ეს ერთი იქსი. მეორე?

— მეორე ისაა, რომ მარკის მოკვლა წინასწარ იყო განზრახული, რობერტის ჩამოსვლამდე, რაც კეილის ჩანაფიქრი იყო, საკმაოდ ჭკვიანურად გააზრებული. მარკი კი, რაღაც აუხსნელი მიზეზის გამო, ამ გეგმას თითქოს მხარს უჭერდა, — ენტონი ცოტა ხნით გაჩუმდა, მერე კი განაგრძო, — იმ კარადაში მხოლოდ კონიაკის ცარიელი ბოთლები იყო, არადა საყელოს ვეძებდი.

— მე კი არაფერი მითხარი, — აბუზღუნდა ბილი.

— იცი, ეს მერე ამომიტივტივდა. ვიცოდი, კეილი ამას როგორ შეხვდებოდა. საბრალო!

— განაგრძე, — ააჩქარა ბილმა.

— მერე გამოძიება-გამოკითხვა ჩატარდა, რასაც შენც ესწრებოდი. როგორც გახსოვს, ეიმოსსა და პარსონსს გავყევი და გავესაუბრე. პარსონსის მეუღლეს უთქვამს, თითქმის მთელი დღე ბოსტანში ვმუშაობდი და არანაირი რობერტი არ დამინახავსო. მოკლედ, რობერტი წითელ სახლში არ მოსულა და ვერც მოვიდოდა, რადგან სამი წლის გარდაცვლილი იყო.

— მერე?

— მერე, როცა შენ გეძებდი, აფიშასთან გნახე, როგორ ათვალიერებდი. აფიშაზე მარკი რომ დავინახე, გაგრიმული და გადაცმული, მაშინვე თავში გამიელვა, ამან ხომ არ ითამაშა რობერტიც-მეთქი. ანუ თანდათან მივუახლოვდი ჭეშმარიტებას და არა უეცრად, ზოგიერთებივით.

— ვის გულისხმობ? — დაინტერესდა ბილი.

— არის ერთი. შენ არ იცნობ.

— კარგი. ახლა ის მითხარი, „გუთანი და ცხენები“ რა შუაში იყო?

ენტონიმ თვალები მოწკურა:

— რომ გითხრა, მაპატიებ?

— ასეთი რა არის?

— ვიცი, არ მაპატიებ.

— ნუ დამღალე, თქვი.

— ეს საბაბი იყო, ვატსონ!

— რა საბაბი? გასაგებად მითხარი.

— მინდოდა, მარტო დავრჩენილიყავი, ამიტომ მოგიშორე თავიდან.

— ყოჩაღ! მაგარი მეგობრობა გცოდნია!

— ნუ ბრაზობ, ბილ. გარდა იმისა, რომ მარტო უნდა დავრჩენილიყავი და ჩემი ნაპოვნი იქსი გადამემოწმებინა, სხვა მიზეზიც არსებობდა.

— რა მიზეზი?

— ვიცოდი, დალევა რომ გინდოდა.

— და როცა გითხარი, ქალი იყო-მეთქი, შენი რეაქცია...

— მხოლოდ მადლიერების გამოხატულება იყო და მეტი არაფერი, — დაასრულა ენტონიმ, — შენ ხომ ფაქტობრივად ჩემთვის გაისარჯე. ხომ გესმის ჩემი?

— მესმის, მაგრამ ვერ ვხვდები, ასე რატომ მომექეცი.

— ბილ...

— თუმცა ვხვდები. გინდა, ყოველთვის მაგრძნობინო, რომ შენ ჰოლმსი ხარ, მე კი ვატსონი ანუ ხელქვეითი და აქედან გამომდინარე, ანგარიშარგასაწევი.

— ბილ, რას მიედ-მოედები? მგონი, მართლა მთვრალი ხარ. როდის იყო, გეუფროსებოდი?

— კარგი, კარგი. როგორც არის, არის. ახლა ის მითხარი, კეილიმ ტყვია დაიხალა?

— ალბათ, — ენტონიმ მხრები აიჩეჩა.

— საწყალი, — თქვა ბილმა, — კარგი ჰქენი, შანსი რომ მიეცი, მაგრამ არ გამოიყენა.

— კეილი რაღაცნაირად მესიმპათიურებოდა და ალბათ იმიტომ.

— ჭკვიანი იყო. შენ რომ არ გამოჩენილიყავი, ალბათ ვერც ვერასოდეს გამოააშკარავებდნენ.

— ადრე თუ გვიან ეს საქმე მაინც გაიხსნებოდა.

— ალბათ... მითხარი, რატომ მოუყვა მარკი მისის ნორბერს თავისი ძმის შესახებ?

— ვფიქრობ, მოთხოვნილება გაუჩნდა, მის შესახებ ყველასთვის ეამბა. შეიძლება ამისკენ კეილიმაც უბიძგა, რადგან სურდა, რომ რობერტის შესახებ რაც შეიძლება მეტ ხალხს სცოდნოდა.

— ეს ამბავი პოლიციას უნდა აცნობო? — დაინტერესდა ბილი.

— ვფიქრობ, საჭიროა. კეილის კიდევ ერთი აღიარების დატოვება შეეძლო. იმედია, მე არ გამცემდა.

— შენ რა, მისი თანამონაწილე ხარ? — გაოცდა ბილი.

— იცი, გუშინდელი საღამოდან რაღაცით თითქოს ვარ, რაკი წერილი მივსწერე და ერთგვარი შანსიც მივეცი.

— კარგი, რა. ასეთ წვრილმანს ვინმე გამოეკიდება?

— რა იცი? რაღა არ ხდება ქვეყანაზე, — ჩაიცინა ენტონიმ, — კარგი, ახლა მის ნორბერი უნდა ვნახო. შენ პოლიციაზე რატომ მკითხე?

— არ ვიცი, რა ვთქვა და იმიტომ... ბეტი, მის კოდელაინი აუცილებლად შემეკითხება.

— ის შეიძლება კიდევ დიდხანს ველარც კი ნახო, — ნაღვლიანად შენიშნა ენტონიმ.

— როგორც ვიცი, ბარინგტონებთან იქნება. ხვალ მეც იქ მივალ.

— ჰოდა, ყველაფერი მოუყევი, ოღონდ გააფრთხილე, მთელ ქვეყანას ნუ მოსდებს.

— აუცილებლად.

— ბარინგტონებიო, თქვი. ბევრ სტუმარს ელიან?

— ვფიქრობ, საკმარისად.

ენტონიმ მეგობარს გაუღიმა:

— მაშინ შენთან ერთი თხოვნა მექნება.

— გისმენ.

— თუ რომელიმე მათგანი მოკლული აღმოჩნდება, მაშინვე შემატყობინე. იშტაზე ახლა მოვედი, საქმე კი აღარ მაქვს!

დასასრული

✓ თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარაბიშვილის ნახატი

Cyan Magenta Yellow Black

თავი 19

თინათინ ბონი

ოცნების ძიებაში

დასაწყისი №31-48

www.facebook.com/Tinatinbonney

გივი გარდაიცვალა, ირაკლი გადაიხვეწა შორეულ ინდოეთში, სანდრო თავის ლენას დაუბრუნდა და ჩემთვის აღარ სცალია. რაღაც ბოღმა მახრჩობს, სანდროზე ნაწყენი არ ვარ და არც უნდა ვიყო. მოსალოდნელიც იყო მათი ერთად ყოფნა და თითქოს არ ველოდი ასეთ დასასრულს, მაგრამ რას ვიტყუებ თავს, ასეც იქნებოდა და ჩვენ ორივემ ეს კარგად ვიცოდით. მომენატრება. რატომ ვგრძნობ თავს ცუდად? მე ხომ ძლიერი ქალი ვარ, რომელსაც ამდენი გამოუვლია და გადაულახავს. სასწრაფოდ მინდა რაიმე ახალი ან ყურადღების გადატანა. მე ახლა ადამიანი მჭირდება გვერდით და ეს ადამიანი მდედრობითი სქესის არ უნდა იყოს! ზურა ამისთვის იდეალური კანდიდატია.

ვზივარ მანქანაში სადღაც სოლოლაკში და მუსიკა მაქვს ბოლო ხმაზე აწეული. აღარ ვიცი, მერამდენე წრეზე ღმუის „Flunk - Personal Stereo“. როგორ მიყვარს სიმღერების ბოროტად გამოყენება, როდესაც თავს ცუდად ვგრძნობ. მობილურის ეკრანი ანათებს და ვხვდები, რომ ტელეფონი რეკავს. გადავდივარ მანქანიდან და ზურა მხვდება.

— ისე იყავი გართული, აღარ შემოგეჭერი შენს პირად თავისუფლებაში.

მეღიმება.

— ფანტასტიკურად გამოიყურები, — ამბობს ზურა და გზისკენ მიმითითებს.

— მადლობა.

უდაოდ ხვდება, რომ კარგად არ ვგრძნობ თავს, ტელეფონზეც რომ ვესაუბრე, ვიცი, არ მქონდა ჩვეული გაწონასწორებული ხმა. არაფერს მეკითხება. ვაფასებ ამ თვისებას მასში.

შევდივართ შენობაში, რომელსაც არ აქვს წარწერა. საინტერესოა, რა უნდა იყოს კარის მიღმა. შესასვლელთან გვესალმებიან. ზურა კოსტიუმში გამოწყობილ საკმაოდ სიმპათიურ ბიჭს უწოდებს შავ პლასტიკურ ბარათს.

— არ არის საჭირო, ბატონო ზურა, მიბრძანდით.

— არ ვიცოდი, თბილისშიც თუ იყო მსგავსი ადგილები, — ვამბობ კმაყოფილი და ოდნავ დაინტრიგებული.

ვათვალიერებ საკმაოდ ორიგინალურად მოფიქრებულ ინტერიერს. ვინტაჟურ სტილში გემოვნებით არის გადაწყვეტილი. ვფიქსირებ, რომ ერთი ნათურაც კი არ ანთია, ყველაფერი პატარ-პატარა სანთლებითაა განათებული. მუსიკა ზუსტად ისეთი, ახლა ჩემს განწყობას რომ შეეფერება. ეს გარემო ჩემზე დადებითად მოქმედებს და მეც ცოტა ვდუნდები.

— რას დალევ? — მეკითხება ზურა.

— მაი თაის, — ვპასუხობ დაუფიქრებლად.

დღეს ძლიერით ვიწყებ, დაუყოვნებლივ მინდა, ვიგრძნო ალკოჰოლის ეფექტი, რომ გამაყუჩოს.

— კარგი. რამეს ხომ არ მიირთმევ?

— არა, მადლობა.

— დარწმუნებული ხარ? — ღიმილით მეკითხება ზურა.

— მაქსიმუმი სტარტერი.

— კარგი, მაშინ ჩემს გემოვნებას თუ ენდობი, სტარტერს მე ავარჩევ.

— ვენდობი, — ვპასუხობ ინსტინქტურად.

— ქალბატონს მოართვით მაი თაი, მე საზერაკს დავლევ და ასევე ორი სოკოს სუფლე მოგვიტანეთ. მადლობა.

მართლაც მშვენიერი გემოვნება ჰქონია. უგემრიელესი სტარტერი იყო. ზურას დახვეწილი მანერები აქვს და საკმაოდ დაბალანსებული ჩანს. ყველაზე უფრო ახლა ის ფაქტი მსიამოვნებს, რომ ჩვენ შორის არ არის რაიმე დაძაბულობა, არ არსებობს არც ვალდებულებები ერთმანეთის წინაშე, არც ზედმეტი ყურადღება, რაც მამაკაცების უმრავლესობას სჩვევია. სრული თავისუფლება, არანაირი წინასწარ გამიზნული ქცევები ან საუბარი, ყველაფერი ძალიან მარტივია. ზურა თავის სასაცილო ისტორიებს მიყვება და ისე ვიცინი, ვგრძნობ, გარშემომყოფების ყურადღება როგორ გადმოდის ჩვენკენ, მაგრამ ესეც არ მბოჭავს. მიმტანს მეორე კოქტეილი მოაქვს, რომელიც, ვერც კი შევამჩნიე, ზურამ როდის შეუკვეთა.

— იცი? რაღაც მინდა, გაგიზიარო, რაზეც ხშირად არ ვსაუბრობ ხოლმე, თუ არ ხარ წინააღმდეგი, რა თქმა უნდა, — მეუბნება ზურა მოულოდნელად, თუმცა საოცრად მშვიდი ტონით.

— კი, გისმენ, — ყოველთვის საინტერესოა ახალგაცნობილ ადამიანებთან ასეთი ლაპარაკი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დიდი სურვილი არ გაქვს, საუბრის თემა შენი პირადი ცხოვრებისეული გამოცდილებები იყოს. ზურამ ნამდვილად დაიმსახურა, რომ მოვუსმინო.

— არ ვიცი, რატომ გამიჩნდა ამის სურვილი, მაგრამ ალბათ შენ იმ მცირე ადამიანების რიცხვს მიეკუთვნები, ვისაც ვენდობი, — მეუბნება ზურა.

ქალი და ნდობა — საინტერესო სინთეზია, მაგრამ ახლა იყოს ასე, თუ ზურას ასე სწამს. ვგრძნობ, ამ სიტყვების მერე როგორ მატულობს ჩემში იმის ინტერესი, თუ რა უნდა მითხრას. იმასაც ვხვდები, რომ ეს მისი ერთგვარი ხერხი შეიძლება იყოს ქალებთან ურთიერთობისას, მაგრამ ზურას ეს ყველაფერი ისე ბუნებრივად გამოსდის, რომ ეჭვი იმ წამსვე მიქრება.

— ძალიან კარგი, ზურა, გისმენ, — ვეუბნები თავდაჯერებული.

ზურა კოქტეილს ყლუპავს.

— ალექსანდრა, ზურამ, რომელიც ახლა შენ წინ ზის, ბევრი რამ გამოიარა, სანამ დღევანდელ დღემდე მოვიდოდა. მინდა იცოდე, რომ ჩემი წარმატება და ახლანდელი ყოფა ჩემს ცხოვრებაში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ფაქტორებმა განაპირობა და ეს არაა შემთხვევითი. მოკლედ რომ გითხრა, კაცისთვის საკმაოდ რთულ ასაკში ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ და ეს არ იყო უბრალო გაყრა. ჩემს ოჯახში რამდენიმე წელი გრძელდებოდა აუტანელი სიტუაცია, გამუდმებული ჩხუბები, უთანხმოება, ჭურჭლის მტვრევა, ტირილი, გაუსაძლისი სულიერი ტკივილი და ეს ყველაფერი ჩემ თვალწინ, — ღრმად ისუნთქავს.

ხელს ვადებ და თვალებს ხრის.

— რამდენიმე წელი ვიცხოვრე ისე, რომ გულუბრყვილო ბავშვური იმედი მქონდა, ჩემები პრობლემებს გადალახავდნენ და ისევ ერთი შეკრული, ძლიერი ოჯახი გვექნებოდა. ამიტომაც დიდად არ ჩავრეულვარ მათ იმდროინდელ კონფლიქტებში, რაც წლების შემდეგ ძალიან ვინანე და საკმაოდ დიდი ხანი გამყვა ეს გრძნობა.

— შენ ვერაფერს შეცვლიდი.

— შემდეგ უკვე მიმაჩნდა, რომ ყველაფერი უნდა გამეკეთებინა იმისათვის, რომ ორივეს დავხმარებოდი ამ კრიზისის დაძლევაში. მაგრამ ალბათ ასაკი, გამოუცდელობა და... თავდაჯერებლობა არ მადგმევინებდა ამ ნაბიჯს. ამასთან ერთად, როდესაც საქმე ღალატს ეხება, ძალიან ძნელია, ადამიანს აპატიო და დედაჩემიც არ აღმოჩნდა იმ ქალთაგანი, რომლებიც ქმრის შენარჩუნებისათვის მეუღლის პერანგზე უცხო ქალის სურნელებას ყურადღებას არ მიაქცევს. საბოლოოდ მამაჩემი წავიდა და დავრჩით მე და დედა.

გაოცებული ვუსმენ ზურას. არ ველოდი ასეთ გულახდილობას მისგან, თუმცა ძალიან კი ვაფასებ. აშკარაა, რომ მართლა იმოქმედა მასზე. ჩემი კომფორტის ზონა სკამის ზურგიდან მაგიდის მოპირდაპირე კიდემდე იზრდება და ზურამდე ვრცელდება, თვალის კონტაქტს არ ვწყვეტ და თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ.

— მერე? — ვკითხულობ ცოტა შერყეული, არ ვიცი, მოულოდნელი ინფორმაციისაგან თუ ალკოჰოლმა თავისი თვისება გამოავლინა.

— ყველაზე არასაამაყო ჩემი შემდგომი საქციელია, — აგრძელებს ზურა და კოქტეილს იშველიებს, ალბათ გამბედაობისათვის, — როცა მე და დედა მარტო დავრჩით, იმის ნაცვლად, რომ გვერდში დავდგომოდი, საკუთარ თავში ჩავიკეტე.

— ცხოვრების რომელიღაცა ეტაპზე ეს ყველას ემართება.

— ყველა და ყველაფერი დავიკიდე, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა, თითქოს აზრი დაკარგა ყველაფერმა. დღამების მეშინოდა, ღამეებს ვათენებდი. გავხდი აგრესიული ყველას მიმართ. ამ ეგოიზმმა ჩემი არაერთი მეგობრობაც კი შეიწირა. დედაჩემთან დავიწყე ხშირი კამათი, რომელიც ჩხუბშიც გადადიოდა ხოლმე. არ მსიამოვნებდა ხალხთან ურთიერთობა. მეგობრები რომ ვიკრიბებოდით, ვერ ვხვდებოდი, რატომ მხიარულობდნენ ან რატომ ატარებდნენ კარგ დროს, ყველაფერი ხომ ძალიან ცუდად იყო! მე ხომ მტკიოდა, მე ხომ ხმაამოღებულად შველას ვითხოვდი, ამას კი ვერავინ ხვდებოდა და არც არავინ მიწვდიდა დახმარების ხელს. ყველანაირ გარემოებასა და ადამიანებს ვაბრალებდი ჩემს უბედურებას, ყველგან ვეძებდი მიზეზებს, საკუთარი თავის გარდა.

— ზურაააა, — ვამბობ და თავს ვხრი გვერდზე. გაკვირვებული ვარ და ჩემი ემპათიური ღიმილით ვცდილობ, გავამხნევო. ნამდვილად არ წარმომედგინა, ამდენს თუ ინახავდა გულში.

ზურა აგრძელებს:

— რამდენიმე ხნის შემდეგ გამოჩნდა ქალი, რომელიც ერთადერთი ამოსავალი წერტილი გახდა ჩემს ცხოვრებაში. ძალიან ძლიერი იყო, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ჩემი ტკივილი ნაწილობრივ წაეღო, მას გაეზიარებინა და ეს შეძლო კიდეც. ჩემს უხასიათობას და ემოციურ გაუწონასწორებლობას მოთმინებით ეკიდებოდა, მე, რა თქმა უნდა, ვაანალიზებდი, რომ ბევრის ატანა უწევდა, მაგრამ ის მაგიჟებდა, როგორ შეეძლო ამდენი ან რა ძალა ჰყოფნიდა ჩემ ასატანად, ან რად უღირდა ეს ყველაფერი. ვფიქრობდი, რომ ჩემზე გაცილებით უკეთეს ურთიერთობას იმსახურებდა, მაგრამ თან ვერ ვუშვებდი ხელიდან და საკუთარ თავსაც ვერ ვერეოდი, რომ ის მიმეცა მისთვის, რასაც იმსახურებ-

Cyan Magenta Yellow Black

და. ეს ქალი ყველაფერი იყო ჩემთვის და მეტიც. ვგრძნობდი, რომ ის იდეალი იყო ჩემი და ამას არ ვაღიარებდი. გამუდმებით ვცდიდი ყველაფერში, თითქოს ველოდებოდი, როდის დაუცდებოდა ფეხი, როდის შეეშლებოდა და ამას რომ ვერ ვაღწევდი, საბოლოოდ ჩემივე გახლართულ ბადეში ვებმებოდი, რომლიდანაც ისევ მას გამოვყავდი. ხომ გესმის, ალექსანდრა, ვერ გავტეხე!

— კი, ზურა, მესმის და ძალიან კარგად.

— ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ეს ქალი ხელიდან გავუშვი ჩემი უაზრობის გამო, ძალიან ცუდად მოვექეცი.

აღარ აკონკრეტებს და არც მე ვეკითხები და კარგიცაა, რაღაც ზღვრები უნდა იყოს დაცული, რისი გადალახვაც არ არის მიზანშეწონილი.

— მაგრამ მე ეს ჩემი ისტორია გამოვიყენე ცხოვრებაში წინ წასასვლელად და ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ კაცი დავმდგარიყავი, რომლითაც ამაყობენ. დღეს ყველაზე კარგად მესმის, რა არის ქალის ფასი, ვიცი ქალის პატივისცემა და ისიც, თუ რას ითხოვენ ქალები კაცებისგან და რა აკლიათ და მე ვამაყობ იმით, რომ შემიძლია, ყველაფერი მივცე ქალს, რასაც მოისურვებს და იმაზე მეტიც კი, ვიდრე ჩემგან მოელის და ამ ყველაფერმა მე სიამოვნება მომანიჭოს.

ზურა მესამე კოქტეილს ცლის. პირდაღებული ვუსმენ და ვხვდები, როგორ იცვლება ჩემი აღქმა ზურასადმი. გაცილებით მეტი და საინტერესო ყოფილა, ვიდრე წარმომედგინა.

საუბრის მერე კიდევ ვიმხიარულეთ და ვილაპარაკეთ. საინტერესოა, რომ თვითონ არანაირი მსგავსი კითხვა ჩემთვის არ დაუსვამს. ვერ ვიტყვი, რომ არ აინტერესებს, ვერც იმას დავუშვებ, რომ იცის ჩემი ცხოვრების შესახებ ან საიდან უნდა იცოდეს? მაგრამ ისიც ძალიან მესიამოვნა, რომ არაფერი მკითხა. ალბათ მიხვდა, სწორედ საკუთარ ცხოვრებას რომ გავურბოდი ამ საღამოს. მანქანა იქვე დავტოვე, სახლამდე მომაცილა და ლოყაზე კოცნით დამემშვიდობა.

სახლში შევედი კმაყოფილი და ემოციებით სავსე, თან ალკოჰოლიც მიწყობდა ხელს. გადავივლე შხაპი და სველი თმით ხალათში საწოლზე გავიშალე. გონებაში ვიმეორებ ბოლო რამდენიმე საათს, რაც ზურასთან გავატარე. ძალიან კარგი იყო, ღირს ზურასთან ურთიერთობა ნამდვილად. დაახლოებით სამ წუთში ამავე პოზაში ვითიშები.

ზურა კმაყოფილი ბრუნდება სახლში. უყურებს სავარჯიშო კუთხეს. არა, დღეს სიმძიმეებს არ აწევს, ძალიან პროდუქტიული დღე ჰქონდა. ძალიან მალე ალექსანდრას სრულ ნდობას დაიმსახურებს. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. იღებს მოზრდილ კაუჩუკის ბურთს, კედელს ესვრის და ხმამაღლა ეცინება.

დილით სამზარეულოდან გამოსული საუბარი მაღვიძებს. სვეტაა მოსული და დედაჩემს რაღაცაზე ენთუზიაზმით ელაპარაკება. ვდგები და გავდივარ სამზარეულოში. დედას ალადები გაუკეთებია. როგორ მიყვარდა ბავშვობაში ალადები ჟოლოს მურაბითა და არაჟენით. იდეალური დილაა.

— დილა მშვიდობისა, — ვამბობ ორივეს გასაგონად.

— ალექსანდრა, რა გეჩქარებოდა, — მეუბნება სვეტა და ვხვდები, რაღაც არ ასვენებს.

— დილიდან აქაა, დედა და გელოდებოდა, როდის გაიღვიძებდი, — მეუბნება დედა.

— რა ხდება? ხომ მშვიდობაა, სვეტა, — ვკითხულობ, მივდივარ ჩაის დასასხმელად და თან მეცინება.

— ეგ შენ უნდა მითხრა, ალექსანდრა, — მპასუხობს სვეტა.

— მოყევი, — ვამბობ და ვემზადები, რომ მორიგი სისულელე უნდა დააბრეხვოს, რაც, როცა კარგ ხასიათზე ვარ, ძალიანაც მახალისებს ხოლმე.

— გოგო, მოკლედ, დღეს ვხსნი ელექტრონულ ფოსტას და რას ვხედავ! თურმე ნათესავისგან მემკვიდრეობით მერგო წილი და მეძებდნენ აქამდე და ძლივს მიპოვეს. იქ კიდევ რაღაცეები წერია და მე უკვე მაგდენი ინგლისური აღარ ვიცი, ხოდა ეგრევე შენ გამახსენდი და მინდა განახო, რას იტყვი.

სიცილისაგან ვბუირდები.

— რა გაცინებს, გოგო! — მიკივის სვეტა.

ძლივს ვისუნთქავ და ვპასუხობ.

— და ის, საბანკო ანგარიშის ნომერიც ხომ არ მოგთხოვეს? — ვეკითხები დაცინვით.

— კი, იყო ეგეც. აბა, როგორ დამირიცხავენ ფულს სხვანაირად?

— რა გეშველება, სვეტა!

— რა იყო, გოგო, რას იტყვი? — ვეღარ ითმენს სვეტა.

— რა და, ჯერ ერთი, რომელი ნათესავისგან, მეორე — თუ ნათესავისგანაა, საერთოდ ინგლისურ ენაზე რატომ არის მოწერილი და მესამე, ზღაპრების კიდევ გჯერა? — ვეუბნები უკვე ოდნავ მკაცრი ტონით.

— მიდი, რა, ნახე, არ დაიზარო. ხომ გაქვს ლეპტოპი, — არ მეშვება სვეტა.

ვრთავ ლეპტოპს და ხმას არ ვიღებ. ერთი სული მაქვს, როდის მიხვდება, რომ ცაში დაფრინავს.

— შენი იმეილი მითხარი, — ვეუბნები სვეტას.

— შენ არ გამიკეთე, დაგავიწყდა?

— რა გაეწყობა, პაროლი მაინც ამოღერღე, გოგო.

— სვეტასვეტიკო 123.

სიცილს ძლივს ვიკავებ.

— ნუ დამცინი!

— ხმას არ ვიღებ.

მეილის სათაურიდანვე ჩანს, რომ ვიღაც თაღლითების შეთითხნილია და სვეტასნაირი მიამიტები ამაზე ასე ადვილად ებმებიან. ვუხსნი სვეტას, რომ არსებობს თაღლითების მთელი გუნდი, ვინც ამაზე მუშაობს და რომ ეს პირველი შემთხვევა არაა. ამ დროს ვამჩნევ ფოსტის ქვეშ გაუხსენელ მეილს, სვეტას ვანიშნებ თვალით და ვეკითხები:

— სვეტა, ეს რა არის?

სვეტა კომპიუტერის ეკრანს მიუახლოვდა და გაქვავდა.

— უი, არაფერი, კაცო.

— არა, სვეტა, ეს მეილი ვისგანაა? — არ ვეშვები მე.

პასუხს რომ ვერ ვიღებ, ვხსნი მეილს. სვეტა ლეპტოპს ხელიდან მგლიჯავს.

— ონლაინ სექს მაღაზიაში დაიწყე შოპინგი, გოგო?

— კარგი, რა, ალექსანდრა, რა გინდა, — მეუბნება სვეტა შერცხვენილად.

ისეთი სიცილი მივარდება, რომ სკამი ლამის ამიყირავდეს, ცრემლები მომდის ხარხარისგან, გავხედავ სვეტას და კიდევ უფრო მემატება. სვეტა ისე იბნევა, რომ ლეპტოპს აგდებს და სახლიდან გარბის. რა მხიარულად დამეწყო დილა.

— რატომ გაიქცა სვეტა, შვილო? — მეკითხება დედაჩემი.

— შერცხვა, დედა და მიტო.

— რისი?

— ინტერნეტით ჰქონდა ნაყიდი სათამაშოები ინტიმური მიზნებისთვის.

— უი! — დედაჩემსაც ეცინება.

— აი, ხომ ხედავ, სასაცილოა! — ვბუირდები.

— ამხელა ქმარი რისთვის ჰყავს?

— აბა, მე რა ვიცი, დე?

— გამაგიჟებენ ეს ახალგაზრდები, — დედაჩემი მამაჩემის სურათს იღებს, კოცნის ფოტოს და უკან აბრუნებს.

— მეც მენატრება, — ვამბობ და მიცრემლიანდება თვალები.

დედა თვალებს ისრესს და ფანჯრისკენ ტრიალდება.

— შაკოს დედა მეკითხებოდა...

— ნინიაზე?

— ხო. რა ხდება, იცი?

— სიმპათიაა დიდი. მეტი არ ვიცი, არ ვეძიები.

— შენ გადაარჩინე ეგ ბავშვი.

— მე არა, ღმერთმა, დედა!

— შენც. ნინია ძალიან კარგი გოგოა და დარწმუნებული ვარ, კარგი ოჯახი ექნებათ.

— რას ნიშნავს კარგი ოჯახი? — იატაკზე ლოტოსის პოზაში ვჯდები.

— თქვენთვის არ ვიცი და ჩემი თაობისთვის, ქმარს რომ შემოსავალი აქვს კარგი, ცოლი უყვარს, მძახლები რომ მეგობრობენ, შვილები რომ ზრდილობიანები და განათლებულები არიან, კაი ოჯახია.

— შენს თაობაში თუ ღალატობდნენ ქმრები ცოლებს?

— კარგი ახლა!

— ხო, გივის ამბავმა იცი, რა მიქნა და მაგიტომ არ მეუბნები, რომ კაცი იმისია, იგულავოს და დაბრუნდეს, — ვეუბნები ღიმილით.

— გივი ნაძირალა იყო!

ჩემი მობილური რეკავს. ვდგები და საძინებელში გავდივარ. ზურაა. მეღიმება.

— ხომ არ შეგიშალე ხელი? — მეკითხება.

— არა, რას ამბობ.

— მადლობა მინდოდა, გადამეხადა.

— რისთვის?

— რომ მომისმინე.

— ამისთვის არსებობენ მეგობრები.

— და ფსიქოლოგები და მე ფსიქოლოგებს არ ვენდობი.

— სულ ტყუილად. სამყარო იმდენად დაძაბული გახდა, ყველას გვაკლია ცოტა, — მეცინება.

— ანუ მე მაკლია? მადლობა! — გულიანად იცინის.

— ნუ, სულ ცოტა.

— ისე, მინდოდა მეკითხა, შენ არ მუშაობ, ხომ?

— არა.

— ფიქრობ რამეს?

→68

Cyan Magenta Yellow Black

— იცი, რა...

— რატომ გეკითხები, იცი? ბანკში მინდა ცვლილებები. ბიზნესის განვითარებით დეპარტამენტს საერთოდ ვათავისუფლებ, მე ვაკეთებ მაგათ საქმეს და ეგენი ადგილს ავსებენ.

— ცოდოები არიან.

— სამწუხაროდ, სხვანაირად არ გამოდის. ხოდა, მინდა ადამიანი, ვინც იქნება ჩემი მრჩეველი ამ საკითხებში. ძირითადად უცხოელ პარტნიორებთან გექნება საქმე. რაღა დაგიმალო და ლამაზი, ჩამოყალიბებული ქალი მინდა. ჩვენს საქმეში სულ მამაკაცები არიან და მოლაპარაკებებში მაგრად დამეხმარებოდი.

— არ ვიცი, ზურა, მე არ მაქვს დიდი გამოცდილება ან ცოდნა, მით უმეტეს, საბანკო სექტორში.

— სამი თვე გამეცადინებთ და არ გაგიჭირდება. ვცადოთ მაინც და, თუ არ გამოვა, იმ სამი თვისას გადაგიხდით და გაგიშვებთ შენს გზაზე.

— კარგი, ზურა. მადლობა.

— მადლობა შენ, ძალიან დამეხმარები.

— კაი, ნუ ამბობ მასე!

— მე ვიცი, რა პოტენციალიც გაქვს და ადამიანებში არასდროს ვცდები.

— დიდი იმედი მაქვს, შენს იმედებს არ გავაცრუებ.

— შენ ბევრად მეტი ხარ, ვიდრე ნებისმიერი.

— ახლა გავწითლდი.

— კაი, მოვრჩეთ ლაზღანდარობას. ორშაბათს გელოდები.

— კარგი, მოვალ.

— აბა, შენ იცი.

— მადლობა კიდევ ერთხელ.

— არაფრის, ანუ პირიქით.

ვთიშავ მობილურს და საწოლზე ვჯდები. იქნებ ყველაფერი მართლაც განგებით მოხდა. ის, რომ ზურა დამესიზმრა, შემდეგ ირაკლი გავიცანი და ახლა მყავს მზრუნველი მეგობარი. არ ვიცი, ეკლესიაში უნდა წავიდე. ან საერთოდ მონასტერში. აზრები უნდა დავალაგო.

ირაკლის არასდროს წარმოედგინა, რომ შესაძლებელი იყო ასეთ დონეზე სულიერი სიმშვიდის მიღწევა. დღითიდღე რწმუნდება, რომ ძალიან გაუმართლა, როდესაც მიეცა საშუალება, დაენახა სამყარო სხვა კუთხით. ის ახლა თავისუფალია, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ირაკლი რაღაცას გაურბის, სინამდვილეში ყველა ადამიანი თავისუფალია და ყველასათვის არსებობს სამყაროში სათანადო რესურსი იმისათვის, რომ ბედნიერი იყოს. უბრალოდ საჭიროა, საკუთარ თავს მივცეთ ამის ნება, რადგან ჩვენ, ყველას, საკუთარი სურვილები გაგვაჩნია და არავის აქვს უფლება და ვერ შეძლებს ჩვენი სურვილების შეცვლას. ასე რომ, თუ ჩვენ ვფიქრობთ, მაგალითად, უქონლობაზე, ვიღებთ კიდევაც უქონლობას, თუ ვფიქრობთ სიუხვეზე, ვიღებთ სიუხვეს.

ირაკლიმ იპოვა ის, რასაც ყოველთვის ეძებდა, გაცილებით მეტი, ვიდრე უბრალოდ არსებობა და ცხოვრება. ირაკლის თვალები აეხილა და დაინახა, თუ რამდენი რამისთვის არის მადლიერი, რამდენი რამ გააჩნია, რასაც აქამდე ვერ ხედავდა. ირაკლიმ ყველაზე დიდი ნაბიჯი გადადგა საკუთარი მეს კეთილდღეობისათვის, როდესაც იპოვა ძალა იმისა, რომ პირადი ნაკლოვანებები და ის ქმედებები, რომლებიც სინანულს და სულიერ შფოთვას იწვევა მასში, ეპატიებინა საკუთარი თავისათვის. სწორედ ამის შემდეგ იგრძნო ირაკლიმ უდიდესი შვება და თავისუფლება. ახსენდება ალექსანდრა და ხვდება, რომ სურვილი აქვს, გამოცდილება გაუზიაროს. ნამდვილად გაიგებდა ალექსანდრა, მაგრამ არა უშავს, ოდესმე ასეც იზამს. ამ ფიქრებში გართულმა ღრმად ამოისუნთქა და თვალები გაახილა. საღამოობით მზის ჩასვლამდე აგონდას სანაპიროზე უყვარს ჯდომა და ფიქრებში დაკარგვა. ოკეანე დღეს მშვიდია და მობერებული მზის სხივები უმნიშვნელო ტალღებს მუქ ფირუზისფერ ელფერს აძლევს. მცირე ნიავი სრულ

იდილიას ქმნის. ოდნავ მოშორებით გრძელი პალმების ფოთლების შრიალი ისმის. თინკა მშვიდი ნაბიჯებით უახლოვდება ირაკლის.

— გავისეირნოთ? — კითხულობს თინკა და ირაკლის უღიმის.

— არა, — პასუხობს ირაკლი.

რამდენიმე წამი ხმაამოუღებლად უყურებენ ერთმანეთს ირაკლი და თინკა. იგრძნობა, როგორ სწრაფად იზრდება სექსუალური დაძაბულობა მათ შორის.

— მოდი ჩემთან, — ეუბნება ირაკლი.

თინკა უხმოდ ემორჩილება, ისე, რომ თვალს არ აშორებს ირაკლის. ირაკლი მაისურს უწევს თინკას და მის მკერდში იძირება. თინკა სიამოვნებისგან თავს უკან ხრის და განცდით ტკბება.

— შემომხედე, — თავზე ხელს აშველებს ირაკლი.

თინკა ირაკლისკენ იხრება და სულში უყურებს.

ამის გადმოცემა ძნელია, მხოლოდ ირაკლი გრძნობს, როგორ სულიერად შიშველია თინკას მზერის წინაშე, მაგრამ ეს არ აშინებს.

— არასოდეს მომბეზრდება შენთან ასე ყოფნა, — ერთი ტონით ხმას იდაბლებს ირაკლი.

— არც მე, — პასუხობს თინკა.

ახლა უკვე თბილ ქვიშაზე ეშვებიან. ისინი ერთნი არიან.

— „You fit perfectly in me“, — უჩურჩულებს თინკა.

ირაკლი ზუსტად იქ არის, სადაც უნდა იყოს, ზუსტად იმ ადამიანთან, ვისთანაც უნდა იყოს.

სვეტას ვურეკავდი და არ მიპასუხა. ნეტა, როდემდე უნდა გამებუტოს? დღეს ზურასთან ერთად ვსადილობ. სამსახურზე უფრო დეტალურად მიამბობს და ორშაბათს ნაკლებად ვინერვიულებ. მსუბუქად ვიხატები და კლასიკურად ვიცვამ. მაინც ვცდილობ, რომ მისთვის კარგ ფორმაში ვიყო.

ზურა კარს მიღებს და რესტორანში შევდივართ. ყველა ჩვენ გვიყურებს. მე შეუდარებელი ვარ, ამას არ სჭირდება ახსნა. ზურა კი საოცრად მამაკაცურია. ძალიან კომფორტულად ვარ მის გვერდით. ვსხდებით და ზურა უკვეთავს. მოსწონს, როდესაც თვითონ არის მაკონტროლებელი. მე კიდევ არ მაქვს მასთან ჭიდაობისთავი. მთავარია, ზღვარს არ გადააჭარბოს.

— ძალიან ლამაზი ხარ დღეს, — მეუბნება მზაკვრული ღიმილით.

— მადლობა.

— შენ მოხიბლავ ჩვენს პარტნიორებს და ახალი ხელშეკრულებიდანაც გექნება ბონუსი.

— ჯერ დავიწყო, ნუ უსწრებ მოვლენებს.

— მე უბრალოდ ვიცი, რა შეგიძლია. შენი ერთი ჩაღიმება და გუდაში გყავს ყველა.

— ანუ შენც? — რატომღაც ვეფლირტავები.

— მეც, — ეცინება.

— ვეცდები, აღარ გაგიღიმო.

— რას ამბობ, პირიქით.

— რატომ?

— შენი ღიმილი მახსენებს, რისთვის ღირს ცხოვრება.

— ანუ ჩემი ღიმილისთვის?

— იმ ემოციებისთვის, რომლებსაც ის ჩემში იწვევს.

ოფიციანტს სასმელები მოაქვს და მაგიდაზე ალაგებს.

— სიმღერას მოგიძღვნიდი სიამოვნებით, — მეუბნება ზურა.

— რომელს? „სულიკოს“?

— ჯვარი გწერია, საფლავი არ გვინდა. რომ გითხრა, რომელ სიმღერას, დამცინებ, — თვალებს ხრის.

— მითხარი! — მაინტერესებს.

— კირკოროვის „Ты, ты, ты“.

— რაის კირკოროვი?

— მასეთი არ გეგონო, — ეცინება, — და კირკოროვიც ყ... ცუდი კაცია.

— აბა, რატომ მიძღვნი?

— სიტყვები მახსოვს, ბავშვობაში რადიოში რომ ვუსმენდი.

— ციტირებას ვითხოვ.

— „И недоброму миру, где от зла устаю, все сегодня простил я за улыбку твою, — თვალებში მიყურებს.

ვგრძნობ, რომ ვწითლდები და ლოყები მიხურს.

— „Где вчера лишь бродил я у беды на краю, этот мир полюбил я за улыбку твою“, — ამბობს და მისი მზერისგან მაჟრიალებს.

ოფიციანტს შეკვეთა მოაქვს და ბიზნესის საკითხების განხილვას ვიწყებთ. კარგია!

ირაკლი სარეცხს ფენს. მისი ბუნგალოს გვერდით ინდოელი მათხოვარი ზის, რომელსაც ფეხებთან ძაღლი უწევს. ერთად ჭამენ, ერთად სძინავთ. ბედნიერები არიან ერთად. მათი თვალიერებით გართული ირაკლი ვერც კი ამჩნევს, თუ ვინ უახლოვდება.

— ღმერთს მადლობა! — ესმის ნაცნობი ხმა.

ტრიალდება და მის დას ხედავს.

— შენ აქ რა გინდა? — ეკითხება გაოცებული.

— გწერდი, გირეკავდი! ასე როგორ გაქრი?

— ხომ იცოდი, მარტო მჭირდებოდა ყოფნა. დრო მინდა და დავბრუნდები.

— დრო არ გაქვს!

— რატომ?

— დედა ცუდადაა, ძალიან ცუდადაა.

ირაკლი სხეულში სისუსტეს გრძნობს და ქვიშაზე ეშვება. სამოთხე დაიხურა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

Cyan Magenta Yellow Black

საინტერესო ფაქტები

ღღეში 10 000 ნაბიჯი დღეში ინფარქტისა და ინსულტის ალბათობას 2-ჯერ ამცირებს, ხოლო გულის იშემიური დაავადებისას — 5-ჯერ.

4-5 წლით შეიძლება სიცოცხლის გახანგრძლივება, თუ ყოველდღიურად ერთ საათზე მეტხანს ისეირნებთ.

24-ჯერ გამეორება მუცლის პრესის სავარჯიშოების აუცილებელია იმისთვის, რომ მუცლის კუნთებმა დატვირთვა იგრძნონ და შესამჩნევად მოიჭიმონ.

15-ჯერ უნდა გაიცინოს ადამიანმა დღეში, ჯანმრთელი და ბედნიერი რომ იყოს. სიცილი გულის კუნთს კარგ მდგომარეობაში იცავს, სისხლის ცირკულაციას აუმჯობესებს, ორგანიზმში სტრესის ჰორმონებს ამცირებს.

5 ჭიქა წყალი დღეში მინიმალური რაოდენობაა ორგანიზმის სწორად ფუნქციონირებისთვის.

2 თეფში ბოსტნეული და ხილი აუცილებელია ყოველდღიურად მიირთვათ, რათა თავი ონკოლოგიური და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან დაიცვათ.

სიცრვეში კაკაო დალიეთ

ჩვეულებრივ, დილით ყავას სვამენ გამოსაფხიზლებლად, მაგრამ წლის ცივ სეზონში სხვა გამამხნევებელი სასმელი — კაკაო აირჩიეთ. კაკაოს მარცვლები ხელს უწყობს იმუნოგლობულინ A-ს გამომუშავებას, რომელიც ლორწოვან გარსებს მიკრობებისგან იცავს. ე.ი. შეგიძლიათ ყავის ნაცვლად კაკაო დალიოთ და ჩათვალეთ, რომ გაციებითი დაავადებების პროფილაქტიკა ჩაიტარეთ. ორგანიზმი უფრო ადვილად გაანადგურებს ბაქტერიებსა და ვირუსებს, რომლებიც ცხვირისა და პირის, სასუნთქი გზებისა და შინაგანი ორგანოების ლორწოვანებზე ხვდებიან.

ყავის მოყვარულებს ალბათ გაუჭირდებათ მათთვის საყვარელი სასმელის კაკაოზე გაცვლა. ერთკვირიანი მოთმინების შემდეგ კაკაოს მიეჩვევით, მის გემოს დააფასებთ.

ვის ემუქრება ყველაზე მეტად ბრონქიტი?

ზამთრის პერიოდში ბავშვი სულ ახველებს, ბრონქიტის ერთ ეპიზოდს მალევე მოსდევს მეორე? აუცილებელია, სრულიად გამოირიცხოს დაავადების გამომწვევი რისკფაქტორები და შემცირდეს ავადმყოფობის სიხშირე.

რეციდიული ბრონქიტი

ძირითადად თავს იჩენს იმ ბავშვებში, რომლებიც იოლად და ხშირად ხდებიან ავად. ხშირი ვირუსული ინფექციები პრაქტიკულად ძალას აცლიან სასუნთქი სისტემის თავდაცვას, მნიშვნელოვნად ქვეითდება მისი ბრძოლისუნარიანობა, ამის გამო გაციებისა და ვირუსული ინფექციებისთვის სასიკეთო ფონი იქმნება.

ცუდი მემკვიდრეობა

რეციდიული ბრონქიტისადმი წინასწარგანწყობა პატარებს ხშირად მემკვიდრეობითაც ერგებათ. ამ დაავადების მიმართ რისკი მაღალია პირველი ჯგუფის სისხლის მქონე ბავშვებში. სისხლის ჯგუფის შეცვლა, ბუნებრივია, შეუძლებელია, მაგრამ თუ ადრეული ასაკიდან ვიზრუნებთ ბავშვის გაკაჟებაზე, სასუნთქი სისტემის ვარჯიშებს გავაკეთებინებთ, კარგ შედეგსაც მივიღებთ.

თავდაცვა

ზამთარში ბავშვი მაქსიმალურად მოარიდეთ ავადმყოფ თანატოლებთან (უფროსებთანაც) კონტაქტს. თუ საშუალებაა, ნუ იმგზავრებთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მინიმალური დრო დაყავით ხალხმრავალ ადგილებში, პატარა მაქსიმალურად დიდხანს ამყოფეთ სუფთა ჰაერზე, იზრუნეთ მისი იმუნიტეტის გაძლიერებაზე.

იმეგობრეთ ოტოლარინგოლოგთან

ხანგრძლივად მიმდინარე ქრონიკული ანთებითი პროცესები, ისეთი, როგორიცაა ტონზილიტი, ჰაიმორიტი, რინიტი, ადენოიტი, ბრონქიტის პროვოცირებას ახდენენ. სასუნთქი გზების დაავადების დროს ბავშვს ცხვირით სუნთქვის პრობლემები აქვს, რის გამოც პირით სუნთქვა უწევს. შედეგად ბრონქებში შედარებით ცივი ჰაერი ხვდება, თანაც არა ცხვირიდან, არამედ პირიდან, ვენტილაციური რეჟიმი ირღვევა და ზედა სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსი ღიზიანდება. სწორედ ასეთ დროსაა აუცილებელი ოტოლარინგოლოგის კონსულტაცია, რომ ცხვირით სუნთქვის პროცესი აღდგეს.

ეს იცოდით?

❖ კომპანია „ეფლის“ დამფუძნებელი სტივ ჯობსი იმ იმედით გახდა ვეგეტარიანელი, რომ, ასეთი კვების წყალობით, ტანის დაბანა იშვიათად მოუწევდა.

❖ კომპანია „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელ ბილს გეიტსს სკოლაში სწავლის დროს ისეთი პროგრამის დაწერა დაავალეს, რომელიც მოსწავლეებს კლასებში გადაანაწილებდა. გეიტსმა კი დაწერა პროგრამა, რომლის წყალობითაც თავად გოგონებით სავსე კლასში მოხვდებოდა.

❖ ამერიკის პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი ყოველდღიურად ერთ წიგნს კითხულობდა.

❖ ჯონ ადამსი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი იყო. მას თეთრ სახლში ჰყავდა ძაღლი, სახელად სატანა.

❖ ამერიკის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თავის ქალიშვილს სახელი ნატაშა ალექსანდრ პუშკინის ცოლის, ნატალია გონჩაროვას პატივსაცემად დაარქვა.

❖ კუბის ლიდერი ფიდელ კასტრო ჰოლივუდის ორ ფილმში გამოჩნდა — „ჰოლიდეი ინ მეხიკო“ და „იზი თუ ვედ“.

❖ ჰოლივუდის ვარსკვლავ ნიკოლას კეიჯს ახალგაზრდობაში სახლში რვაფეხა ჰყავდა და მის მოძრაობებს სწავლობდა. ეს მას პროფესიის დახვეწაში ეხმარებოდა.

❖ ჰოლივუდის ვარსკვლავმა კეტრინ ჰეპბერნმა კარიერის განმავლობაში 4 ოსკარი მოიპოვა, აქედან 3 მათგანი 60 წელს გადაცილებულმა მიიღო.

❖ როკ ენ როლის მეფე ელვის პრესლი ქერა იყო. მან თმა შავად უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დროს შეიღება.

❖ ცნობილი მომღერლის, ბობ მარლის მამა თეთრკანიანი იყო. იგი ინგლისელ-იამაიკელების საზღვაო ფლოტში მსახურობდა.

❖ ბალტიმორში მდებარე კარლტონის ვიადუკი მსოფლიოში დღემდე მოქმედი უძველესი სარკინიგზო ხიდია, რომლის საძირკველი 1828 წლის 4 ივლისს ჩაიყარა.

❖ ამერიკაში პირველ რკინიგზას ხის ლიანდაგი ჰქონდა.

❖ ნეპალის სახელმწიფო დროშა ერთადერთია მსოფლიოს სახელმწიფო დროშებიდან, რომელსაც მართკუთხედის ფორმა არ აქვს.

❖ უცნობია, ვინ შექმნა ამერიკის პირველი დროშა.

Cyan Magenta Yellow Black

გავიცნობ, ვეძებ

sms-ები გამოაგზავნეთ ოჩშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 7 დეკემბერი, 17 საათი.

გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. ვარ 35/195/80, შავგვრემანი, სიმპათიური, თბილისელი მამაკაცი. გავიცნობ 45 წლამდე სიმპათიურ, თბილისში მარტო მცხოვრებ ქალს. 595102101. იკა
2. სამეგობროდ გავიცნობ 45-დან 50 წლამდე თბილისელ ქალს. 557628493. ლაშა
3. გავიცნობ 22-30 წლამდე გოგოს შეხვედრებისთვის. ვარ დასაქმებული, ახალგაზრდა ბიჭი, ვცხოვრობ ქუთაისში. 557648621. ნიკა
4. გავიცნობ 30 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. ვარ ძალზე მოსიყვარულ, შეკუსრულებს ყველა თხოვნას. 558787328. გუჯა
5. გავიცნობ 32 წლამდე გოგოს. 557503047
6. გავიცნობ 40 წლამდე ქალს სამეგობროდ. 555170658
7. გავიცნობ ლამაზ და სიმპათიურ ქალს შეხვედრებისთვის. შემეხმიანეთ მხოლოდ საღამოს. 555565822. დათო
8. გავიცნობ უბრალო, ჯიგარ და გულიან გოგოს სამეგობროდ. 599207289
9. შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე გოგოს. 558163877
10. გავიცნობ 40 წლამდე ქალს სამეგობროდ. 557571995
11. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, ჯანმრთელი აზროვნების, ალერსიან ქალს. ვარ 33 წლის, მოსიყვარულე, დასაქმებული მამაკაცი. 557397959
12. ვარ 29 წლის, სიმპათიური, სპორტსმენი მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ 35 წლამდე თბილისელ, ლამაზ და ენერგიულ გოგოს. 557397950
13. გავიცნობ 25-30 წლამდე სიმპათიურ ქალს ხანგრძლივი შეხვედრებისთვის. 598365397
14. გავიცნობ 45 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის, ცოტა შეძლებულს. ვარ 28 წლის. 599331692. ბაჩო
15. ვარ 40 წლის, კარგი გარეგნობის, დასაქმებული, უზრუნველყოფილი მამაკაცი. გავიცნობ 35 წლამდე, განათლებულ, კარგი გარეგნობის ქალს. 557512738. გიო
16. სამეგობროდ გავიცნობ ზესტაფონის რაიონში მცხოვრებ 45 წლამდე ქალს. ვარ 35 წლის, მეგობრული ადამიანი. 557451540
17. ვარ 52/180/80, მსურს გავიცნო უღალატო მეგობარი ქალი, რომელიც ბოლომდე დარჩება. განა ყველა გასართობად წერთ? ხომ შეიძლება სიყვარულზე, ადამიანობაზე ააგოთ სიცოცხლე? 599254174
18. გავიცნობ 32 წლამდე გოგოს სამეგობროდ. ვარ 26 წლის ბიჭი. 558503047
19. ვარ 30 წლის, ვცხოვრობ თბილისში. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, განათხოვარ, სიმპათიურ ქალს. 555004073. ზურა
20. შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე თბილისელ ქალს. ვარ სპორტსმენი. 555458589
21. გავიცნობ 55 წლამდე მარტოხელა ქალს სამეგობროდ, მხოლოდ დასავლეთელს, მყავს მანქანა. 557595692
22. ვარ 37 წლის, სიმპათიური, კარგი ხასიათის თბილისელი მამაკაცი. ვარ უზრუნველყოფილი, სამეგობროდ გავიცნობ ლამაზ ქალს. 558164318
23. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს, სასურველია დასავლეთიდან. 555959721
24. ვარ სიმპათიური, განათლებული, ყოფილი სპორტსმენი, დასაქმებული, მწვანეთვალება, 31 წლის მამაკაცი. გავიცნობ 45 წლამდე ლამაზ ქალს. 555619588
25. გავიცნობ თბილისში შეხვედრის ადგილით უზრუნველობფილ 45 წლამდე ქალს. 599701501
26. სამეგობროდ გავიცნობ ქალს, თუ სურვილი გაქვთ ყოველგვარი დაპირებების გარეშე, თბილი, წესიერი, 29 წლის მამაკაცის გაცნობის გელით. 557728196
27. ვარ 45 წლის თბილისელი მამაკაცი. გავიცნობ 38 წლამდე, არამსუქან, თბილისელ ან რუსთაველ ქალს. 599060701. ვახო
28. გავიცნობ ლამაზი აღნაგობის, საზღვარგარეთ მცხოვრებ გოგოს, რომელიც თან წამიყვანს. ვარ 28 წლის, კასპის რაიონიდან, „ოდნოებში“ ალექსანდრე კუდუხოვი მომნახეთ. 555119003
29. ვარ 44/178/75, სიმპათიური, სპორტული აღნაგობის, სერიოზული მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს, რომელიც თავს მარტოდ გრძნობს და სურს შეიძინოს ერთგული, სანდო და ყველანაირად გვერდში მდგომი მეგობარი მამაკაცი. 555349528
30. გავიცნობ 25-35 წლამდე თბილისელ ქალს სამეგობროდ. 558142153. ლაშა
31. ვარ 42 წლის, განათლებული და დასაქმებული. გავიცნობ 35-დან 43 წლამდე განათლებულ ქალს. 591271704
32. გავიცნობ 25-დან 32 წლამდე ქალს სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ ცოლს გაცილებული, არ ვარ მდიდარი, ერთი უბრალო ადამიანი ვარ. 555301640. ლევანი
33. ვარ 28 წლის, შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილ და მომხიბვლელ გოგოს. 555397694. დათო
34. შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე ქალს. ვარ 30 წლის, სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი. 557947017
35. ვარ 28 წლის ბიჭი. გავიცნობ კარგ, ლამაზ გოგოს ლამაზი ურთიერთობისთვის, ვცხოვრობ თბილისში, მაქვს სამსახური და მყავს მანქანა. 557421991. გგგ
36. ვარ ნორმალური და წესიერი მამაკაცი. სამეგებროდ გავიცნობ მარტო მცხოვრებ თბილისელ ქალს. 557651691

2017

37. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ გოგოს. 557972931. ლაშა
38. ვარ ქუთაისელი, ცოლიანი ბიჭი. გავიცნობ ქუთაისელ ქალს, მყავს მანქანა. 555272506
39. გავიცნობ 45 წლამდე ქალს თბილისში მცხოვრებს. ვარ 30 წლის, თბილისელი მამაკაცი. 557229258
40. შეხვედრებისთვის გავიცნობ იმერეთში მცხოვრებ 30 წლამდე გოგოს. ვარ 29 წლის, მყავს მანქანა და მაქვს სამსახური. მსუქნებმა თავი შეიკავეთ. 551168566
41. გავიცნობ სულიერად ლამაზ, მდიდარ და მშვიდ თბილისელ ქალს. 555675264. ნიკა
42. ვარ 22 წლის ბიჭი. გავიცნობ 35 წლამდე გოგოს სამეგობროდ. 555109884
43. გავიცნობ 45 წლამდე ასაკის ქალს. 557689385
44. ვარ 45 წლის თბილისელი მამაკაცი, ვცხოვრობ მარტო. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, ერთგულ ქალს ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. 599249099. ილია

გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ 38/185/82, დასაქმებული მამაკაცი, ვცხოვრობ სამტრედიაში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქალიშვილ, 33 წლამდე გოგოს, საშუალოზე მაღალს. 555639894. დათო
2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 27 წლამდე სამტრედიელ ან ოზურგეთელ ლამაზ და ქალიშვილ გოგოს. 551974197
3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 20-30 წლამდე თბილისელ, სიმპათიურ გოგოს. ვარ 38 წლის მაღალი, სპორტული აღნაგობის. 555162802. გია
4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ბინიან, 55 წლამდე დარბაისელ ქალს. 598908448
5. ვარ 50 წლის მაღალი მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სიმპათიურ, ბინით უზრუნველყოფილ ქალს. 551554115. ვანო
6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სუფთა წარსულის მქონე ქალს. ვარ თბილისელი, 55 წლის მამაკაცი, ვცხოვრობ მარტო. 555477923
7. ვარ 36 წლის, განქორწინებული მამაკაცი. გავიცნობ პატიოსან და ლამაზ ქალს ოჯახის შესაქმნელად. 555732484. გიო
8. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ პატიოსან გოგოს. ვარ 35 წლის ბიჭი. 551357105
9. ვარ 55 წლის მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45 წლამდე პატიოსან, ქალიშვილ ქალს, თუნდაც ობოლს, მისი ქონება არ მაინტერესებს. ვცხოვრობ თბილისთან ახლოს, მაქვს ჩემი ყველაფერი. 557798998
10. გავიცნობ 35 წლამდე მარტოხელა გოგოს ან განათხოვარს ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ პატიოსანი, მშრომელი. 598224496
11. გავიცნობ ქალიშვილ გოგოს ოჯახის შექმნის მიზნით, სამეგრელოდან. ვარ 30 წლის. 557211160
12. ვარ 64 წლის მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 38 წლამდე ქალს, რომელსაც არ ჰყავს და უნდა რომ ჰყავდეს ბავშვი და იყოს დიასახლისი. 595469342
13. გავიცნობ თბილისელ 30-დან 35 წლამდე, განათხოვარ, სუსტი აღნაგობის, მარტო მყოფ, თუნდ ბავშვიან ქალს ოჯახის შექმნის მიზნით. 551539247
14. ოჯახის შექმნის მიზანით გავიცნობ სერიოზულ, თბილისში ბინით უზრუნველყოფილ, 40 წლამდე განათლებულ ქალს, შესაძლოა განათხოვარიც, ოღონდ მვილების გარეშე. 557409121
15. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-დან 41 წლამდე დედისერთა ან მარტოხელა ბინიან ქალს, თუნდაც ბავშვიანს ან სოფელში მცხოვრებს. ვარ 41 წლის მამაკაცი. 557102078
16. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე პატიოსან ქალს. 555263388
17. ვარ 29 წლის, ახალი ჩამოსული საქართველოში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-28 წლამდე წყნარ, თუნდაც პუტკუნა გოგოს. 557985427. ლუკა

გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45-55 წლამდე სერიოზულ, დასაქმებულ მამაკაცს. ვარ 42 წლის, შვილიანი, სერიოზული ქალი. 557350287
2. ვარ 52 წლის, თბილისელი, სიმპათიური ქალი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, შეძლებულ, სიმპათიურ, წესიერ მამაკაცს. 555416795
3. ვარ 38 წლის, დასაქმებული გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, დასაქმებულ, სიმპათიურ, 38-45 წლამდე მამაკაცს. 557973336

გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. ვარ 40 წლის, განათხოვარი ქალი იმერეთიდან. გავიცნობ დასაქმებულ, ბინიან მამაკაცს. 557191410
2. ვარ ლამაზი ახალგაზრდა ქალი. გავიცნობ 40-50 წლამდე მამაკაცს, ვინც გამიწევს მეგობრობას, სასურველია იყოს დასაქმებული. 555669069
3. ვარ 44 წლის, თბილისელი ქალი. მყავს ერთი შვილი, გავიცნობ მამაკაცს იშვიათი შეხვედრებისთვის, რომელიც მატერიალურად დამეხმარება. 557309224

ბიღოსავ

მაია რეხვიაშვილს ვულოცავთ შემოქმედების 35 წლისთავს, ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს. დათო საყვარელიძე, ჯუბა, სური, ალიკა

თუ გსურთ, ახლობელს მიეულოცოთ ჩაიმე ან გაუმხიერთ თქვენი გრძნობები ეუნაე „სარეის“ მეშვეობით, აეჩიფეთ ასო „M“, შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ეეოსეეის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარეის“ უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 7 დეკემბრის 17 საათამდე.
ეთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. ნეარი, რომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ეთი აღრესატისადმი მინეარი ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება

Cyan Magenta Yellow Black

← 6

დარქმეულია — ქართული სახელია. დენისი კი ჩემმა მეუღლემ დაარქვა. ევროპული სახელია და... შევთანხმდით, რომ ორი სახელი დაგვერქმია და ასე გამოვიდა. ყველა დეტალს თუ არ მომაყოლებთ, უკეთესი იქნება.

„იშვიათად ვბრაზდები, მაგრამ თუ ვინმეს გავუბრაზდი და დავსაჯე, მეცოდება და ვიღებ გადაწყვეტილებას, რომ ისევ შემოვიხიგო".

უფროსი ბიჭი, კოკო, უკვე 4 წლის არის და ბაღში დადის. სამსახურში რომ მივდივარ, ის ბაღში მიმყავს. ღამემდე ოჯახის მოსაკითხადაც ვერ ვიცლი. შეიძლება მთელი დღის განმავლობაში ერთხელ დავრეკო ან ესემესი გავაგზავნო. თუ რამე სჭირდებათ, აქეთ მეხმიანებიან. პატარა ჯერ 3 თვისაც არ არის და სულ დედას არის მიჯაჭვული. პატარაა, მაგრამ ერთმანეთისგან გვარჩევს და თუ მე ავიყვან ხელში, უნდა, ისევ დედამისთან მივიდეს. უფროს ბიჭს ხანდახან ვეთამაშები, შეიძლება რაღაც მანქანა ავაწყოთ ერთად და ა.შ. უფრო მეტად კი იმაზე ვდაობთ, რომ კომპიუტერთან დიდხანს არ იჯდეს.

— ადრე „სარკისთვის" მიცემულ ინტერვიუში თქვენი ფეხმძიმე მეუღლე ჩიოდა, იმედი მაქვს, დათო მშობიარობის დროს მაინც იქნება ჩემთანო. შეუსრულეთ ეს სურვილი?

— კი, მის გვერდით ვიყავი. მე თავად წავიყვანე სამშობიაროში. გვიანი ღამე იყო და შესაბამისად სახლში ვიყავი.

— ბევრი ინერვიულეთ?

— არა, ცოტა, რადგან სწრაფად გაჩნდა.

— ფიცხი უფრო ხართ თუ მშვიდი?

— მშვიდი. ადვილად არ გამოვდივარ წყობიდან, თორემ ბოლო დროს იმდენ ღაფს მესვრიან პოლიტიკური ოპონენტები, აქამდე ბევრჯერ უნდა გამოვსულიყავი. ჩემი

„ჩვენს ოჯახში ყოველთვის სიმჯასეხე იყო. მე და ჩემს ძმას გვაჯონტხოლებდნენ, ჰომ სეოლა ახ გაგვეცდინა, გაჯვეთიღები დეხოელად მოგვემზადებინა. ეს ყველაფეხი ჩემზეც აისახა და ჩემს ძმაზეც".

მთავარი საზრუნავი ის არის, რომ საქმეზე ვიფიქრო და არ ავყვე იმ ყველაფერს, რაც გარშემო ხდება. იშვიათად ვბრაზდები, მაგრამ თუ ვინმეს გავუბრაზდი და დავსაჯე, მეცოდება და ვიღებ გადაწყვეტილებას, რომ ისევ შემოვირიგო.

— მკაცრი უფროსი ხართ?

— ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მკაცრი ვარ, მაგრამ არც ლიბერალი გახლავართ. სამსახურში ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. ვერ ვიტან უსაქმურ ადამიანებს, მაგალითად, ვისაც შეუძლია, საქმე დღეს გააკეთოს და ხვალისთვის გადადებს. რაც უნდა გვიანი იყოს, სამსახურში ბოლომდე ვრჩები, რომ დღევანდელი საქმე დღეს დავამთავრო და ხვალიდან ახალი დავიწყო. მინდა, სხვებიც ასე იყვნენ.

— ოჯახშიც მომთხოვნი ხართ?

— ვითხოვ იმას, რომ ბავშვები წესრიგში იყვნენ და ასეც არის. ასე რომ, მოსათხოვნი ბევრი არაფერი მაქვს. ჰარმონიულად ვცხოვრობთ და ასეც ვაპირებთ გაგრძელებას.

— მშობლები მკაცრად მზრდიდნენო, ამბობთ. შვილები თქვენც მკაცრად უნდა გაზარდოთ?

— აუცილებლად. ასე რომ არ ყოფილიყო, მე სხვა გზას დავადგებოდი, სიმკაცრემ კი თავისი შედეგი გამოიღო.

— თქვენი უფროსი ჯაჟი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე ჩოხაში გამოწყობილი მიიყვანეთ. თავადაც იცვამთ ხოლმე ჩოხას?

— არა, მე ჩოხა არ მცმია და ის, რაც მე მაკლდა, არ მინდა, ჩემს შვილსაც აკლდეს. მინდა, ჩემი შვილებიც ისეთივე

„მივიღე გადაწყვეტილება, ჰომ ჩემი შვილი ჰეზიდენტის ინაუგუჰაციაზე წამეყვანა. მან უნდა იცოდეს, ვინ ახის მისი ქვეყნის ჰეზიდენტი. მინდოდა, მისი ეროვნული სამოსით იმისთვის გამესვა ხაზი, ჰომ სხვებმაც, სადაც ამის ადგილი და დროა, ეროვნული სამოსით ატაროონ ბავშვები".

ნაღდი ქართველები იყვნენ, როგორიც მე ვარ, იზრდებოდნენ იმ წესებსა და ტრადიციებზე, რაც ჩვენ გვაქვს და ეს არ დავკარგოთ. დასავლეთის გავლენა თავისას იზამს, მაგრამ მინდა, ეროვნული ტრადიციებიც შევინარჩუნოთ. აქედან გამომდინარე, მივიღე გადაწყვეტილება, რომ ჩემი შვილი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე წამეყვანა. მან უნდა იცოდეს, ვინ არის მისი ქვეყნის პრეზიდენტი. ტელევიზორში რომ ხედავს, ცნობს პრეზიდენტს, პრემიერმინისტრს, სხვა რამდენიმე მინისტრს. მინდოდა, უშუალოდ ენახა ეს ადამიანები და თან მისი ეროვნული სამოსით იმისთვის გამესვა ხაზი, რომ სხვებმაც, სადაც ამის ადგილი და დროა, ეროვნული სამოსით ატაროონ ბავშვები, რომ ეს ყველაფერი არ დავკარგოთ და მომავალ თაობას შევუნარჩუნოთ. მე გაჭირვებულ პერიოდში გავიზარდე. ფინანსები რომც გქონოდა, გასაქანი არ იყო. ამიტომ ბევრი რამე აკლდა ჩვენს თაობას.

— ბატონო დავით, ამას წინათ ერთ მინისტრზე მითხრეს, სახლის ყიდვა უნდა გაფართოების მიზნით, შესაბამისი ხელფასიც აქვს იმისთვის, რომ კრედიტი გამოიტანოს, მაგრამ იცის, ამ ამბავს ხმაური მოჰყვება და თავს იკავებსო. თქვენს ქონებრივ დეკლარაციაში შეიცვალა რამე?

— თუ ადამიანს აქვს რეალური შემოსავალი, არ უნდა მოერიდოს ბინის ყიდვა. ჩემი ხელფასი 6 300 ლარია. 1 500 ლარს ვიღებ, როგორც უნივერსიტეტის პროფესორი. ერთი წლის წინ რაც დავწერე ქონებრივ დეკლარაციაში, ისევ იმ ქონებას ვფლობ. ჩემი ხელფასის გარკვეული ნაწილი პერიოდულად შემაქვს მშენებარე სახლში იმისათვის, რომ ჩემს მეორე შვილსაც ჰქონდეს ბინა.

✓ **რუსუდან ადვაძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ქრისტიანობა არის საქმე და არა ლაპარაკი წმინდანთა მსგავსად

ხსენება მღვდელმოწამისა ბაგრატი ტავრომენიელი ეპისკოპოსისა

გაგრძელება

წმინდანი დაუცხრომლად და უშურველად იღვწოდა ტავრომენიის ეპარქიის ასაღორძინებლად. რამდენიმეწლიანი მოღვაწეობის შემდეგ უსაზღვრო ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო საკუთარ ეპარქიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

წმინდა მამის მოღვაწეობა მიუღებელი იყო და შურს აღძრავდა წარმართებში, რაც სხვადასხვა ფორმებით ვლინდებოდა. იყო ასეთი შემთხვევა, როცა იუდეველმა მწიგნობრებმა და მონტანისტებმა ერთდროულად გადაწყვიტეს წმინდანზე თავდასხმა და ხალხს მოუწოდეს: „რატომ მიატოვეთ, ხალხო, თქვენი თავდაპირველი პატივცემული ღმერთები და მიეჯაჭვეთ ამ სიცრუეს და შეიქენით კაცთმოთნენი, ვიდრე ღვთაებათამოთნენი?“. წმინდანი ცდილობდა, არ აჰყოლოდა წარმართთა გამოწვევას და უხმაუროდ აგრძელებდა თავის საქმიანობას. ხალხი თვითონ პასუხობდა ერეტიკოსთა მოწოდებას: „თქვენ თვითონ ხართ სიცრუის მოძღვარნი და ეთაყვანებით ყრუ-მუნჯ ღვთაებებს. ჩვენ ვიპოვეთ ჭეშმარიტება, რომელიც არის მეუფე ცის და ქვეყნის იესო ქრისტე და სარწმუნოება გვაქვს ღვთაებრივი და არა კაცობრივი“.

წმინდანიც მოუწოდებდა წარმართებს, თუ სურდათ ჭეშმარიტების ხილვა, ამისთვის საჭირო იყო უარის თქმა კერპთაყვანისმცემლობაზე და დარწმუნება ქრისტიანობის ჭეშმარიტებაში. ამასობაში მან შეკრიბა ხალხი და მოუწოდა, რომ ორ დღეში ბონიფანტე საკუთარ ჯართან ერთად დაბრუნდებოდა გამარჯვებული, რადგან მტერი დაემარცხებინა ღვთის ძალით. მართლაც, მეორე დღეს წმინდა ბაგრატის წინასწარმეტყველებისამებრ დაბრუნდა ბონიფანტე ავლადიდებით და თან უამრავი ტყვეც ჩამოიყვანა, რომელთაც იხილეს წმინდა ბაგრატის წირვა და წირვის დროს აღსრულებული სასწაულები. უმრავლესობა მათგანმა აღიარა ქრისტე და ადგილობრივების მსგავსად მოინათლნენ კიდეც.

წმინდა ბაგრატი გონიერი და მოაზროვნე მამაკაცებს ხელს ასხამდა მღვდლებად და დიაკვნებად. ეს კი იყო წინაპირობა იმისა, რომ ტავრომენიის სამწყსო გონიერი მოძღვრების ხელში იყო. ეს წარმატება დიდწილად განპირობებული იყო იმითაც, რომ ტავრომენიის მთავარი ბონიფანტე იყო კეთილად განწყობილი წმინდა ბაგრატის და ზოგადად ქრისტიანთა მიმართ. ეს შემთხვევა კი შესაძლებლობას აძლევდა წმინდანს, თავისუფლად ემოქმედა, თუმცა ყოველთვის როდი არს ჟამი მშვიდობისა და ტავრომენიასაც დაემუქრა საფრთხე, როცა მეფე აკილინოსმა განიზრახა მისი დაპყრობა.

წინასწარ განჭვრიტა ყოველივე წმინდანმა და შესაბამისი სამზადისი განახორციელა — ხალხს მოუწოდა, ქალაქის ცენტრში შეკრებილიყო, რადგან საინტერესო რამ ჰქონდა მათთვის სათქმელი. მართლაც, დათქმულ დროს ხალხით გაივსო ქალაქის მთავარი მოედანი. წმინდანმა საღმრთო ლიტურგია აღასრულა, ხალხის უმრავლესობა აზიარა და ამის შემდეგ მშვიდად მიმართა: „ჩემო შვილებო, ტავრომენიის მკვიდრნო, ბოროტმა ძალამ ჩვენი აფორიაქება გადაწყვიტა, მეფე აკილინემ ტავრომენიის დამორჩილება განიზრახა და საომრადაც მზად არის, მალე გამოემართება კიდეც ჩვენკენ, მაგრამ ნუ შეშინდებით, სასოება მივაპყროთ უფალ იესოს და ის იზრუნებს საკუთარი შვილების უსაფრთხოებაზე!“.

ამ სიტყვებს მოჰყვა საკმაოდ საინტერესო ისტორია, რომელზეც შევაჩერებ ცოტა ხანს თქვენს ყურადღებას: ხალხის მოწოდების შემდეგ სთხოვა ბონიფანტეს, მასთან მოსულიყო და თან ის წიგნი წამოეღო, რომელშიც მოთხრობილი იყო არა ტავრომენიის გამარჯვებები ერთდროულად, არამედ მხოლოდ ტავროს გამარჯვებები მენიის გარეშე, თუ რამდენჯერ გაილაშქრა მტერმა მასზე და რამდენჯერ დამარცხდა. იგივე ელოდა კალავრიის მეფე აკილინეს ახლაც. ამავე წიგნში იყო აღწერილი, თუ როგორ სურდა მეფე აკილინეს ტავროს მთავრის რევინთოსის მოკვლა და ტავროს შემოერთება საკუთარ სამეფოსთან.

ტავროს მთავარს რევინთოსს ცოლად ჰყოლია ძალიან ჭკვიანი ქალი, სახელად მენიანი. სამწუხაროდ, აკილინეს ტავროს მთავარი რევინთოსი მოუკლავს და ცოლად წაუყვანია უჭკვიანესი ქალბატონი მენიანი. გაუძარცვავს მთელი ქალაქი, დაუარსებია სხვა სამეფო და უწოდებია ტავრომენია, რომლის ეპისკოპოსიც იყო წმინდა ბაგრატი, ხოლო ამ სამეფოს მთავარი კი ბონიფანტე. ამ წიგნში იყო მოკლედ აღწერილი ტავრომენიის სამეფოს დაარსების შესახებ და ამიტომაც სთხოვდა მთავარს, რომ თან ჰქონოდა, როცა მასთან მობრძანდებოდა.

წმინდა ბაგრატმა ითათბირა ბონიფანტესთან მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე და სამომავლო გეგმებიც დასახეს, თუ როგორ უკეთესი იქნებოდა ტავრომენიის მომავალი განვითარებისთვის. გაამხნევა მთავარი, ნუ შეშინდები, რადგან უფალი არის ჩვენთან, მთელ შენს ჯართან და დაამარცხებთ მტერსო.

თავის მხრივ ახალმა აკილინემაც შეკრიბა მხედრობა და მოუწოდა ტავრომენიაზე გალაშქრებისკენ. ტავრომენია ალყაში მოაქცია 600 ათასმა მებრძოლმა. გამთენიისას დასცეს ბუკი და ნაღარა, რითაც შიშის ზარი მოჰგვარეს ადგილობრივებს. ბონიფანტემ კი ღვთისა და წმინდა ბაგრატისგან გულმოცემულმა ათას ოთხასი ნარჩევი მებრძოლი განალაგა ქალაქის გალავანზე. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. პირველი დღე მომხდურის გამარჯვებით დასრულდა, რაც ლოგიკური იყო თითქოს.

ხალხმა ყვედრება დაუწყო ბონიფანტესაც და წმინდა ბაგრატსაც: „ცუდ დროს მოვიდა ჩვენთან ეს ჯადოქარი თავისი ახალი ღმერთით და მოგვიწოდა ბრძოლისკენ, ახლა კი შეიძლება დარჩენილი სიცოცხლე ტყვეობაში გავატაროთ“. ამას გაიძახოდნენ და მზად იყვნენ, სასტიკად გასწორებოდნენ მთავარსაც და წმინდანსაც და ასე ჩაებარებინათ ქალაქი მტრისთვის. ბონიფანტემ კი მშვიდად მოუწოდა ხალხს, ნუ ღელავთ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, ოღონდ ცოტა მოთმინება და უფლისადმი სასოება გვმართებს და სამართლიანობა იზეიმებსო.

ახლა წმინდა ბაგრატს მიმართა: „შეეწიე შენს სამწყსოს, მამაო წმინდაო და გამოიხსენ ხელთაგან მტერისათა ჩვენი ქალაქი, რადგან ხალხი დრტვინავს. ისევ უწმინდურ კერპებს მოუწოდებენ საშველად და უნდათ, მე ჩამქოლონ, რადგან მე და თქვენ გვასახელებენ მიზეზად ომის წამოწყების“. ამაზე წმინდა ბაგრატმა მიუგო: „მშვიდად, შვილნო ჩემნო, შვილნო ქრისტე ღმერთისაო, ნუ შეშინდებით მომხდური მტრისგან, ვინაიდან თქვენ ხართ უფალი ღმერთის მეომრები, რომლებიც არ მარცხდებიან, არამედ გამოიცდებიან. ახლა თქვენს სახლებში წადით მშვიდად და ლოცვით შეეწიეთ ჯარს, რომელიც იცავს თქვენს უსაფრთხოებას. მეუფე ქრისტე, უზენაესი ხელმწიფე, ღმერთი ყოვლადძლიერი იბრძოლებს თქვენი სიმშვიდისთვის“.

ამ სიტყვებმა საშინელი ვნებათაღელვა გამოიწვია ხალხში, რომელთაც ჩათვალეს, თითქოს ბონიფანტეს წმინდა ბაგრატისთან ერთად მათი ქალაქის მტრისთვის ჩაბარება ჰქონდა გადაწყვეტილი. ბონიფანტე კიდევ შეხვდა წმინდა მღვდელმთავარს და გადასცა ხალხის დანაბარები. ამასობაში მტერი მოადგა ქალაქის გალავანს. ქალაქის აღება უფრო და უფრო ხელმისაწვდომი ხდებოდა, რის გამოც კიდევ უფრო ღელავდა ხალხი და აყვედრიდნენ არსებულ მდგომარეობას ბონიფანტეს, რომ დაუჯერა ბაგრატს და საფრთხე დაემუქრა მათ ქალაქს.

წმინდანი მშვიდად შეხვდა ხალხის მძვინვარებას, რადგან უწყოდა, რომ უფლის ყოვლადძლიერი ხელი ერია ამ საქმეში. მოუწოდა თავის დიაკონს, სახელად ტატიანოსს: „აბა, ჩემო შვილო, შევუდგეთ ბრძოლის სამზადისს მტრის წინააღმდეგ ჩვენი იარაღით!“ შეიმოსა სამღვდელმთავრო შესამოსლით, ხელში ცხოველმყოფელი ჯვარი და უფალი იესოს ხატი აიღო, ხოლო ტატიანოსს მოციქულ პეტრეს ხატი ეპყრა და გაემართნენ პირდაპირ მტრის შუაგულში, იქითკენ, სადაც მოწინააღმდეგის მთავარსარდლობა იყო შეკრებილი.

როცა წარდგა მტერთან პირისპირ, ოთხივე მხრით დასახა ჯვარი საკუთარ ეპარქიას, პირით აღმოსავლეთისკენ შეჩერდა და განაგრძო ლოცვა ხმამაღლა: „წარმოაჩინე, უფალო, შენი წარმომავლობა, რათა აცხოვნო შენი რჩეული ხალხი ხელისაგან მტერისა. ნუ მისცემ შენს ქალაქს მტერს დასარბევად, არამედ აჩვენე ძლიერება შენი ძალითა ცხოველმყოფელისა ჯვარისათა და წმინდისა ხატისა შენისათა“.

ამის შემდეგ ყველას დასანახად მოხდა წარმოუდგენელი რამ: გალავანს მომდგარმა მტერმა უკან დაიხია და ერომანეთს დაუწყეს ბრძოლა ისეთი შემართებით, თითქოს ტავრომენიელთა ჯარს ებრძოდნენ. წმინდანმა შენიშნა თუ არა აღსრულებული სასწაული,

Cyan Magenta Yellow Black

მყისვე განაგრძო ლოცვა: „უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, მიეცი ამ ადამიანებს გულით ხედვის უნარი, რათა შეიცნონ შენი ძალა და დაუბრუნდნენ ჭეშმარიტებას, რომელიც შენშია!“

როცა შენიშნა აკილინოსის მხედრობამ, რომ ერთმანეთს ხოცავდნენ, უკვე გვიან იყო, რადგან თავგზაარეული ჯარი მიმოფანტულიყო და აღარავის შეეძლო შეგროვება, ყველა თავშესაფარს ეძებდა და გარბოდნენ უკანმოუხედავად. მომხდარს თვალს ადევნებდა ტავრომენიის გალავანს შიგნით მყოფი მოსახლეობა. თავდაპირველად მოჩვენება ეგონათ, ხოლო როცა უკვე დარწმუნდნენ, ხმამაღლა ადიდებდნენ უფალს, მადლობდნენ წმინდა ბაგრატს ამ უდიდესი სასწაულისთვის.

აკილინეს ჯარს გამოეყო ათას ოთხასი მეომარი, მოადგა გალავანს და ხმამაღლა იხვეწებოდნენ: „შეგვიწყალეთ ჩვენც, კაცნო ღვთისშვილნო, მორწმუნენო მაღალი ღმერთისაო“. მაშინ ბრძანა წმინდანმა გალავნის კარიბჭის გახსნა და ამ ხალხის შემოშვება. როცა შიგნით შემოსულმა მეომრებმა ნახეს წმინდანი, მის ფერხთით ყვიროდნენ: „შეგვიბრალე ჩვენ, დიდო ღმერთო“, რაზეც წმინდანმა მიუგო: „წამოდექით, რადგან მე არ ვარ ღმერთი, არამედ მონა დიდი და ყოვლადძლიერი ღმერთისა“. უქადაგა მათ ქრისტე, ღირსეულები მათ შორის მღვდლებად და დიაკვნებად გამოარჩია, ხელი დაასხა და კალავრიაში გაამწესა ღვთის სიტყვის გასავრცელებლად, სადაც უდიდესი წარმატებით ინათლებოდნენ და მატულობდა ქრისტიანთა რიცხვი.

„ამასობაში მეც დავბრუნდი ისევ ტავრომენიაში, — წერს ევაგრე, წმინდა ბაგრატის მოწაფე და ბიოგრაფი, — მოძღვართან სიახლოვე მომენატრა. უფრო სწორად, ეს იყო ღვთაებრივი მოწოდება, გამოცხადება, რომ ტავრომენიაში დავბრუნებულიყავი. როგორც კი დამინახა წმინდანმა, მითხრა: „შვილო ჩემო, ევაგრე, იცოდი ალბათ, რომ უკვე დრო დადგა, რათა სული მივაბარო უფალს. მსურს, რომ ჩემი მემკვიდრე შენ იყო ტავრომენიის სამღვდელმთავრო ტახტზე. ახლა კი მოჰკიდე ხელი ბონიფანტეს და სხვა ღვთივკურთხეულ დიდებულებს და წადით რომში, ნახეთ ნეტარი პეტრე, რათა გაკურთხოს ამ ქალაქის ეპისკოპოსად, ჩემი დანაბარები გადაეცი. როცა უკან დაბრუნდები, მაშინ უკვე მზად იქნება და ბონიფანტეც მონათლე“.

ამას რომ მეუბნებოდა წმინდანი, ტირილისგან თავი ვეღარ შევიკავე და ისევ მითხრა: „თან წაიყვანე ტატიანეც, რადგან ეპარქიის გარეთ რომ მღვდელი ვაკურთხე, იმან მიიძინა და ხალხი დამწუხრებულია, ჩემთან ჩამოსვლას აპირებენ, რომ მომხდარი მაცნობონ, შენ კი უკურთხე ტატიანე მღვდლად და სანუგეშოდ დაუტოვე იმ ხალხს, რათა იღვაწოს მათთან ერთად, რადგან იმსახურებს ტატიანე ამ პატივს“.

შეთანხმებისამებრ, ბონიფანტესთან, ტატიანესთან და კიდევ სხვა დიდებულებთან ერთად დავადექი რომის გზას. ვიდრე ჩვენ ვმოგზაურობდით, ბონიფანტეს მსახური, ვინმე სახელად არტაღარონი თავის თანამოაზრეებთან ერთად წმინდა ბაგრატის სიკვდილს გეგმავდა, არავინ იცის მიზეზი, თუმცა უზომო სიძულვილი ამოძრავებდა წმინდანის მიმართ. დაათრო თანამოაზრეები და მიადგნენ წმინდანს, როცა განმარტოებით ლოცულობდა საკუთარ სენაკში, რათა მოტყუებით მიეყვანათ სასახლეში და აღესრულებინათ თავიანთი დემონური განზრახვა.

მიმართეს წმინდანს: „სასახლის მთავარი არტაღარონი გიწვევთ სასახლეში, რათა სუფრა გვიკურთხოთ, წმინდაო მამაო“. წმინდანიც დაჰპირდა, რომ მივიდოდა, ოღონდ ცოტა მოგვიანებით. მოემზადა, ეზიარა და ისე მიადგა სასახლეს. როცა სუფრას მიუსხდნენ, წმინდანს არაფერი უჭამია, თანამეინახენი კი დათვრნენ და უწესო ცეკვებით და სიმღერებით ცდილობდნენ თავის გართობას. შემოიტანეს კერპი, დადგეს სუფრის შუაგულში და გამომწვევად დაიწყეს მისი თაყვანისცემა, რაზეც წმინდანმა, ბუნებრივია, შენიშვნა მისცა იქ შეკრებილებს: „შეწყვიტეთ, შვილებო, ნუ ეთაყვანებით უსულო საგანს“. ისინი მაინც აგრძელებდნან როკვას კერპის წინაშე. მაშინ პირჯვარი გამოისახა წმინდანმა, დაენარცხა კერპი მიწას და ნამცეცებად იქცა.

ამის მნახველი წარმართები მაშინვე ეცნენ წმინდანს და დაუნდობლად დაუწყეს ცემა, თან ეუბნებოდნენ: „დემონო და მებრძოლო, ჩვენი ყოვლადძლიერი ღმერთების მოწინააღმდეგევ, მთელი ქალაქი ქრისტეს თაყვანისმცემლებით გაავსე და აღარავინ უყურებს ჩვენი მამა-პაპის ღმერთებს“. მხეცურად დააგდეს მიწაზე და უმოწყალოდ სცემდნენ წმინდანს. ვინ წიხლს ურტყამდა, ვინ დანით სერავდა. მანამ, ვიდრე სული არ დალია, წმინდანი გაიძახოდა: „უფალო იესო ქრისტე, მიითვალე ლოცვაი ჩემი, რათა ხელთა შენთა მივსცე სული ჩემი“.

წმინდა მამის სხეული სასახლიდან წაიღეს და შორს კლდეზე გადააგდეს ისე, რომ ამის შესახებ არავის არაფერი შეეტყო. როცა წმინდა მამის სხეული კლდიდან მოისროლეს, ერთმა ქრისტიანმა ბავშვმა დაინახა შემთხვევით და იყვირა: „რისთვის მოკალით მართალი კაცი უსამართლოდ!“ დაედევნენ ბავშვსაც, რათა ისიც მოეკლათ, რომ არავისთვის ეთქვა მომხარის შესახებ, მაგრამ ბავშვი ანგელოზის დახმარებით სასწაულებრივად გადაურჩა მტრის ხელით სიკვდილს.

დავბრუნდით უკან, ტატიანეც თან მახლდა. ხუთშაბათი დღე იყო, საღამოს ათი საათი. უკან მომყვა ქალაქის მთავარი ბონიფანტე თავის მხედრობასთან ერთად. მთავარმა ბრძანა, წმინდა მამა მოეყვანათ სასახლეში სამადლობელ ნადიმზე. თავის სენაკში რომ არ აღმოჩნდა, დავიწყეთ ძებნა. დაგვაღამდა ძებნაში, მაგრამ ვერსად ვიპოვეთ. მაინც გავაგრძელეთ ძებნა ყველგან, თუ სადმე შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო. თავიდან გვეგონა, რომ სადმე განმარტოვდა სალოცავად. იმ კლდესთანაც მივედით, სადაც გადაისროლეს ხრამში ჩვენი უსაყვარლესი მოძღვარი. კლდის ქიმი სისხლიანი იყო და ჩვენი ეჭვიც სწორედ ამან გამოიწვია. ჩავყევით ქვემოთ და ვნახეთ ცხედარი. თავდაპირველად გაგვიჭირდა ამოცნობა, მაგრამ, როგორც კი გადმოვაბრუნეთ, სახე ეჭვს აღარ იწვევდა, რომ ჩვენი საყვარელი მოძღვარი უმოწყალოდ ნაწამები იყო ჩვენ წინ.

ახლა, როცა ვწერ, ისევ მახსენდება ის უმძიმესი წუთები, რაც მაშინ გადავიტანეთ. „ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ის მხეცი, ვინც ეს ჩაიდინა, ვინ მოგვიკლა ჩვენი მწყემსი და მოძღვარი. ახლა უკვე აღარ შეგვიძლია შენი ტკბილი საუბრის მოსმენა, როცა მეტყოდი, შვილო, ევაგრე! ნუთუ ამიტომ გამიშვი რომში, რომ უკან მობრუნებულს ცოცხალი აღარ დამხვედროდი! ნეტავ, რატომ ვარ ცოცხალი, რატომ შევესწარი შენს ასეთ სიკვდილს, მამაო საყვარელო“.

მაშინვე შევატყობინე ბონიფანტეს და შევჩივლე: „ხედავ, მთავარო, ჩვენი მასწავლებელი და მოძღვარი როგორი ვერაგივით და დამნაშავესავით არის უმოწყალოდ ნაწამები და მოკლული!“ მთავარმა ხმამაღლა იტირა, ყვიროდა, სიმწრით სამოსი შემოიხია, ნუგეშს ვერ პოულობდა: „ნეტავ, მოვიდოდნენ ისინი ახლა, ვინც ჩვენი მოძღვარი გაიმეტა მოსაკლავად და ჩვენც ამოგვხოცონ მისი შვილები“. ტირილით ვერაფერს ვშველოდით. საჭირო იყო მისი წმინდა სხეულის ზემოთ ამოტანა, ვიდრე ან მკვლელებს აღმოვაჩენდით, ან კიდევ რამე უკეთესს მოვიფიქრებდით.

დილიდან ბრძანა ბონიფანტემ, დაემზადებინათ ოქროს სასახლე, რომელსაც იმსახურებდა წმინდანი და იმ პატივით მიგვებარებინა მიწისთვის, რისი ღირსიც იყო. მანამდე კიდევ ერთი ბრძანება გასცა ბონიფანტემ, იქნებ აღმოეჩინათ ამ საშინელების ჩამდენი. ძებნის და კითხვის შემდეგ მივადექით იმ ბავშვს, რომელიც ღვთის განგებით გადაურჩა მკვლელებს და დაწვრილებით მოგვიყვა მომხდარის შესახებ. ბონიფანტემ ბრძანა არტაღარონის და იმ ორი თანამზრახველის შეკოჭვა და იქამდე ცემა, ვიდრე ძვლები არ გამოუჩნდებოდათ და ტყავი და ხორცი არ გასძვრებოდათ. ამის მერე ვეღარ მოითმინა და თავისივე ხელით გამოღადრა ყელი სამივეს, რომელთაც ეს არაადამიანური სისასტიკე ჩაიდინეს. მათი სხეულები ზღვაში გადაყარეს თევზების შესაჭმელად.

სამი დღის შემდეგ ოქროს ლუსკუმაც მზად იყო ბრძანებისამებრ. ჩავასვენეთ წმინდა ბაგრატის სხეული და არ გავახმაურეთ მისი ადგილსამყოფელი, რათა ხალხი არ მოსულიყო და არ მოეთხოვათ წმინდანის სხეულის დანაწილება, როგორც სიწმინდე და არ დაერიგებინათ. მხოლოდ ის გახმაურდა, რომ წამებით, უსამართლოდ მოკლეს წმინდანი და მთავარი ბონიფანტე უსასტიკესად გაუსწორდა იმათ, ვინც ეს ჩაიდინა.

შვიდი დღე იყო გასული იმ საზარელი ამბიდან. ეკლესიაში ვიჯექი დაფიქრებული და ვიხილე შემდეგი ჩვენება: თორმეტი თეთრებში გამოწყობილი ვაჟკაცი ორ ჯგუფად იყვნენ გაყოფილები და მათ შუა იდგა ჩვენი უსაყვარლესი მოძღვარი ბაგრატი, რომელმაც მითხრა: „შვილო ევაგრე, რატომ არ დამარხეთ მიწაში ჩემი სხეული, რატომ ჩამასვენეთ იმ დემონურ ოქროს ლუსკუმაში? ოდესმე გინახავს, რომ მყვარებოდა ოქრო-ვერცხლი და ძვირფასეულობა? ჩემო შვილო, იქნებ გამათავისუფლო ამ სატანჯველისგან და ჩემი სხეული მიაბარო კურთხეულ მიწას ჩვეულებისამებრ, როგორც ითხოვს ქრისტიანული წესი და ადათი“.

შეძრწუნებულმა მოვახსენე ბონიფანტეს ჩემი ხილვის შესახებ. იმავე ღამით აღვასრულეთ საზეიმო ღვთისმსახურება და გამთენიისას მე, ტატიანემ, ლიკაონიდემ და ბონიფანტემ გადავწყვიტეთ ლუსკუმის გახსნა და წმინდანის მიწისთვის მიბარება, როგორც ითხოვდა თვითონ. როცა ლუსკუმა გავხსენით, საოცრება ვიხილეთ: წმინდანი არ იყო სისხლიანი და დასახიჩრებული, როგორიც ჩვენ ჩავასვენთ ლუსკუმაში, არამედ სრულიად სუფთა, ბრწყინვალე. გეგონებოდა, ეძინა და თუ შევეხებოდით, გაიღვიძებდა. სამოსიც ისეთივე სუფთა იყო, როგორც სიცოცხლეში ემოსა.

ბონიფანტემ დიდხანს იტირა მოთქმით ჩვენთან ერთად. იქაურობა მირონის მსგავსი კეთილსურნელებით აღივსო, შეიკრიბა უამრავი ხალხი, ვისაც გამომშვიდობება უნდოდა წმინდანთან და ადიდებდნენ და მადლობდნენ უფალს, რომ მათ ქალაქს აჩუქა ასეთი მწყემსმთავარი. ჩვენ კი გადავ- →74

Cyan Magenta Yellow Black

წყვიტეთ, როგორც გვაკურთხა წმინდანმა, ჩავსულიყავით რომში. მანამდე ვერ ჩავედით იქ, მცდელობა კი გვქონდა, მაგრამ ვერ მოხერხდა, ახლა კი, როცა უკვე წმინდა ბაგრატის გარდაცვალებიდან ორმოცი დღე შესრულდა, მე და ბონიფანტე თავისი მხედრობით გავემგზავრეთ რომში მოციქულთან შესახვედრად.

როგორც უკვე გითხარით, პეტრე მოციქულმა იგრძნო სულით მომხდარი და, ვიდრე ჩვენ რომამდე მივაღწევდით, თავის მოწაფეებს მოუწოდა: „ბაგრატი ტავრომენიის ეპისკოპოსი მიიცვალა ღვთის წინაშე, ახლა კი ჩვენთან მოდის მისი მოწაფე ევაგრე, რომელსაც ჩვენ დავხვდებით“. ეს ყოველივე ჩვენ ქალაქის შესასვლელში შეგვატყობინა მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ. ჩემი თვალით ვიხილე ნეტარი მოციქული პეტრე და მუხლებში ჩავუვარდი ლოცვა-კურთხევის სათხოვნელად. გვიმასპინძლა უდიდესი სიყვარულით და როცა წმინდა ბაგრატის დანაბარების თხრობას შევუდექით, თვითონვე მოგვიყვა ყველა მისი ნამოღვაწარი: „რაც გსურთ, რომ მის შესახებ გვიამბოთ, უკვე ვიცით, აღარ არის საჭირო. ახლა ჩაიბარე მისი საეპისკოპოსო და გააგრძელე ღვთის სულით მართვა ისე, როგორც ისწავლე შენი საყვარელი მასწავლებლისა და წინამორბედისგან, რათა მიემსგავსო მას“.

მეორე დღეს პეტრე მოციქულმა შეკრიბა ქრისტიანული სამწყსო და დამადგინა ტავრომენიის ეპისკოპოსად. ჩემთან ერთად მყოფი ბონიფანტეც დალოცა და მისცა უფლება, გაქრისტიანებულიყო. მადლობა პირადად გადაუხადა იმ თავდადებისთვის, ამდენი წლის განმავლობაში რომ ემსახურებოდა წმინდა ბაგრატს და ქრისტიანულ სამწყსოს. გვისურვა ყველაფერი საუკეთესო და გამოვემშვიდობეთ, დავბრუნდით საყვარელ ქალაქში. ბონიფანტეც ღვთივსათნოდ ემსახურა ქრისტეს ეკლესიას, არასდროს ტოვებდა ღვთისმსახურებას და როგორც ქრისტიანი მთავარი, ფხიზლად სდარაჯობდა საკუთარ ქალაქს.

არ იყო დიდი დრო გასული ბონიფანტეს ნათლობიდან, როცა შევთავაზე, შვილო, ბონიფანტე, უკვე დროა, ავაგოთ ჩვენს ქალაქში წმინდა ბაგრატის ტაძარი და იქნებ შენც, როგორც მთავარმა, ამაში მონაწილეობა მიიღო-მეთქი. უარი არ უთქვამს, მალე დამიძახა სასახლეში და გადმომცა იმდენი ოქრო, რაც ტაძრის ასაშენებლად იყო საჭირო. მართლაც ავაგეთ საუცხოო ტაძარი წმინდა ბაგრატის სახელზე და ყველა ბედნიერი იყო ამ დიდებული ეკლესიის არსებობით. მის ცხოვრებასთან ერთად შევქმენი წმინდანის ხატიც, რომელსაც ვესაუბრები და ნუგეშსაც ვიღებ, როცა ამის აუცილებლობა მაქვს.

უამრავი სასწაული აღსრულდა წმინდანის საფლავზე და ამის შემდეგაც აღსრულდება. უამრავი ავადმყოფი იკურნება, ბოროტეულებიც და ხეიბრებიც. მოკლედ გიამბეთ წმინდა მამის ნამოღვაწარი, რომელზეც, ვიმედოვნებ, რომ წარმოდგენა შეგიქმენით, რითაც უზომოდ ბედნიერი ვარ და მადლობელი უფლის, რომელმაც ღირს მყო, აღმეწერა ცხოვრება მღვდელმოწამისა ბაგრატი ტავრომენიელისა“.

წმინდა მამის ცხოვრება დაცულია ათონის წმინდა მთაზე ივერონის ქართველთა მონასტერში, რაც კიდევ უფრო სასიხარულოა ქართველი ქრისტიანებისთვის.

✓ **ქრისტესმიერი სიყვარულით პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!**

დასასრული

■ მამა გიორგი

„სანამ ვინმეს სულიერ მოძღვარს უწოდებ, დარწმუნდი, რამდენად სულიერია ის“

ქრისტიანობის უმთავრესი პრინციპი არჩევანის თავისუფლებაა. ეს არის ერთადერთი რელიგია, რომელიც ადამიანს სრულ თავისუფლებას აძლევს, თავად მიიღოს გადაწყვეტილება, რა სურს — სიკეთე თუ ბოროტება? ამავდროულად ქრისტიანის ასევე ღვთივბოძებული უფლებაა, პატივი სცეს სხვის არჩევანს, მაგრამ ჰქონდეს საკუთარი დამოკიდებულება ამ უკანასკნელის არჩევანის მიმართ.

სულიერი მოძღვრის არჩევის დროსაც ერისკაცი თავისუფალია. მას უსიტყვო მორჩილებას არავინ სთხოვს. უფრო მეტიც, წმინდა მამები და სულიერი მოძღვრები გვასწავლიან, ის მოძღვარი ვეძებოთ, რომლის მიმართაც ნდობით აღვივსებით. თუმცა ეს არ ნიშნავს მოძღვრიდან მოძღვართან დაუსრულებელ სიარულს. მრევლისთვის ამ საინტერესო თემებზე იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი**(სხირტლაძე) გვესაუბრება.

— მამაო, თავდაპირველად შეკვეთოთ საკითხს, რატომ არის აუცილებელი ქრისტიანისთვის სულიერი მოძღვარი.

— ქრისტიანისთვის, რომელსაც სულიერი მოძღვარი ჰყავს, ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტის გზა სრულიად განსხვავებულია, ვიდრე „მიწიერი“ ადამიანებისათვის, რომლებიც რწმენის გარეშე, ეკლესიის მიღმა ცხოვრობენ და ამიტომ ხშირად იბნევიან. როდესაც ასეთი არაეკლესიური ადამიანების წინაშე სხვადასხვა ცხოვრებისეული პრობლემები დგება, ისინი იძულებულნი არიან, ეს პრობლემები მარტოებმა, უფლის დახმარების გარეშე გადაწყვიტონ. ასეთნი მხოლოდ საკუთარ გონებას, ცხოვრებისეულ გამოცდილებას ან ისეთივე ადამიანის რჩევებს ეყრდნობიან, როგორებიც თავად არიან: არაეკლესიურ ხალხს. როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში პრობლემები გადაუჭრელი რჩება ან მათი გადაჭრა არანაკლებ პრობლემებს იწვევს, რადგან ყველა უბედურების მიზეზი თავად ურწმუნო ადამიანშია. ცხოვრების განმავლობაში დაგროვილი ცოდვების შედეგად მისი სული უფლისგან განცალკევებულია და შინაგანი სულიერი ჰარმონია დარღვეული აქვს.

„შეიძლება მიიღო მოძღვრის ჩრევა-დასიგება ან შეიძლება არ მიიღო, თუკი ხედავ, რომ ისე ვერ არის ადამიანი, როგორც უნდა იყოს. ამგვარი ქმედება არ არის ცოდვა, ადგან შესაძლებელია, ნებისმიერი ადამიანი შეცდეს“.

ქრისტიანისთვის უდიდესი ბედნიერებაა ღირსეული მოძღვრის პოვნა, რომელიც უფლის წინაშე თავისი სამწყსოს სულიერი ცხოვრების პასუხისმგებლობას იტვირთავს, თვალყურს ადევნებს მის სულიერ ზრდას, უხელმძღვანელებს მისი ცხოვრების ყველა შემთხვევას და ამ ხელმძღვანელობით სათნოებების გზაზე დაყენებს, რომელსაც საუკუნო ცხოვრებაში მივყავართ.

— სულიერი მოძღვრის არჩევაც მნიშვნელოვანი და არცთუ ადვილი საკითხია მორწმუნისათვის. რა პრინციპით უნდა ვხელმძღვანელოთ ამ დროს?

— ეკლესია ქრისტიანს ანიჭებს უფლებას, თავად ამოირჩიოს საკუთარი სულიერი დამრიგებელი. შესანიშნავია, თუ იგი მახლობელი ტაძრის მოძღვარი გახდება, მაგრამ, რადგან თითოეული ქრისტიანის სულის მოწყობილობა უკიდურესად ინდივიდუალურია, მოძღვრები კი ხასიათის მიხედვით, ასევე სულიერი გამოცდილებებითაც — განსხვავებულები, ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი მოძღვრის პოვნა, რომ ქრისტიანსა და მის მიერ არჩეულ მოძღვარს შორის სულიერი კონტაქტი დამყარდეს, ურთიერთგაგება და სულიერი ნდობა წარმოიშვას. ასეთ დროს სულიერი ხელმძღვანელობა კეთილ ნაყოფს გამოიღებს.

რამდენიმე პრაქტიკული რჩევა მას, ვისაც სურს, შესაფერისი სულიერი ხელმძღვანელი იპოვოს: თავდაპირველად მხურვალედ ილოცეთ უფლისადმი, სთხოვეთ მას, მოგანიჭოთ კეთილგონიერი და კარგი სულიერი დამრიგებელი. გახსოვდეთ: როგორც ითხოვთ, ისე მოგეცემათ. წადით უახლოეს ტაძარში, ღვთისმსახურების დროს ყურადღება მიაქციეთ მღვდლებს. შეეცადეთ, გულით იგრძნოთ, რომლის მიმართ უფრო მეტად ხართ კეთილგანწყობილი. მიდით ამ მოძღვართან აღსარებაზე, მოინანიეთ ცოდვები, დასვით ყველა ის კითხვა, რომელიც გაწუხებთ (მხოლოდ შეეცადეთ, არ ილაპარაკოთ ამაოდ, არამედ გარკვევითა და ნამდვილად მნიშვნელოვან საკითხებზე).

მიუხედავად იმისა, ყურადღებით თუ გულგრილად, თანაგრძნობით თუ გულითადადაა განწყობილი თქვენდამი მღვდელი, თავად განსაზღვრეთ — მიანდობთ მას თქვენს პრობლემებს თუ მხოლოდ რიგითი აღსარებით შემოიფარგლებით და შემდეგ სხვა მოძღვრის ძიებას განაგრძობთ. თუ მიენდეთ მას და მისგან მიიღეთ რჩევა და კურთხევა, მაშინ წმიდად აღასრულეთ იგი, როგორც თავად უფლისათვის მიცემული სიტყვა და ნუ ირბენთ ერთი მოძღვრიდან მეორესთან თქვენთვის არმოსაწონი დარიგებების შეცვლის იმედად. ყველა მოძღვრის სახით თანაბრად მოქმედებს ერთი და იგივე ქრისტე და ამიტომ ორჯერ მიმართვა ერთი და იმავე საკითხით სხვადასხვა მოძღვართან ცოდვაა. არ არის მიზანშეწონილი, თუ თავიდანვე კონკრეტული კურთხევა მოგცეს, როგორ უნდა მოქცეულიყავით, მაგრამ ეს არ გაწყობდათ და სხვა მოძღვართან წახვედით.

Cyan Magenta Yellow Black

ახლომდებარე ტაძარში თუ ვერ იპოვით მოძღვარს, რომელსაც თქვენი სულის ხელმძღვანელობას მიანდობთ, ნუ წარიკვეთთ სასოს. ნელ-ნელა, როდესაც ტაძარში უფრო ხშირ სიარულს დაიწყებთ, ურთიერთობაში შეხვალთ სხვა მართლმადიდებელ ქრისტიანებთანაც, გაიგებთ, რომელ ტაძარში რომელი მოძღვარი სარგებლობს მრევლის სიყვარულით და თქვენი შესაძლებლობები, რომ იპოვოთ სულიერი ხელმძღვანელი, მნიშვნელოვნად გაიზრდება. თუ მორწმუნე ვერ აღმოაჩენს გამოცდილ მოძღვარს და ძალაუნებურად იმ მოძღვართან ივლის, რომელიც გარემოებათა გამო ახლოს იმყოფება, მაშინ უფალი მას ასეთი მორჩილებისთვის დაიფარავს.

წმინდა იოანე კიბისაღმწერელი წერს: „როდესაც ჩვენ ვისურვებთ, რომ ჩვენი სულის გადარჩენა მივანდოთ სხვა ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ წინასწარ უნდა გამოვიკვლიოთ, თუ რამდენად სანდოა ის ადამიანი, რომელსაც შენ გინდა მიანდო საკუთარი სული, ვინაიდან არ შევცდეთ და ექიმის ნაცვლად ავადმყოფი არ ავირჩიოთ ჩვენს წინამძღვრად; უვნებო ადამიანის ნაცვლად არ ავირჩიოთ ვნებებით სავსე და, აქედან გამომდინარე, არ დავიღუპოთ სული“. ამიტომ სანამ ვინმეს სულიერ მოძღვარს უწოდებდე, უნდა დარწმუნდე, რამდენად სულიერია ის ადამიანი. და როგორც გვასწავლის წმინდა იოანე კლემაქსი: „წყნარი ნავსაყუდელის ნაცვლად არ აღმოვჩნდეთ რიფებზე და არ დაიღუპოს ჩვენი ხომალდი“. წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვი ბრძანებს: „დიდი ბენდიერებაა, თუ ჩვენ ვიპოვით ადამიანს, ჭეშმარიტ მორწუნეს, ქრისტიანულად მცხოვრებს, წმინდა მამების მცოდნეს და გონიერს“. ეძიეთ გონიერი ადამიანი და ამ ადამიანთან ერთად ეცადეთ, გადაწყვიტოთ თქვენი პრობლემები.

— როგორ მიგხვდეთ მოძღვრის სულიერებას?

— ზომიერი მიდგომით. პატივისცემით მივიდეთ ადამიანთან, გავეცნოთ, დავუსვათ კითხვები და დავრწმუნდეთ, რომ ეს ადამიანი სულიერია. შეიძლება მიიღო მოძღვრის რჩევა-დარიგება ან შეიძლება არ მიიღო, თუკი ხედავ, რომ ისე ვერ არის რაღაც, როგორც უნდა იყოს. ამგვარი ქმედება არ არის ცოდვა, რადგან შესაძლებელია, ნებისმიერი ადამიანი შეცდეს. თუ მთელი გულით ეძიებ, წახვალ და სხვასაც შეეკითხები და გაიგებ, მას რა აზრი აქვს ამის შესახებ. ამ შემთხვევაში საუბარი ეხება მხოლოდ სულიერ მხარეს, თორემ მოძღვართან მიდიან აგრეთვე ამგვარი კითხვებით: „ჩააბაროს თუ არა ჩემმა გოგომ ინსტიტუტში ან სად ისწავლოს?“, „რომელი ადგილის მოსალოცად წავიდე?“, „რა გავყიდო? რა ვიყიდო?“. ზოგიერთი სასულიერო პირი იწყებს რჩევების მიცემას, თუ როგორ რა აკეთონ ადამიანებმა. უბედურებაა, თუ ნამცხვარს მეწაღე გამოაცხობს და ფეხსაცმელს მცხობელი შეკერავს. ცხოვრებისეული საკითხი უნდა გადაწყვიტო არა სულიერ მოძღვართან, არამედ გონიერ, ჭკვიან ადამიანთან ერთად, მაგრამ ჩვენთვის მეტად ავტორიტეტულია ეს გამოთქმა: „მამამ მაკურთხა, მამაომ ასე თქვა!“, „წმინდანნი შესაძლოა შეცდნენ, მაგრამ მამაო? არასოდეს!“ — აი, რა მდგომარეობამდე მივედით.

წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვი გულმხურვალედ წერს: „სულის დამღუპველი ხასიათი და სამწუხარო კომედია ბერებისა იმაში მდგომარეობს, რომ ირგებენ საკუთარ თავზე ძველი მამების, ბერების როლს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ეს ნიჭი არ გააჩნიათ“. ამას წერს წმინდა მონაზონი, რომელსაც შესანიშნავად ესმოდა მონაზვნობაც და მონასტერიც!

— ანუ ერისკაცი მოძღვარს ყოველთვის და უსიტყვოდ არ უნდა დაემორჩილოს?

— მორჩილებითი დამოკიდებულება მოძღვარსა და მორჩილს შორის შესაძლებელია მხოლოდ მონასტერში, მონაზვნებს შორის ან მათ შორის, ვინც მუდამ გვერდიგვერდ არიან. ეს არის წმიდა მამათა სწავლება მორჩილებაზე. წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვი ამბობს, რომ მორჩილება უდიდესი ასკეტური მდგომარეობაა და ის შეიძლება აღესრულებოდეს მხოლოდ იმ მონაზონთა შორის, რომელნიც სრულიად განუდგნენ

„ქრისტიანული პრინციპია: „მე პატივს ვცემ შენს არჩევანის უფლებას, მაგრამ არა — შენს ნებისმიერ არჩევანს“, ხოლო ფსევდოთავისუფლებაა — „მე პატივს ვცემ შენს არჩევანს“.

წუთისოფელს, იმყოფებიან რა ერთად, მუდამ შეუძლიათ მიმართონ თავიანთ მოძღვრებს. ერისკაცთა შორის შეუძლებელია ამგვარი ურთიერთობა, ჩვენ იშვიათად ვხვდებით და, როგორც წესი, არა სულიერ თემებზე სასაუბროდ, არამედ საერო საქმეებზე. ერისკაცსა და მის მოძღვარს შორის არ შეიძლება არსებობდეს მონასტრისეული მორჩილება, ამ სიტყვის სწორი გაგებით.

— რა შემთხვევაში შეიძლება მოძღვრის შეცვლა?

— ჩვენ ვუწოდებთ მოძღვარს მას, ვისთანაც მივდივართ რჩევისათვის. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, შევიცვალოთ მოძღვარი, თუ იგი გვაძლევს ისეთ რჩევებს, რომლებიც არ გვეხმარება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მორჩილებითი დამოკიდებულება შესაძლოა არსებობდეს მონასტერში მონაზვნებს შორის, ხოლო ერისკაცნი მოძღვართან დამოკიდებულებაში მხოლოდ რჩევის ფარგლებში უნდა მოქმედებდნენ. ღმერთმა ქნას, რომ შევძლოთ ვინმესგან სწორი რჩევების მიღება. პავლე მოციქული წერს: „ნუ იქნებით მონა კაცთა!“. ჩვენ კი ვეძებთ მონობას და ამით ვიცილებთ ჩვენს პასუხისმგებლობას: არ გადავწყვიტოთ ჩვენით, არ ვიფიქროთ ჩვენით, მოვატყუოთ საკუთარი სინდისი.

— რაზე შეიძლება ვითხოვოთ ან არ ვითხოვოთ კურთხევა?

— ეს ადამიანის სულიერ ასაკზეა დამოკიდებული. ზოგჯერ ადამიანს, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, როცა ორიენტაცია არათუ სულიერ, არამედ საერო ცხოვრებაშიც უჭირს, ხშირად უწევს რჩევების მიღება. ამაში თავისთავად ცუდი არაფერია, თუ ეს ყველაფერი საკუთარი პასუხისმგებლობის მღვდლისადმი გადაბარებაში არ გადაიზრდება, რაც ძალიან ბევრს მოსწონს.

— რაც შეეხება ქრისტიანის არჩევანის თავისუფლებას, რამდენად შეზღუდულია ის ამ მხრივ?

— არჩევანისა და ზოგადად ადამიანის თავისუფლება ქრისტიანობის ფუნდამენტური საკითხია. ქრისტიანობა (ღმერთი) არ ზღუდავს ადამიანს არჩევანის გაკეთებისას. უფრო მეტიც, არჩევანის თავისუფლების გარეშე ქრისტიანობა ქრისტიანობა არ იქნებოდა. რამდენადაც ადამიანის მომავალს მის მიერ ჩადენილი ცოდვები და სათნოებები განსაზღვრავს, შეუძლებელია, ადამიანი არ იყოს თავისუფალი — გააკეთოს არჩევანი ცოდვასა და სათნოებას შორის. თუ მინიმალურ დონეზე მაინც დავუშვებთ რაიმე ზემოქმედებას ადამიანის არჩევანზე, ამით დაიკარგება მისი პიროვნული ღირსება არჩევანის გაკეთებისას. შედეგად, იგი აღარ იქნება პასუხისმგებელი საკუთარ არჩევანზე. ეს ყველაფერი კი თავდაყირა აყენებს ქრისტიანულ მოძღვრებას ადამიანის ცოდვამადლის მიხედვით განსჯის შესახებ.

ყველაზე თვალნათელი დასტური ღმერთის მიერ ადამიანის თავისუფლების გარანტიისა არის ადამის შექმნის ბიბლიური ისტორია. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი მკვეთრად გამიჯნავს ერთმანეთისგან ადამისათვის დასაშვებ და აკრძალულ ხის ნაყოფს, იგი არ ზღუდავს მას არჩევანში, რომლის მსხვერპლიც საბოლოოდ ხდება ადამი. ყოველივე აქედან მხოლოდ ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: არჩევანის გაკეთებისას ადამიანის პიროვნული თავისუფლება ძირეულია ქრისტიანობისათვის, მაგრამ განსხვავებაა არჩევანის თავისუფლებასა და არჩეულის შეფასებას შორს. ქრისტიანული პრინციპია: „მე პატივს ვცემ შენს არჩევანის უფლებას, მაგრამ არა — შენს ნებისმიერ არჩევანს“, ხოლო ფსევდოთავისუფლებაა — „მე პატივს ვცემ შენს არჩევანს“.

გაკეთებული არჩევანი ყოველთვის შეიძლება არ იყოს საყოველთაოდ მისაღები, მაგრამ ღვთივბოძებულია უფლება, რომ გააკეთო თუნდაც მცდარი არჩევანი. შესაბამისად, ქრისტიანი პატივს სცემს ნებისმიერი ადამიანის არჩევანის თავისუფლებას, როგორც ღვთივბოძებულ უფლებას, მაგრამ ამავდროულად რჩება უფლებამოსილი, ასევე ღვთივდადგენილი ნორმების შესაბამისად, მოიწონოს ან არ მოიწონოს გაკეთებული არჩევანი.

✓ მანანა ნოდია

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ლაბირინთი

საბავშვო გვერდი

გაიფერადეთ

Cyan Magenta Yellow Black

მიდიები ბრინჯით

მასალა:
მიდიები (მარინადი) — 200 გ
ბრინჯი — 100 გ
სტაფილო — 1 ცალი
ხახვი — 2 თავი
ნიორი — 1 კბილი
ზეთი, მარილი და პილპილი — გემოვნებით

მომზადება: ბრინჯი მოხარშეთ. სტაფილო გახეხეთ, ხახვი წვრილად დაჭერით ზეთში მოშუშეთ. მოხარშულ ბრინჯში შეურიეთ მიდიები, დაჭყლეტილი ნიორი, მოხრაკული ხახვი და სტაფილო, შეაზავეთ პილპილითა და მარილით.

ტოლმა ბულგარულად

მასალა:
ძროხის ხორცის ფარში — 400 გ
ბულგარული წიწაკა — 7-8 ცალი
ბრინჯი — 100 გ
პომიდორი — 500 გ
ხახვი — 2 თავი
ნიორი — 2 კბილი
ქინძი, ოხრახუში, მარილი, პილპილი
ზეთი — გემოვნებით

მომზადება: ფარშს შეურიეთ გარეცხილი უმი ბრინჯი. ბულგარულ წიწაკას თავი მოაჭერით და გულები ამოაცალეთ. ამოავსეთ ბრინჯიანი ფარშით, დაალაგეთ ზეთმოსხმულ ტაფაზე და ორივე მხრიდან მოწალეთ. შემდეგ ზემოდან მოასხით გაფცქვნილი და დაჭრილი პომიდორი, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი სტაფილო, აკეპიოი მწვანილი, დაჭყლეტილი ნიორი, შეაზავეთ მარილითა და პილპილით. ცეცხლზე ცოტა ხანს კიდევ გააჩერეთ. სუფრასთან ცხელი მიიტანეთ.

ძროხის ხორცი ბრინჯით

მასალა:
საქონლის რბილი ხორცი — 1 კგ
პომიდორი — 1 კგ
ხახვი — 5 თავი
კამა, ქინძი, ოხრახუში, ნიახური — თითო-თითო კონა
ნიორი — 2 კბილი
ერბო — 50 გ
დაფნის ფოთოლი — 2 ცალი
მარილი და პილპილი — გემოვნებით

მომზადება: ძროხის ხორცი პატარა კუბიკებად დაჭერით და ქვაბში მოათავსეთ. დაუმატეთ ძალიან ცოტა წყალი და ერბოში. შუშეთ 10-15 წუთი (თუ წყალი დააშრა, ცოტა დაუმატეთ). შემდეგ ქვაბს ჩაუმატეთ წვრილად დაჭრილი ხახვი და შუშვა განაგრძეთ. პომიდვრებს კანი გააცალეთ, დაჭერით და კერძს ჩაუმატეთ. 10 წუთის შემდეგ კი აკეპილი მწვანილი ჩააყარეთ, შეაზავეთ მარილითა და პილპილით, ალს დაუწიეთ და 10 წუთი კიდევ შუშეთ. ამ კერძს გარნირად ძალიან უხდება მოხარშული ბრინჯი.

ტორტი „მთვრალი ალუბალი"

მასალა:
ალუბალი (კურკაგამოცლილი) — 500 გ
კონიაკი — საჭიროებისამებრ
ბისკვიტისათვის (პირველი ფენა):
კვერცხი — 5 ცალი
შაქარი — 1 ჭიქა
სოდა ძმრით — 1/3 ჩ.კ.
ვანილი — 20 გ
ფქვილი — 1 ჭიქა
კაკაო — 2 ს.კ.
მეორე ფენა:
კვერცხი — 5 ცალი
შაქარი — 1 ჭიქა
სოდა ძმრით — 1/3 ჩ.კ.
ვანილი — 20 გ
ფქვილი — 1 ჭიქა
კრემისათვის:
კარაქი — 300 გ
შესქელებული რძე — 1 ქილა
ვანილი — 20 გ

მომზადება: კურკაგამოცლილი ალუბალი ქილაში ჩაყარეთ, დაასხით იმდენი კონიაკი, რომ ფარავდეს, დააფარეთ თავსახური და 2-3 დღე გაჩერეთ.

ბისკვიტისათვის კვერცხის ცილა და გული გააცალკევეთ, ცილა მიქსერით გათეთრებამდე ათქვიფეთ, ნელ-ნელა დაუმატეთ შაქარი. როცა მაგარ მასას მიიღებთ (ჯამის გადმობრუნებისას ათქვეფილი ცილა არ უნდა გადმოვარდეს), დაუმატეთ ვანილი, სოდა ძმრით, კაკაო და ფქვილი. მოურიეთ და მიღებული მასის ნახევარი ცხიმმოსმულ ფირფიტაზე დაასხით. შედგით წინასწარ გახურებულ ღუმელში და გამოაცხვეთ. შემდეგ მეორე ფირფიტა გამოაცხვეთ.

ანალოგიურად გამოაცხვეთ ტორტის მეორე ფენა (კაკაოს გარეშე).

როცა ფირფიტები მზად იქნება, ერთ ფენას ზემოდან ფრთხილად მოაფცქვენით თავი და დაფშვენით (ზემოდან მოსაყრელად). პირველი ფენა დანამეთ გადაწურული კონიაკით, წაუსვით კრემი, მოაყარეთ ალუბლები, დააფინეთ მეორე ფენა და მასაც კრემი წაუსვით.

კრემის მოსამზადებლად კარაქი მიქსერით ათქვიფეთ, როცა გათეთრდება და მოცულობაში მოიმატებს, ნელ-ნელა შეათქვიფეთ შესქელებული რძე, დაუმატეთ ვანილი. ტორტს ზემოდან წინასწარ მომზადებული ნაფხვენი მოაყარეთ.

ქათმის ჩანახი

მასალა:
ქათამი — 1 ცალი
ბადრიჯანი — 3-4 ცალი
პომიდორი — 2-3 ცალი
კარტოფილი — 3-4 ცალი
ბულგარული წიწაკა — 2 ცალი
სტაფილო — 2 ცალი
ხახვი — 2 თავი
ნიორი — 2-3 კბილი
კარაქი — 50 გ
ქინძი, კამა, ოხრახუში, რეჰანი — თითო-თითო კონა
მარილი და პილპილი — გემოვნებით

მომზადება: ქათამი ნაჭრებად დაჭერით, ბოსტნეული — კუბიკებად. ყველაფერი ქვაბში ფენა-ფენა ჩააწყვეთ, დააფარეთ თავსახური და დაბალ ალზე შემოდგით. მომზადებამდე 5 წუთით ადრე ჩააყარეთ რგოლებად დაჭრილი ხახავი და აკეპილი მწვანილები, შეაზავეთ მარილით და პილპილით.

Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

ატლასის ნახევარმთვარე

ძალიან ლამაზი ნახევარმთვარის გაკეთება შეგიძლიათ საკუთარი ხელით, თუ სახლში გაქვთ: ატლასის (ხავერდის) ქსოვილი (ჩვენს შემთხვევაში ლურჯი ფერის), ოქროსფერი და ვერცხლისფერი მძივები, ბაჰრამა ვერცხლისფერი აჟურული თასმით, ღრუბელი და ბრჭყვიალა ძაფი. კიდევ დაგჭირდებათ მაკრატელი, ნემსი, ძაფი (ან საკერავი მანქანა) და წებო.

ქსოვილისგან 2 ერთნაირი ზომის ნახევარმთვარის ფორმა გამოჭერით და ერთმანეთს ისე გადააკერეთ, რომ თავი ღია დაუტოვოთ. ამოატრიალეთ, ამოავსეთ ღრუბლით, ისევ სწორ პირზე ამოატრიალეთ და თავი აკურატულად ამოუკერეთ.

ნაკერების დასაფარად ბაჰრამას წებო წაუსვით და ნაკერებზე შემოაყოლეთ. შემდეგ ნახევარმთვარეს ზემოდან ოქროსფერი და ვერცხლისფერი მძივები დააწებეთ (იხ. ფოტო). შემდეგ აიღეთ ბრჭყვიალა ძაფი, მოკეცეთ ორად, ძირში ლამაზად გამობაფთეთ და ნახევარმთვარეს მიაწებეთ. ზედა ნაწილით კი ორიგინალური ნახევარმთვარე შეგიძლიათ ჩამოკიდოთ. სულ ესაა.

გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

№ 1

9	1	3	2	7	4	6	8	5
8	6	4	5	1	3	7	2	9
2	7	5	6	8	9	4	3	1
3	5	2	7	6	1	9	4	8
7	9	6	4	5	8	2	1	3
4	8	1	9	3	2	5	6	7
5	3	7	8	4	6	1	9	2
1	4	9	3	2	7	8	5	6
6	2	8	1	9	5	3	7	4

№ 2

1	4	6	9	7	8	2	3	5
5	7	8	3	4	2	9	1	6
2	3	9	1	5	6	4	7	8
7	2	4	5	7	1	6	9	3
9	8	3	6	2	7	5	4	1
6	5	1	4	9	3	8	2	7
3	9	5	8	1	4	7	6	2
8	1	7	2	6	9	3	5	4
4	6	2	7	3	5	1	8	9

ეს იცოდით?

❖ ნეფერტიტი ტუტანხამონის დედა იყო.

❖ უძველეს ეგვიპტეში ქურუმები სხეულიდან აბსოლუტურად ყველა თმის ღერსა და ბუსუსს იცილებდნენ წარბებისა და წამწამების ჩათვლით.

❖ პირამიდებს არამარტო ეგვიპტელები, არამედ ინკები და აცტეკებიც აშენებდნენ, ამის მაგალითია უძველესი ქალაქი ჩიჩენ იცა.

❖ პლატონი არამარტო ფილოსოფოსი, ოლიმპიური ჩემპიონიც გახლდათ — მან ორჯერ გაიმარჯვა პანკრატიონის (ორთაბრძოლების უძველესი სახეობა) შეჯიბრში.

❖ ზღვის ფრინველ ალბატროსს შეუძლია თან ეძინოს და თან იფრინოს.

❖ ზვიგენი იძულებულია მუდმივად იმოძრაოს, მინიმუმი, 3 კმ/საათი სიჩქარით მაინც. სხვაგვარად მისი ორგანიზმი საჭირო ჟანგბადის რაოდენობას ვერ მიიღებს.

❖ თეთრ დათვს არაჩვეულებრივი ყნოსვა აქვს. მას შეუძლია 30 კილომეტრზე იგრძნოს ზვიგენის გვამის სუნი. 1 მეტრიანი ყინულის ქვეშ მყოფ სელაპსაც სუნით პოულობს.

❖ პინგვინი ერთადერთი ფრინველია, რომელსაც ცურვა შეუძლია, მაგრამ ვერ დაფრინავს.

❖ ყუმბარები ჩინეთში გამოიგონეს 1000 წლის წინ.

❖ ჩინეთის დიდი კედელი 14 000 მილის სიგრძისაა.

❖ მსოფლიოს ზღვებში 92 ატომური ბომბია ნაპოვნი.

❖ ბრიტანეთის ისტორიაში სამეფო ტახტზე ყველაზე ხანგრძლივად დედოფალი ვიქტორია იყო.

❖ ებრაული მითოლოგიის მიხედვით, ადამის პირველი ცოლი ლილითი იყო.

❖ იტალიაში 1971 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა მხოლოდ 23-ე ტურის ჩატარების შემდეგ მოხერხდა.

❖ ბამბის ნაყინი პირველად 1904 წლის სენტ ლუისის მსოფლიო ექსპოზიციაზე გაიყიდა.

❖ მე-19 საუკუნეში ჰომოსექსუალებს მწვანეებს ეძახდნენ.

❖ ფრანგული ენა მსოფლიოს 31 ქვეყნის ოფიციალური ენაა.

❖ ეჭვმიტანილის თავდებით გათავისუფლება ძველ რომში შემოიღეს.

Cyan Magenta Yellow Black



ეშტონი და მილა

მილა კუნისი ორსულობას მალავს

ჰოლივუდის მსახიობის ეშტონ კატჩერის შეყვარებული, ასევე მსახიობი, 30 წლის მილა კუნისი, ორსულადაა და ამ ფაქტს საგულდაგულოდ მალავს. როდესაც პაპარაცებმა მილას დევნა დაიწყეს, საყვარელი ქალის დასაცავად ეშტონ კატჩერმა სერიოზული სკანდალი მოაწყო. სწორედ ამ დროს წამოსცდა, პატივი ეცით მის მდგომარეობასო. თავად მილა ამ მდგომარეობაზე კომენტარს არ აკეთებს, თუმცა 2014 წლის მარტიდან სექტემბრამდე ყველა პროექტზე უარი განაცხადა, არადა, წესით, ამ პერიოდში ორ ფილმში უნდა მიეღო მონაწილეობა.

დასავლური პრესა ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბოლო დროს მილა ყოველთვის თავისუფალ, განიერ სამოსში ჩნდება — ტომარასავით ჯინსებსა და ასეთივე მაისურში. როგორც ამბობენ, სწორედ მილას ორსულობა გახდა მთავარი მიზეზი, რის გამოც დემი მურმა ეშტონ კატჩერთან გაყრის საბუთებს ხელი მოაწერა. ყოფილი წყვილი ერთად განაგრძობს მუშაობას საქველმოქმედო ფონდისათვის, რომელიც სექსუალური მონობის წინააღმდეგ არის მიმართული.

კონდოლა რაშადი და ორლანდო ბლუმი

მიჰანდა ჯეიმ და ოჰლანდო ბლუმმა ახალი სიყვარული იპოვეს

ბოლო მომენტამდე რჩებოდა იმედი, რომ მოდელი მირანდა კერი და მსახიობი ორლანდო ბლუმი ოჯახურ ურთიერთობას გადაარჩენდნენ. ისინი ფსიქოლოგთან ვიზიტის დროს შეამჩნიეს, მაგრამ, როგორც ჩანს, მათი სიყვარული აღარ აღდგება. პაპარაცებმა ორივე მათგანის ახალი გატაცებები დააფიქსირეს.

მირანდა კერი ორლანდო ბლუმთან დაშორების შემდეგ მუდმივად სასიყვარულო ურთიერთობებში ფიგურირებს. ამბობდნენ, რომ მას რომანი ჰქონდა ლეონარდო დიკაპრიოსთან, თუმცა ვიქტორია სიკრეტის ანგელოზს ამ ბოლო დროს ხშირად ხედავენ მის ძველ მეგობართან, ავსტრალიელ მილიარდერ ჯეიმს პაკერთან. ჯეიმსი მირანდაზე 16 წლით უფროსია. მისი ოჯახი ავსტრალიაში ყველაზე ცნობილი და გავლენიანია, რადგან მემკვიდრეობით სათამაშო ბიზნესი ერგო. ამას ემატება ისიც, რომ სულ ცოტა ხნის წინ ჯეიმსი ცოლსაც გაშორდა.

დროს არც ორლანდო ბლუმი კარგავს. როგორც ჩანს, მას თავისი პარტნიორი კონდოლა რაშადი შეუყვარდა მიუზიკლიდან „რომეო და ჯულიეტა“. სულ ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ ინტერვიუში იმის ნაცვლად, რომ მირანდასთან შერიგების პერსპექტივაზე ესაუბრა, ორლანდო დიდი გატაცებით ლაპარაკობდა იმაზე, როგორ კოცნიდა კონდოლას. ახლახან კი ისინი ერთ-ერთი დაჯილდოების ცერემონიალზე ერთად გამოცხადდნენ. წითელ ხალიჩაზე წყვილი თამამად იქცეოდა, ერთმანეთს ლამაზ სიტყვებს ეუბნებოდნენ და კოცნასაც არ გაურბოდნენ.

სანდრა ბულოკი: «ისეთი პატივმოყვარე და ეგოისტი ვარ, როგორიც ყველა ჩემი დონის ვარსკვლავი»

ჰოლივუდის ვარსკვლავ სანდრა ბულოკისათვის 2013 წელი წარმატებული აღმოჩნდა. ფილმმა „გრავიტაცია“ მას რამდენიმე ჯილდო მოუტანა და კვლავ მოხვდა სასურველი და ყველაზე ძვირადღირებული მსახიობების ათეულში. 49 წლის ვარსკვლავმა ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში განაცხადა, რომ ის ზუსტად ისეთივე ხარისხითაა ამბიციური, რა რანგის ვარსკვლავიცაა.

— ძალიან მეწვრილმანე ვარ საქმეში. მიყვარს, როდესაც ყველაფერი კონტროლის ქვეშ მაქვს. დიახ, მე ვარ პატივმოყვარე, ეგოისტი, როგორიც ყველა ჩემი დონის ვარსკვლავი. ეგოიზმს ვავლენ ყველაფერში, ყოველდღე მიწევს საკუთარ ჭირვეულობებთან ურთიერთობაც. ძალიან ვამაყობ იმ გამოცდილებით, რაც „გრავიტაციის“ გადაღებებზე მივიღე. უწონადობაში ფრენა ჩემთვის ყველაზე დიდი სიამოვნება იყო, — განაცხადა სანდრამ.

დევიდ ბექჰემს კინოში ბრედ პიტი ითამაშებს

დევიდ ბექჰემი

ბრედ პიტი

დევიდ ბექჰემის მეუღლე ვიქტორია ოცნებობს, მისმა ქმარმა ოდესმე ჯეიმს ბონდი ითამაშოს. სანამ ეს დრო დადგება, მანამდე თავად სპორტსმენზე იღებენ ფილმს. დევიდმა ერთ-ერთ რადიოინტერვიუში განაცხადა, რომ უკვე არსებობს კინოპროექტი, რომელიც მის კარიერას ეხება: „ხშირად მეკითხებიან, ვინ ითამაშებს ჩემს პერსონაჟს, როცა ჩემზე ფილმს გადაიღებენ. ძალიან თამამი განცხადებაა, მაგრამ მინდა, რომ ჩემი როლი ბრედ პიტმა ითამაშოს. პრინციპში, ლეონარდო დიკაპრიოც კარგი ვარიანტია და არც ბრედლი კუპერზე ვიტყოდი უარს“.

იდეაში „სპაის გერლზზე“ ფილმის გადაღებაც არსებობს. როდესაც ჟურნალისტმა ბექჰემს ჰკითხა, თუ ვის ისურვებდა თავისი ცოლის შემცვლელად ეკრანზე, მან სიცილით განაცხადა, რომ მხოლოდ ანჯელინა ჯოლის.



ბაზარზე ინტერნეტ სიჩქარე 50 მბ/წმ - მდე

მოქმედების პერიოდი: ღამის 12სთ-დან დილის 8სთ-მდე
მხოლოდ ოპტიკური ქსელის აბონენტებისთვის

ოპტიკური ტექნოლოგიები